

ნატა ბურჯანაძე

დამსხვრეული

ბედნიერება

თბილისი

2012

როდესაც ამომავალი მზის პირველი სხივები ეწვივნენ ოთახს, მარის ჯერ კიდევ ეძინა. თავი ბალიშის ნაცვლად საკუთარ თავზე დაედო, გრძელი თმა უკან გადაშლოდა, ხშირი წამწამები ნაზად მიჰკვროდნენ ერთმანეთს, თეთრ სახეზე სიხარული და სიმშვიდე გადაჰფენოდა, ხოლო ტუჩებს სიზმრიდან გამოყოლილი ოდნავ შესამჩნევი, თითქმის ბავშვური ღიმილი აშშვენებდა. თანდათან მოედო დღის სინათლე ოთახს, საგნებს, რომლებსაც ღამის მოსასხამის ქვეშ საკუთარი თავი დაეკარგათ და ერთ, მთლიან შავ მასად ქცეულიყვნენ, თავისი ფორმა და კონტურები დაუბრუნდათ: საწერი მაგიდა, სკამი, წიგნის თაროები, ტანსაცმლის კარადა, კომპიუტერი, კედელზე გაკრული პლაკატები...

მზის ათინათმა მარის სახემდეც მიაღწია და დახუჭულ თვალებს გაეთამაშა. გოგონამ ოდნავ გაახილა თვალები, გრძელი წამწამები დააფახულა, გვერდი იცვალა, შეეცადა მზის სხივებისთვის მოერიდებინა თავი და დროებით მაინც ისევ ძილს დაბრუნებოდა. კარებზე კაკუნს გაისმა და დედის ხმამ ძილის საფარველი მთლიანად გაფანტა

– მარი, შვილო, სკოლაში გაგვიანდება, ისაუზმე

“სამ თვიანი დასვენების შემდეგ ცოტა არ იყოს ძნელი და არასასიამოვნოა დილით ადრე ადგომა, მაგრამ რას ვიზამთ, საქმე მოითხოვს...” ამ ფიქრებით მარი საწოლიდან წამოდგა, რამდენიმე წუთში უკვე სამზარეულოში შევიდა და დედას მიესალმა

– დილა მშვიდობისა დედა!

– გამარჯობა მარი, ჩაი მზად არის, მიირთვი თორემ დაგაგვიანდება აბა როგორ განწყობა გაქვს ამ დილით? ხომ არ გეზარება სკოლა ში წასვლა?

– არა დედა, პირიქით, ყველაფერი გამორჩეულად მიხარია, დღეს მთელი ზაფხულის უნახავ მეგობრებს შევხვდები და სწავლისთვისაც მზად ვარ!

საუზმის შემდეგ მარიმ ჩანთა მხარზე გადაიკიდა, დერეფანში ჩამოვიდებულ სარკესთან გავლისას ვერ მოითმინა, როგორც ყველა გოგონამ, კიდევ ერთხელ შეათვალიერა თავისი თავი, თმები შეისწორა და სახლიდან გავიდა. სკოლა მარის სახლიდან შორს არ იყო, ამიტომ სამარშუტო ტაქსი არც გაუჩერებია, ფეხით გაუყვა ქუჩას და ფიქრებში გაერთო. იგი უკვე მე-11 კლასში გადავიდა, უკვე დიდი გოგოა.

“მეთერთმეტე კლასი, სკოლის დამთავრება და დაიწყება სტუდენტობის პერიოდი, უფრო საიხარულო და საინტერესო იქნება! თან ისეთი, რომელიც ალბათ მთელ მომავალ სიცოცხლეს განსაზღვრავს. ახლა კი ზაფხულის მოგონებები, მეგობრებთან შეხვედრაა წინ და ისიც...” “ისიც” ამ სიტყვასთან ერთად გულმა გამალეებით დაუწყო ცემა, უნებურად გაეღიმა და ზურას სპორტული აღნაგობის ტანი, მოკლედ შეჭრილი თმა და სიყვარულით სავსე თვალები წარმოუდგა წინ.

სკოლის ეზო და დერეფნები სავსეა მოსწავლეებით, თითქოს ყველას უხარია სწავლის დაწყება, ყველგან იგრძნობა მხიარული განწყობილება, პირველ კლასებშიც და მაღალ კლასებშიც იმ მოსწავლეებში, ვინც ბავშვობის მთელი პერიოდი აქ გაატარა.

– გამარჯობათ ბავშვებო! ყველას ერთიანად მიესალმა კლასში შესული მარი და შემდეგ ყველა მეგობარი გოგონა და ბიჭი ცალ-ცალკე მოიკითხა. ყველა სიხარულით შეხვდა მას, მაგრამ მარამ ერთ განსხვავებულ მხერას გაუსწორა თვალი. ეს ზურას თვალები იყო. გოგონასა და ბიჭის თვალები შეეგებნენ ერთმანეთს და საგრძნობი იყო რომ მათ შორის უდიდესი სითბოსა და სიყვარულის უჩინარი, მაგრამ მწველი ძაფები იყო გაბმული რომლებიც ნელ-ნელა იზიდავდა მათ ერთმანეთისკენ. ზურამ გოგონას ნაზი პატარა თითები მოიქცია ხელებში და თვალებში ჩახედა სიყვარულით, რომლებიც ასევე დიდ მონატრებასა და სიყვარულს ასხივებდნენ.

– როგორ ხარ მარი, ძალიან მომენატრე!

– მეც ძალიან მომენატრე!

ეს სიტყვები ორივემ თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა, მაგრამ ხმაში ყველაფერი იყო ჩაქსოვილი: მონატრება, მეგობრობა, რომელიც ადრიდანვე ჩაისახა მათ გულებში და შემდეგ სიყვარულში გადაიზარდა, შეხვედრისგან მინიჭებული სიხარული... სიყვარულით შესცქეროდნენ ერთმანეთს და მათ გარშემო თითქოს აღარავინ იყო...

კლასელებმა იცოდნენ მარისა და ზურას სიყვარულის შესახებ, ამიტომ მათი შეხვედრის ლამაზ მომენტზე იმდენად არ გაამახვილეს ყურადღება. კლასიდან მხოლოდ ორი ადამიანი აკვირდებოდა მათ, პირველი ღიმილით და შესამჩნევი სიხარულით, ხოლო მეორის გამოხედვაში შური, ბოღმა და ბოროტება გამოკრთოდა. ესენი იყვნენ გოგა, რომელიც პირველი კლასიდანვე მარისთან და ზურასთან ერთად სწავლობდა და ბესო, რომელიც მეექვსე კლასიდან შეუერთდა მათ “სამეულს” ეს ადრე იყო, როცა შედარებით პატარები იყვნენ და კლასში ჯგუფებად იყვნენ “დაქალები” “მმაკაცები” მაგრამ წლები გავიდა, გაიზარდნენ, აღარ ჩხუბობდნენ და კინკლაობდნენ წვრილმანებზე ბავშვურად, კლასში ყველას კარგი და

თბილი დამოკიდებულება ჰქონდა ერთმანეთთან, საუკეთესო მეგობრობით გამოირჩეოდნენ და ჰქონდათ უნარი და სურვილი ერთმანეთისთვის მეგობრულად მოესმინათ და მწუხარება თუ იხარული გაეზიარებინათ. ისინი კარგ დროს ატარებდნენ სკოლაში. დღეს კი გაზნსაკუთრებული დღეა, ეს ბოლო წელიწადია მათი სკოლაში ყოფნის, მეტერთმეტე კლასში გადავიდნენ.

ყველანი საკლასო ოთახში მოგროვდნენ. სანამ მასწავლებელი შემოვიდოდა, წინა კლასებში გატარებულ დროს იხსენებდნენ ვებოდნენ სასიხარულოდ მოსაგონარ გართობებს და ექსკურსიებს, ბავშვურ სისულელებსაც რასაც ხანდახან აკეთებდნენ. მასწავლებლებიც ასე თვლიდნენ და მართლაც ასე იყო, რომ ამ კლასის ბავშვებს განსაკუთრებულად მხიარულად ჰქონდათ გატარებული სკოლის წლები. იუმორით გაიხსენეს ფიზიკის გაკვეთილები. ფიზიკის მასწავლებელი თითქოს უფრო ახლოს იყო ბავშვებთან და უგებდა მათ, ზოგჯერ გაკვეთილის არცოდნას პატიობდა, ზოგჯერ, მოსწავლეებისვე თხოვნით საინტერესო კურიოზებს ყვებოდა, რა თქმა უნდა დისციპლიანა პირველ ადგილზე იყო მისთვის, მაგრამ იმასაც ფიქრობდა, რომ ისიც იყო ბავშვების ტოლი და გამოვლილი ჰქონდა სკოლის მხიარული დღეები, ამიტომაც განსაკუთრებულად უყვარდათ იგი მოსწავლეებს. აქ სხვა მოგონება ამოტივტივდა რუსულის მასწავლებელთან დაკავშირებით, როცა ორი მათგანის მშობლების სკოლაში გამოძახების გამო ერთიანი პროტესტი გამოთქვეს და გაკვეთილის ნაცვლად ორმოც წუთიანი საყვედურების სენსი ჩატარებინეს მზია მასწავლებელს. ყველა იცინოდა და ხალისობდა ამ მხიარული, ბავშვური, ტკბილი მოგონებების გახსენებით... ის დროც გაახსენდათ, როცა პირველ სექტემბერს პირველ კლასში მოვიდნენ თეთრი ბაფთებით და კაბებით პატარა კოსტუმებით გამოწყობილები, პატარა ჩანთებით ხელში, ჩვეულებრივი პატარა ბავშვებივით დაცანცარებდნენ აქეთ-იქით, მერე კი თითქოს უცხად გაიარა ცხრა წელმა და მალე მათთვისაც ბოლო ზარი დაირეკება...

ამ საუბარში და სასიამოვნო მოგონებებში გართულებმა, თითქმის ვერც კი შეამჩნიეს კლასის ხელმძღვანელის შემოსვლა. მაია მასწავლებელი მეოთხე კლასიდან იყო მათი ხელმძღვანელი და დიდი სიყვარული აკავშირებდა თითოეულ მათგანთან. მოსწავლეებსაც ძალიან უყვარდათ მაია მასწავლებელი. მისი შემოსვლისთანავე კლასი გაირინდა. ფეხზე წამოდგნენ და მიესალმნენ მასწავლებელს. ქალბატონმა მაიამ მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა, მიულოცა ბავშვებს სასწავლო წლის დაწყება, წარმატებები უსურვა, შემდეგ სათითაოდ, მოკლედ ყველას

გამოჰკითხა გატარებული არდადეგების შთათბეჭდილებების და სკოლის დამთავრების შემდეგ მათი გეგმების შესახებ, რის შემდეგაც გაკვეთილი ჩვეულ რიტმში გაგრძელდა. უსმენდნენ გაკვეთილს მაგრამ მათი გონება მაინც სხვა სამყაროში დაჰქროდა თითქოს. ზოგის ფიქრებში წარსული ტრიალებდა, ზოგიც სკოლის

პირველი დღის გამო იყო გარკვეულ ეიფორიაში, ასაკიც ყველას ხელს უწყობდა, რომ მოზღვებული ენერჯის, ფანტაზიის, ოცნებების და ფიქრების ზღვაში ჩაძირულიყვნენ.

მარის გონება და ფიქრებიც ზურაზე გადაერთო უნებლიედ.

მის ალერსიან, სიყვარულით სავსე მზერას ზურგიდანაც გრძნობდა. ჯერ კიდევ ბავშვობიდან დამეგობრდნენ ისინი, ერთად დადიოდნენ სკოლაში, ზოგ წელს კი ერთ მერხზე ისხდნენ, მათ გულეებში ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი გრძნობა ისახებოდა. წლებმა თავისი გაიტანეს და ბავშვური სიახლოვე ძლიერმა და სასურველმა სიყვარულმა შეცვალა. მარიმ თვალი მოსწყვიტა დაფას და ფანჯარაში გაიხედა. შემოდგომის თბილი დღე იყო, ნიავე ოდნავ აშრიალებდა ხის ფოთლებს, ქუჩაში მანქანები დაქროდნენ, მზის სხივებსაც ჯერ არ დაეკარგათ ძალა. მარის გონებაში ის დღე ამოტივტივდა, როდესაც ზურა სიყვარულში გამოუტყდა. ამ მოგონებით, სახე ღიმილით დაეფარა. მაშინ მერვე კლასში იყვნენ, ასეთივე თბილი დღე იდგა, თითქოს არაფრით არ გამოირჩეოდა სხვა დღეებისგან. მარი ადრიდანვე გრძნობდა ზურას განსაკუთრებულ ყურადღებას, თუმცა მაშინ მათი ურთიერთობა უფრო ბავშვურ გატაცებას ჰგავდა, ზურა ყოველთვის ცდილობდა რამე სასიამოვნო გაეკეთებინა მისთვის არც იმას აქცევდა ყურადღებას, როცა ბავშვები შეყვარებულებს ეძახდნენ თითოს დაცინვით... იმ დღეს კი რაღაც განსაკუთრებული, ახალი, მწველი იმპულსი გაჩნდა მათ გულეებში.

იმ დღესაც, როგორც ადრე, ერთად მიდიოდნენ სახლში, ადრე თავისუფლად საუბრობდნენ სკოლაზე, მეგობრებზე, მარი კომპლიმენტებს ისმენდა ზურასგან, მაგრამ დღეს თითქოს რაღაცის მოლოდინში იყვნენ ორივე, ზურას გულში ათასნაირი სიტყვა ტრიალებდა, სითბოთი სავსე საალერსო, სასიამოვნო, მაგრამ ახლა თავი ვერ მოეყარა ერთად ყველაფრისთვის. მარიც გრძნობდა ზურას შინაგან ღელვას და ჩუმად მიუყვებოდნენ ტროტუარს. ზურა პატარა სკვერთან შეჩერდა, რომელიც გზის პირზე იყო მარის ხელი ჩაჰკიდა და უსიტყვიდ გადაიყვანა სკვერის მხარეს.

_ მარი... იცი... მინდა რაღაც გითხრა...

მარიმ დამფრთხალი მზერით შეხედა ზურას, რადგან ეს აღარ ჰგავდა ბავშვობის მეგობრის ხმას, რაღაც სხვანაირი იყო მისი თვალებიც...

– მიტხარი ზურა რა ხდება?

– იცი, მარი, შენდ არაჩვეულებრივი ხარ! ყოველთვის მომწონდი და მეგობრები ვართ ბავშვობიდან, მაგრამ სულ შენზე ვფიქრობ, შენი სახე მიდგას თვალწინ...

მარი გაწითლდა, თითქოს ენა ჩაუვარდა, სიტყვაც ვერ დაძრა, თუმცა გულში მასაც იგივე ფიქრები უტრიალებდა, რაღაც მსგავსს ყოველთვის ელოდა ზურასგან, მაგრამ მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა ეს.

– ზურა, გთხოვ, მე, მე... ისედაც ყველა ჩვენზე ლაპარაკობდა არ გახსოვს?

– არა, მარი, მაინც გეტყვი, მეტად ვერ მოვითმენ... შენ ჩემთვის გაცილებით მეტი ხარ, ვიდრე მეგიბარი... მე შენ მიყვარხარ! და ყოველთვის მეყვარები!

ამ სიტყვების თქმისას უფრო ძლიერად მოუჭირა ხელი გოგონას თითებს, მეორე ხელით ლოყაზე შეეხო და თითქოს მარის თვალეზში ჩაიძირა, რადგან იქიდან ელოდა სიყვარულის განაჩენს. მარიმ არაფერი უპასუხა, გული გამალებით უცემდა და პირდაპირ უყურებდა სასურველი ადამიანის სახეს, არაფერი უთქვამს, მაგრამ უნებურად ნაზმა და ლამაზმა, ოდნავ შესანჩხვემა ღიმილმა გაუნათა სახე... ზურასთვისაც ეს იყო სასურველი პასუხი... არცერთს აღარაფერი უთქვამს, რადგან უკვე წლების განმავლობაში გრძნობდნენ ერთმანეთის თუნდაც ბავშვურ ფიქრებს და სურვილებს. ხელჩაკიდებულნი ისევ გაუყვნენ სახლისკენ გზას... შესაძლოა მათი ასაკისთვის ეს ყველაფერი სისულელედ მოჩვენებოდა ადამიანს, მაგრამ როგორც ამბობენ: სიყვარულმა ასაკი არ იცის, ან ეს ბავშვური გატაცების, თუ სიყვარულის აჩრდილის პირველი გაელვება იყო მათ გულებში, მაგრამ ორივესთვის იმ წუთებმა ყველაფერი შეცვალა. მანამდეც ახლო მეგობრად და მფარველად ჰყავდა ზურა მარის, მაგრამ ამის შემდეგ ყოველთვის ერთად იყვნენ სკოლაში, ხშირად გაკვეთილებსაც ერთად ამზადებდნენ ხან ზურას სახლში, ხან მარისთან, ფიქრებით კი ყოველ წუთს და ყოველ წამს ერთმანეთს დასტრიალებდნენ...

ზარის ხმამ გაფანტა სასიამოვნო მოგონების ნისლი, ეუცნაურა მარის, რომ მასწავლებლის საუბრიდან დიდი ნაწილი გამორჩენოდა, რადგან ის და ზურა სწავლით და დისციპლინით გამორჩეულ მოსწავლეებს შორის იყვნენ.

გაკვეთილების შემდეგ მთელი კლასი სკოლის ეზოში ხის ჩრდილში მდგარ სკამთან მოგროვდა. გოგა სკამზე შედგა და ყველას თვალი მოავლო.

– აბა რას იტყვით, დავიშალოთ და სახლებში წავიდეთ, თუ დღეს,

- სწავლების პირველი დღე აღვნიშნოთ და სადმე გავისეირნოთ?
- _ აი, “ექსკურსიამდლოლმაც” არ დაიგვიანა!
 - _ არა, არა აქ სადმე გავიაროთ _ გაააგრძელა გოგამ _ თუნდაც პარკში, გავერთოთ, ნაყინი მივირთვათ... _ შემდეგ ბიჭების უკმაყოფილო სახეებს გადახედა, რომლებიც ხუმრობით მოიღუშნენ და დაამატა: რა თქმა უნდა ლუდის დალევის მომხრე ვარ!
 - _ კარგი რა! მერე მეტი მოგივათ დალევა, დათვრებით, ჩხუბს და კინკლაობას დაიწყებთ ისევ! _ თქვა სალომემ.
 - _ სულაც არა! დღეს პირველი დღეა, ზაფხულიდან არ გვიანხავს ერთმანეთი უმეტესობას, პარკში რომ მრგვალად დგას სკამები იქ მივიდეთ და რიგრიგობით მოვყვეთ, ვინ როგორ გავატარეთ არდადეგები!
 - _ არა, უკეთესია შენ ჩაგვიდგე შუაში და ჰამლეტივით წარმოთქვა: “ყოფნა, არყოფნა...” _ ჩაუთოთ გიორგიმ ყველანი ახარხარდნენ.
 - _ ცუდი არ არის, იქნებ გულის სიღრმეში რა გვაქვს და რას განვიცდით იმაზეც ვილაპარაკოთ? ამისთვის მომღვართან მივალ! თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ბესომ.
 - _ არა ძმაო, თუ სურვილი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ არადა ისევ ვნახავთ გასართობს. ამ ზაფხულში ახალი ატრაქციონები დამატეს... _ შემდეგ ზურას და მარის გადახედა _ თუმცა ცალკე ხეივანი შეყვარებულებისათვის ჯერ არ გაუხსნიათ...
 - _ შენ ხომ არ მორჩები ოხუნჯობას! არტისტობა ზედგამოჭრილია შენთვის. ჯერ აქ გახდები ცნობილი არტისტი და მსახიობი და ვინ იცის მომავალში იქნებ ჰოლივუდსაც “გამოჰკრა” ხელი! გაიცინა ზურამ და ღიმილით შეავლო თვალი მარის.
 - _ დამცინე ჰო! მაგას მაშინ გაიხსენებ ჩემთან ავტოგრაფის სათხოვნელად რომ მოხვალ! _ ამ სიტყვებთან ერთად გოგამ თავი დაუკრა ყველას _ შეგიძლიათ ავტოგრაფებისთვის სხვებმაც მომაკითხოთ!
 - _ არა, ჟურნალისტობა არ სჯობია? _ თქვა ბესომ, ხელი გადახვია ზურას და გოგას გახედა _ უარეს შემთხვევაში ზურა “ყვითელი პრესის” ერთ-ერთი წარმომადგენელი გახდება, უარეს შემთხვევაში სადმე ცხელ წერტილში გააგზავნიან და შეიძლება მისთვის ავე-მარიაც იმღერონ! _ შემდეგ ზურასკენ მიაბრუნა თავი, თვალეში ჩახედა _ წარმოგიდგენია სათაური: “ცნობილი ჟურნალისტი ბრმა ტყვიამ შეიწირა” არა და რამდენ ადამიანს ატკენ

ამით გულს...

ზურამ გაკვირვებით შეხედა ბესოს, მაგრამ მისგან მსგავს ხუმრობას მიჩვეული იყო, მხრები აიჩჩა და თავი გადააქნია, თვითონაც ხელი გადახვია ბესოს და მუშტი მიადო მკერდზე – არ მეშინია! რისკი კი ყოველთვის არის ყველგან...

– ჰო მაგრამ წარმოიდგინე საყვარელი ადამიანის ცრემლები...

ეს ყველაფერი ძალიან ჩუმად იყო ნათქვამი, მაგრამ მარის მაინც ესმოდა, შეცბუმნდა ბესოს სიტყვებისგან, უფრო ახლოს მიიწია მათთან და ბესოს ახედა, თვალებში ცრემლები აუციმციმდა.

– კარგი რა, ბესო, გთხოვ! მართლა გულს მტკენს შენი სიტყვები! ლატომ ხარ ასეთი სასტიკი? სულ გაგაგიჟებს ერთხელ ფილმები რასაც უყურებ!

– მაპატიე მარი, მე შენი წყენინება არ მინდოდა! ეს უბრალოდ სიტყვებია, სხვა არაფერი! შენც მაპატიე ზურა, ხომ იცი რომ ეს მხოლოდ ხუმრობა იყო?

ზურამ ხელი მოჰხვია მარის და უჩურჩულა:

– გთხოვ გულთან ახლოს არ მიიტანო, ბესო მართლაც ხუმრობს ხომ იცნობ როგორიც არის, გთხოვ, შენი ცრემლების დანახვას ვერ ვუძლებ!

მარამ ხელის ზურგით მოიშორა ცრემლები თვალებიდან და თავი ზურას მხარს მიადო. გოგას არ გამოჰპარვია მეგობრების უეცარი გაჩუმება და ჩურჩული, ამიტომ გადასძახა:

– ჰეი, თქვენ, თუ რამე კარგი მოიფიქრეთ, თქვით, თუ არა და რა “რაზბორკა” გაქვთ მანდ? ბესო შენი შავი იუმორი კი დღითი-დღე უფრო მუქდება! თუ თეატრში წავედი მართლაც და ბოროტი პერსონაჟის როლის შემსრულებელი დაგვჭირდა შენ მოგმართავთ აუცილებლად!

– ერთი მომავალი კლოუნიც ეყოფი ჩვენს კლასს! – სიცილით უპასუხა ბესომ – მე კი დავაშავე და მომიტევეთ!

– აჰა, ჩაირთო ისევ “სამი მუშკეტერის” ისტორია! ჩვენ ყველა აქ ვართ და ერთად გადავწყვიტოთ სად წავალთ – თქვა დათომ და შეკრებილებს ზევიდან გადმოხედა, რადგან სიმაღლით თითქმის ორი მეტრი იყო.

– დიდ კაცთან პატარა კაცსა, როდის გასვლია მართალი! – ხელი გულზე დაიდო და თავი დაუკრა გოგამ, სკამიდან ჩამოხტა, დათოს ახედა და გამოთქმით შესძახა: მე გემის კაპიტნობაზე უარს ვაცხადებ და “მაღალ კაცს” ვენდობი! საერთო სიცილმა დაფარა მისი ხმა.

– წავიდეთ პარკში? დავეთანხმით “მუშკეტერებს”? – იკითხა დათომ.

– წავიდეთ, სანამ სამსაწავლებლოდან ვინმე ჩამოგვაკითხავს და და-
ინტერესდება ისევ რას ვგეგმავთ!

სკოლის ეზოდან გავიდნენ და ქუჩას გაუყვნენ. მიდიოდნენ პარკისკენ, “სამი მუშკეტერის” გამო ყველას მეტსახელი გაიხსენეს ცალკ-ცალკე და ყველასთან დაკავშირებული კურიოზები...

“სამი მუშკეტერი” ეს მეტსახელი ზურამ, ბესომ და გოგამ მას შემდეგ მიიღეს, რაც კლასში ახლად გადმოსული ბესო დაუმეგობრდა გოგას, ზურას და მარის, თუმცა ისინი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულები იყვნენ, ოთხივეს სხვადასხვანაირი ხასიათი, სხვადასხვა გატაცებები და ბოლოს, სამომავლო გეგმებიც განსხვავებული ჰქონდათ, მაგრამ მაინც მეგობრობდნენ. ერთმანეთის გვერდით იყვნენ ყოველთვის, თუ ერთს დაბადების დღე ჰქონდა, დანარჩენ სამეულს ისე უხაროდა, როგორც თავისი, თუ რომელიმეს სკოლაში ან სახლში რამით დასჯიდნენ დანარჩენები ცდილობდნენ მეგობრისთვის ეს სასჯელი როგორმე შეემსუბუქებინათ. ბავშვური ურთიერთობა და სასაცილო წვრილმანები წლების განმავლობაში ნამდვილ მეგობრობად იქცა, ხოლო მარი მათი პატარა კომპანიის ლამზ ფერიად ითვლებოდა...

ზურა მათგან სწავლით გამოირჩედა, კლასში ერთ-ერთი ფრიადოსანი იყო, ბესო და გოგა ხშირად მისგან იწერდნენ საშინაო დავალებებს ან საკონტროლო წერას. ეს მასწავლებლებსაც შენიშნული ჰქონდათ ამიტომ ასეთ დროს თითქმის ყოველთვის ცალკ-ცალკე სვამდნენ სამივეს. თუმცა ზურა მათი ოთხეულის უფრო ინტელექტუალურ მხარს წარმოადგენდა, სპორტსაც მისდევდა. მათემატიკით და ბიოლოგიით იყო გატაცებული, მაგრამ მაღალ კლასებში უფრო ჰუმანიტარული საგნებისკენ გადაიხარა და სამომავლოდც ჟურნალისტობას მიანიჭა უპირატესობა, ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ წლების განმავლობაში სკოლის კედლის გაზეთის შექმნაში იღებდა აქტიურ მონაწილეობას: აგროვებდა და იწერდა სკოლის ახალ ამბებს, სპორტისა თუ ქალაქის სხვა ამბებს გაზეთებიდან იწერდა, ზოგ მასალას ინტერნეტში ეძებდა. მიღებულ მასალას სხვებთან ერთად ამუშავებდა და “სტატიის” სახეს აძლევდა, რომელსაც ხშირად თვითონ უკითხავდა კლასელებს დამატებით მეცადინეობებზე.

მარი ჰუმანიტარული საგნებით იყო დაინტერესებული. უცხო ენების ათვისების გამორჩეული ნიჭი ჰქონდა. ეს მშობლებმა თავიდანვე შეანჩინეს და სკოლამდეც ამზადებდნენ უცხო ენებში. საბოლოოდ, სკოლაში სწავლის ბოლო წლებში თავისუფლად ლაპარაკობდა ინგლისურად, რუსულად და ნაწილობრივ გერმანულ ენასაც ფლობდა, ზურასაც უფრო და უფრო მაშინ

დაუახლოვდა, როცა მას ინტერნეტში ნახულ და გაზეთებში ამოკითხული სატატებიის თარგმნაში ეხმარებოდა, ეს მაშინ იყო, როცა წამოიზარდნენ და პირველი სიყვარულის ნაპერწკალი გაჩნდა მათ გულეებში, როდესაც ბავშვობის მეგობარს უკვე სხვანაირად აღიქვამდა მათი ცნობიერება.

გოგა პირველი კლასიდანვე ძალიან მხიარული იყო, ყოველთვის უყვარდა ხუმრობა და გართობა, ყველასთან ადვილად პოულობდა საერთო ენას. თუ სადმე იკრიბებოდნენ წვეულებებზე ან დაბადების დღეებზე, როგორც იტყვიან: “ზეიმის გულად” ითვლებოდა. პაროდირების ნიჭიც ჰქონდა, სკოლის “მხიარულთა და საზრიანთა კლუბის” ერთ-ერთი წამყვანი მონაწილე იყო. წლების მანძილზე, თუ მათი კლასი ექსკურსიაზე მიდიოდა, ეს მისი ინიციატივით ხდებოდა ხშირად, რის გამოც ერთი პერიოდი მეტსახელად “ექსკურსიამძღოლს” ეძახდნენ. გოგა სკოლაში დადგმულ, პატარ-პატარა სპექტაკლებშიც მონაწილეობდა და ასაკთან შედარებით საკმაოდ კარგად გამოსდიოდა, რის გამოც ბევრი პედაგოგი და მოსწავლეებიც, ფიქრობდნენ რომ იგი აუცილებლად თეატრალურზე ჩააბარებდა და წარმატებული არტისტიც იქნებოდა, თუმცა თვითონ ამის შესახებ არასდროს საუბრობდა “მე ეხლა ვარ ხუმრობისა და მხიარულობის ხასიათზე და მერე რა იქნება ჯერ არ ვიცი” ყოველთვის ასეთ პასუხს იძლეოდა, თუ სერიოზულად ჰკითხავდნენ ხოლმე.

როდესაც ბესო ზურას, მარისა და გოგას სამეგობრო ჯგუფს შეუერთდა, უფრო მეტად რატომღაც გოგას დაუახლოვდა. ყველას უკვირდა მათი ურთიერთობა, რადგან ბესო მხიარულ და ენამოსწრებულ გოგას სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენდა: თავიდანვე ყველა ამჩნევდა, რომ იგი გულჩახვეული ადამიანი იყო, ადრეულ კალსებიდანვე გარკვეულ უხეშობას ავლენდა კლასელების მიმართ, თუმცა აგრესიაზე არ გადადიოდა, ეს უბრალო თავის შეკავების უნარის გამო გამოსდიოდა, გარდა ბავშვური კინკლაობისა, ჩხუბი არავისთან მოსვლია, თუმცა ვინმესგან წყენას არასდროს ივიწვებდა, გულში ჩაიდებდა და შესაფერის მომენტში მოსთხოვდა ხოლმე პასუხს. გულახდილ საუბრებს და კლასელებთან დაახლოებას გაუბრუნდა არც ზეიმების, დაბადების დღეებისა და დღესასწაულები მოყვარული იყო. დღესასწაულებზე თუმცა კი ერთვებოდა მხიარულიებაში, მაგრამ შესამჩნევი იყო, რომ ამას გულგრილად, ზედაპირულად აკეთებდა, უფრო სხვის დასანახად. სწავლით იმდენად არ გამოირჩეოდა, თავიდან დეტექტივების კითხვით იყო დაინტერესებული, ფილმებსაც უყურებდა, ძირითადად ისეთს სადაც ბევრი ძაკლადობა, აგრესია და მკვლელობები იყო. ყოველივე ამის მიუხედავად გოგას მართლაც გულით დაუახლოვდა, თითქოს ამ ორ განსხვავებულ პიროვნებას რაღაც

საერთო წერტილი მაინც ეპოვათ და თითქოს ბესოს გულჩახვეულობას, უხეშობას და აგრესიას გოგას მხიარული ხასიათი ანეიტრალეზდა.

პარკში დიდხანს არ გაჩერებულან, რადგან დღის მეორე ნახევარი იყო, ხოლო შემოდგომის დღეები საკმაოდ შემოკლებულია.

ჯერ გოგონებმა დაიწყეს დაშლა და ნაწილ-ნაწილ პარკის დატოვება, შემდეგ ბიჭებიც მიჰყვნენ მათ.

– რას იზამ ძმა, წამოხვალ ჩვენთან ერთად? – ჰკითხა გოგამ ზურას – მე და ბესო ცოტა ლუდს ავიღებთ კიდევ და ჩემთან წავიდეთ სახლში, მარტო ვარ დღეს, გავერთოთ ჩვენი შეხვედრა აღვნიშნოთ, სწავლა მთელი წელიც გვეყოფა.

– არა ბიჭებო, დღეს მე ვერ წამოვალ, რატომღაც ვერ ვარ განწყობაზე, მარის გავაცილებ და სახლში ავალ, კვირის ბოლოს კი თქვენთან ვარ, ახლა მაპატიეთ!

– ერთად გავაცილოთ მარი და მერე ჩვენ ცალკე მოვიფიქროთ რა-მე, მთლად რომეოდ ნუ გადაიქცევი! კაი, გეხუმრე, არ მოიღუპო! – გაიცინა გოგამ, როცა ზურას დამაბულობა შეატყო.

– მასე ჩვენი მეგობრობა სულ დაიკარგება ალბათ, მომავალ წელს სტუდენტები რომ ვიქნებით, ან თუ ვიქნებით – თქვა ბესომ – მე ჯერ არც კი გადამიწყვეტია რას გავაკეთებ.

– ზუსტად არც მე ვიცი, წინ რა იქნება, მაგრამ გული მიგრძნობს მომავალ ამ დროს ზურა ქორწილში დაგვპატიყებს!

– გოგა, ნეტავ შენ როდესმე თუ მაინც ყოფილხარ მოწყენილი? მე მართლა არ მახსოვს!

სამივემ შეწყვიტა საუბარი, რადგან გოგონები მიუახლოვდნენ მათ.

– რას აპირებთ ბიჭებო? არ მიდიხართ სახლში? – იკითხა მარიმ

– კი, დავიშალებთ უკვე! კარგი ზურა, წავედით, რახან არ მოდიხარ სხვა დროს იყოს!

– კარგად ბიჭებო, ხვალამდე!

ზურა და მარი პარკის გასასვლელთან ჩამოშორდნენ გოგონებს და ფეხით გაუყვნენ ქუჩას. ბესო და გოგაც გამოვიდნენ პარკიდან. ბესომ ლუდის ბოთლი მოიყუდა, შიგ დარჩენილი ლუდი მთლიანად გამოცალა, შემდეგ ზურას და მარის გააყოლა თვალი, ბოთლს უნებურად ისე მოუჭირა ხელი, თითქოს დამსხვრებას აპირებდა.

– რა გჭირს ბესო? რამდენი ხანია გელაპარაკები და არც გესმის

ჩემი ხმა! – გოგამ მხარზე მოჰკიდა ხელი და შეანჯღრია.

ბესო არც ახლა უსმენდა მას, თვალის დაუხამხამებლად გაჰყურებდა ტროტუარს, სადაც ზურას და მარის სილუეტებიღა მოჩანდა.

_ ბესო! _ გოგამ თვალი გააყოლა მის მზერას _ კარგი რა ძმა!
ჩვენ ხომ გავიარეთ ეგ პრობლემა და ყველაფერი გავარკვეით?
ზურა ჩვენი ძმაა, მარი ჩვენი და და მან არჩევანი გააკეთა...

ბესო გამოერკვა, ლუდის ბოთლი პარკის მხარეს გადაისროლა გამეტებით.

_ არა, რატომ? რატომ ის და არა მე? ან თუნდაც შენ?

_ მეე? _ გაკვირვებით შეხედა გოგამ მეგობარს _ დღეს მართლა ბე-
ვრი მოგვივიდა დალევა, წავიდეთ ჩემთან...

_ კარგი რა გოგა! _ შეაწყვეტინა ბესომ _ გულგრილი არცერთი
არ ვიყავით მარის მიმართ, შენი გაწონასწორებული თამაშით
მხოლოდ ზურას თუ დააჯერებ, რომ მარის მხოლოდ მეგობარად
აღიქვამდი ყოველთვის! მე ვიცი და შენც კარგად გრძნობ
ამას!

არასდროს არ ენახა გოგას ბესოს მხრიდან ასე ემოციებს აყოლა, ამიტომ
მეგობრულად დაადო მხარზე ხელი და შეეცადა მთელი მეგობრული სიტბო
ჩაერთო ხმაში.

_ მე მესმის შენი, ძმა! თუ ისურვებ როცა ფხიზლად ვიქნებით ამ
საკითხზე მაშინ დავილაპარაკოთ, შეიძლება მართალი ხარ, და
მინც, ზურა და მარი ისეთივე ახლობლები არიან ჩემთვის, რო-
გორც შენ ამიტომ მათ გადაწყვეტილებას პატივი ვცეთ, გთხოვ!

ბესოს თვალები ბრაზს და ბოროტებსა ასხივებდა, თუმცა გოგას სიტყვების
გაგონებისთანავე, თითქოს გამოირთო მასში ყველაფერი, გაუღიმა მას და
მეგობრულად გადევნა

_ კარგი გოგა! ძმა ხარ!

გოგამ კარგად იცოდა, რომ ბესოს მხრიდან ეს უეცარი დამშვიდება
მოჩვენებითი ნილაბი იყო, იცნობდა მის ხასიათს: მძიმე, გულჩათხრობი-
ლი და ვულკანივით აფეთქებისთვის მზად... მას შემდეგ, რაც ზურასა და
ბესოს შორის მარის გამო პირველი დაპირისპირების ჩრდილმა გაიელვა,
გოგა შუამავლად და დამაშვიდებელ ფაქტორად იქცა ორივესთვის,
ყველანაირად ცდილობდა, რომ ეს, რაიმე სერიოზულში არ გადაზრდილიყო
და ისევე გაგრძელებულიყო მათი მეგობრობა, როგორც წინა წლებში...
ამიტომ შეეცადა ბესოს ყურადღება საუბრით სხვა რამეზე გადაეტანა და
მასთან ერთად გაუყვა სახლისკენ გზას.

ზურა და მარი, რა თქმა უნდა ერთად მიდიოდნენ, უკვე ბინდდებოდა,
ზურამ ხელი გადახვია მარის, ჩუმდა მიუყვებოდნენ ქუჩას, თითქოს
ერთმანეთის გულის ცემას აყოლებდნენ ფიქრებს.

_ მარი, რა მალე გავიდა ზაფხული არა? მე კი ყოველ წუთს და ყოველ წამს მენატრებოდი, ჩემი გრძნობა შენს მიმართ არ შეცვლილა, უფრო მეტად მიყვარხარ!

_ მეც იგივეს ვგრძნობ შენს მიმართ _ თქვა მარამ, სასიყვარულო სიტყვების მოსმენისგან ოდნავ გაწითლდა, მაგრამ გულში ძალიან სიამოვნებდა ზურას სიტყვები.

_ ასე მგონია უშენოდ ჩემს სიცოცხლეს აზრი არ ექნებოდა _ განაგრძო ზურამ, მაგრამ უნებლიედ მის მეხსიერებაში არასასიამოვნო ფიქრები დატრიალდნენ. ისინი ბესოს უკავშირდებოდნენ. მეგობრობის მიუხედავად, ბესო მისი ერთადერთი მეტოქე იყო. გაახსენდა ზურას, როგორ ცდილობდა იგი მარის კეთილგანწყობის მოპოვებას, თუმცა ზურას ეჩვენებოდა, რომ ბესო არც თუ ისე გულახდილი იყო მარისთან მიმართებაში და მისთვის ეს მხოლოდ გატაცება იყო, თუმცა შესაძლოა მასაც გარკვეული გრძნობა ამომრავებდა. “ნეტავი მე როგორ მოვიქცეოდი მარის რომ ბესო შეყვარებოდა, ყველაფერს გავაკეთებდი, რომ ეს არ ყოფილიყო და თუ მარი მაინც მას აირჩევდა, მაშინ? ალბათ მარის სიყვარულის გამო შევეგუებოდი მის არჩევანს და ბედნიერებას ვუსურვებდი, თუმცა მართლა რაღა აზრი ექნებოდა სიცოცხლეს? ბესო თუმცა მშვიდად იქცევა, მაგრამ ის აუცილებლად ეცდება მარის სიყვარულის მოპოვებას და თუ თავისი გაიტანა? ” ზურამ თავი გააქნია, თითქოს არასასიამოვნო ფიქრების მოშორება უნდოდა

_ მეშინია... _ უნებურად ხმამაღლა წარმოთქვა ეს სიტყვა

_ რისი გეშინია ზურა? _ მარი შეჩერდა და ზურას შეხედა.

_ შენი დაკარგვის მეშინია მარი! ხანდახან მგონია, რომ ბესომ შეიძლება თავისი გაიტანოს და შენი სიყვარული წამართვას...

_ ეს არასდროს მოხდება ზურა, მე შენ მიყვარხარ! მე ბესოს არ აღვიქვამ იმ ადამიანად, რასაც შეყვარებული ჰქვია, მის მიმართ თუნდაც სიყვარულის მსგავსი გრძნობაც არ მექნება არასდროს! ის უბრალოდ ჩემი და შენი მეგობარია და იცის, რომ შენ არასდროს მიგატოვებ!

_ ვიცი მეგობარია... მაგრამ მას უყვარხარ და შეიძლება ისევ შეეცადოს შენთან დაახლოებას... მე მას საკადრის პასუხს გავცემ, თუ ასე იქნება და მეგობრობას აღარ მივაქცევ ყურადღებას!

ზურამ ინსტინქტურად შეკრა ხელი მუშტად _ მაგრამ თუ შენი გული გადაიხარა მისკენ... აი ამის მეშინია...

_ გთხოვ ზურა, გულს ნუ მტკენ ასეთი სიტყვებით... ასე მგონია არ მენდობი და ეჭვიანობ... ჩემი გრძნობა ისეთივე ღრმაა შენს

მიმართ როგორც შენი, შენს სიყვარულს კი ყოველთვის ვგრძნობ!

– არა სიყვარულო, მე შენი წყენა არ მინდოდა! უბრალოდ უშენობას ვერ ავიტან ვერასდროს! – ამ სიტყვებით მკერდზე მიიკრა მარი და თითქოს გოგონას თვალებიდან ამოფრქვეული სიყვარულის ნიავი ჩაისუნთქა

– მიყვარხარ ძალიან!

– მეც მიყვარხარ!

სახლში დაბრუნებულ მარის, დედა გარეთ გასასვლელად გამზადებულ დახვდა.

– მოხვედი მარი? როგორ ჩაიარა პირველმა დღემ? ძალიან ხომ არ დაიღალე?

– ყველაფერი კარგად არის, არ დავღლილვარ, დღემ მშენივრად ჩაიარა.

– რატომ დაიგვიანე?

– სკოლის შემდეგ მთელმა კლასმა პარკში გავისეირნეთ

– ზურა როგორ არის? მან მოგაცილა არა, სადარბაზომდე? რატომ არ ამოვიდა? – გაუღიმა დედამ

– კი ზურა იყო, მაგრამ არ ეცალა...– მარისაც მორცხვად გაეღიმა

– კარგი მარი, დაისვენე, მე და მამაშენი რაღაც საქმეზე გავდივართ, გარეთ უნდა შევხვდე, მელოდება, მალე მოვალთ.

– კარგი დედა!

მარი თავის ოთახში შევიდა, დაღლილობა იგრძნო, წიგნები არც კი ამოუღია ჩანთიდან, ფანჯარასთან სკამზე ჩამოჯდა, იდაყვებით რაფას დაეყრდნო და მკლავებზე ჩამოდო თავი. სადამოს ბინდში გახვეულ ქუჩას გახედა. უნებლიედ ისევ ზურას მიუბრუნდნენ მისი ფიქრები, რა ბედნიერია ხოლმე მის გვერდით, თითქოს გარშემო აღარავინ არის და მხოლოდ ორნი რჩებიან, მისი ხმა, მისი სიყვარულით სავსე მზერა... ზურასთან წელანდელი საუბარი გაახსენდა მარის და შიში მათი ურთიერთობის გამო, თითქოს მასაც გადაედო “ნეტავი შესაძლებელია ზურა მართლა დავივიწყო და ბესო შევიყვარო? არა, არა, ეს სისულელეა! ვერც კი წარმომიდგენია ბესოს შეყვარება. ჩემი სიყვარული ზურას მიმართ წმინდაა და ერთადერთი, მასაც ასევე ვუყვარვარ... მართლა გულით მიყვარს და მის დავიწყებას ვერასდროს ვერ შევძლებ. ბავშვობიდან ერთად მოვდივართ, როცა ჯერ კიდევ სათამაშოებით ვთამაშობდით, სულ ერთად ვიყავით, ჩვენი გრძნობა სულ სხვაა... ახლა გავიზარდეთ და ჩვენი გრძნობაც გაძლიერდა, ნამდვილ სიყვარულად იქცა და ეს სიყვარულის ჩვენთვის ბედნიერება, მას ვერავინ

წავგართმევს და ვერ დაამსხვრევს... ჩემი სიცოცხლის ერთი წუთიც ვერ წარმომიდგენია ზურას გარეშე... მაგრამ... ვიცი ბესო გულგრილი არ არის ჩემს მიმართ და შეიძლება მართლა ყველაფერზე წავიდეს ჩემთან უფრო დასახლოვებლად... არა ის მეგობარია და თუ კიდევ დამელაპარაკა ამაზე ყველაფერს ავუხსნი, ისევ თავიდან ავუხსნი... არ მინდა ჩემს გამო იჩხუბონ და რამე გამოუსწორებელი მოხდეს არა ყველაფერი კარგად არის და ასე იქნება, ბესო არ იქნება ჩემი ბედნიერების წინააღმდეგი” – თითქოს თავის თავს არწმუნებდა მარი ამ ფიქრებით. მისი ზურას, გოგას და ბესოს მეგობრობის ეპიზოდები გახსენდა, ერთად გამოვლილი ბავშვობის წლები: წუთები, როცა ზურამ პირველად აუხსნა სიყვარული, ეს თუმცა მოულოდნელი არ იყო მარისთვის მაგრამ ერთიანად გაწითლებული უსმენდა ზურას სიტყვებს და უსაზღვრო ბედნიერებას გრძნობდა... მერე ზურამ გოგას და ბესოს გაანდო ეს ამბავი, ყოველთვის კეთილ და მხიარულ გოგას მართლაც გაუხარდა ეს, ხუმრობით ეუბნებოდა ზურას, მე რომ არ წამიყვანო მეჯვარედ ქორწილში, არ ვიცი როგორ გადამირჩებიო, ხოლო ბესო, როგორც ზურამ მოუყვა მარის, თუმცა არ იმჩნევდა მაგრამ ერთიანად დაიძაბა ამ ამბის გაგონებისას და თითქოს უცნაური ცეცხლი აუციმციმდა თვალებში... არა და ის იყო ზურას გვერდით, როდესაც ფეხბურთის თამაშის დროს ზურა განზრახ წააქციეს და ამის გამო ჩხუბი მოუვიდათ “სიტყვითაც და მუშტითაც” (როგორც შემდეგ გოგა ხუმრობდა ხოლმე) იცავდნენ ერთმანეთს, ერთი წლის წინ სწორედ ბესო დაეხმარა გოგას ზაფხულში ერთი თვით საზღვარგარეთ წასვლაში ენის შესწავლის მოკლე კურსზე, უფრო სწორად ბესოს მამა, რომელიც ქალაქში ცნობილი, სერიოზული ბიზნესმენი იყო და მთავრობაში თუ პარლამენტში ბევრი ნაცნობი და მეგობარი ჰყავდა, თავის მხრივ გოგაც და ზურაც ყოველთვის ბესოს გვერდით იყვნენ, გაახსენდა მარის, მაშინ მეშვიდე კლასში იყვნენ, ბესოს გამო ზურამ და გოგამ საკლასო ჟურნალის მოპარვაც კი შესძლეს სამსაწავლებლოდან მისთვის ნიშნის ჩასაწერად, ეხმარებოდნენ როცა ბესოს მისი ხისტი და მძიმე ხასიათის გამო უსიამოვნებები ხვდებოდა მასწავლებლებთან ან კლასელებთან, ეს ყველაფერი თითქოს ბავშვური იყო და მაინც სასიამოვნო ღიმილი მოჰგვარა მარის ამ მოგონებებმა, ეს წვრილმანები უკვე რამდენი წელია მათი მეგობრობის საწინდარი იყო, მაგრამ მარისა და ზურას სიყვარულმა თითქოს შეცვალა ყველაფერი... დაპირისპირების პირველმა ჩრდილმა ზურასა და ბესოს შორის შარშან, მარის დაბადების დღეზე გაირბინა. ყველა საჩუქრით მივიდა მაშინ მარისთან, მხოლოდ ბესო იყო ცარიელი, მიულოცა მარის დაბადების დღე, ჩურჩულით და ღიმილით ბოდიში მოუხადა მას: “მარი, მაპატიე, შენთვის

საჩუქარი მაქვს, განსხვავებული მინდა იყოს და ამიტომ მოგვიანებით მოიტანენ! ” “მთავარია რომ სტუმრად ხართ ბესო და ყველამ გამახარეთ, საჩუქარი მეორეხარისხოვანია.” ბიჭებს უკვე საკმაოდ მხიარულ ხასიათზე იყვნენ როდესაც კარებზე ზარის ხმა გაისმა და ოთახში დიდკოკრებიანი, წითელი ვარდების დიდი თაიგული შემოიტანეს, ლამაზად გაფორმებული და შიგ პატარა წითელი ხავერდ- გადაკრული კოლოფი იყო ჩაფლული, ლენტზე კი მზინავი ბროლის ბურთულებით ეწერა: “გილოცავ დაბადების დღეს! სახსოვრად მარის ბესოსგან! სიყვარულით!” ყველა ტაშის დაკვრით და მხიარული სიცილით შეხვდა ამ მომენტს

– დიდი მადლობა ბესო, რატომ შეწუხდი ასე? – მარი ოდნავ დაიბნა

– მართლა გამორჩეული საჩუქარია, მადლობა!

– არაფრის მარი! გულით გილოცავ დაბადების დღეს!

– ყოჩაღ ძმაო! მართლა გვაჯობე ყველას! – დაუძახეს ბიჭებმა

– აბა კიდევ ერთხელ ვადღეგრძელოთ იუბილარი!

ზურა მხიარულად შეხვდა ამ სიტუაციას, მაგრამ მარიმ მაშინვე შეამჩნია, რომ იგი გარკვეულ მომენტში თითქოს მონუსხულივით უყურებდა ლენტზე ბროლით ამოქარგულ წარწერას

– მგონი, ზურას მეტოქე ოფიციალურად გამოუჩნდა – გადაუჩურჩულა ლიამ სალომეს.

– კარგი ეხლა მოგეცემათ ჭორაობის საბაბი! აბა თქვენ იცით!

– კარგი რა სალომე, ყველამ იცის, რომ ბესოსაც უყვარს მარი და ჭორები ეხლა გამართლდა, უნდა უხაროდეს შენს დაქალს!

– შენ ხომ სხვის საქმეებს ეხები ყოველთვის!

– საწყყენად არ მითქვამს, ვხუმრობ!

მარიმ გაიგონა გოგონების ეს საუბარი, უხერხულობა იგრძნო, მაინც აიღო თაიგულიდან პატარა კოლოფი, ზურას გახედა, თითქოს მისი მზერიდან უნდოდა გაეგო ღირდა თუ არა გახსნა. ზურას წელანდელი შეცბუნება გადავლოდა და მარის უღიმოდა.

– გახსენი მარი, რაღას უცდი! – დაუძახა ვილაცამ.

– არა, ეხლა არ გავხსნი! – ღიმილით უპასუხა მარიმ – ჯერ არ-ცერთი საჩუქარი არ გამიხსნია, მერე გავხსნი და თან სურვილს ჩავიფიქრებ!

– უკვე დიდი გოგო ხარ, ზღაპრების აღარ უნდა გჯეროდეს – გოგას ამ სიტყვებმა ყველას სიცილი გამოიწვია და ისევ სუფრას დაუბრუნდნენ. გარკვეულ მომენტში ზურა და ბესო ერთად მოხვდნენ აივანზე.

– მართლა ლამაზი თაიგული იყო ბესო, მეც კი მომეწონა!

– სპეციალური შეკვეთით იყო დამზადებული, მინდოდა მარი გამე-

ხარებინა! ის ხომ მე და გოგას ახლო მეგობარიცაა...

– იცი, ბესო მე არაფერი მაქვს შენი საჩუქრის საწინააღმდეგო, მაგრამ მგონი მარიმ უხერხულობა იგრძნო იმ მისალოცი სიტყვების გამო, მე საყვედურს არ გეუბნები, პირიქით... მაგრამ ხომ იცი ჩვენი ურთიერთობების შესახებ და არ მინდა ჭორაობა დაიწყოს მთელმა კლასმა, სწორად გამიგე გთხოვ!

– მესმის ზურა და შენ არაფერი გაქვს საეჭვიანო გარწმუნებ! ვინ რას იჭორავებს რა მნიშვნელობა აქვს? თუმცა გულახდილად გეტყვი: მარი ჩემთვის უფრო მეტია ვიდრე მეგობარი...

– ბესო მე ჩვენ მეგობრობას პატივს ვცემ და ამიტომ გთხოვ, ნუ ჩადგები ჩვენს შორის!

– არც ვაპირებ, თუმცა ნუ იფიქრებ რომ ყველა შენს ჩრდილში უნდა იყოს!

ზურას ხელი ანაზღადად მისწვდა ბესოს საყელს. ბესომაც ხელი მოჰკადა მის მაჯას და მეორეთი ყელში მისწვდა. ასე გაჩერდნენ რამდენიმე წამს ორივე თვალებში უყურებდნენ ერთმანეთს

– მე მარის სიყვარულს არავის დავუთმობ ბესო! თუ ახლა ნასვამი ხარ გაპატიებ, ხვალ ვილაპარაკოთ!

– მე მაპატიებ? ხუმრობ? შენი საპატიებელი აქ არაფერია! იქნებ უფრო იმაზე დარდობ, მარიმ არ შეცვალოს გადაწყვეტილება?

– ეს არასდროს იქნება, დარწმუნებული იყავი! ზურამ ხელი გაუშვა ბესოს საყელს და მანაც ყელში ჩაავლო თითები

– ვნახოთ! დრო გვაჩვენებს ყველაფერს! სიყვარული კი ომია და მასში ყველა ხერხის გამოყენება შეიძლება არ დაგავიწყდეს! თუ შენი “რაინდული” ბუნება ამას არ ცნობს?

ხელები უფრო მოუჭირეს ერთმანეთს ისე, რომ თვალებიც ჩაუსისხლიანდათ, მაგრამ არცერთი არ აპირებდა ხელჩართული ჩხუბის გაჩაღებას. შორიდან შემხედვარეს შეიძლება ჰგონებოდა, რომ მეგობრულად ედოთ ერთმანეთის მხარზე ხელი და საუბრობდნენ, რადგან არცერთი არ იძვროდა ადგილიდან.

– შენი ბუნება კი ყველა ვერაგულ და უხამს, არაკაცურ მეთოდს მიესაღმება, არა? ახლა რომელს გამოიყენებ? შანტაჟს? ცილისწამებას? თუ რამე უფრო “ორიგინალურს” მოიფიქრებ?

– რომელს გულიხმობ? როცა სკოლის უკან პარალელური კლასელები ვცემეთ და შემდეგ მე მათ სურათები გადავუღე, როცა ფულზე თამაშობდნენ კარტს? კი ასე იყო დავემუქრე რომ თუ გვიჩვილებდნენ მათ მშობლებს ვაჩვენებდი ამას! როცა ორი წლის გოგას

მეთე კლასელებმა წართვეს პლეერი, მე გავაჩინე მაშინ სპორტული დარბაზის გასახდელში ხანძარი და შემდეგ შენც იცი, ასანთი და აცეტონის ფლაკონი იმ ტიპს უპოვეს ჩანთაში ვინც ამის მოთავე იყო! და მერე გამოძიებამაც დაადგინა... ეხლა მგონი “მაღალეტკებშია” არა? თუ ის გახსოვს ნანა და თეონა რომ მარისა და შენზე ჭიკობდნენ უხამსად, რატომ შეწყვიტეს? კი მე ჩავიწერე მათი საუბარი, როცა მასწავლებელზეც უხეში სიტყვებით საუბრობდნენ და მოვასმენინე მათ, მერე “კარგები” გახდნენ... ამას ჩვენთვის და ჩვენი მეგობრობის გამო ვაკეთებდი და სანამ შენც გაწყობდა ეს კარგი იყო და ეხლა არასაკადრისია? – ბესო თითქმის უკვე ხრიალებდა

_ მასეა! მაგრამ მე ყოველთვის გეუბნებოდი, რომ წინააღმდეგი ვიყავი ასეთი რაღაცეების მირჩევნია პირდაპირ შევხვდე ნებისმიერს და ვაჟკაცურად ვიჩხუბო, თუნდაც მცემონ! _ ზურაც უკვე ხრიალებდა ყელში ჩვლებული ხელის გამო.

გოგამ შეამჩნია ზურასა და ბესოს გასვლა აივანზე და რადგან დიდხანს აღარ გამოჩნდნენ, სხვებისათვის შეუმჩნევლად ისიც გავიდა გარეთ. დანახვისთანავე მიხვდა რა სიტუაცია იყო და ორივე მეგობარს ხელებში ეტაკა.

_ ხომ არ გაგიჟდით! რას აკეთებთ, ჩვენი მეგობრობა თუ საერთოდ აღარაფრად მიგაჩნიათ, მარის მაინც ეცით პატივი! გინდათ დაბადების დღე ჩაუშხამოთ და გული ატკინოთ?

ბესომაც და ზურამაც მაშინვე გაუშვეს ერთმანეთს ერთმანეთს ხელი, თუმცა გახვეებულები იდგნენ და ერთმანეთს გაყინული მხერით შესცქეროდნენ, ორივე მძიმედ სუნთქავდა და ეტყობოდათ რომ ძლივს იკავებდნენ თავს. პირველი ზურა გამოფხიზლდა, თავი გააქნია, უხმოდ მიტრიალდა, მოაჯირს დაეყრდნო და სიგარეტს მოუკიდა. ბესო ერთხანს კიდევ იდგა, თითქოს მის წინ მდგომ გოგასაც ვერ ხედავდა, ბოლოს ისიც მოეშვა.

_ ასე არ ჯობია? გაგაგიჟათ ღვინომ! _ თქვა გოგამ, ორივეს შუაში ჩადგა და მანაც გარეთ გაიხედა.

_ მე არ მინდა თქვენს პირად ურთიერთობებში ჩავერიო, მაგრამ, ორივე ჩემი უახლოესი ადამიანი ხართ და არ დავუშვებ, რომ სისულელების გამო იჩხუბოთ და ერთმანეთი დაკარგოთ!

_ ეს სისულელე არ არის გოგა, მე მხოლოდ ჩემს სიყვარულს ვიცავ და დავიცავ ყოველთვის! _ თქვა ზურამ

_ მეც ჩემს ინტერესებს ვიცავ! ყალბ მეგობრობას ეს მირჩევნია! თან ეს უბრალოდ საჩუქარი იყო და სხვა არაფერი! კი, მარის

მიმართ გრძნობა მეც მაქვს, მაგრამ არც ვაპირებდი მის გამო ჩხუბს, ზურა ზომაზე მეტად ეჭვიანია...

– იცი, რა? ეგოისტები ხართ ორივე და საკუთარ თავზე ფიქრობთ! გოგა ოთანში შებრუნდა, მალევე დაბრუნდა და სამი ფიალა გამოიტანა, ღვინო დაასხა და მეგობრებს თითქმის ძალით შეაჩეჩა ხელებში.

– შერიგდით და ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს! ჩვენი სამეგობროს ლამაზ ფერიას მარის! სირცხვილია ჩვენს შორის ასეთ რამეებზე ლაპარაკი, მაგრამ სასმელის ბრალია თუ გულში მალავთ ორივე ბოლმას ხვალ გავარკვევთ!

გოგას სიტყვებმა, მართლაც იმოქმედა ორივეზე.

– მაპატიე ზურა! მე არაფერი არ მაქვს შენი და მარის ბედნიერების საწინააღმდეგო!

– მეც მაპატიე! ზედმეტი მომივიდა უბრალოდ საჩუქრის გამო!

ეს ყველაფერი მარიმ მოგვიანებით გაიგო თვითონ ზურასგან. მან ყველაფერი მოუყვა, ისიც, რომ მეორე დღეს სერიოზულად ილაპარაკეს და შერიგდნენ. ბესოს საჩუქარი მართლაც განსხვავებული გამოდგა, როდესაც მარიმ ყუთი გახსნა, დიდი, მთვარისებური ფორმის კულონი აციმციმდა მის წინ. როგორც მერე გაირკვა ეს მართლა ძვირფასი ქვისგან იყო დამზადებული. მარი უხერხულობას მაშინვე გრძნობდა, მაგრამ საჩუქრის დაბრუნება არ მიაჩნდა სწორად, მაგრამ როდესაც გაიგო ზურასა და ბესოს დაპირისპირება, გადაწყვიტა დაებრუნებინა...

“იქნებ არასწორად მოვიქეცი მაშინ?” – ისევ საკუთარ თავს დაუბრუნდა მარი – “არა, ეს არ იყო უბრალოდ მეგობრული საჩუქარი, ამიტომ დავუბრუნე...” გაახსენდა, როგორი უხერხულობა იგრძნო ზურას მიმართ, როდესაც დედამ უთხრა, რომ ეს მართლა ძალიან ძვირფასი საჩუქარი იყო, ზურა არაფერს ამბობდა მაგრამ მარი შინაგანად გრძნობდა, რომ ის თაიგული და საჩუქარი ეკალივით ესობოდა მათ სიყვარულს, ბოლოს იქმდე მივიდა იმ კულონის დანახვაზე უცნაურად უფორიაქდებოდა გული და ცრემლები ერეოდა... ამიტომ გადაწყვიტა დაბრუნება... დაბადების დღიდან ერთი კვირა იყო გასული, მარიმ სკოლაში თან წაიღო კულონი და ერთ-ერთ დასვენებაზე ბესოს სთხოვა ბიბლიოთეკაში გაჩერებულიყო.

– იცი, ბესო, მინდა რაღაც გითხრა და გთხოვო არ გეწყინოს..._მარი ძლივს ატრიალებდა ენას და თვალები ცრემლებით ავესო – ვიცი ეს სამართლიანი არ იქნება შენს მიმართ მაგრამ...

– თქვი მარი, ყველაფერს გავაკეთებ რასაც მთხოვ... შენგან კი არასდროს არაფერი მეწყინება

– გთხოვ, ასე ნუ მელაპარაკები, ჩვენი მეგობრობის ხათრიით...

მარის აღლევება ბესოსაც გადაედო, გარშემომყოფებს მოავლო თვალი, დარწმუნდა რომ არავინ იყო ახლოს და არავინ უსმენდათ. მარიმ ჩანტიდან ამოიღო ხავერდგადაკრული წითელი კოლოფი და ბესოს გაუწოდა. ხელი უთრთოდა, ძლივს ამოიღო ხმა

– მაპატიე ბესო, მე ვერ ავიღებ ამას საჩუქრად, ვარდებისთვის კი დიდი მადლობა, მაპატიე გთხოვ! ეს უფრო სიყვარულის სიმბოლოს მახსენებს, ვიდრე მეგობრულ საჩუქარს, შენ იცი, რომ მე და ზურას გვიყვარს ერთმანეთი...

მარი შეკრთა, როდესაც ბესოს ცრემლებით და მუდარით საცხე თვალებს შეხედა, რომლისგან ღიმილიც კი იშვიათი იყო ხოლმე და თითქოს ქვის გული ჰქონდა არასდროს ავლენდა გრძნობებს, თუმცა მარის მუდამ მეგობრულად ექცეოდა დანარჩენებთან უხეში და გულგრილი იყო საერთოდ, მაშინ კი... ბესოს ქვედა ყბა აუკანკალდა

– მ... მა... მარი, გთხოვ ამას ნუ გააკეთებ! მე, მე გულით მინდოდა შენ გახარება, იქნებ არ მოგეწონა? მე და ბესომ უბრალოდ ვიკამათეთ... გთხოვ ასე ნუ დამამცირებ!

მარიმ ხელში ჩაუდო კოლოფი და თითები მოახრევირა

– არა ბესო, მე არ გამცირებ და არც მინდა ტკივილი მოგაყენო! უბრალოდ ისეთი შეგრძნება მაქვს თითქოს ამით ზურას წინაშე არ გამოვდივარ მართალი! – მარი ცრემლებს ვედარ იკავებდა.

– ეს მხოლოდ საჩუქარია მარი, ზურამ გაიმულა? ვიცი ასეა!

– არა, რას ამბობ! ზურამ არც კი იცის რა მაჩუქე და არც უკითხავს ბესომ თავი გააქნია უარიყოფის ნიშნად, ერთხანს მარის შესცქეროდა აწყლიანებული თვალებით, შემდეგ ყველანაირი გრძნობა წაემალა სახიდან და ისევ იმ ბესოდ იქცა, როგორადაც იცნობდა ყველა, ცივი... უგულო...

– ბესო, გთხოვ, მე შენ მაშინებ! მაპატიე თუ შესძლებ...

მარი უეცრად მოსწყდა ადგილს და თითქმის სირბილით გავიდა ბიბლიოთეკიდან... შემდეგ რა მოხდა მარის არ დაუნახავს, მაგრამ ორმა პარალელურ კლასელმა გოგონამ უთხრა მარის. მისი გასვლის შემდეგ ბესო ერთხანს დასცქეროდა წითელ კოლოფს, შემდეგ დაბლა დანარჩენებს და ფეხებით შედგა ზედ...

ასეთმა მოგონებებმა უფრო ააფორიაქა მარი, წამოდგა, რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახში, თითქოს სული ეხუთებოდა და ადგილს ვერ პოულობდა. “ღმერთო შენ დაიფარე ჩვენი სიყვარული და ბედნიერება გთხოვ!” უნებურად გაირბინეს ამ სიტყვებმა მის ფიქრებში. ისევ ფანჯრის რაფასთან ჩამოჯდა, მაგრამ მყუდროება ტელეფონის ზარმა დაარღვია.

– ალო, გისმენთ!

– მარი, როგორ ხარ? ვერ გავძელი, რომ არ დამერეკა!
– კარგად ვარ ზურა, შენ? ძალიან გამახარე! – მარამ ერთი კი გაიფიქრა ყველაფერი მოეთხრო ზურასთვის რაც გაიხსენა მაგრამ მისი ხმა ისე დამამშვიდებლად მოქმედებდა, თითქოს გადაავიწყდა კიდევ არასასიამოვნო მოგონებები.

– მარტო ვარ ზურა და ჩემთვის ვფიქრობდი...

– და რაზე ფიქრობდი?

– შენზე და ჩვენს სიყვარულზე!

– რა უცნაურია მარი, შენც იგივეზე ფიქრობ რაზეც მე, კიდევ მინდა გითხრა რომ ძალიან, ძალიან მიყვარხარ!

– მეც მიყვარხარ ზურა მთელი გულით!

– შენი ხმის გაგონება მათრობს მარი! აღარ შეგაწყუბებ! დროებით შენზე ვიფიქრებ!

– დროებით ზურა!

მარის გულზე მოეშვა, გახალისდა ზურასთან პატარა გასაუბრებით “არა რა სულელი ვარ! ნახევარი წლის წინანდელ რაღაცეებზე ვნერვიულობ! ყველაფერი კარგად არის და სიცოცხლეც მშვენიერია!”

მოგვიანებით მარის მშობლები მანქანით ბრუნდებოდნენ სახლში და მათი საუბარიც მარისა და ზურას ურთუერთობას შეეხო.

– მზია, რა აზრის ხარ იმაზე, რომ მარისა და ზურას ერთმანეთი უყვართ?

– რა ვიცი მამუკა, ალბათ სჯობს ხელი არ შევუშალოთ და გვერდით დავუდგეთ ყველანაირად.

– გეთანხმები, მაგრამ არ გიფიქრია, რომ მათი გრძნობა მხოლოდ გატაცება აღმოჩნდეს? მათ ასაკში შეუძლებელია სრულად გააცნობიერო სიყვარული და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა... თუმცა მარი ჭკვიანი გოგოა და ზურაც კარგი ახალგაზრდაა ჩემი აზრით. მართლა აჯობებს თუ ყველანაირად ხელს შევუწყობთ მათ ბედნიერებას.

– თავიდან არცერთი სიყვარული არ არის სრულყოფილი, მაგრამ ზურა და მარი ხომ ბავშვობიდან ერთდ არიან და მათი დაახლოება და სიყვარული მრავალი წლის ურთიერთობის შედეგია. თანაც მთავარია, რომ ჯერ სწავლა უნდათ და თავის მომავალზე ფიქრობენ, ვნახოთ რას გვიჩვენებს დრო!

– შევხედოთ და ხელი შევუწყობ

– იცი, მამუკა, თუ შეამჩნიე, ბესოს დამოკიდებულება საკმაოდ აგრესიულია მარისა და ზურას ურთიერთობის მიმართ, ვგრძნობ

მათ ურთიერთობას სერიოზულად შეუმლის ხელს და არ მინდა მარი დაიტანჯოს.

– მარისა და ზურას ერთმანეთი უყვართ და ვინმეს მეტოქეობა სწორედ მათი სიყვარულის გამოცდა იქნება; ახალგაზრდები და მითუმეტეს ბიჭები ხშირად უპირისპირდებიან ასეთ რამეში ერთმანეთს, უფრო ასაკის გამო, მაგრამ მე ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ!

– კი, მაგრამ ბესო ძალიან უცნაურია! ადრეც, ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა უხეშობით და თითქმის ბოროტი ხასიათით, თან მარის დაქალები ამბობენ, რომ მარის წინა დაბადების დღეზე მან და ზურამ თითქმის იჩხუბეს ბესოს საჩუქრის გამო... კი, მამამისის დახმარებით ყველანაირი საჩუქრის მირთმევა შეუძლია, მაგრამ მისი ზრახვები არ მომწონს! მე ვფიქრობ მხოლოდ შური ამოდრავებს ზურას მიმართ და არ მგონია მარი მართლა უყვარდეს, ეს ალბათ, უფრო ბავშვობიდან ზომიან მეტად გათამამებული ბიჭის ახირებაა, რომელსაც არასდროს, არაფერზე არ ეუბნებოდნენ უარს!

– ვიცი, მზია, რომ ბესო უცნაურია და შეიძლება საშიშად მოგეჩვენოს, მაგრამ გადამეტებულად მკაცრი ხარ მისი განსჯისას... თუმცა ვფიქრობ დაველაპარაკო მასაც და მის მშობლებსაც... და გავარკვიო რა უნდა ჩვენი შვილისგან, თუ მართლა, როგორც შენ ამბობ რაიმე ბოროტი განზრახვა ამოდრავებს, ან რაიმე არასერიოზული, შესაბამის ზომებს მივიღებ! მაგრამ მგონი თვითონ ზურამ გაარკვია ამის თაობაზე ყველაფერი და ისევ მეგობრობენ მარის დაბადების დღიდან ხომ ამდენი დრო გავიდა!

– კარგი, მამუკა, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, კარგს იზამ თუ მის მშობლებს დაელაპარაკები.

სწავლის დაწყებიდან რამდენიმე დღეში მეგობრებისა და კლასელების შეხვედრისაგან გამოწვეული ეიფორია ჩაწყნარდა და ყველასთვის ჩვეულმა სასკოლო დრეებმა თავის კალაპოტში განაგრძეს დინება. ეს დამამთავრებელი წელი იყო და ყველა თავისებურად ემზადებოდა სკლის შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად. მარისა და ზურას ურთიერთობაც ჩვეულ რითმს დაუბრუნდა ზაფხულის განშორების შემდეგ, ისევ ერთად დადიოდნენ სკოლაში და ერთად ბრუნდებოდნენ სახლში, ხშირად ერთად მეცადინეობდნენ მომავალ გეგმებს ალაგებდნენ და სიყვარულით სავსე მომავალზე ოცნებობდნენ. ბესო არ ერეოდა მათ ურთიერთობაში, როგორც ადრე, მეგობრულად ექცეოდა

მარის, ზურას და გოგას. მათაც თითქმის დაავიწყდათ წარსული ინცინდენტები და კვლავ გულგახსნილ და კეთილ მეგობრებად რჩებოდნენ...

ბესოს მარის მიმართ გრძნობა არ განელეზოდა, დიდი ძალისხმევით საფასურად ახერხებდა ამის დაფარვას. თუ ადრე მხოლოდ სიმპატიისა და შემდეგ სიყვარულსაც კი გრძნობდა მარის მიმართ, ახლა ეს ყველაფერი მის შელახულ თავმოყვარეობასთან გადაიხლართა (მარისგან საჩუქრის დაბრუნების გამო) და შურის, ბოროტებისა და ცხოველური ინსტინქტის ჰიბრიდად იქცა. ახლა ბესოსთვის მთავარი არც სიყვარული იყო და თუმცა თვითონ ასე არ ფიქრობდა – არც მარი. ხშირად იმაზე ფიქრობდა, როგორ დაემორჩინა შეყვარებულები ერთმანეთს. “თუნდაც მარიმ მე არასდროს შემეყვაროს, ყველაფერს ვიღონებ, რომ ზურა არ დატკბეს მისი სიყვარულით; დარწმუნებული ვარ მისი სიტყვებით დამიბრუნა საჩუქარი მარიმ და ამისათვის პასუხს მოვთხოვ! მაგრამ არა “რაინდულად” როგორც თავისი თავი წარმოუდგენია... ისეთ დროს მივაყენებ ზურგში დარტყმას, როცა ყველაზე ნაკლებად მოელოდება ამას!” – ეს აზრი აეკვიატა ბესოს და ხანდახან შეპყრობილივით საკუთარ თავსაც კი ეჩურჩულებოდა ამას. ვერც ზურა და ვერც გოგა ვერ ხვდებოდნენ, რომ ბესოს მეგობრული ღიმილის უკან საშინელი წყრომა ბობროტება და ბოღმა ბობოქრობდა. მარიც დამშვიდებული იყო ამ მხრივ, ხანდახან ბესოსგან თქმულ კომპლიმენტებსაც მშვიდი ღიმილით ხვდებოდა, მაგრამ შინაგანად დამაბული იყო ყოველთვის ბესოს გამოჩენისას ან როცა გოგას და ზურას ხედავდა მასთან ერთად, თითქოს ინტუიციით გრძნობდა საფრთხეს.

და ისევ ჩვეულებრივად მისდევდნენ დღეები ერთმანეთს, უკვე ფოთოლცვენა დაიწყო, ოქროსფრად მორთო ქალაქის ქუჩები... მოღრუბლულ ცას ნადვლიან იერს მატებდნენ შიშველი ხეები და მათზე სიცივისგან მობუზული ბედურები. შეყვარებული წყვილი ერთად მიუყვებოდა პარკის ბილიკს, ხეების წვრილი ტოტები სასიამოვნოდ ირწეოდნენ ნიავისგან, ნაზი ხმაურით სიმშვიდეს ავრცელებდნენ ირგვლივ.

– მარი, ძვირფასო, ძალიან მიყვარხარ! მრავალი შემოდგომა გაივლის და ისევ ისე შეყვარები, როგორც ახლა! არა, გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე ახლა!

– მეც მიყვარხარ ზურა! უსაზღვროდ მიყვარხარ! ბედნიერი ვარ შენს გვერდით...

– ყველაფერი კარგად არის ძვირფასო! მალე გაივლის ეს თვეებიც და სკოლის დამთავრების შემდეგ მინდა მთელი სიცოცხლე შენ მოგიძღვნა!

მარი შეჩერდა, ზურასკენ შეტრიალდა და ახედა. ზურამ ნაზად მოჰხვია ორივე ხელი წელზე და თავისკენ მიიზიდა, ისე, რომ ერთმანეთის სუნთქვასაც კი გრძნობდნენ

- _ შენ რაღაც გაწუხებს მარი! შენს თვალებში რაღაც უცნაური შიში, თუ შეცბუნებაა, რამე გაწუხებს? რაზე დარდობ? მითხარი გთხოვ!
- _ შენ ასეთი კარგი და რომანტიული ხარ... ერთხელ შენც მითხარი, გახსოვს, რომ გეშინია ჩემი დაკარგვის... მეც ეს მაშინებს, რომ ერთ დღეს არ დაგკარგო...
- _ ეს არასდროს მოხდება მარი, მე შენ მაკვირვებ!
- _ ბესოს ხომ არ უთქვამს რამე? კიდევ ხომ არ შეგაწუხა?
- _ არა ზურა, რამდენი ხანია რამე განსაკუთრებული ყურადღება არ გამოუჩენია, იცი. ხანდახან სინდისიც მაწუხებს საჩუქრის დაბრუნების გამო, იქნებ მართლა მეგობრული ჟესტი იყო და მე კი ასე უხეშად და შეიძლება უზრდელადაც გამომივიდა მის მიმართ ყველაფერი... თითქოს არაფერს იმჩნევს, მაგრამ მეშინია მისი, ხომ იცი, გულში ჩადება იცის წყენის...
- _ შენ ყველაფერი სწორად გააკეთე მარი, თუნდაც უხეშად მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ მაშინ გული რასაც გთხოვდა ის გააკეთე... მე ამისთვის ძალიან მადლობელი ვარ! ბესოს შეიძლება ახლაც უყვარხარ, მაგრამ გარწმუნებ, არასდროს არაფერს გეტყვის ამის თაობაზე და ვერ შეგაწუხებს. მე მასთან სერიოზული საუბარი მქონდა, სერიოზული ხალხის თანდასწრებით ყველაფერი გავარკვიეთ პირობა მომცა, რომ არ შეგეხებოდა და ჩვენს სიყვარულს პატივს სცემდა. თუ ეს ოდნავადაც დაარღვია, აღარც ხრიკები უშველის და ვეღარც გავლენიანი მამა დაეხმარება! მე ჩვენს სიყვარულს არავის დავუთმობ და შენს წყენას არავის ვაპატიებ! თუმცა, ხომ ხედავ, ძველებურად, მეგობრულად ვართ და შენი წუხილი ამაო არის ძვირფასო!
- _ კაი, ზურა, შენი სიტყვები მამშვიდებს, მაგრამ მე იმაზეც ვფიქშენები რას იტყვიან ჩვენს გადაწყვეტილებებზე, ან ჩემი მშობლები... ისიც არ მინდა სწავლაში ხელი შეგვეშალოს.
- _ ჩემს მშობლებს ძალიან უყვარხარ მარი და შვილივით მიგიღებენ, ყველანაირად დაგვეხმარებიან და პრობლემები არ იქნება! ჩემი პატარა გოგო! წვრილმანებზე არ იდარდო, გთხოვ!
- _ კარგი ზურა, ალბათ მართალი ხარ და გადაჭარბებულად ვიცი ალბათ ყველაფერზე დაწვრილებით ფიქრი.

_ იცი, მარი, მინდა რომ ჩემთან სახლში მიგიწვიო ოჯახურ სა-
დილაზე და ოფიციალურად გაგაცნო ჩემს მშობლებს.

_ არა, არა ზურა! გთხოვ, ჯერ ძალიან ადრეა, ეგ მერე იყოს თან
მერიდება...

_ რატომ? ისედაც ყველამ იცის რომ ძალიან მიყვარხარ და ეს შე-
მიძლია მთელ ქვეყანას ვუთხრა! _ ზურამ ოდნავ უკან დაიხია,
ცალ მუხლზე დაიჩოქა, ხელები გასალა დამთელი ხმით დაიძახა
მიყვარხაარ!!!!

მარი სიცილით მივარდა მასთან

_ კარგი რა ზურა, სირცხვილია, მეც მიყვარხარ!

_ ამ საღამოს პარკში თითქმის არავინ არის, მაგრამ აქაურობა
ხალხით რომ იყოს სავსე, ჩვენს სიყვარულს არავის დაევშავა!
რადგან ერთადერთი და განუმეორებელი ხარ!

ზურა წამოდგა, შარვალი გაიფერთხა. მარამ ხელი გამოსდო
მკლავზე, მხარზე თავი მიადო და მხიარული საუბრით და სიცი-
ლით გაუყვინენ პარკს.

როცა მარი და ზურა მომავალზე ოცნებობდნენ, არც ბესო იყო უქმად.
დღეების განმავლობაში იჯდა და ფიქრობდა, რანაირად დაემორბინა ზურა
და მარი ერთმანეთს _ ეს პირველი და მეორე: თუ შესძლებდა მარის
სიყვარული დაემსახურებინა. მას შეეძლო ისევ საჩუქრებით, ყვავილებით
და სხვადასხვანაირი ყურადღების გამოჩენით ეცადა მარის გულის მოგება,
მაგრამ ეს ზურასთან აშკარა დაპირისპირების მიზეზი გახდებოდა ისევ,
ხოლო მარი არასდროს დაიჭერდა ასეთ კონფლიქტში მის მხარს. ბევრი
ფიქრის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თუ თვითონ მარის
დამოკიდებულება არ გაუარესდებოდა შეყვარებულის მიმართ, ან ზურა
რადაც მიზეზის გამო არ გაქრებოდა მარის ცხოვრებიდან, არაფერი
გამოუვიდოდა. ამიტომ ბესო ფიქრობდა, რომ საჭირო იყო რაღაც არ უნდა
დაჯდომოდა, როგორმე შეეცვალა ზურას იმიჯი კარგიდან ცუდისკენ,
როგორც მარის თვალში, ისე კლასის და მთელი სკოლის შეხედულებებში.
ამის მარტო გაკეთება ძალიან მწელი იქნებოდა, რადგან ზურას პირველი
მოსწავლის და სანიმუშო ახალგაზრდის რეპუტაცია ჰქონდა წლების
განმავლობაში, ბესომ გადაწყვიტა ისევ გოგას დალაპარაკებოდა და
დაეთანხმებინა იგი, მისი მხარი დაეჭირა და შეფარვით დახმარებოდა

ერთ დღეს დილიდანვე დაურეკა ბესომ გოგას

_ გამარჯობა გოგა! როგორ ხარ? დღეს თუ გცალია აუცილებლად
მინდა დაგელაპარაკო, სერიოზული საქმე მაქვს, სადმე გავიდეთ
ლუდი დავლიოთ, თან ყველაფერს აგიხსნი.

– კარგი ბესო, როცა მოვიცილი დაგირეკავ და გავიდე. მაინც რა გაქვს სათქმელი, ტელეფონზე არ ითქმება? ოსამა ბინ ლადენი ხომ არ...

– მორჩი რა მაიმუნობას! სულ ხუმრობის ხასიათზე როგორ ხარ? აშკარა გაღიზიანება დაეტყო ბესოს ხმაში – მაგას როცა გნახავ მაშინ გეტყვი!

საკმაოდ უხეშად მოუვიდა ამის თქმა და იმავე წუთს შეცვალა ხმა, რადგან გოგას გარეშე გეგნმები თუ არ ჩაეშლებოდა, მათი განხორციელება ძალიან გაუძნელებოდა

– არ გეწყინოს გოგა! თითქმის ჭკუიდან შევიშალე უკვე! მთელი დღეები და წუთები ერთ რამეზე ვფიქრობ... და ერთი იმედით ვცოცხლობ! მალე მართლა გავგიჟდები! შენი დახმარება ძალიან მჭირდება ძმა!

– კარგი ბესო, გელოდები, რა განერვიულებს! ყველაფერი მოგვარდება აუცილებლად!

ბესომ თავი მაინც ვერ შეიკავა და ყურმილი გამეტებით დაახეთქა ტელეფონზე.

გოგამ ხმაზე შეატყო მეგობარს, რომ საქმე სახუმროდ არ იყო, ასეთი გაღიზიანებული ტონის შემდეგ ბესოს ყოველთვის რაღაც, თუნდაც წვრილმანი, მაგრამ მაინც უსიამოვნებები ემთხვეოდა ხოლმე. ცოტა არ იყოს შეცბუნებული გოგა ერთხანს ადგილზე იდგა, მერე თავის ოთახსი შევიდა და მაგიდას მიუჯდა. დაფიქრდა, ხვდებოდა, რომ ბესოსთან საუბარი მარის შეეხებოდა, ოდნავ აშინებდა კიდეც ბესოს საქციელი. გოგამ იცოდა მარისგან ბესოსთვის საჩუქრის დაბრუნების ამბავი, მარიმ მოუყვა თავიდანვე, სთხოვა ბესოსთვის აეხსნა, რომ მისი წყენა არავის სურდა. გოგამაც თავისებურად სცადა მაშინ სიტუაციის განეიტრალება, გამოუვიდა კიდეც, ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა, რადგან იმ დროიდან აქამდე ბესოს სიტყვაც არ დაუძრავს მარის მიმართ გრძნობებზე, თუმცა ხვდებოდა, რომ ბესო ასე ადვილად არ დაივიწყებდა ვერც მარის მიმართ სიყვარულს და მითუმეტეს ვერც საჩუქრის დაბრუნებით ნაგრძნობ შეურაცხყოფას. ყოველი შემთხვევისათვის ბესო აღიქვამდა მარისგან ასეთ რამეს შეურაცხყოფად.

“შესაძლოა მართალიც იყოს ნაწილობრივ, მისიც მესმის” –

ფიქრობდა გოგა – “მაგრამ მაინც ბესოს ბრალია საერთო ჯამში, რადუნდოდა მეგობრის შეყვარებულისთვის სიყვარულის ახსნა, თუნდაც მინიშნებით? არა ბესო გონს ვერ მოეგება ამ საკითხში, მას ზურაზე შურიძიება სურს და ვშიშობ ამას შეასრულებს. ეტყოდა ჩემს მიმართ ნდობაც

შეუმცირად, ადრე ყველაფერზე ვსაუბრობდით ახლა კი, გამოდის ამ ხნის განმავლობაში ბოლმა უტრიალებდა გულში და არაფერი უთქვამს...

უნდა ვეცადო რამენაირად მარი დავავიწყო ან რაიმე ცუდის ჩადენისგან მაინც ავაცილო. მარიც მეცოდება, რა დააშავა იმ გოგომ რომ არ აქვს უფლება ნამდვილი და წრფელი სიყვარული ჰქონდეს და ბედნიერად იცხოვროს. ისიც კარგად იცნობს ბესოს და ამიტომ სულ შიშში უნდა იყოს... მეც აღარ ვიცი რა გავაკეთო! სამივე ახლო მეგობრები არიან და ყველა მათგანისთვის კარგი მინდა, მაგრამ ვშიშობ ზურასა და ბესოს შორის არჩევნის გაკეთება მომიხდება თუ ბესო ვერ დავარწმუნე, რომ რაიმე არასასიამოვნო არასწორი და სახიფათო საქციელი არ ღირს” გოგამ ტელეფონი აიღო და ბესოს დაურეკა. ცოტა ხანში კარებზე კაკუნი გაისმა.

– კიდევ გამარჯობა ბესო! შემოდი

– არა, არა, წავიდეთ სადმე დავჯდეთ და იქ ვილაპარაკოთ.

მანქანაში ჩასხდნენ და ათიოდე წუთში ნაცბნობ კაფესთან შეჩერდნენ. “ნაცნობი” იმიტომ რომ უფრო ხშირად აქ იკრიბებოდნენ ოთხივე, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ. თავიდან მხოლოდ ნაყინზე ან წვენზე ეპატიჟებოდნენ ერთმანეთს, მერე კი, როცა წამოიზარდნენ ალკოჰოლიც გასინჯეს... დაბადების დღეებზე ან სხვა დღესასწაულებზეც აქ მოდიოდნენ. მრავალი მხიარული წუთი უკავშირდებოდა ამ ადგილს. ბესომ მანქანა ავტოსადგომზე გააჩერა და ერთად შევიდნენ კაფეში, მაგიდას მიუსხდნენ.

– ორი ლუდი თუ შეიძლება! _ გასძახა ბესომ მიმტანს და როდესაც ლუდი მოიტანეს, ოდნავ მოსვა და მოპირდაპირედ მჯდარ გოგას შეხედა. გოგამაც მოსვა ლუდი, შეეცადა მეგობრის მხერაში ამოეკითხა რა განწყობაზე იყო და საით წაიყვანდა საუბარს. ბესოს ავმა ღიმილმა გადურბინა სახეზე.

– არც კი სცადო გამოიცნო რაზე დაგელაპარაკები... ვოლფ მესინგი ნამდვილად არ ხარ! ასე რომ, ტყუილად მაკვირდები!

– არა, ისე... მაშინ შენ მითხარი რაზე გინდა საუბარი?

– ეს მარის შეეხება გოგა, მინდა მისი გული მოვიგო და საბოლოოდ ჩამოვაშორო ზურას. ამისთვის რაღაც გეგმები მაქვს მაგრამ შენი დახმარება დამჭირდება.

– გაგიჟდი ბესო? შენი მესმის, მაგრამ მათ ერთმანეთი უყვართ და უფლება არ გვაქვს, არც შენ და არც მე მათ საქმეში ჩავერიოთ.

– გოგა შენ გაცილებით უკეთესად მიცნობ, ვიდრე სხვა ნებისმიერი მე და-მმა არ მყავს, ამიტომ შენ გთვლიდი წლების მანძილზე ძმად და ახლაც ასეა! მე ყოველთვის შენს გვერდით ვიყავი და ვიქნები, მაგრამ ახლა გთხოვ, დამეხმარე მარის სიყვარულის მოპოვებაში!

– ჩემთვისაც ძმა ხარ, ბესო, მაგრამ ვშიშობ, რაც არ უნდა გააკეთო მარის ვერ მოაბრუნებ შენსკენ და მეც არ მინდა შენსა და ზურას შორის არჩევნის გაკეთება, ორივე ჩემი ახლო მეგობარი ხართ!

ბესოს ოდნავ შეუტოკდა მარცხენა თვალის ქუთუთოები, მწარედ გაიღიმა

– არჩევანი? შენც არჩევანზე ლაპარაკობ? ერთმა უკვე გააკეთა არჩევანი დაშენც მღალატობ? როცა ყველაზე ძალიან დამჭირდა მაშინ? თუ ასეა, ამას გეტყვი: მე არ მაინტერესებს მათი გრძნობა, მათი სიყვარული. რადგან მათაც ჩემი თავმოყვარეობა ფეხქვეშ გათელეს და სულში ჩამაფურთხეს ერთი საჩუქრის გამო! ბესომ ნერვიულად გადაყლაპა ნერწყვი ლუდის კათხა მოიყუდა ბოლომდე გამოცალა და განაგრძო: მინდა, რომ მარი სამუდამოდ ჩამოვამორო ზურას! არ გეგონოს, რომ პირდაპირ მივალ და ვეტყვი რომ დაშორდეს... თქვენ ხომ რაინდებად თვლით თავს უბრალოდ ყველა ღონეს ვიხმარ, რომ ჩემსას მივაღწიო!

– არ მესმის შენი ბესო! კი, მჯერა, გიყვარს, ნაწყენიც ხარ მაგრამ თუ გიყვარს, დაანებე მათ თავი და შენი ცხოვრებით იცხოვრე! თუ არა, გამოდის, რომ მხოლოდ შურისძიება და ბოღმა გამოძრავებს. თუ ძმა ხარ, ძმურად გამიგე, რომ სიმართლეს პირდაპირ გეუბნები: მე ვერ დაგეხმარები ზურასა და მარის წინააღმდეგ ვერანაირ საქმეში!

– კიდევ ორი ლუდი, თუ შეიძლება! – გასმახა ბესომ მიმტანს. როგორც ყოველთვის, თითქოს გამორთო საკუთარი თავი, ისევ მშვიდი გახდა. მხოლოდ სწრაფი სუნთქვა და თითების ოდნავ თრთოლა აშკლავნებდა მის დამაბულობას.

– არ გეწყინოს ბესო! მე მინდა ისევ ადრინდელივით იყოს ყველაფერი, როცა სამივე ერთად ვიყავით და მარისთვის სამივე ნებისმიერს გავუსწორდებოდით, ჩვენ კლასელები ვართ, მეგობრები, ერთად დავიზარდეთ... დავიბრუნოთ ის დრო და მე კი მაგ საქმეში არ ჩავერევი, გამიგე?

– გავიგე გოგა, მაგრამ იქნებ მომისმინო? არ გაინტერესებს რას ვაპირებ? იქნებ მარისთვისაც უკეთესი აღმოჩნდეს მომავალში ჩვენი ურთიერთობა?

მიმტანმა კიდევ ორი ლუდი მიიტანა მაგიდასთან.

– აღარ დალიო, საჭესთან ხარ! – უთხრა გოგამ. ბესომ ჩაიცინა, სულმოუთქმელად გამოცალა ლუდი

– არაფერია, თუ გამაჩერეს, მამაჩემის დაცვის უფროსს, ანზორს

დავურეკავ და პრობლემა გაქრება! შენ ის მითხარი, მომისმენ?
ერთი კი გაიფიქრა გოგამ მკაცრად უარი მიეხალა კიდეც და დაეტოვებინა
ბესო, რადგან არანაირად არ უნდოდა ზურასა და მარის თუნდაც
უსიამოვნების და მითუმეტეს რაიმე უბედურების თანამონაწილე
გამხდარიყო, მაგრამ ბესოსაც ვერ თმობდა. წლების განმავლობაში მასთან
ახლო, ძმური ურთიერთობა ახსენდებოდა. “გავცნობი მის გეგმებს, იქნებ
შევაგვლევინო შეხედულება და
და ყველაფერი დასრულდეს, თუ გულში რამე ცუდი აქვს, ჯობია ვიცოდე”
გაიფიქრა გოგამ

– კარგი, ბესო, გისმენ!

– ოღონდ ეს მხოლოდ შენ გეცოდინება, შენს მეტს ვერავის ვენ-
დობი გოგა... აღიარე, რომ შენი ნამდვილი ძმაცაი მე ვარ, ისევე
როგორც შენ-ჩემი...

– ვიცი, ბესო და ამიტომ მოგისმენ, მაგრამ ვერ შეგპირდები, რომ
დაგეთანხმები ან მონაწილეობას მივიღებ რამეში, სანამ არ მე-
ცოდინება რას აპირებ!

– კარგი, დავიწყებ... გულახდილად რომ ვთქვა, მარი ძალიან დიდი
ხანია იქცევს ჩემს ყურადღებას. ბევრჯერ მიფიქრია მასთან ურ-
თიერთობა როგორ წამეყვანა სიყვარულისკენ. იცი, თავიდან
ვფიქრობდი უბრალოდ მომეტაცებინა, როცა დრო მოვიდოდა,
ეს ადვილია, მაგრამ ძალიან უაზრო და ბანალური. მე მარის
ნამდვილი სიყვარული მჭირდებოდა ყოველთვის... ინფორმაცია
მასზე გაცილებით მეტი მაქვს, ვიდრე ნებისმიერ სხვას, მაგალი-
თად: ვისთან მეგობრობს, ჩვენს გარდა, დაქალებთან რაზე საუბ-
რობს, რა საქმელი მოსწონს, რომელი მწერალი, რა ფილმები,
ეკლესიაში როდის დადის, ვინ არის მისი მოძღვარი, რომელ
სუნამოს და პარფიუმერიას იყენებს, ზურასთან ერთად სად იყო
და რამდენჯერ, სად სეირნობდნენ, ნაწილობრივ ისიც ვიცი რა-
ზე საუბრობდნენ...

– მოიცა, მოიცა ბესო, თუნდაც დავიჯერო ეს ყველაფერი იცი, მე
რატომ მეუბნები ყველაფერ ამას, ან რანაირად ასეთი პირადი
ინფორმაცია და რაში გამოიყენებ ამას?

ისევ ავმა ღიმილმა გადაურბინა ბესოს, მის თვალებში ბოროტების,
დაცინვის, უხამსობის ნაზავმა სხივმა გაირბინა.

– თუ არ გჯერა, ეგ შენი საქმეა, მაგრამ შემძლია ძალიან პირა-
დული წვრილმანებიც...

– გეყოფა ბესო! – უჩვეულოდ წამოენთო გოგა – არ მაინტერესებს

ეგ! შენ ის თქვი როგორ?

_ ოცდამეერთე საუკუნეა ძმაო, ელექტრონიკის მონები ვართ ყვე-
ლა: ელექტრონული ფოსტა, ინტერნეტი, სოციალური ქსელები
სკაიპი და ასე შემდეგ... მოსასმენი აპარატურის დიდი არჩევანი...
ხომ იცი “კედლებსაც ყურები აქვთ”

_ არა, არა, იმის თქმა გინდა, რომ მარის და ზურას უთვალთვა-
ლებდი? მგონი აზვიადებ, საიტების და ელექტრონული ფოსტის
გატეხვა მართლა არ შეგიძლია დარწმუნებული ვარ!

_ მე არა, მაგრამ მამაჩემის დაცვის სამსახურში, ასე ვთქვათ პატა-
რა საინფორმაციო _ ანალიტიკური ჯგუფია და მათ ვთხოვე,
თან მეც მეხერხება რაღაცეები.

_ მსგავსი მეთოდები ადრეც გიყვარდა ვიცი, მაგრამ მეგობრებთან
ასეთი რამის კეთება საშინელი მუხანათობა და სიბილწეა! ამის
მოსმენაც არ მინდა!

გოგა წამოდგა და წასვლადააპირა. ბესომ უმაღლეს სტაგა მაჯაში ხელი და
თავისკენ მოქაჩა

_ სჯობს ბოლომდე მომისმინო გოგა! ვატყობ ჩვენს მეგობრობაზე
მალლა ზურას ამპარტავნობას აყენებ, რომ დადის ხოლმე გაფ-
ხორილი ინდაურივით! თუ ასე ძვირად გიღირს მასთან ურთიერ-
ობა, იქნებ სიკვდილისგანაც იხსნა? გარწმუნებ, თუ საჭირო
იქნება, აუცილებლად შეემთხვევ რამე!

გოგა ისევ დაჯდა, თავი გადააქნია

_ არა ბესო, მე ვეღარ გცნობ! გთხოვ როგორც მეგობარი, შეეშვი
მათ... ყველას აქვს არჩევნის უფლება...

_ ბანალური ფრაზებია, სხვა არაფერი! ანდა თუ გინდა “რაზბორ-
კის” ენაზე გეტყვი “ტრუხა ბაზარია” გახსოვს ალბათ ზურამ
რომ საქმის გარჩევა მომიწყო, შენ მაშინ ნეიტრალიტეტი გეკავა
მახსოვს...

_ ნებისმიერი, ვინც კი გაიგებს საქმის ვითარებას შენ გაგამტყუვ-
ნებს, ზურა თავის სიყვარულს იცავდა და გოგონას, რომელიც
უყვარს. შენი საქციელი კი... მარი ჩვენი მეგობარია და მისი
თვალთვალი ჩემი და შენი შეურაცხყოფაც უნდა იყოს და არის!

_ ხომ იცი, თუ ეს ზურამ გაიგო...

_ შემაშინდაა! _ ჩაიხითხითა ბესომ _ჯერ ერთი, რომ ვერც ზურა
ვერაფერს გაიგებს და მეორე, რაც შეურაცხყოფას შეეხება მე
მას პირადად მხოლოდ რამდენჯერმე ვუთვალთვალებდი, ანზო-

რის ხალხი აკეთებდა ამას და გარწმუნებ იმ დღიდან, როცა მარიმ საჩუქარი დამიბრუნა, მასზე მთელი დოსიე შევადგენინე!

– ანზორი? მამაშენის დაცვის უფროსი? არ მგონია, ამხელა ასაკის სერიოზული ადამიანი შენს თამაშებში ჩაერთო, ცროლობ!

– თვითონ ანზორი არა მაგრამ...

– ეს მართლა სიმუხთლეა ბესო!

– შენ ვერასდროს მომცემ შენიშვნას სიმუხთლეზე, ან რა უფლება გაქვს განმსაჯო? მთელი სკოლა ჯამბაზს გეძახის იცი? მაგრამ ჩემი თანდასწრებით არავინ იტყვის ამას, იციან რომ პასუხს მოვთხოვ შენს გამო, შენ კი სასტიკ უარს აცხადებ ჩემს დახმარებაზე, ეს სიმუხთლე არ არის?

– მიდი, ერთი! ჯამბაზი შენს ბინძურ თამაშებს ნამდვილად ჯობს!

– კარგი, ჰო, არ ვიჩხუბოთ, მომისმინე... მე არ მინდა ვინმეს რამე დავუშავო, მინდა მარიმ შეიცვალოს შეხედულება. ვერ ვითმენ რომ არ ვთქვა, კარგი გეგმაა ჩემი აზრით

– ოო, განდიდების მანია, ან სურვილი: იყო გამორჩეული!

– ირონია შენს ხმაში მეგობარო? იუმორის გრძნობა დაკარგე? მე ვფიქრობ “შავი” პიარი დამჭირდება. შენ როგორ ხედავ ზურას? გეტყვი: წარმატებული მოსწავლე და აბიტურიენტი, კარგი ოჯახიდან, ბეჯითი, კეთილი, სპორტსმენი, მომავალში “პერსპექტიული, ცნობილი ჟურნალისტი” სიყვარულში რომანტიკული და ერთგული და თან ლექსებსაც რომ წერს! და ასე შემდეგ... მე პირადად გული მერევა მასზე! ახლა წარმოიდგინე: შეიძლება ახალ სიყვარულს შეხვდეს, ან თუნდაც უბრალო გატაცება იყოს მთავარია ვინმე სხვა გოგოს დაუახლოვდეს, არ მგონია მარის ასეთი რამ მოეწონოს რომ გაიგებს და რომ გაიგებს ამაზე მე ვიზრუნებდი, მეორე: შესაძლოა კანონთან პრობლემები შეექმნას, ხომ იცი, ახალგაზრდებში ნარკოტიკების მოხმარებაა ძალიან გავრცელებული, ვინ იცის ჯიბეში ვის რა აქვს... ან სულაც, შესაძლოა ქუჩაში მოუვიდეს ჩხუბი და ეს უკვე ხულიგნობად მოეჩვენება ვინმეს, მთავარია, ყველამ დაინახოს, რომ არც ისეთი კრიტალია, როგორც ჰგონიათ! თუნდაც ცილისწამება ან ჭორი გავრცელდეს მასზე, ფოტოშოპით კი ათასნაირი რამის მონტაჟი შეიძლება...

გოგა ყურებს არ უჯერებდა. ბესოს ყოველთვის მძიმე ხასიათი ჰქონ-

და მაგრამ ასეთ რამეებზე თუ იყო წამსვლელი არ ეგონა, თუმცა ადრეც აკეთებდა მსგავსს. გულში ნანობდა გოგა, რომ როცა ორი წლის წინ ბესომ შანტაჟი გამიყება მათთვის წვრილმანი უსიამოვნებების ასაცილებლად, მუქარა და მსგავსი ხრიკები გამოიყენა მათი მეგობრობის დასაცავად, მაშინვე არ უთხრა, რომ ეს არასწორი იყო, თუმცა იმ ხრიკებს შედეგი მოჰქონდა...

– დავუშვათ, გამოგივიდა ეგ ყველაფერი, მაგრამ საეჭვოა მარიმ ზურას მიმართ დამოკიდებულება შეიცვალოს და ეგ ყველაფერი შენს მიმართ სიყვარულს ნამდვილად არ აღუძრავს, უფრო მეტი მხოლოდ ტკივილს მიაყენებ მას, არ მესმის, თუ გიყვარს ამისთვის რატომ იმეტებ?

– ცხოვრება საერთოდ ტკივილია და სიყვარულის მნიშვნელობა ადამიანებმა ძალიან გააზვიადეს. სადღაც წავიკითხე, რომ სიყვარულის მსგავსი გრძნობა ქიმიურ დონეზე მაშინ შეიგრძნობა, როცა ძალიან დიდ დოზა შოკოლადს შეეჭამთ. კი ეს ტკივილს მიაყენებს მარის, მაგრამ როცა ზურა “ჩაიძირება” როგორც პიროვნება, მე ვიქნები მარის გვერდით, როგორც უახლოესი მეგობარი და მართლა მეგობრულად დავუდგები გვერდში. გარწმუნებ ადამიანის სული ყველაზე ადვილად მაშინ არის დასამორჩილებელად მზად, როცა ტკივილით, იმედგაცრუებით სევდით ან სტრესით არის დასუსტებული და შედეგად მარის გაზზარული გულის რომელიმე კუთხეში მაინც გავიდგამ ფესვებს

– საზიზღრობას ლაპარაკობ და შენი ცინიზმი უფრო უარესია... მე რაღა უნდა გავაკეთო? იმედი მაქვს ინფორატორი ან ჩამშვები არ გგონივარ!

– არა, მაგას არ გაკადრებ გოგა! ინფორმაცია უშენოდაც ბევრი მაქვს და მექნება... მარი შენ ძალიან გენდობა, როგორც ძმას და შენი ბიძაშვილი რომ არის პარალელურ კლასში, ნონა არა? ის და მარი ხომ ძალიან ახლო მეგობრები არიან? თუ შენ შიგ და შიგ ჩემზე კარგ რამეს გააგონებ, ეტყვი, რომ მართლა მიყვარს და მსგავს რაღაცეებს... ეს ძალიან დამეხმარება!

– რა? ჩემი ბიძაშვილი? ნონა? ასე ბილწად უთვალთვალებ? მე რას მეტყვი? ჩემზე რა კომპრომატი გაქვს? – გოგა საყელოში მიწვდა ბესოს, მეორე ხელი მომუშტა და დასარტყმელად ასწია გულგრილი ღიმილი შეაგება ბესომ

– არა რა თქმა უნდა შენს ბიძაშვილს არ ვუთვალთვალებდი, ის რომ მარი და ეგ დებივით არიან ყველამ იცის, მე მხოლოდ

მხოლოდ მარის შესახებ ვაგროვებდი ინფორმაციას, ამიტომ ჩემი ბრალი არ არის, რომ რომ ნონა იყო მის გარემოცვაში!

_ ნორმალური არ ხარ! _ გოგამ ხელი ჩაიქნია და სკამზე დაეშვა. ქვედა ყბა ოდნავ უთრთოდა.

_ ოო! სად არის შენი მხიარულება გოგა? ძნელია არა, როცა ვინმე შენს გრძნობებს ან ახლობლებს ეხება? როგორ ფიქრობ მე რას ვგრძნობდი, როცა მარი ყველა ჩემს ყურადღების გამოვლინებას გულგრილად ხვდებოდა, ან მაშინ, როცა საჩუქარი უკან დამიბრუნა ზურას მითითებით? მაშინ არ ახსოვდა ზურას ჩვენი მეგობრობა?

_ ზურამ არც იცოდა საჩუქრის დაბრუნების ამბავი, მარამ მერელა უთხრა, თან რატომ გეწყინა ბესო? უბრალოდ მარის შეეშინდა, შეიძლება ბავშვურად, მაგრამ სიყვარულის დაკარგვის შეეშინდა ალბათ...

_ მაგარი სიყვარულია, თუ ერთი საჩუქრის გამო დაეკარგებოდა!

_ კარგად გიცნობ ბესო და მე მაინც ვიცი: ასე რომ არ გაეკეთებინა მარის, უფრო და უფრო შეაწუხებდი და საჩუქარზე არ შეჩერდებოდი, ეს კი ზურასთან ჩხუბს ნიშნავდა. მარის არ უნდა მის გამო უსიამოვნებები დაიწყოს.

_ უსიამოვნებები მაინც დაიწყება, ხოლო ზურასი და მისი მეგობრების არ მეშინია! შენ ვისზე დადებ ფსონს ეგ გადაწყვიტე! მე ვიყავი ყოველთვის შენს გვერდით და არა ზურა!

_ ვიცი, ბესო! ამისთვის მადლობა! ყოველთვის შენს მხარეზე ვარ მაგრამ ასეთ საქმეებში მე ვერ დაგეხმარები, ჯერ ერთი იმიტომ რომ შენ მართალი არ ხარ ამ შემთხვევაში და მეორე ის რომ ადრე თუ გვიან მაინც ყველაფერი “გაბაზრდება” მე კი თავაწეულმა მინდა ვიარო სკოლაშიც და უბანშიც და საგინებლად თავს არ გავიხდი! რად გინდა ზურას მიაყენო ჩრდილი?

_ რად მინდა? წელან ალბათ არ მისმენდი? ზურას ძალიან კარგი რეპუტაცია აქვს ყველგან და ყველასთან, ამიტომ მასთან დაპირისპირება თუ მომიხდა, მე არ დამიჭერენ მხარს, მაგრამ თუ ის ათას სიბინძურეში გაეხვევა, მაშინ უპირატესობა ჩემია! არ გაგიგია ასეთი რამ: სასამართლოში მოწმის ჩვენებას არ დაუჯერეს, რადგან ის ადრე ნასამართლევი იყო, თუმცა სიმართლეს ამბობდა, მოძალადეს გაუპატიურებაში ბრალი არ დასდეს, რადგან მსხვერპლი მსუბუქი ყოფაქცევის ქალი იყო და ამის მსგავსი რაღაცეების მოძიება, ბევრის შეიძლება. ზურა თავის

თავზე შეეყვარებული, ერთი უბრალო ბიჭია ჩემი აზრით და თუ მისი კარგი მხარე დაჩლუნგდება და ჩრდილი მიადგება სხვების თვალში, მხარდაჭერაც და სიყვარულიც ისე დაეკარგება, როგორც წყალი თითებს შორის

– მე ჭორიკანა არ ვარ ბესო და ამიტომ არავინ გაიგებს შენს ეგრეთ წოდებულ გეგმებს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ დაგეხმარები! თუმცა ჩვენი მეგობრობის... უფრო სწორედ ალბათ ჩვენი წარსული მეგობრობის ხათრით მაინც იქნებ უარი თქვა შენს ჩანაფიქრზე?

– შეცდომას უშვებ გოგა! თუ შენ ახლა ზურგს შემაქცევ, მეც არასდროს აღარ დაგეხმარები იცოდე! შენი მხრიდან ეს ღალატია და ასეთ რამეს მე არ ვივიწყებ! ფრთხილად ყოფნას გირჩევ ამის შემდეგ!

– მე არ მეშინია შენი ბესო! ალბათ გულის სიღრმეში მაინც მეგობრად გთვლი და მინდა შეცდომისგან გიხსნა. დასაც შენ აპირებ არაადამიანურია და ამაში შენთვის დახმარებაზე უარი ღალატია არ არის, მაგრამ თუ მე დაგთანხმდი და ეს ბინძური თამაში დავიწყე შენთან ერთად, ეს უკვე მართლა ზურას, მარის და საერთოდ ჩვენი მეგობრობის უარყოფა და ღალატი გამოდის ჩემი მხრიდან!

– შენი ბოლო სიტყვაა ეს? კიდევ გაგიმეორებ ფრთხილად!

– არა, მე არ დაგეხმარები!

– კარგი, მაგრამ ჩემი გეგმა სწრაფად ვერ განხორციელდება, ამიტომ დრო მაინც გაქვს, შეიძლება მანამდე აზრი შეიცვალო

– არა, ბესო, ეს არ მოხდება! და მეტიც, თუ მარის რამეს დაუშავებ, მეც მტრად ჩამთვალე, მაშინ მეც ისეთივე ბინძურ ხერხებს მივმართავ, მარისა და ზურას დასაცავად!

– მეცოდებიან, თუ შენ უნდა იყო მათი “მფარველი ანგელოზი” მაგრამ შენს ნათქვამს გავითვალისწინებ! _ ჩაიხრიალა ბესომ.

– წავედი, კარგად! იმედი მაქვს გინზე მოხვალ! თუ გადაიფიქრებ შეძლება ყველაფრის უკეთესობისკენ შეცვლა.

გოგა სწრაფად გავიდა კაფედან. ბესო ერთხანს ისევ იჯდა მაგიდასთან გახევებული. არაფრით არ ეგონა, თუ გოგა უარს ეტყოდა დახმარებაზე. ლუდის კათხას მოჰკიდა ხელი, მოსვა და ისევ მაგიდაზე დადგა. თვალწინ გაურბინა მისი და გოგას მეგობრობის წლებმა, ორივე ხელი სიმწრისგან მომუშტვა დაიწყო

– ჩემს წინააღმდეგ წამსვლელს არავის დავინდობ! _ ეს გაიფიქრა.

მინის მსხვერვის ხმამ გამოაფხიზლა, მაგიდას დახედა. დამსხვრეული შუშის ნატეხებზე ხელიდან გადმოსული სისხლი ეწვეთებოდა. მიმტანმა გოგონამ მიიღბინა

– რა მოხდა? რით დაგეხმაროთ?

– არაფრით! – ბესომ ხელში ჩარჩენილი შუშის ნამსხვრევი ამოიძრო, მაგიდაზე ფული დადო და უხმოდ გავიდა კაფედან.

გოგა ძალიან დააფიქრა და შეაშფოთა ბესოსთან საუბარმა. ორ ცეცხლს შუა გრძნობდა თავს: არ შეეძლო დაეშვა, რომ მისი ბავშვობის მეგობრები, ზურა და მარი ერთმანეთს ბესოს ახირების გამო დაშორებულიყვნენ და უსაზღვრო ტკივილი განეცადათ, მერე მხრივ ვერც ბესოს ღალატობდა გულით. ერთი კი იფიქრა ყველასთვის ერთად მოეყარათ თავი და მას, ბესოს, ზურას და მარის გულახდილად ესაუბრათ და საბოლოოდ გაერკვიათ ყველაფერი, როგორც ადრე გულის ნადები ყველას ეთქვა გულახდილად და მაშინ შესაძლოა ყველაფერი ჩხუბისა და უსიამოვნებების გარეშე მოგვარებულიყო, მაგრამ გადაიფიქრა. ეს უეჭველი დაპირისპირებით და სერიოზული ჩხუბით დამთავრდებოდა,

ბესო კი მაინც უარს არ იტყოდა თავის ახირებაზე. ისიც ესმოდა გოგას, რომ ბესოს გეგმებს ბუნდოვნად იცნობდა, ყველას მიმართ უნდობლობით გამორჩეული ბესო მასაც არ გაანდობდა ყველაფერს, ვინ იცის გულში კიდევ რა ედო და შესაძლოა მართლა გამოუსწორებელი სისულელე და ბოროტება არ ჩაედიანა. “არა, სჯობია მარის ცალკე დაველაპარაკო და პირდაპირ თუ ვერ ვეტყვი მივანიშნებ, რომ ფრთხილად იყოს ბესოსთან ურთიერთობისას, მარტომ არ უნდა იაროს სკოლაში, თუმცა სულ ზურასთან ერთად არის” სხვა აზრიც დაებადა გოგას: “სკოლის შემდეგ, როცა უმაღლეს სასწავლებელში შევლენ, ალბათ ზურა და მარი იქორწინებენ იქნებ ზურამ მეჯვარეობა ბესოს სთხოვოს და ეს ფაქტიურად დანათესავება გამოდის, იგივე ნათლია გახდება მერე. ბესო არასდროს არ თვლიდა თავს რელიგიის მიმდევრად, მაგრამ მისი დედა ძალიან მორწმუნე ადამიანია და იქნებ მისი გავლენით”

თუმცა ეს აზრიც არასწორად მოეჩვენა მალევე, შესაძლოა ბესო უფრო გაღიზიანებულიყო ზურასა და მარის ქორწინებაში პირდაპირ მონაწილეობით და უარესი იქნებოდა. გოგას თავი უბრუოდა ამდენი ფიქრით და ნერვიულობით, ყველასთვის სასურველდა მისადებ

გამოსავალს ეძებდა “არა უნდა ვეცადო, რომ ყოველთვის მარისა და ზურას გვერდით ვიტრიალო, რომ თუ რამე შევამჩნიე წინასწარ გავაფრთხილო და დავეხმარო, ამ შემთხვევაში მე უპირატესობა მაქვს, რადგან საფრთხის

მოლოდინში ვიქნები... იქნებ ზურა ჩავაყენო საქმის კურში? არა, არა ისევ ჩემით ვეცდები, რომ არავინ დაზიანდეს”

რამდენიმე დღე გავიდა გოგასა და ბესოს საუბრიდან. სკოლაში ყველაფერი ჩვეულებრივად მიდიოდა. გოგა ფრთხილობდა და ბესოს უთვალთვალეობდა, მაგრამ ბესოსო თითქოს არც ახსოვდა მათი შეხვედრა, ზურასა და მარისაც ისევ თბილად ექცეოდა, მათთან საუბრისას ისევ გასულ წლებს იგონებდა, მათი მეგობრობის ლამაზ და მხიარულ მომენტებს... თითქოს ყველაფერი ჩაწყნარდა, მაგრამ გოგა ვერ ისვენებდა, მარისთან დალაპარაკებას ცდილობდა, მაგრამ არ უნდოდა პირდაპირ ეთხოვა შეხვედრა და პირდაპირ მიენიშნებინა, რომ შესაძლოა ბესოსგან საფრთხე ელოდა, ამით შეიძლება შეეშინებინა გოგონა, ამიტომ საუბრისთვის ისეთ მომენტს ელოდა, როცა უნებლიედ დარჩებოდნენ მარტო და ისე სხვათა შორის ეტყოდა სათქმელს. ასეთი მომენტი მალე დადგა.

ერთ დღეს ზურა, მარი და გოგა ერთად გამოვიდნენ სკოლიდან

– წავედით? – იკითხა გოგამ – აბა კარგად!

– არა, გოგა, მოიცადე! ერთად გავიაროთ გაჩერებამდე მერე კი მე ბიჭებთან მივდივარ სავარჯიშოდ, შეჯიბრი იწყება ორ კვირამში და იქნებ შენ გააცილო მარი სახლამდე?

– როგორც ადრე, ერთად... გახსოვთ რა პატარები ვიყავით? გაცილება კი არ მინდა ზურა, გოგა, არ შეწუხდე! – გაიღიმა მარამ

– ოო, ეს სენტიმენტალიზმი გოგონებს სულ თან დაგდევთ! ძვირფასო მე მართლა მეჩქარება და დღეები კი მიკლეა, მალე ღამდება...

– არა, გოგას შეწუხება არ ღირს, შორი არ არის...

– არა, თუ თქვენს ქორწილში ზურას მეჯვარე მე უნდა ვიყო, ჩემი ვალიც არის გაგიფრთხილდე! – გაიცინა გოგამ

– აბა ნახვამდის! მიყვარხარ მარი!

– მეც!

ზურა სამარშრუტო ტაქსს გაჰყვა, გოგამ და მარამ საპირისპირო მიმართულებით გააგრძელეს გზა.

– ვხედავ თქვენი ურთიერთობა უფრო და უფრო სერიოზული და სიყვარულით სახვე ხდება, ეს ძალიან მახარებს მარი!

– კი გოგა, მართლა ასეა და ბედნიერი ვარ... შენ, როგორც საკუთარ ძმას, ისე არაფერს დაგიმაღავ: მართლა სერიოზულად ვფიქრობთ, თუ გამოცდები წარმატებით ჩავაბარეთ, პირველ კურსზევე ვიქორწინებთ...

– ძალიან მიხარია მარი, მართლა, გულით! ეს ამბავი ვინმემ იცის?

- _ არა, არავინ, ისედაც ჭორაობენ სკოლაში, ჯერ ზუსტად სახლშიც არ იციან
- _ აბა მე რატომ მითხარი?
- _ შენ ხომ გოგო არ ხარ, ჭორაობა დაიწყო? _ გაიცინა მარიმ
- _ ისე სტატისტიკის მიხედვით კაცები უფრო ჭორაობენ ვიდრე ქალები _ სიცილით უპასუხა გოგამაც.
- _ იმედი მაქვს ამ შემთხვევაში მაინც გამონაკლისს დაუშვებთ!
- _ ვხუმრობ, მარი! მომისიმიწე რა უნდა მეკითხა: ბესოსგან მას შემდეგ რამე პრობლემა ხომ არ შეგქმნია? მგონი ზურასთან რაც ყველაფერი გაარკვიეს, ისევ იმ ბესოდ იქცა, როგორც ადრე იყო, როგორადაც ჩვენ ვიცნობთ არა?
- მარი ოდნავ შეცბუნდა, არ მოელოდა ასეთ კითხვას
- _ რატომ მკითხე? კი, ყველაფერი კარგად არის მაგ მხრივ, ისევ მეგობრულად და ეს ძალიან მახარებს, რადგან ჩემს გამო ზურა და ბესო აღარ არიან ერთმანეთზე ნაწყენი... თუმცა, ზურასაც ვუთხარი... რაღაცნაირი შიში მიპყრობს ხოლმე, როცა ჩვენთან არის, თუმცა ძალიან კარგად მექცევა მეც და ზურასაც... და მაინც, რაღაც არის ხოლმე მის თვალეში ისეთი, რომ ხანდახან მაშინებს... რაღაცნაირი ცივი, ბუნდოვანი, რომ ვერ გაიგებ რას უნდა ელოდე...
- _ არა, მარი, საშიში არაფერია, მეც ასე ვამჩნევ, რომ ისევ “ჩვენი” ბესო დაგვიბრუნდა, მხოლოდ ინტუიციის გამო ნუ აღელდები, მაგრამ მაინც სიფრთხილე ჯობია მასთან ურთიერთობისას ისე რამე კონკრეტული ხომ არ უთქვამს?
- _ არა, ხანდახან ქათიანაურს მეტყვის ხოლმე ამას წინდათ შემთხვევით შეგვხვდა მე და ზურას მანქანით, კინოთეატრთან და ძალიან გაეხარდა, ჩვენ კაფეში დაგვპატიჟა, მაგრამ გვეჩქარებოდა, უარი ვუთხარით, სახლამდე მაინც მიგვიყვანა მანქანით... იცი, ხანდახან ძალიან ვწუხვარ, რომ საჩუქარი დავუბრუნე, ეს ზურასაც ვუთხარი, მაგრამ მამშვიდებს ეს წარსულში დარჩაო
- _ მართალს გეუბნება მარი, ბესოს შეიძლება ეგ აღარც ახსოვდეს უბრალოდ უხაშად მაინც ნუ მოექცევი, ჩვენთან რამდენი წელი მეგობრობს და შეცდომა კი ყველას მოსდის ხოლმე არა? არ მგონია ბესო შენზე ნაწყენი იყოს... _ ამ სიტყვებთან ერთად გოგამ უხერხულობა იგრძნო (რადგან ფაქტიურად ტყუილს ამბობდა, რადგან მარის შეშინებას უფრთხოდა) წამით შეჩერდა და განაგრძო _ ასეთი წვრილმანები არაფერია, მაგრამ ერთს მაინც

გთხოვ, ბესოსთან მაინც ნუ იტყვით ქორწინებაზე ნურაფერს, დროებით მაინც... თუ ოდნავ მაინც ისევ ძველებურად შეეხო საუბრისას სიყვარულის თემას მე მითხარი კარგი?

– კარგი გოგა! ძალიან ყურადღებიანი ხარ! მაგრამ არ მგონია ისევ სიყვარულზე მითხრას რამე ბესომ, თუმცა ხომ გითხარი შინაგანად დამაბული ვარ ხოლმე მის ახლოს, ასე მგონია ისევ ერთმანეთს ეცემიან ეგ და ზურა...

– მაგის ნუ შეგეშინდება მარი! მე პირადად გპირდები, რომ ყველა ღონეს ვიხმარ, რომ მათი კონფლიქტი არ განმეორდეს.

– მადლობა გოგა, შენ მართლა ნამდვილი მეგობარი ხარ!

– აი, შენს სახლამდეც მოვედით, დაგემშვიდობები და მაინც...

ფრთხილად იყავი გთხოვ...

– კარგი გოგა, მადლობა გამოცილებისთვის, ნახვამდის!

– ნახვამდის მარი!

გოგამ თვალი გააყოლა მარის სანამ ის სადარბაზოში არ შევიდა, თვითონაც მოტრიალდა და ქუჩას გაუყვა, ფიქრები მაინც არ შორდებოდნენ თავიდან “ნუთუ ბესო მართლაც კარგისკენ შეიცვალა? იქნებ მეც ძალიან მკაცრად განვსაჯე? მაგრამ არა, მის ხასიათს ვიცნობ, არც ის მგონია შემთხვევით შეხვედროდა ზურას და მარის მანქანით, ნუთუ დაიწყო რასაც აპირებდა? მაგრამ მეორე მხრივ თუ არაფერს დაუშავებს მარის ან ზურას რაც უნდა ის გააკეთოს, როდესაც ისინი იქორწინებენ იძულებული იქნება შეეგუოს ამას და მარის მიმართ გრძნობა დაივიწყოს, მთავარია როგორმე სწავლის დასრულებამდე ფრთხილობდნენ მარი და ზურა და მეც ყველაფერს შევეცდები, რომ არაფერი ცუდი არ მოხდეს”

სახლში მისვლის შემდეგ უცნაური მოწყენილობა დაეუფლა მარის, მშობლებისთვის არაფერი უთქვამს ისე შევიდა თავის ოთახში, უცნაური იყო, თითქოს ყველაფერი დაგეგმეს ზურასთან ერთად: როდის იქორწინებდნენ, რას გააკეთებდნენ მომავალში. არც მარის და არც ზურას მშობლები წინააღმდეგი არ იქნებოდნენ, მაგრამ ჯერ არც მას ადა არც ზურას არ გაუმხელიათ სახლში ბოლომდე, რას აპირებდნენ და როდის. “თითქოს საუკუნე არ მინახავს ზურა, ისე ვგრძნობ თავს, არადა მხოლოდ ამ საღამოს ვერ გამომაცილა... გოგა მართლა კარგი მეგობარია, შემძლია ვენდო, ნეტავ რატომ მითხრა, რომ ფრთხილად ვიყო? ან ბესოთი რატომ დაინტერესდა? იქნებ რამე იცის და მიმაღავს? არა, ოღონდ ისევ პრობლემები არ დაიწყოს ბესოსთან, თუმცა არც კი ცდილობს განსაკუთრებულად დამიახლოვდეს, როგორც ადრე უნდოდა, თითქმის საუბარსაც გაურბის ხოლმე ჩემთან, მაგრამ ხანდახან ზურგიდანაც ვგრძნობ მის გამჭოლ მზერას... ზურას კი

ვერაფერს ვეტყვი და არც მაქვს რამე სათქმელი, უბრალოდ საფრთხის შეგრძნება, სხვა არაფერი... აუ, დარეკოს მაინც ზურამ, ვარჯიშის შემდეგ უკვე სახლში იქნება მისული” ზურაზე ფიქრმა უმაღლვე ღიმილი მოჰგვარა მარის და ტელეფონის ზარის ხმაც გაისმა

– მარი, ძვირფასო, როგორ ხარ? მიგაცილა გოგამ? – ზურას მშობი, მელოდიური ხმა სასიამოვნოდ შეეხო მარის სმენას

– ზურა არ დაიჯერებ, ახლა გავიფიქრე შენზე, ოღონდ დარეკოს მეთქი – სიხარულით თქვა მარამ – ორიოდე წუთი თუ ვერ გხედავ, მესამე წუთს უკვე მენატრები ხოლმე!

– მეც მასე ვარ, მარი! ერთი სული მქონდა შენი ხმა გამეგო! ძალიან მინდა მალე გავიდეს დრო და მერე სამუდამოდ შენს გვერდით ვიქნები, სამუდამოდ მეყვარები, და მიყვარხარ!

– მეც მიყვარხარ ზურა, ძალიან! შენ ის მითხარი ვარჯიშის საქმე როგორ მიდის? მზად ხართ შეჯიბრებისთვის?

– კი, მზად ვართ! მალე დაიწყება სკოლებს შორის ფეხბურთში ჩემპიონატი და ვფიქრობ საკმაო ძალა გვაქვს გამარჯვებისთვის

– ძალიან გამეხარდება! ყველა შენს თამაშს დავესწრები!

– მე კი ყველა ჩვენს გამარჯვებას შენ მოგიძღვნი მარი! ჩემს საყვარელ და ლამაზ ფერიას!

– მადლობა ზურა! შენი სიყვარული სიცოცხლის ყოველ წუთს განუმეორებლად აქცევს

– ყურმილშიც კი მესმის შენი გულისცემა ძვირფასო! როგორ მინდა ახლა გხედავდე! იცი, მოდი გამოგივლი და ცოტა ხნით გავისეირნოთ ღამის ქუჩებში, რას იტყვი?

– არა ზურა, გვიანია და თან ცივა! ცოტათი მეზარება კიდეც...

– კარგი მარი, მაშინ დაისვენე და მე კი იმ იმედით დავიძინებ რომ სიზმარშიც გნახავ და ეს ხვალ დილამდე უშენობას შემიმსუბუქებს... მიყვარხარ!

– მეც მიყვარხარ ზურა!

ზურა ბავშვობიდანვე მისდევდა ფეხბურთს, თუმცა პროფესიონალურ სპორტზე არასდროს უფიქრია, უფრო სამოყვარულო დონეზე თამაშობდა. ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ სკოლის ნაკრებში მოხვედრილიყო. შარშან ორი შეხვედრა მოიგეს მისი გატანილი ბურთებით და სკოლებს შორის შეჯიბრების თასიც მოიპოვეს. ახლაც გულმოდგინედ ემზადებოდნენ ჩემპიონატისთვის. სწავლის დამამთავრებელი წელი იყო და უნდოდათ შეენარჩუნებინათ-

ნათ პირველობა. ჩვეულებრივ დღეებში კვირაში სამჯერ ჰქონდათ ვარჯიში, მაგრამ ახლა შეჯიბრის დაწყების წინ ყოველდღე უხდებოდათ სტადიონზე სიარული და მზადება. მათი კლასიდან მხოლოდ სამნი თამაშობდნენ, მაგრამ მთელი კლასით მიჰყვებოდნენ ხოლმე თამაშებზე. ვარჯიშის წინ ან შემდეგ ზოგი ენერგეტიკულ სასმელს სვამდა “რედ ბულს” “ექსელს” ან სხვა რამეს მსგავსს. ყველამ იცოდა, რომ რეალურად ეს არც ძალას და არც გამძლეობას მატებდა, მაგრამ ეს უფრო ტრადიციასავით ჰქონდათ. ხშირად ხუმრობდა გოგა: “რედ ბული” უნდა აფრთიანებდეს და არწივებივით დაქროდეთ მოედანზე, თქვენ კი დალილ ყვავებს ჰგავხართ!”

– ეი, ხუმარავ, _ პასუხობდნენ ბიჭები ვარჯიშის დროს _ ერთი შენ გამოდი ყოველ სადამოს და ირბინე მოედანზე, არც რედბული გიშველის და არც სხვა რამე, გაიშხლართები მოედანზე!

– ბარემ თვითონ გუნდს დავარქვათ “რედ ბული” ყოველი თამაშის წინ რომ ყლურწავთ ხოლმე. წითელ ხარებს მაინც ვერ გამსგავსებთ, უფრო კამეჩებს _ ხარხარებდა გოგა

– გააჩუმეთ ეს კლოუნი ვიღაცამ!

– კარგი, გოგა, მხარდაჭერის ნაცვლად ხელს უშლი ბიჭებს, ნახევარი დრო შენი ოხუნჯობების გამო იკარგება _უთხრა ერთხელ მწრთველმა.

– მაპატიეთ, ადარ ვიზამ

ის, რომ რედ ბულს სვამდნენ ყოველი თამაშის წინ მართალი იყო, უფრო რიტუალის სახე მიეცა ამას სამი წლის განმავლობაში. გასახდელში ჩაიცმევდნენ თუ არა ფორმებს, ყველა თავის კარადასთან წინასწარ დადგმულ ქილას აიღებდა, წრეს შეკრავდნენ და ერთდროულად გამოცლიდნენ ხოლმე, შენდეგ ქილებს ხელით გაჭყლეტავდნენ და დაბლდა ანარცხებდნენ

– მეტი არაფერი გადმოიღოთ ამერიკული ფილმებიდან! ჩხუბობდა დამლაგებელი

– ეს ჩვენი გამარჯვების საწინდარია დეიდა მართა! კარგად გვაქვს დაცდილი! _ იცინოდნენ ბიჭები

დრო მალე გავიდა და შეჯიბრი დაიწყო. პირველო ორი შეხვედრა მოიგო ზურას გუნდმა, შემდეგ ერთი წააგეს და კიდევ ორი ფრედ დაამთავრეს. ფინალში გასვლა მაინც შესძლეს. ფინალური მატჩი პარასკევს სადამოს იყო დანიშნული.

– აბა, როგორი განწყობა გაქვთ არწივებო? _ იკითხა გოგამ

– დაიწყო ამან ისევ! წადი რდბული მაინც მოიტანე დღეს, ცოტას მაინც დაისვენებენ ყურები!

- _ ბიჭებო თამაში ორ საათში გვაქვს და ვისაც გინდათ, მხოლოდ მოთელვები გააკეთეთ და ტაქტიკა დავგეგმოთ _ თქვა ზურამ
- _ მართალია, ახლა რომ დავიღალოთ ვეღარ ვითამაშებთ _ დაუდასტურა დათომ _ თან მაგათ მაგარი გუნდი ჰყავთ!
- _ არაფერია, მოვიგებთ და ამ ბოლო სასწავლო წელსაც ჩემპიონები ვიქნებით!
- _ გუნდის კაპიტანი კარგ განწყობაზე გყავთ ბიჭებო! _ ღიმილით გახედა ზესომ ზურას _ ჰოდა არ უღალატოთ, ჩვენ ისევ ტრიბუნიდან გაგმხნევებთ!
- _ გოგოები არ მოდიან?
- _ თითქმის ყველა, მთელი კლასი და სხვა კლასებიც, სტადიონთან შევიკრიბებით

თამაშის დაწყებამდე თხუთმეტი წუთი იყო დარჩენილი. გოგამ სტადიონის გასახდელში შეიტანა რედ ბულებით სავსე ჩანთა. სათითაოდ ჩამოალაგა ყველა კარადასთან თითო ქილა (მათი სკოლა ხშირად მონაწილეობდა ასეთ შეჯიბრებებში ამიტომ თამაშების დროს ყველას თავისი პერსონალური კარადა ჰქონდათ მიჩენილი, სადაც ტანსაცმელს და პირად ნივთებს ინახავდნენ) გასახდელში იმ დროს არავინ იყო. მთელი გუნდი მწრთვნელს ჰყავდა გაყვანილი გვერდით ოთახში და რჩევებს აძლევდა. გოგამ კიდევ ერთხელ შეავლო ქილებს თვალი, დარწმუნდა, რომ არავინარ გამოჩა და გასახდელიდაზნ გავიდა. ორიოდე წუთში გასახდელის სატადარიგო კარები გაიღო და ზესო შევიდა. ფრთხილად მიიხედ-მოიხედა, ერთხანს კარებს მიაყურადა, იქიდან ბიჭების ხმაური და მწრთვნელის რჩევა-დარიგებები ისმოდა. ზესო ზურას კარადასთან მივიდა, დამცინავი მზერა შეავლო იქ დაკიდებულ მაისურს, რომელსაც შვიდინი ეწერა, რედ ბულის ქილა აიღო, ჯიბიდან მოზრდილი შპრიცი ამოიღო და ქილის გასახსნელის ღარში ჩაარტყა. ნემსი ქილაში ჩაიმალა. ზესო შპრიცს დააწვა და უფერული სითხე მთლიანად ჩაუშვა ქილაში, შემდეგ ზემოთამოსული ზედმეტი სითხე სალფეტკით გაამშრალ და ქილა თავის ადგილზე დააბრუნა.

- _ წარმატებულ თამაშს გისურვებ გუნდის თავდამსხმელო! _ ჩუმად ჩაილაპარაკა და ისევ სათადარიგო კარებიდან დატოვა გასახდელი.
- _ აბა ბიჭებო, ისე ვითამაშოთ, როგორც აგისხენით, ენერგია მოზომეთ, რომ დროზე ადრე არ დაიღალოთ, ერთმანეთს უყურეთ შეწყობილად ითამაშეთ!
- _ გასაგებია ბატონო ოთარ, შევალთ, ჩვენი გამარჯვებისას დავლევთ და გამოვალთ! _ გაიცინა ვილაცამ

_ მიდით, ოღონდ მალე! ეს წესი საიდანადა მოიგონეთ ვიცოდე
მაინც! _ გაელიმა მწრთვნელსაც

ყველა გასახდელში შევიდა, ფორმები ჩაიცვეს, ყველამ თავისი ქილა აიღო, ოთახის შუაგულში წრე შეკრეს ქილები ერთმანეთს მიუჭახუნეს და დალიეს. გაქყლებილი ქილები კი იატაკზე დაანარცხეს. თამაში დაიწყო, ბესო კლასელებთან ერთად იყო ტრიბუნაზე, გოგასა და მარის გვერდით დაჯდა და მოედანს გახედა.

_ დაიწყეს უკვე, აბა მიდით ბიჭებოოო!

_ რას ფიქრობ მარი, მოიგებენ ჩვენები? _ ჰკითხა ბესომ

_ რა თქმა უნდა, როგორ წინა თამაშებზე ისე! _ მხიარულად უპასუხა მარამ, თან გაფაციცებით ადევნებდა თვალს მოთამაშეებს, მათში შვიდ ნომრიან მაისურს ეძებდა.

ზურას გუნდმა ჩვეულებრივ, სწრაფი შეტევებით დაიწყო თამაში, ყველა აქტიურობდა და ცდილობდა მოწინააღმდეგის დაცვა

გაერღვია და კარებს მიახლოვებოდა. დათოს ჩაწოდებული ბურთი ზურამ საჯარამო მოედნის ახლოს მიიღო, მოწინააღმდეგის ნახევარმცველს გვერდი აუარა, კარამდე მანძილი თვალთ გაზომა და დასარტყმელად მოემზადა, მაგრამ უეცრად თვალეები აუცრემლიანდა, რყევა შეიგრძნო, გაორებულად ხედავდა მოწინა-

აღმდეგე გუნდის კარს, ძალა მოიკრიბა და დაარტყა... ბურთი კარებს ასცდა. მსაჯმა კუთხურის ნიშანი მისცა მოთამაშეებს.

_ რა ხდება ზურა? ცუდად ხარ? _ მივარდა ლექსო _ პირისპირ

გახვედი მეკარესთან და ააცილე...

_ არა, არა, არაფერია! _ თავი გააქნია ზურამ. თვალეები მოისრისა ტრიბუნებს თვალი მოავლო, თავისი სკოლელების უკმაყოფილო შემახილები გაიგონა. ღრმად ჩაისუნთქა და ამოისუნთქა რამდენჯერმე, ახლა ისევ კარგად ხედავდა, აღარც რყევას გრძნობდა. მოწინააღმდეგე გუნდმა შეტევა დაიწყო, ზურა ისევ დაეწია მათთავდამსხმელს, ფეხებში შეუვარდა, ბურთი აართვა და მათი კარებისკენ მიაბრუნა შეტევა. ის იყო ცენტრს გასცდა მარცხენა ფლანგზე დათო დალანდა და მისთვის ბურთის გადაცემა დააპირა, მაგრამ ისევ გულისრევა იგრძნო, უნებურად წაიბორძიკა, რამდენჯერმე გადატრიალდა და დაეცა. მსაჯს თამაში არ გაუჩერებია, რადგან წესების დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ზურას თანაგუნდელები დააზნია მისმა წაქცევამ. ამით მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელებმა ისარგებლეს, კონტრშეტევა წამოიწყეს და გოლის გატანით დაასრულეს. ზურა გულადმა გადატრიალდა, ცას თვალი შეავლო, წამოდგა, მაგრამ ისევ გულისრევა და თავბრუსხვევა იგრძნო, წაიბორძიკა და ჩაიჩოქა, ისევ

წამოდგა და ძლივს მიაღწია სათადარიგო მოთამაშეების სკამებამდე. მარიმ და რამდენიმე კლასელმა მოირბინეს.

_ რა ხდება ზურა? როგორ ხარ? _ ჰკითხა მწრთვნელმა.

_ არ ვიცი, თავბრუ დამეხვა, ვეღარ ვხედავდი...

_ აბა ამისუნთქე ზურა!

ზურამ გაკვირვებით შეხედა მწრთვნელს და ამოისუნთქა. მწრთვნელმა თავი გადააქნია.

_ მე ხომ გითხარით ალკოჰოლი არ ყოფილიყო? თქვენს ასაკში ჩემთვის ლუდის დაღვევა წარმოუდგენელი იყო! ოღონდ არ მითხრათ რომ ძველმოდურად ვფიქრობ ან ხნიერი ვარ ყველა შენი სიმპტომი ან “პახმელიის” გამოა ან რაღაცით მოიწამლე. რაც აქ ხართ იმ იდიოტური რედ ბულის მეტი არაფერი დაგილევიათ და ესეიგი...

_ არა, ბატონო ოთარ, თქვენ ხომ იცით მე ასე არ ვსვამ და თამაშის წინ მითუმეტეს.

_ აბა როგორ ახსნი შენს ასეთ მდგომარეობას? რომლის გამოც ბიჭებიც დაიბნენ და თამაშიც წავაგეთ? ამას არ მოველოდი შენგან ზურა! _ მწრთვნელმა ხელი ჩაიქნია და ზურა და მის გარშემო შეკრებილი ბიჭები უხმოდ დატოვა.

_ მე მართლა არ ვიცი რა მოხდა ბიჭებო... _ ზურამ თვალი მოავლო გარშემო შეკრებილ კლასელებს.

_ არ ვიცი ზურა... შენ არასდროს ავიცელია ბურთი მეკარესთან პირისპირ გასვლისას... _ წყნარად თქვა დათომ _ შენ ფაქტიურად ცარიელ კარში ვერ დაარტყი...

_ გულახდილად გეუბნებით ბიჭებო, არ ვიცი რა მოხდა! თუ არ გჯერათ მზად ვარ ექიმს გავესინჯო, რომ დაგიმტკიცოთ: არ დამილევია!... იმ რედ ბულის მერე...

_ ეგ რედ ბული ყველამ დავლიეთ ზურა, უკეთეს შემთხვევაში გულგრილობა გამოიჩინე, უარესში კი შეიძლება სპეციალურად გვიღალატე... _ ჩუმად თქვა ვილაცამ

_ ენას მოუკელი ბიჭო! აზრზე მოდი რას ამბობ! _ სახე წამოერთო ზურას და თანაგუნდელისკენ წაიწია.

_ შეიძლება ვცდები და თუ ასეა ბოდიშს ვიხდი, მაგრამ იმ გუნდიდან რამდენიმე შენი უბნელია და ორი მგონი შენი ძმაცაა არის?...

_ მე არავისთვის მიღალატია! _ მტკიცედ თქვა ზურამ და ნელი ნაბიჯებით გავიდა მოედნიდან. თრიბუნებისკენ წავიდა ჩამოჯდა.

როდესაც ზურამ ბურთი კარებს ააცილა, მარი ნონასა და ბესოს შორის იდგა.

– ვაი, ააცილა! _წამოიძახა მარიმ და გაბუტული თვალებით შეხედა ნონას _ რატომ ააცილა? ადრე არასდროს მოსვლია ასე...

– კარგი ეხლა! რა ყველაფერზე გული გიჩუყდება? _ გაუღიმა და-ქალმა.

– არა, ისე, საწყენია...

როდესაც ზურამ წაიბორძიკა და წაიქცა, მარიმ მაშინვე მიატოვა ადგილი და სათადარიგო მოთამაშეების ადგილებსკენ გაიქცა. გოგაც წამოხტა და გაყოლა დააპირა, მაგრამ ვიღაცამ მხარზე დაადო ხელი და შეაჩერა. გოგმ მოიხედა, ბესო უღიმოდა გულგრილად.

– შენ სანამდღეო წააგე, მე ხომ გითხარი, რომ მათი გუნდი უფრო ძლიერია და ვერ გავიმარჯვებთ მეთქი?

– რა დროს ეგ არის ბესო! ხედავ, რაღაც ხდება, ზურას ნამდვილად რაღაც შეემთხვა! ცუდად არის, წავიდეთ, ვნახოთ!

– არაფერია! ახლა სიყვარულის ტალღა ამოატვიტოვებს “პახმელი-ის” უფსკრულიდან!

– რა უაზრობას ამბობ, ზურა არაფრით არ დაღვედა თამაშის წინ

– ვნახოთ, ხომ იცი ზოგი სიყვარულის ცეცხლს ალკოფოლით აქრობს ხოლმე _ ჩაიცინა ბესომ _ კაი, კაი, ასე ნუ მიყურებ!

წავიდეთ მივხედოთ!

როდესაც ბესო და გოგა მივიდნენ ზურასთან ბიჭები უკვე იშლებოდნენ. აცრემლებული მარი სალომესა და ნონასთან ერთად განზე გამდგარიყო და მიმავალ ზურას უყურებდა გაოცებული, ნაღვლიანი მზერით.

– რა მოხდა მარი? _ ჰკითხა გოგამ და ტრიბუნებზე მარტო მჯდომარე ზურას გახედა, რომელსაც თავი ხელებში ჩაერგო.

– გვითხარი, რა მოხდა მარი, რატომ დაიშალნენ ბიჭები? ზურა როგორ არის? _ ისეთი თანაგრძნობით სავსე ხმით იკითხა ბესომ, რომ გოგამ ყურებს არ დაუჯერა, გაკვირვებულმა მოხედა მას, შემდეგ გვერდით გაიწია და უსიტყვოდ დააკვირდა ბესოს ქცევას.

– ბიჭები ფიქრობენ და მწრთვნელმაც თქვა, რომ ალბათ ნასვამი იყავიო... ან ან... მოწამლული...

ბესომ ნაზად შეაო მარის თმაზე ხელი და განაგრძო:

– არა მარი, გამორიცხულია! დარწმუნებული ვარ ზურას ბრალი არაფერია! ვფიქრობ ცუდად გახდა. ნუ იდარდებ, ბიჭებსაც და ბატონ ოთარსაც ავუხსნი და დავემტკიცებ, თუ ზურა დამთანხმდა დაალკოჰოლის შესამოწმებელი ტესტი გაიარა. მგონი უარი არ უნ-

და თქვას...

_ მართლა ბესო? არა, უარი რატომ უნდა თქვას, მაგრამ როგორ გაივლის ამ ტესტს? ძალიან გთხოვ, თუ შეგიძლია ამ გაუგებარი სიტუაციიდან გამოიყვანე ზურა, ჩათვალე, რომ ჩემთვის აკეთებ ამას, გთხოვ!

_ კარგი მარი, რად გინდა ამდენი ხვეწნა? ჩვენ კლასელები და მეგობრები ვართ, თუმცა ბოლო დროს თითქოს თქვენი კომპანიიდან იდან... არა უფრო ჩვენი კომპანიიდან ამოვვარდი მაგრამ...

_ არა ბესო, არ ყოფილა ასეთი რამ, შენ ყოველთვის ჩვენი მეგობარი იყავი და ხარ... გთხოვ!

ბესომ ტუჩები ყურთან მიუტანა მარის, ჩურჩულით უთხრა:

_ ყველაფერი კარგად იქნება მარი! მხოლოდ შენთვის გავაკეთებ ამას... _ შეუმჩნევლად მარის სუნამოს არომატი ჩაისუნთქა, გაუიმა და ზურასკენ წავიდა.

გოგა ერთხანს გახევებული იდგა, თვალს ადევნებდა, როგორ ესაუბრებოდა ბესო ზურას, შემდეგ გოგონებს მიუბრუნდა

_ მარი არ იჯავრო, თქვენ წადით, ჩვენ ყველაფერს გავარკვევთ და ხვალ ან ამ საღამოსვე შეგატყობინებთ ყველაფერს.

შემდეგ ბიძაშვილი გაიყვანა ცალკე და უჩურჩულა:

_ ნონა, გთხოვ, მარტო არ დატოვო მარი! ინერვიულებს... თან გარკვეული ეჭვი მაქვს მომხდართან დაკავშირებით და თუ გამართლდა შესაძლოა მარის საფრთხეც ემუქრებოდეს... მე იმას არ გთხოვ როგორც დაქალმა, მარის საიდუმლოებები გამიმხილო, მაგრამ თუ შესძლებ, ისე, სხვათა შორის ჰკითხე, თამაშამდე ბესოს რამე ხომ არ უთქვამს, უცნაური, მისთვის, ან რამე ხომ არ მიუნიშნებია საუბრისას? ბესოს წელანდელი სიტყვებიც და თანაგრძნობაც უცნაურად მეჩვენა...

_ კარგი, გოგა, შევეცდები, მაგრამ რისთვის?

_ გარწმუნებ საჭიროა, სხვა დროს აგიხსნი, გთხოვ! _ უჩურჩულა გოგამ, შემდეგ ისევ სალომესა და მარის მიუბრუნდა _ ეს ჩემი საუბარი ბიძაშვილთან მაპატიეთ... აბა კარგად!

გოგა ტრიბუნებისკენ მიბრუნდა. ზურა და ბესო იქ აღარ იყვნენ. ისევ სტადიონის შენობაში შებრუნდა და გასახდელის კარები შეაღო. ზურა სკამზე იჯდა, მისური დაბლა დაეგდო და იატაკს დაჰყურებდა.

_ როგორ ხარ? ყველა წავიდა, გოგოებიც დავამშვიდეთ... ზურა შეგიძლია აგიხსენო ცუდად რა მომენტში გახდი? _ გვერდით მიუჯდა გოგა მეგობარს.

- მადლობა ყურადღებისთვის გოგა, მაგრამ ჯობია დამტოვო... მე ყველას იმედი გავუცრუე და მაგის ღირსიც არ ვარ... მაგრამ მართლა არ ვიცი რატომ გავხდი ცუდად... შენ ხომ მაინც გჯერა ჩემი?
- მე მჯერა და სჯობს გაიხსენო რა მოხდა, როდის იგრძენი თავი ცუდად?
- რომ გავვებით დაახლოებით ათ წუთში. რედბულის მეტი არაფერი დამილევია, მაგრამ გულახდილად რომ ვთქვა ასე მგონია, რაღაც რაღაც სპირტიანი დავლიე, წყალი მწყურია საშინლად, თუმცა რომ შემოვედი იმდენი დავლიე...
- მოგიტან კიდევ
- არა, არ გინდა, ბესომ შემომთავაზა ალკოჰოლზე ტესტის გავლა აქვე. ახლობელი ჰყავს საპატრულო პოლიციაში და მას დაურეკა კა, მას ველოდებით.
- პატრული მხოლოდ მძღოლებთან იყენებს...
- ვიცი და ამიტომ დაურეკა ახლობელს
- სხვა არაფერი უთქვამს ბესოს? თვითონ შემოგთავაზა ეგ?
- კი, თვითონ. სხვა რა უნდა ეთქვა? ეხლა ბატონ ოთართან არის ჭასული დასალაპარაკებლად, უნდა მოიყვანოს და მწრთენელის თანდასწრებით გავივლი ტესტს, რომ ასეთი ცილისწამებისგან ვიმართლო თავი. იცი, გოგა, ასე მგონია ბოლო დროს ყველა გარკვეულწილად უსამართლოდ ვექცევით ბესოს... მარი კი... აუ, მარი! – ზურა უცბად წამოდგა და ჩაცმა დაიწყო.
- რა გაგხსენდა ზურა?
- არაფერი, მარი როგორ დამავიწყდა, ყურადღება ვერ მივაქციე... მისი ცრემლიანი თვალები მახსოვს... ახლა რას იფიქრებს? რომ ეგოისტურად, საკუთარი თავის გარდა არავისზე არ ვფიქრობდი მას კი გული ეტკინა ჩემს გამო, თანამიგრძნობდა... ეს მობილური სადღა არის! – ზურამ გამეტებით დაახეთქა ჩანთა იატაკზე.
- დაწყნარდი ზურა, მარი შენზე ნაწყენი არ არის, შენს გამო კი მართლა შეშინდა. მე და ბესო რომ მოვედით მარი უკვე შენს გვერდით იყო და თუმცა დრო იყო გასული, მაინც გაფითრებული იყავი და რა თქმა უნდა ისიც ნერვიულობდა
- კარები გაიღო. ოთახში ბესო, მწრთენელი და საპატრულო პოლიციის ფორმაში ჩაცმული ახალგაზრდა შემოვიდნენ.
- აბა, როგორ ხარ? – ჰკითხა ბესომ – აი, მოვედით, ბატონ ოთარსაც ავეუხსენი ყველაფერი და ჩვენს თხოვნას დათანხმდა, ეს კი გიორ-

გია, დედაჩემის ბიძაშვილი.

– გამარჯობათ! ბესომ მითხრა, რომ რაღაც გაუგებრობაში ხართ და შევამოწმეთ – გაუღიმა გიორგიმ გოგას და ზურას, შემდეგ ტესტერი ამოიღო და პირთან მიუტანა ზურას

– აბა ჩაჰბერე, ოღონდ ძლიერად!

ზურამ ჩაჰბერა, ხელსაწყომ რამდენჯერმე დაიწრიპინა და გაჩერდა

– კიდევ ჩაჰბერე!

მეორედ ჩაბერვამაც იგივე შედეგი აჩვენა. ხელსაწყოს ინდიკატორი გამწვანდა

– აი, ბატონო ოთარ, გარწმუნებთ, ალკოჰოლის მცირე დოზაც კი რომ იყოს ორგანიზმში, ხელსაწყო გაბმულ ზუმერს გამოსცემდა და ინდიკატორი გაწითლდებოდა, აქ კი მწვანეა! თქვენი ფეხბურთელი არც ნასვამია და არც ნაბახუსევია!

გიორგი ყველას დაემშვიდობა და ოთახიდან გავიდა, მწრთვნელი კი ზურას გვერდით ჩამოჯდა და მხარზე ხელი დაადო

– მაპატიე ზურა, რომ შენში ეჭვი შემეპარა, მაგრამ ხომ გესმის, ფაქტიურად მთელი წლის შრომა წყალში ჩაგვეყარა... მე კი მართლა მართლა გახარებული ვარ, რომ შენი ბრალი არაფერია!

– არაუშავს ბატონო ოთარ, მე ჩემს გამო მომდის ბრაზი, წაგება მაინც ჩემი ბრალია! მაგრამ მართლა არ ვიცი რატომ გავხდი ცუდად.

– კარგი ზურა, წადით ბიჭებო, დაისვენეთ, მე დირექტორს შევატყობინებ, რომ შენ დამნაშავე არ ხარ.

– გმადლობთ ბატონო ოთარ!

ზურა, გოგა და ბესო ერთად გამოვიდნენ სტადიონიდან და ერთხანს ერთად მიუყვებოდნენ ქუჩას.

– მწრთვნელი კი იტყვის, რომ ჩემი ბრალი არ იყო წაგება და ცუდად შემთხვევით გავხდი, მაგრამ მთელი კლასი და სკოლა იმას იფიქრებს, რომ თუ ალკოჰოლის ბრალი არ იყო, მაშინ სპეციალურად წავიქეცი და ბურთიც სპეციალურად ავაცილე კარებს

– ამას მხოლოდ იდიოტები იფიქრებენ, მათი აზრი ფეხებზე უნდა გვეკიდოს!

– მადლობა ბესო! მართლა მადლობა, ძმაო! – ზურამ ხელი ჩამოართვა და გადაეხვია ბესოს.

– არაფრის ზურა! შენც ხომ იგივეს იზამდი? მგონი ჩვენი მეგობრობის “ოქროს ხანა” ბრუნდება არა? როგორ ფიქრობთ?

ბესომ გოგასაც ხელ გადახვია, ასე იდგნენ ერთხანს, შემდეგ სამივემ მხიარული სიცილი დაიწყო. ერთად მიდიოდნენ ქუჩაში, წარსულ დროს და სასიხარულო ამბებს იგონებდნენ, გულწრფელად მხიარულები იყვნენ იმ წუთებში... ზურამ თავის სახლისკენ გადაუხვია და ბესოს და გოგას დაემშვიდობა. გოგამ და ბესომ ისევ გზა გააგრძელეს.

– რატომ აღარ მხიარულობ გოგა? რაზე ჩაფიქრდი?

– არ ვიცი ბესო, არ ვიცი...

– რა არ იცი გოგა?

გოგა ბესოსკენ მიბრუნდა და ჯიქურად შეხედა თვალებში

– რა კომედიას თამაშობ? ძალიან კარგად გიცნობ და ვიცი, რომ შენ უბრალოდ არ დაეხმარებოდი ზურას და არც მარის დამშვიდებას ეცდებოდი. შეგიძლია მითხრა რა ხდება?

ცივმა და ბოროტებით სავსე ღიმილმა გადაურბინა ბესოს სახეზე, შემდეგ კი ისევ მშვიდად გადააქნია თავი გვერდზე

– იცი, თქვენი არ მესმის! როცა მარის სიყვარული ავუხსენი, ან უბრალოდ ყურადღება გამოვიჩინე დამნაშავე ვიყავი თქვენი აზრით რით... ახლა მეგობარს დავეხმარე და სირცხვილისაგან ვიხსენი და ისევ მე ვარ დამნაშავე! იცი, გოგა, შენ მართლა მასხარა ხარ ხანდახან, მასხარა, მთელი შენი არსით და სხვა არაფერი!

– რაც გინდა ის თქვი, მაგრამ დარწმუნებული ვარ შენ უანგაროდ არ დახმარებხარ ზურას. რას ეჩურჩულებოდი მარის? იმას ხომ არა, რომ ზურას საუკეთესო მეგობარი ხარ, რომ მარი არ იყო მართალი შენთან მიმართებაში და მათი ბედნიერება შენთვისაც ბედნიერება იქნება? თუ გგონია, ვერ შევამჩნიე, როგორი ალერსით სით შეეხე მის თმებს? თვითონ აღელვებული და ატირებული იყო ვერც ხვდებოდა შენს ვერაგობას!

– შენ მასხარა კი არა, სულელიც ხარ! ზედმეტს ლაქლაქებ! თუ რამე დამამტკიცებელი საბუთი გაქვს, როგორც შენ იძახი, ჩემი “ვერაგობის” შეგიძლია ზურასთან ერთად წამომიყენო, თუ არა და შენი ლაპარაკი და აი ამ ძაღლის წკმუტუნი ერთი და იგივეა!

იქვე გაწოლილ მაწანწალა ძაღლზე მიანიშნა ბესომ და ზიზღით გადააფურთხა.

– მასე არა? კარგი! მე დავამტკიცებ შენს არაკაცობას და გაფრთხილებ, თუ გაირკვა რომ დღევანდელში შენ ხარ გარეული, და თუ მარის თავს არ დაანებებ...

– რა მაშინ? რას იზამ? ვიომოთ გოგა? ვისთვის? მე და შენს მეგობრობას რისთვის აფურთხებ? ზურასთვის? არა გოგა! მეც კარგად

გიცნობ... და დღეს მეც შევამჩნიე, რომ ზურას ამბავმა იმდენად არ აგაღელვა, მაგრამ მარის ცრემლებმა შენც აგათრთოლეს, იქნებ იქნებ მითხრა რომ ვცდები?

- _ შენ ცდები ბესო, მე მინდა ისევ ისეთი მეგობარი იყო, როგორც ადრე, ისევ ის ბესო, თუნდაც უხეში, ხისტი ხასიათის, მაგრამ გულით მაინც სუფთა, რომელიც ბოროტებას არ ინახავდა სულში!
- _ შენ ფილოსოფიისთვის ახალგაზრდა არ ხარ? ინსტინქტები კი ყველას ერთნაირი გვაქვს და ჩემზე უკეთესი ტყუილად გგონიათ შენ და ზურას თავი და მარის თვალში მე ავხდი თქვენს თვალთმაქცობას და ფარისევლობას ფარდას!
- _ კარგი ბესო, ომი იყოს და გარწმუნებ, შენსავით ბინძურ მეთოდების გამოყენებასაც არ მოვერიდები რომ ჩემი მეგობრები დავიცვა!
- _ იცი, თუნდაც ვაღიარო, რომ ჩემი ხელი ურევია ამაში, მერე რა? მე არ შემძლია სიყვარულისთვის ვიბრძოლო? შენ ხომ უარი მითხარი დახმარებაზე? დიდხანს ვიფიქრე რატომ? ზურას გამო? მას ვერ უღალატებ? შენი მეგობრები? რა მაგრად ჟღერს! თუ ისეთივე მეგობრობას გაუწევ, როგორსაც მე მიწევდი, კარგად ექნებათ საქმე! და ამას შენი “ზურგით” შეძლებ თუ ზურასთან გაიქცევი?
- _ შევძლებ, დარწმუნებული იყავი!
- _ კარგად გოგა! მშვიდ ძილს გისურვებ!
- _ შენც ბესო!

ბესომ სარკაზმით და თითქმის ზიზღით სავსე თვალელები გააყოლა გოგას: “ეს მხოლოდ სპექტაკლის პირველი ნაწილია და შენ ვერც კი წარმოიდგენ წინ რა არის,... ეს “ვითომ მეგობარი!” ამ თამაშში მე თეთრებით ვთამაშობ და ყოველთვის ერთი სვლით წინ ვიქნები!” _ გაიფიქრა უნებლიედ.

სახლში მისულმა ზურამ უფრო მეტი დადლილობა იგრძნო. საშხაპეში შევიდა, დიდხანს იდგა ცივი წყლის ნაკადის ქვეშ. გამოვიდა თუ არა, მინერალური წყლი დალევა დაიწყო. ნელ-ნელა გაუარა თავბრუს ხვევამ, გულირევისა და წყურვილის შეგრძნებამ. ოთახში შევიდა, საწოლზე გულადმა დაწვა და თვალელები ჭერს მიაბჯინა. დამაბულად ფიქრობდა დღევანდელ დღეზე... თანაგუნდელების დაღონებული სახეები გაახსენდა, მარის აცრემლებული სახე წარმოუდგა თვალწინ... ფიქრები არ ასევენებდმენ. პირქვე გადატრიალდა და ბალიში დაიფარა თავზე. “მარი, საყვარელო მაპატიე! მაპატიე დღევანდელი უყურადღებობა! ეშმაკმა წაიღოს ფეხბურთი და რეპუტაციაც ოღონდ შენი გული და სიყვარული მქონდეს, ოღონდ შენი მხიარული და გრძნობით სავსე ღიმილი მათბობდეს

ისევ... არა უცნაურია, რედ ბულის მეტი არაფერი დამილევია, რამე სხვანაირი გემოც არ მიგრძენია მასში მაგრამ... სხვა მიზეზი აქ არ უნდა იყოს ამის ბრალია! იქნებ ვადაგასული იყო? სხვებმაც ხომ დალიეს? თუ შემთხვევითობაა არაუშავს, მაგრამ თუ ვინმეს ხელი ურევია ამაში? ნებისმიერს მიწასთან გავასწორებ! მაგრამ არა, ვინ რას მიაღწევდა ამით? მატჩის მოგებას? არაფერი მესმის, ვერ უკავშირდება ეს ყველაფერი ერთმანეთს, მოიცა, რედ ბული გოგამ მოიტანა, ესეიგი გამოირიცხულია აქ სხვა რამ ყოფილიყო... არა, ნამდვილად შემთხვევითობაა ყველაფერი!" ეს ფიქრები არ ასვენებდნენ ზურას. საწოლზე წამოჯდა, მობილური აიღო და მარის ნომერი აკრიფა, მაგრამ თავი გააქნია უარყოფის ნიშნად. ტელეფონი ისევ საწოლზე მიაგდო. "ხვალ ვნახავ მარის, არ დავრეკავ... ვნახავ და ყველაფერს ავუხსნი და პატიებას ვთხოვ გულგრილობისთვის, ვეტყვი, რომ ძალიან მიყვარს და მის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია... ეს ხომ მართლაც ასეა! ხვალ, ხვალ გამოსწორდება ყველაფერი! მხოლოდ მარი და სხვა არაფერს არ აქვს მნიშვნელობა!"

გოგაც საგონებელში ჩავარდა ბესოსთან ლაპარაკის შემდეგ. სამარშუტო ტაქსში გონებაგადაღლილი იჯდა და უაზროდ აყოლებდა მზერას მომქროლავ მანქანებს. ფიქრები ერთმანეთში ერეოდნენ... დღევანდელ დღე, რაც მოხდა, რაზეც ეჭვი ჰქონდა... გული სწყდებოდა, რომ ბესოსთან ამდენი წლის მეგობრობა დასასრულს უახლობდებოდა და ფაქტიურად უკვე გამქრალი იყო, გული სწყდებოდა იმაზეც, რომ ზურას პრობლემები ექმნებოდა, ხოლო მარის გულისტკივილი, ცრემლები და ნერვიულობა ხვდებოდა წილად და რის გამო? "თუნდაც ვალიარო, რომ ჩემი ხელი ურევია ამაში..." ექოსავით განმეორდა გოგას ფიქრებში ბესოს სიტყვები. "გააჩერეთ!"_თითქმის უნებურად დაუმახა მძლოლს, მიკროავტობუსიდან ჩამოვიდა და თითქმის სირბილით გაბრუნდა სტადიონისკენ. დიდი ხვეწნის შემდეგ ისევ შეუშვეს შიგნით. მაშინვე გასახდელს მიაშურა, მაგრამ ქილები იქ აღარ იყო, გასახდელიდან გამოვიდა და გარეთ დადგმული ნაგვის ყუთი ამოქექა, რედ ბულის ქილები ამოყარა და თვალთერება დაუწყო. მიუხედავად იმისა, რომ ქილები ძალიან იყო დაჭყლეტილი, ერთ-ერთის ღარში წვრილი ნახვრეტი მაინც შეამჩნია, სასწრაფოდ ჩაიღო ჩანთაში და გამობრუნდა.

_ შენ რა, გაგიჟდი? და ნაგავს ქექავ? ბომჟი ხომ არ ხარ?
დაუმახა დარაჯმა, რომელმაც წელან შიგნით შეუშვა.

_ მაპატიეთ, მივდივარ!

გოგა იმაზე სწრაფად გამოვარდა უკან, ვიდრე შევიდა. ტროტუარს სწრაფი ნაბიჯებით მიუყვებოდა “ესეიგი სულელი მასხარა ვარ არა? კარგი მეგობარო! ბინძური თამაში გინდა? მეც ასე მოვიქცევი!”

მარის სალომე და ნონა გაჰყვნენ სახლამდე, ცოტა ხნით გაჩერდნენ მასთან, ყავა დალიეს, ცდილობდნენ საუბრით ყურადღება დღევანდელი დღიდან და ფეხბურთის მატჩიდან სხვა რამეზე გადაეტანათ მაგრამ უხასიათობა მაინც ვერ მოიშორეს. მარიც თუმცა ილიმებოდა, მაგრამ თვალები მაინც სევდიანი ჰქონდა. ნონამ ფრთხილად ჰკითხა ბესოს შესახებ, რაც გოგამ სთხოვა: ბესო რას გეუბნებოდა დღეს? მაგრამ მარიმ ვერც კი გაიხსენა ბესოს სიტყვები ნონას კი უთხრა, რომ არც კი უსმენდა არავის იმ წუთში. მეგობრების წასვლის შემდეგ მარი ფიქრებს მიეცა “უცნაური იყო დღევანდელი დღე, ასე მოულოდნელად რა უნდა შემთხვეოდა ზურას? თვითონ ზურაც ისე იყო დაბნეული ვერც კი შეამჩნია ჩემი წუხილი, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, იქნებ ახლაც ცუდად არის? რატომ ავღელდი ნეტავ? მეც უნდა დავლოდებოდი, სახლამდე გავყვებოდი და დავრწმუნდებოდი რომ კარგად არის... ახლა რომ დავრეკო? არა გვიანია, ხვალ ვნახავ და გავიგებ როგორ არის, ბესოზეც ძალიან მაინტერესებს, მართლა დაეხმარა ზურას, როგორც ამბობდა? უფრო უცნაური ის არის, რომ თვითონ გამოთქვა დახმარების სურვილი, როგორც ადრე... არ მოველოდი” მარის თვალწინ წინა წლების სურათებმა გაიელვეს, როდესაც მათი სამეგობრო “ოთხეული” განსაკუთრებული მეგობრული ურთიერთობით გამოირჩეოდა ყველასგან, ბიჭები უახლოესი მეგობრები იყვნენ და სამივე ცდილობდა მარისთვის რამე სასიამოვნო გაეკეთებინა... ღიმილმა დაფარა მარის ტუჩები ამის გახსენებისას “იქნებ ისეთივე თბილი დრო დადგეს, როგორც მაშინ? არა უფრო სასიამოვნო დრო, ბედნიერებით სავსე”

მეორე დღით ზურამ გაღვიძებისთანავე საათს დახედა, უკვე თერთმეტი საათი იყო. წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა, აღარც სისუსტეს გრძნობდა და თავიც აღარ სტკიოდა. “მარი! დღეს რამით უნდა გავახარო აუცილებლად!” ამ ფიქრით გავიდა გარეთ. მარისაც გვიან გაეღვიძა იმ დღეს, გუშინდელის შემდეგ მაინც დაღლილობას გრძნობდა.

_ მარი, როგორ ხარ? _ ჰკითხა დედამ _ გუშინ რომ შემოვედი უკვე გეძინა, აღარ გაგაღვიძე. როგორ ითამაშეს თქვენებმა?

_ ცუდად, წააგეს...

_ რატომ? ალბათ ზურა არ იყო “ფორმაში”? თქვენი გუნდის თავდამსხმელი ხომ ის არის? _ გაუღიმა მარის დედამ

_ კი, მაგრამ ზურა თვითონ ცუდად გახდა, პირდაპირ მოედანზე...

_ რატომ? რა მოუვიდა? ახლა როგორ არის? თუ დაურეკავ, ჩვენგან-

აც მოიკითხე.

_ მადლობა დედა, გადავცემ.

_ საერთოდ რას აპირებთ? სამომავლო გეგმებზე სერიოზული დაფიქრება დაგჭირდებათ და თუ რამეს საბოლოოდ გადაწყვეტთ, აუცილებლად მაშინვე გვითხარით.

_ რა თქმა უნდა დედა! _ მარიმ მორცხვად დახარა თავი _ მაგრამ ჯერ არ ვიცით... ალბათ უფრო მერე გადავწყვიტავთ, როცა გამოცდებს ჩავაბარებთ...

_ საერთოდ მე და მამაშენი ვფოქრობთ, რომ ძალიან აჩქარება არ გინდათ, მთელი მომავალი წინ გაქვთ, ასე არ არის?

_ რა თქმა უნდა და ამიტომ არც ვჩქარობთ _ გაიღიმა მარიმ

_ ჩემი ჭკვიანი გოგო! _ დედამ ნაზად აკოცა _ მალე მოვალ მარი, თუ სახლიდან გახვალ დამირეკე!

დედის გასვლის შემდეგ მარი ისევ თავის ოთახში შებრუნდა, კომპიუტერი ჩართო. დედასთან საუბარმა კარგ ხასიათზე დააყენა “ზურას დაველაპარაკები!” _ გაიფიქრა, მაგრამ ზურა სკაიპში არ აღმოჩნდა. ახლა ტელეფონის ნომერი აკრიფა და პასუხს დაელოდა “მობილური ტელეფონი გამორთულია ან გასულია მომსახურების ზონიდან” მარი ოდნავ აღელდა “ნეტავ ცუდად ხომ არ არის?” ამის გაფიქრება მოასწრო და კარებზე გაბმით დაირეკა ზარი. მარიმ კარები გააღო, კართან შედგა და სახე უსაზღვრო ბედნიერებამ და მხიარულმა ღიმილმა დაუფარა. კარებში ზურა იდგა, ხელში სხვადასხვა სახეობის ყვავილების დიდი, ჭრელი თაიგული ეჭირა.

_ ზურა! რა მაგარია! _ სიხარულით შესძახა მარიმ

_ ეს შენ, საჩუქრად... _ ზურამ თაიგული გაუწოდა

_ მადლობა, ძალიან ლამაზი ყვავილებია, ძალიან გამახარე! მიყვარხარ! _ მარიმ ყვავილები გამოართვა, ზურამ კი ხელი მოჰხვია და თაიგულიანად ჩაიხუტა

_ მეც მიყვარხარ ძვირფასო! ძალიან მომენატრე და შენი გახარება მინდოდა! _ მარის თითებით ლოყაზე შეეხო ნაზად.

_ ძალიან ლამაზი ყვავილებია ზურა! დიდი მადლობა!

_ შენ ყველა ყვავილზე ლამაზი და სათუთი ხარ მარი! _ ზურამ ისევ მკერდზე მიიკრა მარის თავი, მისი თმების ნაზი სურნელი იგრძნო _ მაპატიე ძვირფასო, გუშინ ვეღარ მოგაქციე ყურადღება... ძალიან ეგოისტურად მოვიქცეი!, შენ კი განიცდიდი იმ ყველაფერს და ლელავდი... შენი ცრემლები რომ მახსენდება ახლაც გულს მწვავს... მაპატიე გთხოვ!

_ არა ზურა, პირიქით, მე მიგატოვე, როცა ცუდად იყავი და სახლში რომ მივედი ძალიან ვინანე... რადგან შენს გვერდით არ ვიყავი...

მეგონა რომ ჩვენს სიყვარულს ვერ ვამართლებ...

– შენ ყოველთვის ამართლებ ჩვენს სიყვარულს მარ! ჩემი პატარა სიყვარულის ფერია ხარ და მუდამ მეყვარები!

– შემოდი ზურა, მეც დერეფაბში გაგაჩერე! ხანდახან მართლა პატარა და სულელი მგონია თავი!

– პირიქით მარი, შენ ყველაზე ჭკვიანი, ლამაზი და ფაქიზი არსება ხარ!

მარის ლოყები შეეფაკლა ზურას სასიყვარულო სიტყვებისა და მისი სიყვარულით სავსე თვალების ნაზი და დაჟინებული მზერისგან.

– კარგი ზურა, ამდენ კომპლიმენტს არ ვიმსახურებ! შენ სასტუმრო რო ოთახში მოიცადე, მე ახლავე რამეს მოვამზადებ და მოვალ.

– არაფერი არ მინდა მარი, ოღონდ შენი ცქერის საშუალება მქონდეს და შენი სილამაზით დავთვრე...

მარამ მხიარულად გადაიკისკისა, სამზარეულოში გავიდა, ყვავილები ლარნაკში ჩადო და წყალი დაასხა, შემდეგ ყავა მოადულა, ნამცხვრებთან ერთად სინზე დააწყო და სასტუმრო ოთახში შეიტანა. თვითონ ზურას გვერდით სავარძელში მოკალათდა და ყავის ფინჯანი აიღო.

– მიირთვი, გთხოვ! თან მომიყები, როგორ ხარ, მაშინ ისე დავიბენი ბენი, ვერც კი გკითხე რა მოხდა? რატომ გახდი ცუდად? იქნებ მართლა რაღაცით მოიწამლე?

– არც კი ვიცი მარი, იქ რედბულის მეტი არაფერი დამილევია, რაღა მე შემხვდებოდა გაფუჭებული? არა და მართლა ისე ვგრძნობდი თავს, როგორც სიმთვრალისას... ბიჭებმა კი რაც იფიქრეს მგონი შენც მოიმიწე...

– კი, გავიგე, მაგრამ ეგ ხომ სისულელეა, რომ შენ სპეციალურად წააგებინე გუნდს, მე ამას არასდროს არ დავიჯერებ! ბესო როგორ დაგეხმარა ზურა?

– თავისი ახლობელი მოიყვანა, საპატრულო პოლიციიდან და მძღოლებს რომ ამოწმებენ, იმ ალკოტესტით შემამოწმა ბატონი ოთარის თანდასწრებით. ტესტმა უარყოფითი პასუხი აჩვენა... ერთი კი უცნაურია: რა იცოდა ბესომ რომ ნასვამი არ ვიყავი? იქნებ ვტყუოდი?

– ალბათ იფიქრა, რომ შენ ამას არ გააკეთებდი.

– ან პირიქით... – ზურამ თავი დახარა და ჩაფიქრდა

– რა პირიქით? ის ხომ მართლა დაგეხმარა?

– იცი, მარი, არ მინდა უმადურობა გამოვიჩინო, მე ბესოსი მართლა მაღლობელი ვარ იმ დახმარებისთვის, მაგრამ აქ მეორე მხარეც

არის: ვთქვათ, რაღაც მიზეზის გამო ბესომ მართლაც დააპირა დახმარება მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ გულწრფელი არ იყო, მა-

შინ ყველა შემთხვევაში მისთვის დადებით შედეგს მიიღებდა... თუ აღმოჩნდებოდა, რომ მთვრალი ვიყავი, ეს მართლაც დაადასტურებდა ჩემს ბრალს და გააორმაგებდა ჩემს საწინააღმდეგო მოსაზრებებს... თუკი მე არ ვიქნებოდი “პახმელიაზე” მაშინ ბესო ჩვენი კეთილი განწყობის მოპოვებას შესძლებდა წარსული უთანხმოებების შემდეგ, მეგობრობის განახლებას ჩვენთან და ეს კი საშუალებას მისცემდა კვლავ ეცადა შენთან დაახლოება...

ალბათ გიყი გგონივარ არა ძვირფასო, მაგრამ ყველაზე მეტად შენი დაკარგვის მეშინია და ამიტომ ყველაფერში ჩვენი სიყვარულისათვის საფრთხეს ვხედავ... იქნებ ცილსაც ვწამებ უსამართლოდ...

მარი გაცეზებული უყურებდა ზურას.

– რატომ ფიქრობ ასე ზურა? ასე მგონია უბრალოდ ეჭვიანობ.

ვიცი რა პრობლემებიც გექონდა ბესოს გამო, მაგრამ ასეთ ფარისევობას მაინც არ იკადრებდა ვფიქრობ. ჩვენს სიყვარულზე კი ნუ იდარდებ, მე როგორც ახლა მიყვარხარ, ისე მეყვარები სიცოცხლის ბოლომდე!

ზურამ გაუღიმა მარის, მისი ხელი თავის ხელში მოიქცია და მის პატარა, ნაზ თითებს შეეხო ტუჩებით.

– ძალიან მიყვარხარ მარი და ამიტომ მეშინია შენი დაკარგვის...

ღმერთმა მაპატიოს, რომ ბესოზეც ასე ვფიქრობ... ძალიან ეჭვიანი ვარ ალბათ!

– არა ზურა, შენ ყველაზე კარგი ხარ!

– მაღლობა მარი! მაღლობა რომ გჯერა ჩემი.

– იცი დღეს დედამ მკითხა რას აპირებთო, ჩვენ კი მხოლოდ ვოცნებობთ და ხანდახან ასეც მგონია რომ ბროლის კოშკებს არაფრისგან ვაგებთ...

– რატომ ძვირფასო? რატომ არაფრისგან? ჩვენი სიყვარული ხომ ყველაფერია! ოფიციალურად კი როცა შენი სურვილი იქნება მაშინ გამოვაცხადებთ, რომ უნდა ვიქორწინოთ.

– მე ვფიქრობ სწავლას რომ დავამთავრებთ და მისაღები გამოცდებიც ჩაივლის მერე მერე შეიძლება ეს ყველაფერი, თუმცა გულახდილად რომ ვთქვა, სიტუაციის და ცხოვრების ასეთი თითქოს უეცარი ცვლილება მაშინებს... ჩემებიც მგონი ფიქრობენ რომ სჯობს არ ვიჩქაროთ, თუმცა შენც იცი, რომ წინააღმდეგი არ არიან.

_ არც ჩემი მშობლები არიან წინააღმდეგი, ჩვენი ბედნიერებით ყველა გაიხარებს, დარწმუნებული ვარ!

როდესაც მარი და ზურა ბედნიერ მომავალზე საუბრობდნენ და ოცნებობდნენ, გოგა სხვა პრობლემით იყო დაკავებული. გახვრეტილი “რედ ბულის” ქილა მან თავის მეგობარს წაუღო რომელიც იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი იყო და კრიმინალისტიკის სპეციალობაზე სწავლობდა.

_ გამარჯობა თენგო, როგორ ხარ? ბოლო დროს სულ დაკვარგეთ ერთმანეთი არა? შენ სწავლობ, მე სკოლის დასამთავრებლად ვემზადები!

_ თავს სწავლით და სკოლით ტყუილად იმართლებ, თუმცა მეც არ მაქვს თავის გასამართლებელი! _ სიცილით უპასუხა გოგას თენგომ _ როგორც კი დამირეკე, მაშინვე მივხვდი, რომ რაღაც სერიოზული იყო, აბა მითხარი რით შემძლია დაგეხმარო?

_ ასეთი სიტუაციაა: მე ერთი ქილა მაქვს, ჩემი აზრით შიგ ენერგეტიკული სასმელის გარდა, რაღაც სხვაც ერია და ქილასაც გვერდზე ღართან წვრილი ნახვრეტიც აქვს თითქოს შპრიცის კვალს ჰგავს... თქვენ პრაქტიკული მეცადინეობები თუ ისევ გაქვთ კრიმინალისტიკის ლაბორატორიაში, დახმარებას გთხოვ, იქნებ დავადგინოთ გამართლებული ჩემი ეჭვი თუ არა?

_ განა ასეთი რა მოხდა?

_ თუ დამეხმარები, ჩათვალე, რომ სამუდამოდ შენი მოვალე ვრ!

_ კარგი გოგა, რად გინდა ამდენი ხვეწნა? გავაკეთებ. თითების ანაბეჭდებიც ხომ არ ვნახოთ? _ თენგომ ცელოფანში ჩადებული ქილა გარედან შეათვალიერა.

_ არა, მხოლოდ შემადგენლობა.

_ არ ვიცი, გოგა, რამდენად შესაძლებელი იქნება ზუსტი ანალიზი თუ ამ ქილაში გარდა სასმელისა რამე სხვაც ესხა, შესაძლოა უკვე აორთქლებულიყო, ან სულაც თვისებები შეეცვალა _ თენგომ ქილა ცელოფანიდან ამოიღო _ აი ხედავ? ცოტა სითხე მაინც რომ იყოს ჩარჩენილი კიდევ ჰო, მაგრამ აქ აღარაფერია! მაგრამ მაგრამ მე ვცდი, პირადად ვერ გავაკეთებ ამას, ქიმიურ ანალიზს რექტივები სჭირდება... კრიმინალისტიკის ლექტორი მაგარი კაცია, მას ვთხოვ და დაგვეხმარება! ხვალ მაქვს პრაქტიკული მეცადინეობა.

_ იყოს ხვალ, ოღონდ იყოს! მართლა შენი მოვალე ვიქნები!

_ თუ რამე აღმოვაჩინე, დასკვნასაც დავაწერინებ ლექტორს.

– ოღონდ ეს ყველაფერი ისე, სხვათა შორის უნდა გააკეთო
თუ ქილაში რამე ისეთი აღმოჩნდა, მაგალითად მომწამლველი,
არ მინდა პრობლემები შეგექმნას.

– არა, რა პრობლემა, ვეტყვი, რომ ქუჩაში ვიპოვე ეს ქილა და
თან სწორედ ახლა რეფერატს ვწერ ქიმიურ ანალიზზე და საბაბიც
ეს მექნება!

ორშაბათიდან ისევ სკოლაში მივიდნენ ზურა, მარი, გოგა და ბესო.
თუმცა ფეხბურთის თანაგუნდელები თავიდან ზურაზე ცოტა განაწყენდნენ,
მაგრამ მალევე მიხვდნენ, რომ ზურა სკოლის ინტერესების წინააღმდეგ არ
წავიდოდა. მწრთენელმაც ზურას მხარე დაიკავა და სკოლის დირექციაც
დაარწმუნა, რომ ზურა შემთხვევით გახდა ცუდად და ფეხბურთის მატჩის
წაგებაც მისი ბრალი არ იყო. მაგრამ ზურა გრძნობდა, რომ კლასელებიც და
სკოლის სხვა მოსწავლეებიც რაღაცნაირად თავს არიდებდნენ, რაღაც ეჭვი
მამინც რჩებოდა მათში. გოგონები დაინახავდნენ თუ არა, ჩურჩულს
იწყებდნენ და ხშირად ჩუმი სიცილით აცილებდნენ. “ჩემი და მარის
სიყვარული არ იყო თითქოს საკმარისი საჭოროად! ეხლა ეს დაემატა” –
ფიქრობდა ზურა. გოგა და ბესო არაფერს იმჩნევდნენ, თითქოს არანაირ
დაპირისპირებას არ ჰქონდა მათ შორის ადგილი, ჩვეულებრი
საუბრობდნენ, გაკვეთილზე სასწავლო საკითხებზე მსჯელობდნენ,
ჩვეულებრივი სასკოლო დღე იყო. ერთ-ერთ დასვენებაზე ბესომ ცალკე
გაიყვანა გოგა.

– მომისმინე, გოგა, გთხოვ მაპატიე ჩემი საქციელი და სიტყვები
არ ვიყავი მართალი შენს მიმართ, შესაძლოა ისევ სიყვარული
მიშლის ხელს საღად აზროვნებაში...

გოგამ გამომცდელად შეხედა. გაუკვირდა, როცა ბესოს სახეზე
გულწრფელობა შეამჩნია. ბესომ განაგრძო

– მე მართლა ვწუხვარ ჩვენს შორის გაუგებრობის გამო... “საქმის
გარჩევები” ჩვენში სრცხვილი და სასაცილო რამ იქნება და არც
მინდა... შენზე ახლო მეგობარი მე არ მყავს, ზურა... ზურა უფრო
უბრალოდ კლასელია... მარის მიმართ რასაც ვგრძნობ ნათქვამი
მაქვს, ვწუხვარ, რომ შენ არ ამართლებ ჩემს საქციელს... მე
მართალი არ ვიყავი გოგა, აღარ გვინდა დაპირისპირება!

– მართლა არ ვიცი ბესო რა ვიფიქრო, შენ ძალიან აგრესიული
იყავი საუბრისას ზურასა და მარის მიმართ გახსოვს სიტყვები:
“თუნდაც ვერიო ამ საქმეში, მერე რა?” ეს შენ მითხარი ბესო
და საკმაოდ გულახდილად, როგორც მომეჩვენა... მითხარი მართ-
ლა რამე “იჩალიჩე” იმისათვის, რომ ზურას გამო სკოლის

გუნდს მატჩი წაეგო? სიყვარულს კიდევ შეიძლება რამე გამართ-
ლება მოუძებნო, მაგრამ თუ მეგობარს ასეთი მუხანათობისთვის
გაწირავ... მაშინ მართლა აღარ მესმის შენი.

– გარწმუნებ მე არ ვიცი რატომ გახდა ზურა ცუდად და შენც
იცი, რაც შემძლო გავაკეთე მის მხარდასაჭერად

– მე ჩემს მიმართ ნათქვამს, ყველაფერს ვივიწყებ! – გოგამ ხელი
გაუწოდა ბესოს – ოღონდ ერთს გთხოვ, მარისა და ზურას ნუ
შეაწუხებ... შეეშვი მათ, გთხოვ!

– გულახდილად გიპასუხებ გოგა, თუმცა ძალიან გავმწარდი, როდე-
საც შენ უარი მითხარი დახმარებაზე, მაგრამ ძმაცაცები ვართ და
ჩემს გამო ურთიერთობა სხვებთან არ უნდა გაიფუჭო, არც მე
მე მქონდა ამის თხოვნის უფლება... მაგრამ იმას, რომ მარის დავი-
ვიწყებ და მის მიმართ გრძნობას ჩავახშობ, ამას ვერ შეგპირდები
და არც ვცეცდები!

– გულახდილობისთვის მადლობა ბესო! ვგრძნობ, გულწრფელი ხარ
ამიტომ მეც გეტყვი: პარასკევს სტადიონზე დავბრუნდი და რედ
ბულის ქილები მოვძებნე. ერთს ძალიან უცნაური წვრილი ნახვრე-
ტი ჰქონდა წრიულ ღარში, შპრიცის ნემსის მსგავსი... მე ეს ქილა
ექსპერტიზისთვის მეგობარს მივეცი, იმედი მაქვს იქ რედ ბულის
გარდა არაფერი აღმოჩნდება.

ბესოს ბოლმა მოაწვა ყელში, მაგრამ თავის დამორჩილება შესძლო

– შენი ნებაა გოგა! მე არ ვიცი რა ესხა იმ ქოლებში რედ ბულის
გარდა, ქილები შენ მოიტანე გახსოვს? სხვას შენს ადგილზე
სხვანაირ პასუხს გავცემდი ასეთი ეჭვის გამოთქმისთვის, მაგრამ
პარასკევს მეც შეურცხყოფა მოგაყენე ჩემი სიტყვებით, ამიტომ
არაფერს გეტყვი, ბარი-ბარში იყოს ჩემი სიტყვები – შენი ეჭვის
და ბრალდების პირისპირ...

– მე ბრალს არ გდებ ბესო, მაგრამ შენმდა მაშინდელმა ნათქვამმა
მა მართლა დამაეჭვა

– არაფერია, შენ ისე მოქმედებ, როგორც მეგობარი, მეგობარი
გოგოს დასაცავად... მეგობარი პირდაპირი მნიშვნელობით... მე
კი იმას გავაკეთებ, რაც მარის სიყვარულის მოპოვებაში დამეხმა-
რება, ან ჩავთვლი რომ დამეხმარება.

– მე ისეთივე მეგობარი ვარ მარისთვის და ზურასთვის, როგორც
შენთვის ბესო! მართლა მეგობარი!

– კარგი გოგა, გვეყოფა ამაზე ლაპარაკი, ვფიქრობ ყველაფერი
გავარკვიეთ, ერთმანეთში მაინც!

ორივე კლასისკენ წავიდნენ. უეცრად ბესო შეჩერდა და გოგასკენ მობრუნდა.

– გოგა ერთხელაც და საბოლოოდ გთხოვ როგორც მეგობარს, დამეხ-
მარე მარისთან ურთიერთობის გაუმჯობესებაში... შენს სიტყვებს
უსმენს ხოლმე, ვიცი... ადრეც გითხარი... გთხოვ, მართლა გულით
გთხოვ!

– არა ბესო, მე მარისთან ჯაშუშობას არ დავიწყებ. ის ჩვენი
მეგობრის შეყვარებულია!

ბესომ აღარაფერი უპასუხა, მხოლოდ თავი დააქნია, გაუღიმა და უხმოდ
მოტრიალდა საკლასო ოთახისკენ, უნებლიედ სალომეს შეეჩხრა.

– სალი, მაპატიე, ვერ დაგინახე! – გაუღიმა გოგონას.

– როდიდან გახდი ასეთი მოკრძალებული? – გაიცინა სალომემ –
კარგი, არაფრის!

ბესო ჩაფიქრებული იჯდა გაკვეთილზე. ეს მისი ბოლო ცდა იყო, გოგას
გადმოსაბირებლად, დარწმუნდა რომ მას ვერაფერს ვერ გადაათქმევინებდა,
გოგა ბოლომდე ზურას მხარეზე დარჩებოდა, თუმცა საუბრიდან ისიც
გაიგო, რომ გოგა ქილების გამოკვლევას ცდილობდა და ესეიგი შერიგების
მიუხედავად არ ენდობოდა ბესოს. “უცნაურია ასეთი რამ შენი მხრიდან
გოგა, თუმცა როგორც ვთქვით, შენ შენი გააკეთე, მე ჩემსას ვეცდები, იმედია
ჭკუა გეყოფა და მარის ან ზურას არ მოუყვები ყველაფერს” – გაიფიქრა
ბესომ.

ზარი დაირეკა, ზურა და მარი ერთად გავიდნენ დერეფანში, რაღაცაზე
გაფაციცებით საუბრობდნენ და მხიარულად უღიმოდნენ ერთმანეთს. ბესო
შორიდან უთვალთვალებდა მათ, გულიდან წამოსული ბოლმა ყელში
მოებჯინა. ნერწყვი გადაყლაპა ნერვიულად. ცოტაც და ყელში მობჯენილი
გრძნობა თვალებიდან წამოუვიდოდა ცრემლებად ქცეული... თავი შეიკავა,
ხელები ისე მომუშტა, რომ თითები ეტკინა. ხვდებოდა, რომ მისმა ტრიუკმა
სტადიონზე სრული, მისთვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და თუმცა
ზურას გარკვეული ჩრდილი მიაყენა მთელი სკოლის თვალში, მარისთან
მის ურთიერთობაზე ვერ იმოქმედა. “არაფერია, კიდევ მაქვს რამდენიმე
ჩანაფიქრი მარი!” – ფიქრობდა ბესო – “ვნახოთ, როდესაც მართლ დარჩები
იქნებ მაშინ მიაქციო ჩემს სიყვარულს ყურადღება... საინტერესოა გოგა რას
გაარკვევს რედ ბულზე და ეტყვის თუ არა ზურასა და მარის... ამის
მიხედვით ვიმოქმედებ, მანამ კი ისევ გულითადი მეგობრის როლის თამაში
მომიწევს”

თენგოს რამდენიმე დღე დასჭირდა, რომ გოგას მიერ მიტანილი ქილის
ანალიზის გაკეთება მოეხერხებინა. ერთ-ერთ პრაქტიკულ მეცადინეობაზე
კრიმინალისტიკის ლექტორთან მიიტანა ქილა.

– გამარჯობათ ბატონო გივი! თვის ბოლოს რეფერატს ვწერთ, ქიმიური ანალიზის თემა ავირჩიე და იქნებ ამ ქილის გამოკვლევა-ვაში დამეხმაროთ? მე შესაბამისი პრეპარატები არ მაქვს...

– კარგი, თენგო, მაჩვენე შენი ქილა, თუმცა უნდა გითხრა, რომ რთული თემა ავირჩევია. ასეთი თემა მესამე ან მეოთხე კურსზე უფრო გაგიადვილდებოდა

– ვიცი ბატონო გივი, მაგრამ მინდოდა ცოტათი კურსისთვის გამესწრო.

– ყოჩაღ, რომ არ გეზარება!

ლექტორმა ხელთათმანები ჩაიცვა, ქილა აიღო და სინჯარაში გადმოაპირვა. მხოლოდ რამდენიმე პატარა წვეთი გადმოვიდა ქილიდან.

– ეს ცოტაა თენგო... უნდა გამოვავლოთ, ცოტა ეთილის სპირტი... მოდი ასე მოვიქცეთ, მე ჩამოგიწერ რა პრეპარატები უნდა გამოიყენო და სავარაუდოდ რა რეაქციებს მოგცემს. შენ ყველაფერი ჩაინიშნე და საბოლოო დასკვნას მე დაგიწერ.

– დიდი მადლობა, ახლავე შევუდგები!

მეცადინეობის ბოლოს მონიშვნებით სავსე თაბახის ფურცელი აჩვენა თენგომ ლექტორს. ლექტორმა ჩაათვალიერა ჩანაწერები და ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა ჰკითხა:

– ნამდვილად ასეთი რეაქციები ჰქონდა ქიმიკატებზე? ლაკმუსმაც ასეთი ფერი მიიღო? შად ნახეთ ეს ქილა?

– ერთმა მეგობარმა დალია რედ ბული და ის ქილაა...

– შენ თვითონაც შეამჩნევდი რომ სასმელი, რომელიც ამ ქილაში ესხა სპირტი იყო... მაგრამ რა სისულელეა.. ხელოვნური სპირტი ეს სიცოცხლისთვის საშიშიც შეიძლება იყოს და გარდა ამისა ვფიქრობ რომელიდაცა სახეობის ფსიქოტროპული პრეპარატსაც შეიცავდა...

– ესეც საშიშია, ტრანკვილიზატორის ალკოჰოლთან შერევა, თავბრუსხვევას, გულისრევას იწვევს, შესაძლოა ცნობიერების დაკარგვამდე მიიყვანოს ადამიანი, მაგრამ ჩვენ შემთხვევაში ეს არ მოხდებოდა, რადგან კოფეინი, რომელიც ენერგეტიკულ სასმელებში უხვადაა, სპირტს ანეიტრალებს...

– თუ არ შეწუხდებით, იქნებ დასკვნა დამიწეროთ ბატონო გივი?

– თუ მე დაგიწერე რაღა რეფერატი გამოგივა? – გაიღიმა ლექტორმა – მაგრამ ვფიქრობ შენ აქ რეფერატი ნაკლებად გჭირდება დაწერ, მაგრამ გაფრთხილებ ასეთი ნაზავებით თამაში დიდ რისკთან არის დაკავშირებული... ხვალ მოდი და დასკვნა მზად

დაგხვდება

– დიდი მადლობა ბატონო გივი!

– აბა კარგად, დღევანდელ პრაქტიკულად კი ამას ჩაგითვლი და ნიშანს გიწერ!

მეორე დღეს თენგომ ქიმიური ანალიზის სრული დასკვნა მიიღო ლექტორისგან და მაშინვე გოგას დაურეკა.

– გამარჯობა გოგა! როგორ ხარ? მაპატიე, შენი თხოვნის შესრულება ცოტა დამაგვიანდა, მაგრამ ახლა დასკვნა მაქვს, სალამოს გამოიარე ჩემთან და ყველაფერს დაწვრილებით აგიხსნი.

– დიდი მადლობა თენგო! სკოლის შემდეგ გამოგვივლი!

უკვე მესამე გაკვეთილი მთავრდებოდა. გოგა ვერარ იხვეწებდა, უნდოდა მალევე გაეგო, რა დასკვნა დაწერეს რედ ბულის ქილაზე. “გამართლება თუ არა ჩემი ეჭვი? და თუ გამართლდა რანაირად დავუკავშირო ის ბესოს? კი შესაძლოა რამე გაეკეთებინა ბესოს, მაგრამ ეს არავის დაუნახავს და დანამდვილებით არც მე ვიცი. რედ ბულები მე მოვიტანე და დარწმუნებული ვარ არცერთი არ იყო დაზიანებული და მითუმეტეს გახვრეტილი... თუ დადასტურდა, რომ ნამდვილად ვიღაცამ ჩაყარა ზურას სასმელში რაიმე მომწამლველი ნივთიერება, მაშინ რა ვქნა? პრდაპირ გავაფრთხილო ზურა და მარიც, რომ ფრთხილად იყვნენ? არა, არ გამოვა, იქნებ ბესო მართლაც არაფერ შუაშია და ასეთი რამ მოწინააღმდეგე გუნდიდან მოიფიქრა ვინმემ? ყველამ იცოდა, რომ რაც კი თამაშები მოვიგეთ, ზურას დამსახურება იყო. ჯობს დაველოდო სალამომდე და თენგოსაც ვკითხავ, იქნებ მანაც მირჩიოს, როგორ მოვიქცე.” ასეთი ფიქრებით გაატარა გოგამ თითქმის მთელი დღე. შარამოს კი თენგოს სახლში ისხდნენმაგიდასტან და მსჯელობდნენ

– წავიკითხე თენგო ეს დასკვნა და მართლაც მართალი ვყოფილვარ მართლაც სპეციალურად იყო შერეული სხვა პრეპარატები სასმელში, იქნებ რამე შეცდომა გაიპარა და ვერ შეამჩნიეთ? იქნებ გაფუჭებული იყო სასმელი?

– არა გოგა, სასმელს რაც არ უნდა მოსვლოდა, სპირტი და ფსიქოტროპული ნივთიერება არ მოხვდებოდა შიგ თავისით სპეციალურად ჩაამატეს.

– სპირტის გემო რატომ ვერ იგრძნო მაშინ?

– შეიძლება იგრძნო კიდევაც, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია ან მართლაც ვერ გაიგო. ტესტმა აჩვენა, რომ შიგნით, სასმელში გლუკოზაც იყო, ალბათ თვითონ შეიცავდა. გლუკოზა კი სპირტის გემოს ანეიტრალებს, რაც შეეხება ტრანკვილიზატორს ის კი ნამ-

დვილად ვერ მოხვდებოდა ქილაში. გოგა, ვინც ეს გააკეთა კარგად იცოდა როგორ იმოქმედებდა ჩანანმატი და რა დოზა უნდა გამოეყენებინა

- _ გამოდის ქიმია უნდა სცოდნოდა კარგად ამის ჩამდენს?
- _ არ არის აუცილებელი... ინტერნეტი სავსეა სხვადასხვა წამლების დახასიათებით და მათი გვერდითი ეფექტების აღწერით, ეს ეს ყველაფერი გავიგეთ, მაგრამ აღარ იტყვი რა ხდება?
- _ ეჭვი მაქვს, რომ ეს ჩემმა ერთმა მეგობარმა მეორეს მოუწყო. გოგოს გამო ჰქონდათ კონფლიქტი...
- _ რა? გოგოს გამო? ასეთი რამის გაკეთება? მეც ფაქტიურად თქვენი თანატოლი ვარ და მაქსიმუმ გვეჩხუბა ხოლმე, ეს კი ნორმალურ ფარგლებში ვერ ჯდება, ჩათვალე თითქმის სასიკდილოდ გამეტებაა, ხომ შეიძლებოდა რაღაც შეშლოდა: ან წამალი ან დოზა...
- _ ეს მხოლოდ ეჭვია თენგო...
- _ მაინც, თუ ეს ვინმემ გოგოს გამო გააკეთა, მასთან ფრთხილად უნდა იყო... თუ შეგიძლია მითხრა, ვისზე ფიქრობ? ხვალევე შევხვდები და ყველაფერს “გავარკვევ” _ გაიღიმა თენგომ და თითები გაატკაცუნა.
- _ არა, არა, კიკბოქსინგი შენთვის შეინახე! _ გაიცინა გოგამ _ ეს ნამდვილად არ გაჭრის, ცემა-ტყეპით ვერ მოგვარდება საქმე! აბა კიდევ ერთხელ დიდი მადლობა და ნახვამდის!
- _ კაი, გოგა, შემოიარე ხოლმე ხანდახან, მარტო საქმისთვის ხომ არ უდა შევხვდეთ!
- _ მაგას აუცილებლად გამოვასწორებ, ოღონდ ცოტა მერე...
- _ კარგად გოგა, ფრთხილად იყავი!
ბესო მის სახლთან გაჩერებულ მანქანებს მიუახლოვდა და შავ შარვალ-კოსტუმში ჩაცმულ დაცვის უფროსს მიესალმა
- _ გამარჯობა ანზორ, როგორ ხარ? _ და ხელი ჩამოართვა
- _ გამარჯობა ბესო, შენ როგორ ხარ? როგორ მიდის სწავლის საქმე?
- _ კარგად, ნელ-ნელა გავდივარ მგონი ბოლოში!
- _ გადაწყვიტე სად ჩააბარებ?
- _ არა წელს შეიძლება არსად არ შევიდე... ერთ წელს დავისვენებ და მერე მივუბრუნდები სწავლას.
- _ შენ იცი... ისე დროს დაკარგვა რად გინდა?
- _ კარგი რა ანზორ, გთხოვ, მამაჩემივით არ დამიწყო.

– კარგი, კარგი! შენ ის მითხარი რა პრობლემა გაქვს? ბოლოს როცა ასეთი მოკითხვებით მოხვედი, პოლიციაში დამჭირდა მისვლა ვლა, პატრულის თანამშრომლებზე დაუმორჩილებლობის გამო რომ რომ შეადგინეს სენზე ოქმი.

– არა, მსგავსი არაფერია...

– იცოდე ბესო, თუ კიდევ რამეში გაეხვიე, აღარ დავუმალავ მამაშენს და მერე მართლა პრობლემები გექნება!

– არა სხვა რამეში მინდა გთხოვო დახმარება... შენ ბევრი ნაცნობი ბი და ახლობელი გყავს პოლიციაში, ეგ ყველამ იცის... ასეთ რამეს ვერ ვიზამთ: დავუშვათ ერთი ბიჭი, რომ “შევამოწმოთ” ასე ვთქვათ, ქუჩაში? და მას ჯიბეში რამე რომ უპოვონ... დანა ან

– ოპოო! ეგ რაღაც უცნაურს მთხოვ ბესო! შენ სერიოზულ უსაიმოვ-ბებებს ეძებ, როგორც ვატყობ! ფრთხილად იყავი! ჩათვალე რომ რომ არაფერი გამიგია!”

– უბრალოდ მისი შეშინებ მინდა ანზორ... _ დაიბნა ბესო

– მუშტით შეაშინე თუ შესძლებ... შენს ასაკში პრობლემებს ჩემით ვაგვარებდი.

– აქ სხვა რამ არის... _ ბესომ თვალი აარიდა ანზორის მზერას გოგოს ეხება საქმე და მინდა მისი თანდასწრებით მოუწყონ ამ ბიჭს ჩხრეკა ან რამე მსგავსი...

– ბესო, მე შენი სულელური თამაშებისათვის არ მცალია და შენც გირჩევ ასეთ სისულელეებზე არც კი იფიქრო!

– თუ არ დამეხმარები, ყველაფერს ვიზამ, რომ მამჩემმა სამსახური-დან გაგიშვას!

საერთოდ გაწონასწორებული კაცი იყო ანზორი, ახლა მანაც დაკარგა მოთმინება, ბესოს ხელი საყელოში ჩაავლო და გვარიანად შეანჯღრი.

– მომისმინე, ლაწირაკო! მე მამაშენთან ვმუშაობ და ის მიხდის ფულს და არა შენ! ასეთ რამეს გაიმეორებ და გარწმუნებ არც სამსახურს მივაქცევ ყურადღებას და ველარც მამსენს გავუწევ ხათრს! მაშინ კი შენს თავს დააბრალებ!

დაცვის სამსახურის დანარჩენი თანამშრომლები უმალ შემოეხვივნენ მათ, ძლივს გამოჰგლიჯეს ბესო ხელიდან დაცვის უფროსს

– ბატონო ანზორ, გთხოვთ დაწყნარდით, არ გინდათ...

– ბესო, შენ ხომ არ გაგიჟდი?

ანზორი ისევ მანქანასი ჩაჯდა, რაცია აიღო და გადასცა:

– “ობიექტი” გამოდის, მოემზადეთ გასასვლელად! _ შემდეგ სიგარეტს მოუკიდა და მძლოლს გადახედა

– გათამამებული და თავგასული ლაწირაკია! ბატონი ივანეს ხათრი რომ არა, აქამდე ასჯერ იყო მისაბეგვი!

– კარგით ბატონო ანზორ, ამაზე ფიქრიც არ ღირს.

გაწბილებული ბესო სახლში შევარდა, კარებში მამას შეეფეთა.

– ოჰო, ბესო, როგორ ხარ? სად იყავი? სკოლაში რა ხდება?

– არაფერი, მამა, რა უდა ხდებოდეს? ჩვეულებრივი დღეა! – უკმეხად უპასუხა ბესომ და ოთახში შევიდა

– რა მოუვიდა ამ ბიჭს? – ჰკითხა სახლიდან გამოსულ მეუღლეს ვანომ – მგონი სულ წავიდა ხელიდან!

– ჰოდა შენი ბრალია! ერთხელ მაინც დაინტერესდი რას აკეთებს ან ან შენიშვნა მიეცი, ან ეჩხუბე...

– ხომ იცი ათასი კონტრაქტი გვაქვს სამსახურში გაფორმებული და ყველაფერს ჩემი თვალი სჭირდება! შჯობია შენ მიხედო, სახლში უფრო შენ ხარ!

– შენ გეპასუხება უკმეხად და მე საერთოდ აღარაფრად მაგდებს!

– კარგი, მოვიცილი და სერიოზულად დაველაპარაკები!

ბესომ ფანჯრიდან გააყოლა თვალი მამის მანქანას და მის უკან მიმავალ დაცვის სამსახურის მანქანების ესკორტს. გამწარებულმა დაიწყო ოთახში აქეთ-იქით სიარული. “რა მოვიფიქრო ან ვის მივმართო? მარი საერთოდ ველარ უნდა ხედავდეს ზურას, რომ რამე მოვახერხო ალბათ...” ეს გაიფიქრა ბესომდა მოულოდნელად ტელეფონმა დარეკა. მობილურს დახედა, უცნობი ნომერი იყო.

– გისმენთ!

– გამარჯობა ბესო! მე მერაბი ვარ, მამაშენის დაცვიდან... წედან უნებურად მოვისმინე შენი და ანზორის საუბარი. შემიძლია მე დაგეხმარო, ოღონდ შენგანაც დამჭირდება...

– მართლა შესძლებ? – ვერ მოითმინა და შეაწყვეტინა ბესომ ლაპარაკი – შენ ხომ არ იცი, ბოლომდე, რისი თხოვნა მინდა?

– ძნელი მისახვედრი არ არის, სტუდენტობა ოთხმოცდაათიან წლებში გამოვიარე, მაშინ ასეთ მეთოდებს ფულოის საკეთებლად იყენებდნენ... ეს სატელეფონო საუბარი არ არის, ხვალ მე მოგაკითხავ სკოლაში და მაშინ მითხარ დაწვრილებით რისი გაკეთებაც გინდა

– კარგი, გელოდები მერაბ, გპირდები, ვალში არ დავრჩები შენთან მეორე დრეს მერაბმა მანქანით მიაკითხა ბესოს სკოლაში.

– ნამდვილად შესძლებ დახმარებას მერაბ? – ჰკითხა ბესომ როდესაც გზაზე გავიდნენ.

- _ ეხლა შეგიძლია მითხრა, რა გჭირდება და მე გეტყვი შევძლებ თუ არა და ეს რა დაჯდება.
- _ ამას გოგოს გამო ვაკეთებ. მინდა რომ, ასე ვთქვათ ჩემს მეტოქეს პრობლემები შეექმნას პოლიციასთან.
- _ სხვა არაფერი? მაგრამ რა სახის პრობლემები?
- _ საჭიროა, რომ ის თავის შეყვარებულთან ერთად პატრულმა გააჩეროს და გაჩხრიკოს.
- _ ეგ ძალიან ადვილია, მაგრამ გავჩხრეკთ და მერე რა? არ მესმის შენ რა სარგებელს ნახავ.
- _ მას ჩანთაში, ან ჯიბეში მსუბუქი ნარკოტიკი ექნება, მოსაწევი რა!
- _ ეწევა? საიდან იცი?
- _ არა, არ ეწევა, მაგრამ ამაზე მე ვიზრუნებ...
- _ ეგ ყველაფერი ტექნიკური თვალსაზრისით გაკეთდება, მაგრამ მოსაწევის გამო ციხეში არავის უშვებენ, უკეთეს შემთხვევაში შეიძლება დააჯარიმონ, თან თუ ექსპერტიზა აჩვენებს, რომ საერთოდ მოწეულიც კი არ აქვს, საერთოდ შეეშვებიან, იმ რაოდენობის ნარკოტიკი კი, რომ გაყიდვა დააბრალონ, არ მგონია მგონია აღმოაჩნდეს.
- _ ეგ მთავარი არ არის, საკმარისია, რომ პოლიციის მანქანაში ჩაადონ, რამე ოქმი დაწერონ, მაგრამ, თუ რამე სერიოზულს შესძლებენ მე წინააღმდეგი არ ვიქნები.
- _ სერიოზულს ვერ შეგპირდები, თვითონ ეგეც რასაც მთხოვ, სამხილების გაყალბება თუ არა სამსახურეობრივი მოვალეობის გადამეტება მაინც არის. გულახდილად გეტყვი, რომ თუმცა ის პოლიციელები, ვინც ამას გააკეთებენ, ჩემი ახლობლები არიან, მაგრამ ფულის გარეშე ასეთ რისკზე არ წავლენ.
- _ ფული არ არის პრობლემა, შენ ხომ მიცნობ? უფრო სწორედ მამაჩემს იცნობ...
- _ გასაგებია, ფული არის, მაგრამ მოსაწევს სად იშოვი?
- _ ფული იყოს, თორემ “პლანს” კი არა ჰეროინსაც იშოვი, მაგრამ რატომ მეკითხები? ფულს გიხდი, შენ აკეთებ სხვა არაფერი! იქნებ ნებ ანზორმა მოგაგზავნა? _ ბესოს ხმაში აშკარად დაეტყო გაღიზიანება.
- _ არა, რა სისულელეა! ანზორმა რომ გაიგოს, მარტო სამსახურიდან დან გაგდებას არ მაკმარებს და მეც ვფრთხილობ... შენ რომ ნარკოტიკი აღმოგიჩინონ, მაშინ მეც “ვიწვეები”

– ეგ ჩემი პრობლემაა! თუ შენ არ იტყვი, ვერც გაიგებს ვერავინ
 – კარგი, გასაგებია, მაგრამ ისე, ჩემთვის მაინტერესებს უბრალოდ ის
 ბიჭი ვინ არის, ვისაც ამ ყველაფერს უმზადებ?
 – ჩემი ძმაცაა! – ცივად თქვა ბესომ
 მერაბმა გაკვირვებით შეხედა, მხრები აიჩეჩა და ისევ განაგრძო
 – უცნაურია, თუმცა ჩემთვის სულ ერთია! ჩემი საქმე არ არის...
 მთავარია ფასზე შევთაბხმდე... – ჯიბიდან კალამი ამოიღო და
 ფურცლის ნაგლეჯზე თანხა წააწერა.
 – ამდენი? – ეუცნაურა ბესოსაც
 – თქვენი ოჯახისთვის არაფერია, რამდენადაც ვიცი ბესო, ხალხი კი
 ამაზე ნაკლებად არ წავა ამ საქმეზე, თანახმა ხარ?
 – თანახმა ვარ!
 – მაშინ როცა ყველაფერს მოამზადებ, ერთი დღით ადრე მაინც უნდა
 მითხრა: ვის ვხვდებით, სად და რომელ საათზე. ფულს მხოლოდ
 მხოლოდ საქმის დასრულების შემდეგ მოგთხოვ. მოვრიგდით?
 მერაბმა ხელი გაუწოდა ბესოს. ბესომაც გაუწოდა ხელი და კმაყოფილი
 ღიმილით თავი დაუქნია. ბესო ამჯერად მართლაც კმაყოფილი დარჩა
 გარიგებისგან. თუმცა მერაბმა საკმაო თანხა მოსთხოვა, მაგრამ ეს არაფერი
 იყო, ოღონდ მიზნისთვის მიეღწია. იმავე ღამით, ბესომ თავის
 გარდერობიდან ახალი ფეხსაცმელები გამოიღო (ეს ფეხსაცმელები შარშან
 იყიდა და აქამდე არ ჩაეცვა, მის დედას კიდევაც უკვირდა, რატომ არ
 იცმევდა და ინახავდა, რამდენჯერმე ჰკითხა კიდეც, მაგრამ ბესომ
 შეკითხვას თავი აარიდა და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა) მაგიდას
 მიუჯდა, ლამპა აანთო, ფეხსაცმლის ქუსლი ოდნავ ზემოთ ასწია და
 გვერდით მიატრიალა. ქუსლის შიგნით სამალავი იყო, რომელშიც
 ცელოფანში გახვეული მწვანე ბალახის მასა იდო. ბესოს კმაყოფილებისგან
 გაედინა. “რა კარგია, რომ მივიწყებული ფეხსაცმელი გამომადგა... კიდეც
 კარგი, რომ იმ სულელი პაატას ჩამოტანილი “პლანი” ჩუმად შევინახე, იმ
 იდიოტს კი ეგონა, რომ მოვწიე... არ მიკვირს, ოცდაათი წლის არის თითქმის
 და სულ გამოტვინდა ამის მოწვეით! მიკვირს აქამდე წამლის კეთებაც არ
 დაიწყო, თუმცა ვინ იცის” (პაატა ბესოს მამის შორეული ნათესავი იყო,
 ერთი პერიოდი მისი ფირმებიდან ერთ-ერთში მუშაობდა მენეჯერად,
 მაგრამ შემდეგ ნარკოტიკებს მიეძალა რატომღაც... თუმცა ძირითადად
 “პლანს” ანუ “მარიხუანას” ეწეოდა, როგორც კი ბესოს მამამ შეიტყო ამის
 შესახებ, დაუყოვნებლივ გაათავისუფლა სამსახურიდან. მანამდე მას
 ბესოსთან ხშირი ურთიერთობა ჰქონდა და სწორედ მაშინ მოუტანა ერთხელ
 “საჩუქრად” “მოსაწევი” და ეს საკმაოდ დიდი პაკეტი იყო. უნდა ითქვას, რომ

ბესო ასეთ რამეს არ ეტანებოდა, ამიტომ ფეხსაცმლის ქუსლში გააკეთა სამალავი და იქ ინახავდა ნარკოტიკს.) “ახლა კი, ზურა, შენს წინააღმდეგ გამოვიყენებ ამ “საჩუქარს”... _ ფიქრობდა ბესო _ “როგორ მინდა მარის სახე დავინახო, როდესაც ამ “პლანს” შენ აღმოგიჩენენ! რა გეგონა ზურა, შეურაცხყოფას დავივიწყებდი? გარდა იმისა, რომ მარის სიყვარული მომტაცე, შემდეგ აიძულე ასე უხეშად უკან მოგედო ჩემთვის საჩუქარი!” ოთახის კარებზე კაკუნმა გამოაფხიზლა ბესო.

_ ბესო, როგორ ხარ? ვის ელაპარაკები? შენი ხმა სამზარეულოში გავიგე! კარგად ხარ? _ კითხულობდა დედა.

ფიქრებში წასულმა ბესომ ვერც კი შეამჩნია, როგორ დაიწყო ჩურჩული და ეს საკმაოდ ხმამაღალ ლაპარაკში გადაეხარდა

_ არაფერია დედა! უბრალოდ ხმამაღლა ვფანტაზიორობ... !

_ კარგი, თუმცა მეუცნაურა, მგონი ემუქრებოდი ვიღაცას?

_ არა არაფერია დედა, ნუ ინერვიულებ!

_ კარგი, კარგი... ვახშამზე გამოდი, გელოდებით!

_ გამოვალ!

ბესომ “მარიხუანი” სავსე პაკეტი ჩანთაში ჩაიდო “ზურა კვლავ ვარჯიშს დაუბრუნდა, ძალიან მალე აპატიეს ფეხბურთის მატჩის წაგება...” _ ისევ ფიქრებმა ჩაითრიეს ბესო _ “ჰოდა მის ჩანთაში მივუჩენ ადგილს, ან მის ჯიბეში ჩავდებ ამ “ბალახს” _ უცნაური სიამოვნება, თუ სიმშვიდე იგრძნო ამის გაფიქრებისას, არადამიანურად ცივად გადაიხარხარა და ოთახიდან გავიდა.

ზურასთვის და მარისთვის ყველაფერი ჩვეულებრივად მიდიოდა. მათი ყოველდღიური ცხოვრება სიხარულით და ბედნიერებით იყო სავსე. უმეტეს დროს ერთმანეთის გვერდზე ატარებდნენ: სკოლაში, სკლიდან სახლში და პირიქით... სახლიდან სკოლაში... ერთმანეთის გვერდით, როგორც ყველა შეყვარებული, ყოველ წუთს სიყვარულის ვარდისფერ ნისლში იყვნენ გახვეული, მხოლოდ თავიანთ გრძნობებზე, მხოლოდ ერთმანეთზე და მომავალ ბედნიერებაზე ფიქრობდნენ... ოცნებობდნენ... ეს ყველაფერი, მათ რეალობას ამორებდა, ამიტომ ვერ ამჩნევდნენ გოგას სიფრთხილეს და გულჩახვეულობას, რომელიც არასდროს სჩვეოდა... ვერც ბესოს მეგობრული ქცევისა და თითქოს სინანულის მიღმა არსებულ საფრთხეს... მიუხედავად იმისა, რომ ბესო ამჩნევდა გოგას ყურადღებას და ფრთხილობდა, მაინც შესძლო მარისთან და ზურასთან წინანდელი, მეგობრული ურთიერთობის დაბრუნება, რადგან სიყვარულით გაბრუებული ზურა და მარი, ყველასა და ყველაფერში მხოლოდ კარგს ხედავდნენ...

შაბათობით, დილიდანვე, მარის ყოველთვის გამორჩეული განწყობა ჰქონდა, რადგან მას და ზურას ყოველ შაბათს შეხვედრა ჰქონდათ დათქმული თეატრის ბაღში, რომელსაც “ჩვენს ბაღს” ეძახდნენ ხუმრობით. ნოემბრის თვის ბოლო შაბათი იყო. მარი, ჩვეულებრივად ადრე ადაგა, სწრაფად გამოეწყო, სარკესთან დიდხანს არ დაუყოვნებია, თუმცა თავის ანარეკლს დაკვირვებით ათვალიერებდა სარკეში, რომ რამე არ გამორჩენოდა: ან ჩაცმულობის დეტალი, ან მაკიაჟი... მისი თვალები სიხარულსა და ბედნიერებას ასხივებდნენ. თუ ადრე ის და ზურა ჩუმად ხვდებოდნენ ერთმანეთს და ცოტა ხნით მაინც სეირნობდნენ ქალაქში, ბოლო დროს, რაც მათი ურთიერთობა გაღრმავდა და თითქმის ყველა ახლობელმა და მშბლებმაც გაიგეს მათი სიყვარულის შესახებ, მთელ დღეებს ატარებდნენ ერთად... ხან ქალაქგარეთ, ხან კინოში, ხან პარკში... ზოგჯერ კი ერთად დადიოდნენ სტუმრად მეგობრებთან და კლასელებთან. დღეს კი განსაკუთრებით ემზადებოდა მარი. უნდოდა ოფიციალურად ეთქვა მშობლებისთვის, რომ ზურასთან შესახვედრად მიდიოდა... შეყვარებულთან შესახვედრად... სარკეში კიდევ ერთხელ შეათვალიერა თავი “ნეტავ დედა რას იტყვის? კი ხვდებიან, რომ ზურასთან შესახვედრად მივდივარ ხოლმე, მაგრამ მაინც მერიდება” – მარის ოდნავ შეეფაკლა სახე, გაელიმა – “პირდაპირ ვეტყვი დედას, რომ უკვე სერიოზულად ვფიქრობთ მომავალზე და თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილია”

– როგორ გეძინა მარი? – ჰკითხა საუზმის დროს დედამ – დღეს, როგორც ყოველ შაბათს, განსაკუთრებით ლამაზი გოგო ხარ!

მარის მორცხვად გაელიმა, არაფერი უთქვამს.

– ზურას მოკითხვა გადაეცი – თუმცა ღიმილით, მაგრამ სერიოზული ხმით უთხრა დედამ. მარის სახე თხოვნისა და იმედის სხივებმა გაანათეს და პირდაპირ შეხედა დედას.

– დედა, მინდოდა მეთქვა შენთვის და მამასთვის... ზურას უნდა შევხვდე... ყველაფერი სერიოზულად გვაქვს დაგეგმილი... სწავლაც... ჩვენც... დიდხანს არ დაგვაგვიანდება... – მაინც დაიბნა მარი და დედას შეხედა მორცხვად.

– კარგი შვილო, მესმის, მამა სახლში არ არის და რომ მოვა მე თვითონ ვეტყვი, შენ არ იდარდო! ოღონდ შემპირდი, რომ ფრთხილად იქნებით და სადამოს ძალიან არ დაიგვიანებთ, თუ ქალაქგარეთ გახვალთ, წინასწარ დარეკე... ზურას იმედი კი მაქვს, მაგრამ ხომ იცი, ქლქში ათასი უცნაური ადამიანი დადის

– მაღლობა დედა! შენ არ ინერვიულო, ფრთხილად ვიქნებით! შენ ყველაზე საუკეთესო დედა ხარ!

მარი ზურასთან შესახვედრად წავიდა, თუმცა ქუჩას დაფიქრებული მიუყვებოდა, გული მაინც სიხარულით უცემდა შეხვედრის მოლოდინში ზურა თეატრის ბაღში დახვდა. ხელში, ვერცხლისფერ ქაღალდში სადღესასწაულოდ შეფუთული ატლასისფერი, ვარდი ეჭირა. მარის დანახვისთანავე მასთან მივიდა და ვარდი გაუწოდა.

– ეს შენ, ჩემო სიყვარულო! როცა გელოდები წუთი საუკუნედ მეჩვენება ხოლმე! – ზურამ წელზე მოჰხვია ხელი და ნაზად აკოცა ლოყაზე, რომელიც გოგონას ატმისფრად შეფერვოდა სიცივიგან. მარიმ მორცხვად გასწია თავი გვერდზე, შემდეგ მირთმეულ ვარდს დახედა.

– ძალიან ლამაზია ზურა! დიდი მადლობა! ძალიან გამახარე! მიყვარხარ!

– მეც ძალიან მიყვარხარ მარი! ჩვენ ვერაფერი დაგვაშორებს, შენ დამო სიცოცხლესაც დავთმობ!

მარიმ ხელზე გამოსდო ხელი ზურას და ასე გაუყვნენ ბაღს ნელი ნაბიჯებით.

– იცი, ზურა, გადავწყვიტე უცხო ენებზე აღარ ჩავაბარო... სკოლის შემდეგ შენთან ერთად, შევალ სასწავლებლად, ჟურნალისტიკაზე და იმ უნივერსიტეტში, სადაც შენ იქნები, რომ სულ ერთად ვიყოთ!

– რა თქმა უნდა ჩემო პრინცესა! ძალიან გამახარებ ამით! შენი სიტყვა ჩემთვის კანონია! შენს გვერდით ყოფნას არაფერი მირჩევნია!

– ზურა, უფრო და უფრო მიყვარდები ყოველ წამს, შენის კეთილი ხასიათისა და სიყვარულის გამო!

– მარ, მინდა სადილზე დაგპატიჟო ჩვენთან, დედაჩემმაც მითხრა,

მოიყვანეო, შენი ახლოს გაცნობა უნდა, იმედია, უარს არ მეტყვი

– მე ხომ ადრეც ვარ ნამყოფი თქვენთან და ხშირადაც...

– არა, არა, შენ, როგორც ჩემი შეყვარებული, ისე ხარ მოწვეული

– რა ვიცი ზურა, სიმართლე გითხრა, მერიდებია... ხომ იცი დიდ პატივს ვცემ შენს მშობლებს, მაგრამ მრცხვენია!

– რისი გრცხვენია ძვირფასო? პირიქით, შენ ჩემს მშობლებთან შეხვედრა და დაახლოება არ უნდა მოგერიდოს... მე არ გამძალებ მარ, მხოლოდ გულით გთხოვ, უარს ნუ ნეტყვი!

– კარგი, ზურა, ხვალ, შუადღისას გამომიარე და წამოვალ!

– ძალიან დიდი მადლობა ჩემო ფერია! ძალიან მიყვარხარ!

მთელი დღე და საღამო ერთად გაატარეს მარიმ და ზურამ. სეირნობაში და საუბარში შემოადამდათ, სიყვარულის სამყაროში დაკარგულებს... საღამო

ნელ-ნელა გამუქდა და ღამემ ხარბად ჩაყლაპა სახლები, ქალაქის ქუჩები, ხეები, მანქანები...

- _ ახლა სჯობია სახლამდე მიგაცილო მარ! თორემ შენები ინერ-ვიულებენ, თუმცა შენთან დაშორება ერთი წამითაც არ მინდა!
- _ კარგი ზურა, როგორც იტყვი... მეც აე მინდა შენთან განშორება და ხვალ მოუთმენლად დაგელოდები!

შეყვარებული წყვილი ნელა მიუყვებოდა ქუჩას. მარი და ზურა ისევ სიყვარულზე, მომავალზე, სასიამოვნო თემებზე საუბრობდნენ, ისევ და ისევ სიყვარულს უხსნიდნენ ერთმანეთს... მთვარის სხივების ათინათი ციმციმებდა მათ სახეებზე... თითქოს ისიც ცდილობდა, რომანტიკული სადამო ეჩუქებინა შეყვარებულებისთვის... თითქოს ისიც მთვრალი იყო მათი სიყვარულით.

მეორე დღით მარი განსაკუთრებულად მხიარულ და იდუმალ ხასიათზე იყო თითქოს. ჩუმად ღიღინებდა სარკის წინ და გრძელ თმებს ნელ-ნელა ივარცხნიდა. ზურას მიერ ნათქვამი ტკბილი, სასიყვარულო სიტყვები ახლაც ჩაესმოდა ყურებში...

- _ დილა მშვიდობისა დედიკო, როგორ ხარ?
- _ გამარჯობა, მარი! გეტყობა, ძალიან მხიარული ხარ!
- _ არა, ჩვე-უ-ლებ-რი-ვად! _ დამარცვლით წარმოთქვა მარიმ და ტუჩები ბედნიერებით სავსე ღიმილმა დაუშვენია
- _ გუშინ სადამოს ცოტა შეგაგვიანდათ, მაგრამ არაფერია!
- _ მამა სახლშია თუ წავიდა?
- _ კი, შვილო, წავიდა.
- _ დღეს ხომ კვირაა?
- _ უცხოელების დელეგაციაა მათთან სამუშაოზე ჩამოსული და დღეს ქალაქის ღირსშესანიშნაობებს ათვალიერებენ.
- _ გუშინდელ ჩემს საქციელზე ხომ არ გაბრაზდა? მართლა დავაგვიანეთ! ისე გავიდა დრო, ვერც შევამჩნიე.
- _ არა, არ გაბრაზებულა, მე ავუხსენი ყველაფერი!
- _ დედა, იცი, დღეს ზურასთან ვარ მიწვეული, ოჯახურ სადილზე, ძალიან კი მერიდება, მაგრამ უარი ვერ ვთქვი... ვიფიქრე, რომ ირა დეიდას ეწყინება, რომ არ წავიდე.

დედამ ნაზად გადაუსვა მარის ხელი თმებზე.

- _ შენ მართლა ჩემი ჭკვიანი გოგო ხარ! კარგი გიქნია, რომ და-თანხმდი, ზურას გვერდით იქნები, გაერთობი, თან დაახლოებას შესძლებ ირასთან. ჯობია, თუ კარგი ურთიერთობა გექნება მომავალ დედამთილთან.

- _ კარგი რა დედა! _ ღიმილით შეაწყვეტინა მარიმ და გაწითლდა ჩვენ ჯერ არ ვაპირებთ ქორწინებას... და ეხლა უფრო უხერხულად ვიგრძნობ თავს მათთან...
- _ კარგი მარი, არ გაბრაზდე, ყველაფერს კარგად გაართმევ თავს!
- _ არ ვიცი დედა, ძალიან უხერხულად ვგრძნობ თავს, მაგრამ რომ არ წავიდე ზურასაც ეწყინება... რომ გადავიფიქრო...
- _ შენ რაღაცის გეშინია შინაგანად მარი. მესმის, თქვენი სიყვარული შეიძლება ითქვას, ზავშურცი არის, მაგრამ მას გაფრთხილება სჭირდება... ეს ხომ ორივემ იცით?
- _ ვიცი დედა და ხან იმასაც ვფიქრობ, რომ შეიძლება ჩვენი სიყვარული ხანგრძლივი არ აღმოჩნდეს... _ მარის ხმაში მოწყენილობა დაეტყო, თვალებიც სევდით აევსო.
- _ რატომ მარი? რატომ ამბობ მაგას? ზურასგან ხომ არ იგრძენი რამე?
- _ არა, არა! ზურას ისევ ისე ვუყვარვარ! მის განწყობას და გრძნობას ყოველთვის ვგრძნობ... მაგრამ ხანდახან მეშინია, ჩვენს ცხოვრებაში ისეთი რამე არ მოხდეს რაც ძალიან მატკენს გულს...
- _ ცუდზე ნუ იფიქრებ მარი, ხომ ხედავ, თვითონაც ამბობ, რომ ყველაფერი კარგად არის, ღმერთის წყალობით! და ასეც იქნება, მიუხედავად დაბრკოლებებისა, რომელიც, დრო და დრო აუცილებლად შეგხვდება... ვიცი, შენ გარეგნულად სათუთი და ფაქიზი ადამიანი ხარ, მაგრამ შენში ძალა არის და ეს ძალა უნდა გამოიყენო, რომ ყველაფერს გაუძლო. შენ იცი, რო ცხოვრებაში ძლიერი უნდა იყო, რომ რამეს მიაღწიო, უფრო მეტად ძლიერი, რომ ნამდვილი სიყვარული გქონდეს და შეინარჩუნო ეს გრძნობა!
- დედამ ღიმილით მოჰხვია მარის ხელი და გულზე მიიკრა.
- _ არ მინდა ლექციასავით გამომივიდეს მარი, შენ უკვე დიდი ხარ, გადაწყვეტილებებსაც აქამდე სწორს იღებდი და იმედი მაქვს მომავალშიც ასე იქნება, მაგრამ ერთი ცნობილი მწერლის თუ ფილოსოფოსის სიტყვები გამახსენდა: “შეუძლებელია ცხოვრება ზა, თუ არ გაქვს მიზანი, თუ არ გაქვს ბუდე. თუ არც მიზანი გაქვს და არც ბუდე, ვერც იარსებებ, უეჭველად დაიღუპები” თქვენი მიზანი ამჟამად სკოლის დამთავრება და სწავლის გაგრძელებაა, ხოლო მომავალ ბუდეს თქვენი სიყვარულით შექმნით. მარი დედას ჩაეხუტა.
- _ დედა, იცი, ძალიან მამშვიდებს შენთან საუბარი. შენ ჩემზე ბევრი რი გაიარე ცხოვრებაში და მეც მინდა, როგორც შენ ამბობ,

ძლიერი ვიყო, გავუმკლავდე ყველა სიძნელეს რაც კი იქნება, ხანდახან მეშინია ამის, მაგრამ ვიცი, რომ შევძლებ, თუ ჩემი სიცოცხლე ყოველთვის სიყვარულით იქნება სავსე!

_ ასეც იქნება შვილო! მომწონს შენი მსჯელობა და ჩვენ კი მე და მამაშენი ყოველთვის დაგეხმარებით ყველაფერში.

დედასთან სასიამოვნო საუბრის შემდეგ, მარი თავის ოთახში შევიდა მეცადინეობა დაიწყო, მაგრამ რატომღაც გული ვერ დაუდო, თუმცა ესეც ბუნებრივი იყო, შინაგანად ღელავდა ზურას ოჯახთან შეხვედრის გამო. ეს პირველად იყო, როცა ოფიციალურად, ასე ვთქვათ შეყვარებულის სტატუსით უნდა გაცნობოდა ზურას მშობლებს. უნებლიედ ჩაფიქრდა. თვალწინ გაურბინეს წინა საათებმა... დღეებმა... ზურას გვერდით გატარებულმა წუთებმა... სიყვარულის პირველმა ახსნამ და პირველად მორთმეული ყვავილების თაიგულმა... ბავშვობიდან წამოსული მეგობრების სახეებმა, ბავშვობის სიხარულმა და ბავშვურმა კინკლაობებმაც, რომელთა ახლა გახსენება მხოლოდ სასიამოვნო ღიმილს იწვევდა... ახლა კი უმთავრესი ეტაპი იწყებოდა, რომელსაც მთელი სიცოცხლე უნდა განესაზღვრა. ფიქრებში გართულმა მარამ ვერც კი შეამჩნია დროის გასვლა, საასწრაფოდ დაიწყო მომზადება. მალევე ლამაზად გამოწყობილი გამოვიდა თავის ოთახიდან და სასტუმრო ოთახში შევიდა. მოუთმენლად ელოდა ზურას მოსვლას... მალე ზურამაც გამოუარა და ერთად წავიდნენ, თუმცა მარის ღელვა უსაფუძვლო გამოდგა, ზურას სახლში ძალიან თბილად მიიღეს და რამდენიმე წუთში გაუარა მღელვარებამ და უხერხულების გრძნობამაც. ქალბატონ ირასთან სასიამოვნო საუბარი ჰქონდა და დროც ძალიან მხიარულად გაატარა ზურასთან.

_ მარი, კმაყოფილი ხარ დრევანდელი დღით? _ ჰკითხა ზურამ, როდესაც სარამოს სახლამდე მიაცილა.

_ ძალიან ზურა! არაჩვეულებრივი ოჯახი გყავს, ისეთივე კარგი, როგორც თვითონ ხარ! მაგრამ ვშიშობ მათი იმედები ვერ გავამართლე... _ გაედიმა მარის.

_ არა, ძვირფასო, ჩემები ძალიან გახარებულები არიან შენით, და და ჩვენ ურთიერთობას მთელი გულით დაუჭერენ მხარს! მე კი იმით ვარ გახარებული, უკვე სახლშიც თამამად შემიძლია და-გიძახო ჩემი ერთადერთი და განუმეორებელი სიყვარული!

_ მეც უსაზღვროდ ბედნიერი ვარ ზურა! მადლობა დრევანდელი სარამოსთვის!

_ პრიქით, ძვირფასო! მადლობა სტუმრობისთვის ძალიან, ძალიან მიყვარხარ!

– მეც, უსაზღვროდ!

ბესო ისევ თავისი გეგმის განხორციელებაზე ფიქრობდა. ნარკოტიკი კი მზად ჰქონდა, მაგრამ შესაფერის მომენტს ვერ პოულობდა, რომ ზურას ჩანთაში, ქურთუკის სარჩულში ან ჯიბეში ჩაედო. სკოლის გარდერობში, სადაც ტანსაცმელს ტოვებდნენ, მთელი დღის განმავლობაში მეგარდერობე მორიგეობდა, ძნელი იქნებოდა ამის გაკეთება, თან ისიც კარგად ესმოდა, რომ ნარკოტიკი ჩადებიდან ძალიან მოკლე დროში უნდა აღმოეჩინათ. თუ რამდენიმე დღე გავიდოდა, შესაძლოა ზურას თვითონ შეემჩნია ტანსაცმელში სამალავი. ბესო თავიდან ფიქრობდა, რომ ყველაზე ადვილი ამის გაკეთება ვარჯიშზე შეიძლებოდა, სადაც ზურა რეგულარულად დადიოდა, მაგრამ აქ სხვა რაღაც იყო ხელისშემშლელი: ბესოსთვის აუცილებელი იყო, რომ ზურას გვერდით მარი ყოფილიყო, როდესაც მას ნარკოტიკს აღმოუჩენდნენ. ყველაზე ადვილი ნარკოტიკის ჩადება სპორტულ დარბაზში იყო, მაგრამ აქაც: მარი თითქმის არასდროს ხვდებოდა ზურას. ბესო იძულებული იყო რჩევისთვის ისევ მერაბისთვის მიემართა.

– შენით ვეღარ “იჩალიჩე”? – გაეღიმა მერაბს – კარგი ამაშიც დაგეხმარები, მაგრამ სამაგიეროდ გარიგების პირობები იქნება დამატებული...

– ფული პრობლემა არ არის მერაბ, შენ იცი...

– არა, ფული საკმარისია, მე ამას გეტყვი: უნივერსამის გვერდით ერთი პატარა, მყუდრო რესტორანია, “ბერმუხა”, შეიძლება იცი კიდევაც...

– მოიცადე მერაბ, ვერ გავიგე, ფული რატომ არა?

– ამას ბოლოს გეტყვი, ახლა მისმინე: მოიფიქრე, რამე მიზეზი, რომ მთელი შენი კლასი იქ წვეულებაზე მოიწვიო, დაიმახსოვრე მთელი კლასი და ერთი ან რამდენიმე მეგობარი, რამდენიმე ადამიანს შორის ერთ-ერთს თუ ნარკოტიკს აღმოუჩენენ, პოლიციას ეჭვი გაუჩნდება, რომ ეს მოწყობილია, მითუმეტეს, როცა გაიგებს გაიგებს, რომ შენ და შენს ასე ვთქვათ “მეგობარს” უთანხმოება და ჩხუბი გქონდათ ერთმანეთში გოგოს გამო...

– მე არ მინდა ამ დონის გართულებები და სერიოზული გამოძიება უბრალოდ აღმოუჩინეთ მას ნარკოტიკი შეყვარებულის თანდასწრებით, ჩატენონ პოლიციის მანქანაში, რამე ოქმი შეადგინონ და დააჯარიმონ... მაქსიმუმია ეს ყველაფერი!

– უცნაურია, ბესო წინა შეხვედრაზე შენ თანახმა იყავი, რომ თუ საჭირო იქნებოდა და მოხერხდებოდა, დაეჭირათ კიდევ?

– იცი? ეგ შენი საქმე არ არის, მე გიხდი და შენ აკეთებ, ისე

- როგორც გეტყვი! ეს საკმარისი არ იქნება?
- _ გასაგებია ბესო, გავაგრძელოთ _ შეარბილა ლაპარაკი მერაბმა რადგან მიხვდა, რომ უკვე ზედმეტად აღიზიანდა ბესოს ეს კი შეაძლოა გარიგების ჩაშლის და ფულის დაკარგვის მიზეზი გამხდარიყო
 - _ ძალიან კარგი! ჰოდა გისმენ, გააგრძელე!
 - _ შენს მეგობარს ნარკოტიკს აღმოუჩენენ, ის რა თქმა უნდა უარყოფს და იტყვის, რომ ეს მისი არ არის, მაგრამ მსუბუქ პრესში მაინც გაატარებენ... ეს არ იქნება საკმარისი?
 - _ მე გითხარი, რომ თუნდაც უბრალოდ გაჩხრიკონ და პლანი აღმოუჩინონ სხვების თანდასწრებით, ესეც საკმარისი იქნება თან მსუბუქი “პრესი” ეს რა არის? მე მეგონა, რომ პოლიციაში აღარ აღარ სცემენ...
 - _ არ მეგონა თუ ამ ზღაპრის გჯეროდა ბესო!
 - _ ვერ გავიგე?
 - _ კარგი, მე ლექციას არ გიკითხავ, საქმეს დავუბრუნდეთ, სასურველია, რომ იმ პაკეტზე, რომელშიც პლანი იქნება იმის თითების ანაბეჭდები იყოს, ვისაც აღმოუჩენენ და არა შენი!
 - _ ეგ რანაირად?
 - _ როცა პოლიცია გააჩერებს მას, მოსთხოვენ, რომ ყველაფერი ამოიღოს ჯიბიდან და ამ დროს იმ პაკეტზე აუცილებლად იპოვიან მის თითებს, ოღონდ ეს მას ჯიბეში შენ უნდა ჩაუდო!
 - _ რატომ მე? რატომ ჯიბეში და არა ქურთუკის სარჩულში ან დავუშვათ ჩანთაში?
 - _ ქურთუკის სარჩულიდან ამოღებულ პაკეტზე მისი თითების ანაბეჭდები არ იქნება, არც თვითონ მოვა რესტორანში წვეულებაზე სპორტული ჩანთით და სხვა ჩანთას ეგ არა ატარებს, ვიცი...
 - _ აუცილებელია ეს მე გავაკეთო? “კარმანშიკი” არასდროს ვიქნები და არც გამომივა, თუ პაკეტის ჯიბეში ჩადებას შევცდები ზურა მაშინვე მიხვდება, მითუმეტეს, რომ მაინც ეჭვით მიყურებს ვგრძნობ! თუ რამის ჩადება არ შეიძლება ეს შენმა ხალხმა ჩადოს, დავუშვათ რესტორნის გარდერობში?
 - _ მე რესტორანი გარდერობის გამო არ ამირჩევია, ამ რესტორანს “სოდის” თანამშრომლები დიდი ხანია უთვალთვალებენ. არის ინფორმაცია, რომ იქ ახალგაზრდულ წვეულებებზე ვიღაცა ნარკოტიკებს ავრცელებს რეგულარულად და ამაში რესტორნის ადმინისტრაციაც არის ჩარეული... და თუ იქ პოლიცია ვინმეს ნარკოტიკს აღმოუჩენს არავის გაუკვირდება და არც ზედმეტი

შეკითხვები იქნება, საიდან და როგორ. თუმცა “სოდი” უფრო სუბოტექსს და ძლიერ ნარკოტიკებს დასდევს, ჩვენს შემთხვევაში ში “პლანიც” საკმარისი იქნება.

– მე ძალიან გამიჭირდება ნარკოტიკის ჩადება, ბევრი ვიფიქრე რა და როგორ, მაგრამ ვერ შევძლებ...

– არ გეწყინოს, ბესო, თავს ვიზღვევ, იმ შემთხვევისათვის, თუ შენ ამას ვინმესთან იტყვი... მაშინ შენც ჩარეული იქნები ამაში!

– არ მენდობი? ასეთი გგონივარ? ყოველ შემთხვევაში შენთან, მე ყოველთვის ვასრულებდი პირობას! – ბესოს ხმაში გაღიზიანება დაეტყო.

– შემთხვევისგან არავინ არის დაზღვეული და მე ძალიან ვრისკავ! – რატომ, პოლიციელები ხომ შენი მეგობრები იქნებიან?

– არც პოლიციის და არც ციხის არ მეშინია, მაგრამ თუ ეს ასე ვთქვათ: ანზორის ყურამდე მივიდა, ხომ გითხარი რომ არ გამახარებს? შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს სადმე ავარიაში მოვყვე ან დავთვრე და მდინარეში მიპოვონ, ან ზედმეტი დოზისგანგამამგზავრონ “უკეთეს ქვეყანაში”, გავაგრძელო?

– კარგი, გასაგებია! შევეცდები მე ჩავუდო ნარკოტიკი, მაგრამ თუ მე მართლაც ვერ შევძელი, შენ თვითონ მოაგვარებ ამასაც, და თუ არ გაწყობს, მაშინ გარიგება არ შედგება... ანზორი და მამაჩემი კი ყველაფერს გაიგებენ... ვფიქრობ შენ უფრო დაზიანდები ვიდრე მე...

მერაბმა სინანულით გადაქცია თავი

– იცი, შენი ასაკისათვის ზედმეტად არანორმალური ხარ! კარგი, მაგრამ ამ შემთხვევაში თანხის ორმოცდაათი პროცენტით გაიზრდება!

– ერთიანად ვერ შევძლებ, მამაჩემი დაეჭვდება ამდენი ფული ერთიანად რად მინდა.

– ნელ-ნელა გადამიხადე, ჩათვალე, რომ განვადებას ვაკეთებ შენთვის... თანაც უპროცენტოდ... – ჩაიცინა მერაბმა.

– ხომ არ გეშლება რამე? ფულს მე გიხდი და იმას აკეთებ რასაც გეტყვი... გულახდილად რომ ვთქვა შენსა და დაქირავებულ მსუბუქი ყოფაქცევის ქალს შორის არანაირი განსხვავება არ არის

– ნუ ბრაზობ ბესო! არც შენ ხარ კრისტალი! პატიოსანი ადამიანი ასთ რამეს, რაც შენ მთხოვე არ მოიფიქრებს, მითუმეტეს მხოლოდ იმის გამო, რომ გოგოს შეყვარებული ჩამოაშოროს! იმ ბიჭს ხომ საბოლოოდ აურევ გზას, თუ დაიჭირეს?

ბესომ სიბრაზე დაიოკა. თუმცა ბოლმა ყელში აწვებოდა, მაგრამ იცოდა, მერაბის გარეშე ვერაფერს გახდებოდა, ამიტომ თავი შეიკავა “შენთან მერე გავარკვევ ყველაფრს, ჯერ მჭირდები და გამოგიყენებ, შემდეგ კი სანაგვეზეც შეიძლება შენი გადაგდება” გაიფიქრა, მაგრამ მერაბს სხვანაირად მიმართა:

– კარგი მერაბ, თანხა იქნება! შევთანხმდით!

– ძალიან კარგი! მოიფიქრე წვეულებას რა მიზეზით გამართავ, ოღონდ ძალიან ნუ დააგვიანებ.

წვეულების მოწვევა ბესოსთვის ტექნიკურადაც და ფინანსურადაც ადვილი იყო, მაგრამ ესმოდა, რომ მისი მხრიდან ასეთი შეთავაზება ყველას გააოცებდა კლასში და შეიძლება დაეფრთხო კიდეც, ამიტომ გოგა სჭირდებოდა აუცილებლად. გოგას კი არ უნდა ჰქონოდა დაეჭვების მიზეზი. ბესო ახლა უკვე ნანობდა, რომ გოგას გაანდო თავის დროზე თავისი გეგმა, რის შემდეგადაც გოგა ძალიან ფრთხილად იქცეოდა მასთან და თითქმის ყოველთვის ზურასა და მარის გვერდით ცდილობდა ყოფნას. “არაფერია! უკვე დავიბრუნე ზურასა და მარის ნდობა, ტყუილად არ ვთამაშობდი “ძველ ერთგულ მეგობარს” ახლა “მონანიების” დრო დადგა ჩემი მხრიდან და გოგა ამაში დამეხმარება, ისე, რომ ვერც გაიგებს” ფიქრობდა ბესო. მერაბთან საუბრიდან ორი დღის შემდეგ ბესომ გოგა ცალკე გაიყვანა და თბილი, მეგობრული ხმით მიმართა:

– გოგა, ერთი თხოვნა მაქვს. ძალიან მინდა, რომ ჩვენი ძველი, მეგობრული ურთიერთობა აღვადგინო... შენ საუკეთესო მეგობარი იყავი და ერთადერთი მეგობარიც... მინდა ზურასა და მარის ყველაფრისათვის ბოდიში მოვუხადო, ოღონდ ეს უნებლიედ უნდა მოხდეს... ვითომ უნებლიედ... ამაში შენი დახმარება დამჭირდება...

გოგამ გაკვირვებით შეათვალიერა ბესო, თუმცა თვითონაც ხედავდა, რომ მას ბოლო დროს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ზურასთან, ამიტომ ეუცნაურა ბესოს მხრიდან ბოდიშის მოხდის სურვილი. გამომცდელად შეხედა. მის სახეზე გულწრფელობის გარდა ვერაფერი შეამჩნია, თვალებიც მხოლოდ მუდართა და თხოვნით ჰქონდა სავსე.

– არ მესმის ბესო, შენ თვითონ შეხვიდე და ყველაფერი ეს გაუმეორო რაც მე მითხარი... თან არ გეწყინოს, მაგრამ მეშინია, რამე არასასიამოვნო არ მოხდეს ზურასა და შენს შორის... თვითონაც გესმის... რაც შენ მაშინ ილაპარაკე...

– ვიცი, გოგა, ვიცი! მაგრამ გთხოვ გამიგო: მე მართლა მიყვარს მარი და ყოველთვის მეყვარება, მაგრამ რამდენადაც არ ვცაადე არაფერი გამოდის და უბრალოდ მინდა ბედნიერი იყოს, თუნდაც

ჩემთან არა... მაგრამ მეც თავმოყვარეობა მაქვს გოგა, არ შემიძლია მივიდე და ვუთხრა: იცით, მე უხეშად ვერეოდი თქვენს ურთიერთობაში, მინდოდა თქვენი სიყვარულის გაქრობა და ამისთვის ყველაფერზე ვიყავი წამსვლელი, მეგობრობაც ფეხებზე მეკიდა და ღირსებაც! არარაობა ვიყავი! ამას ვერ ვიტყვი...

– არა, ბესო, მე ეგ არც მიფიქრია, რომ თავი დაიმცირო. პატიების თხოვნა თავის დაუმცირებლადაც ხომ შეიძლება.

– ჰოდა ამიტომ მინდა ეს ყველაფერი უეცრად, უნებლიედ მოხდეს. მაგალითად, სადმე დღესასწაულზე, როცა ოდნავ მნასვამი ვიქნები ფხიზელი ვერ შევძლებ... შენც ხომ იცი, საერთოდ მიჭირს ხოლმე გულში ნადების გამოთქმა, ესეც არ მინდა, რომ უბრალოდ ერთ დღეს დავთვრე და ისე მივადგე ზურას ან მარის

– კარგი, ბესო, მესმის შენი! ბოლო დროს მეც ვხედავ, რომ შენი ურთიერთობა მარისა და ზურასთან გამოსწორდა. მარიც ამბობდა ამას და ზურასაც არ ახსოვს წყენა, მითუმეტეს იმ ამბის შემდეგ შემდეგ, რაც სტადიონზე პატრული მოიყვანე და დაეხმარე... მაგრამ მე რად გჭირდება ამაში? შენ თვითონ გადაიხადე ან დაბადების დღე, ან რამე წვეულება. თუ შენ გულწრფელად გინდა პატიების თხოვნა, მე შენს გვერდით ვიქნები!

– დაბადების დღემდე დიდი დროა, გოგა, მე კი ვერ ვითმენ! გულილი მწყდება, რომ ჩვენს მეგობრობას ჩრდილი მივაყენე... ალბათ მარისაც ვატკინე გული... შევაწუხე ჯერ ზედმეტი ყურადღებით მეგობრის შეყვარებულისთვის სიყვარულის ახსნა არ იყო სწორი! მე, რომ წამოვიწყო, ვიქეიფოთ-მეთქი, ან გავისეირნოთ ან ექსკუსიაზე წასვლა შევთავაზო ყველას, ეს უცნაური იქნება და არადამაჯერებელი, წლების მანძილზე ასეთი საკითხების მოთავე არასდროს ვყოფილვარ, ხოლო შენგან ასეთი წინადადება ბუნებრივი იქნება! მე თავისუფალი, არაოფოციალური გარემო მჭირდება მარისთან დასალაპრაკებლად გოგა! ვიცი უხეშ და გულგრილ ადამიანად მიგაჩნვიარ, მაგრამ გარწმუნებ, ძალიან ძნელია ყოველდღე, ახლოს ხედავდე ადამიანს და მაინც უზომოდ გენატრებოდეს, რადგან იცი, რომ არასდროს გახდება შენი... მეც ასე ვარ მარის მიმართ... ენა მებმევა, როცა რამის თქმა მინდა...

გოგაზე გავლენა მოახდინეს ბესოს სიტყვებმა, რადგან მას ხმაში სინანული, თუ იმედგაცრუება ედგა და ცრემლებიც კი ემჩნეოდა

– კარგი, ბესო, კარგი! მოვიქცეთ ისე, როგორც იტყვი! – გოგამ ხელი ხელი გაუწიდა. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და გადაეხვივნენ

ნენ _ მართლა გახარებული ვარ, ბესო რომ თქვენს და ჩვენს ურთიერთობაში ყველაფერი გამოსწორდება! მე დაგეხმარები და მეგობრობის საუკეთესო წლები დავიბრუნოთ!

_ მადლობა გოგა! ძმა ხარ! შენ წამოიწყე, ოღონდ ჩვეულებრივ... მე თვითონ დავფარავდი ხარჯს, მაგრამ, ჯობს, როგორც ადრე ვაკეთებდით ხოლმე: ფული შევკრიბოთ და ისე წავიდეთ სადმე. ასე უფრო ბუნებრივი იქნება.

_ კარგი, მე ვცდი, მაგრამ ყველა არ წამოვა, ხომ იცი... და სად წავიდეთ?

_ რა ვიცი, შენ ამოირჩიე... მე რესტორან “ბერმუხას” ვიტყვოდი მაგრამ...

_ იყოს ეგ რესტორანი, მთავარია ისეთი სიტუაცია შევქმნათ, რომ შენ დაგეხმაროს! იცი, უკვე ადრინდელი დრო მგონია!

გოგას ეტყობოდა, რომ გულწრფელად სჯეროდა ბესოს სიტყვების და გახარებული იყო. ბესომ კი მერაბს დაურეკა გოგასთან საუბრის შემდეგ და შეატყობინა, რომ დათქმულ დღეს რესტორანში იქნებოდნენ. გოგამ მართალია დაიჯერა ბესოს ნათქვამი და გულწრფელიც ეჩვენა ის, მაგრამ ეჭვის ნაპერწკალი მაინც არ შორდებოდა ფიქრებიდან, რომ იქნებ ბესო ისევ თავის გეგმას ახორციელებდა და მხოლოდ მისი გამოყენება უნდოდა. მაინც გადაწყვიტა შეეთავაზებინა კლასელებისათვის: ახალი წლის დადგომამდე, ერთხელ წვეულება მოეწყოთ და კარგად გართობილიყვნენ. უფრო სწორად რომ ვთქვათ, გოგას უნდოდა დაეჯერებინა, რომ მისი, თითქმის ბავშვობის მეგობარი, ბესო, მაინც კარგი ადამიანი იყო და საბოლოო ჯამში ბესოსთან მეგობრობაც შეცდომად არ ჩაითვლებოდა. გოგას წინადადება მთელმა კლასმა სიხარულით მიიღო. სემესტრი მთავრდებოდა და დამაბული სასწავლო პერიოდის შემდეგ, ყველას დასვენება და გართობა უნდოდა. მარისა და ზურასაც რა თქმა უნდა ძალიან მოეწონათ გოგას წინადადება:

_ გოგა, ყოველთვის შენ იყავი და ხარ მხიარული გართობების ავტორი, მაგრამ ეს მართლაც დროული იყო! _ უთხრა ზურამ _ მაინც რატომ მპიფიქრ?

გოგამ ერთი კი გაიფიქრა, პირდაპირ ეთქვა ზურასთვის, რომ ბესოს მათთან საბოლოოდ შერიგება უნდოდა და ბესოს იდეა იყო ეს ყველაფერი ყველაფერი, იცოდა ეს ზურასაც გაახარებდა, მაგრამ შესაძლოა ზურა პირდაპირ მისულიყო ბესოსთან და დალაპარაკებოდა... ეს კი გოგას აზრით, ბესოს გულახდილობის საშუალებას აღარ მისცემდა, სიამაყე შეუშლიდა ხელს და შესაძლებელია შერიგების ნაცვლად ისევ ჩხუბი მოსვლოდათ, ეს ერთი და მეორე მხრივ, გოგა თვლიდა, რომ ასეთი რამ ბესოს დალატი

იქნებოდა, ამიტომ გადაწყვიტა ზურასთვის სიმართლე არ ეთქვა ჯერ-ჯერობით. შემდეგ კი, როცა ყველაფერი კარგად ჩაივლიდა, ისევ შეიკრიბებოდნენ ოთხნი: მარი. ზურა, ბესო და გოგა და იქ მოუყვებოდნენ ერთმანეთს ყველაფერს.

- _ დიდი ხანია, რაც არ გვიმხიარულია და არც ექსკურსიაზე წავსულვართ. ეს ბოლო სასწავლო წელია სკოლაში და სჯობს ვეცადოთ მაქსიმალურად მხიარულად გავატაროთ ეს დრო არა?
- _ შენ არასდროს შეიცვლები გოგა! აბა ძველებურად გავერთოთ! შენ რას იტყვი მარი? _ ჰკითხა ზურამ მარის, რომელიც მოუმოდნელად მივიდა მათთან და გოგას და ზურას საუბარს მოჰკრა ყური.
- _ კი, მე ძალიან გამეხარდა! გოგა, მართლა არაჩვეულებრივად მხიარული ადამიანი ხარ!
- _ მე გამოგივლი მარი, ოღონდ გთხოვ, დიდხანს არ მალოდინო, როგორც იცით ხოლმე გოგებმა, საათებს გაატარებთ სარკის წინ!
_ გაიცინა ზურამ
- _ არა, შენ ხომ იცი რომ ძალიან დიდხანს არ ვუნდბი მომზადებას ბას? და ქალებს ტყუილად აბრალებთ! არც თქვენ “იპრანჭებით” ნაკლებად! _ გაიღიმა მარამ.
- _ კარგი ძვირგფასო, გეხუმრე! აბა მოუთმენლად დაველოდები იმ საღამოს! გოგა, ყველა მოდის?
- _ თითქმის, უმეტესობამ მოიტანა ფული, დღეს მე და ბესო ერთად წავალთ და დავჯავშნით დარბაზს რესტორანში.
- _ ბესო? ისიც კი აიყოლიე? მაგარი ხარ გოგა!
- _ ვცდილობ ყველანაირად _ გაიცინა გოგამ _ აბა კარგად!
- _ მართლა კარგია, რომ გადავწყვიტეთ ეს ყველაფერი! გავერთობით ბით, ვიცეკვებთ...რა ჩავიცვა რას ფიქრობ? _ ჰკითხა მარამ ზურას ზურას.
- _ მე ყველაფერი მომეწონება, სიხარულო, რასაც შენ აირჩევ! და ციკვით კი მარტო შენთან ვიცეკვებ! მთელ საღამოს შენ მოგიძღვნი ამ სიტყვებით ხელი მოჰკიდა მარამ ზურას და ჩვეულებრივ, ნელი ნაბიჯით გაუყვინენ ქუჩას.
- _ ალო, გამარჯობა მერაბ! მე ყველაფერი დავაზუსტე, ყველაფერი მზად არის, კვირა საღამოს მთელი კლასი იქ ვიქნებით, შენ რას იზამ?
- _ მეც მზად ვარ, რესტორანში მეგარდეროზე ჩემი კაცია. გაფრთხილებული მყავს დაგეხმარება, დანარჩენი ტელეფონით არა,

შეგზვდები ნახევარ საათში!

დათქმულ ადგილზე მართლაც ნახევარ საათში შეხვდა ბესო მერაბს

– ახლა მისმინე! როგორც შევთანხმდით ისე გავაკეთებთ, გარდერობში შეგიშვებენ, ოღონდ ფრთხილად! ეს ისეთ დროს უნდა გავაკეთო, როცა დაშლას და სახლებში წასვლას დაიწყებთ... პაკეტი კურტკის, ან პალტოს, არა აქვს მნიშვნელობა რა ეცმევა ზედა ჯიბეში უნდა ჩაუდო და არა ისეთში სადაც ყოველ წამს სეიძლება ხელი ჩაყოს. როცა გააჩერებენ ყველას მოსთხოვენ ჯიბეებიდან საგნების ამოლაგებას და ამ დროს გაჩნდება მისი ანაბეჭდები პაკეტზე. შენ სასურველია დათვრე, ან “ვითომ” დათვრე, ეცადე, რომ მათთან ერთად არ გამოხვიდე რესტორანიდან თუ შენც აგიყვანეს არც შენ დაგაკლებენ, მაგრამ ცუდი ის იქნება, რომ მამაშენი ისევ ანზორს გამოგზავნის შენს გამოსაყვანად და მას კი, კითხვები გაუჩნდება! ეს არც შენ გინდა და არც მე!

– მე არაფერს ვიტყვი!

– ვიცი, მაგრამ მაინც არასასურველია მათ შორის მოხვდე! სხვა ყველაფერი ტექნიკის საკითხია, ჩემი “მეგობრები” პოლიციიდან იზრუნებენ ყველაფერზე.

– კარგი, გასაგებია!

– და კიდევ ერთი ბესო! თუ შენ რამე მიზეზით ვერ მოახერხებ ნარკოტიკების ჩადებას, ჩვენი გარიგება დასრულებული იქნება და ფული უკან არ დაბრუნდება!

– ისე ასეთ ფასად კარგი იქნებოდა თქვენ გეცადათ ჩადება..

– არა ბესო, ისინი ისედაც დიდ რისკზე მიდიან! არ დარეკო, მე თვითონ დაგიკავშირდები, როცა ყველაფერი დამთავრდება!

– კარგი!

კვირა საღამოს მთელი კლასი მოგროვდა რესტორანთან, ერთად შევიდნენ რესტორანში და უკვე გაწყობილ, გრძელ მაგიდას მიუსხდნენ. საღამო მხიარულად დაიწყო, ყველა კარგ განწყობაზე იყო. ბესო და გოგა მაგიდის ერთ მხარეს დასხდნენ, მარი და ზურა მათ პირდაპირ მოთავსდნენ.

– აბა, როგორი საღამოა? რას იტყვით? _ იკითხა გოგამ

– ყველაფერი კარგია! შასიამოვნო მუსიკა, მეგობრები გარშემო და რა თქმა უნდა ჩემი ფერია ჩემს გვერდით! _ თქვა ზურამ

მარიმ მორცხვად დააფახულა წამწამები და თავი მხარზე მიადო ზურას.

– მარი, ძალიან ლამაზად გამოიყურები ამ საღამოს!

– მაძლობა ბესო!

– აი დალიეს ორი ჭიქა და წავიდა კომპლიმენტები! მანამ რატომ არ გახსენდებით ხოლმე? “მაგარ ბიჭებს” რომ თამაშობთ? – სიცილით იკითხა მათ გვერდით მჯარმა ნონამ.

– რატომ? ჩვენ ყოველთვის გვახსოვხართ და ყოველთვის ვხედავთ თქვენსავით ლამაზ ქმნილებებს! – უპასუხა ზურა.

– ჩვენს კლასს გაუმარჯოს! გავვიმარჯოს ბიჭებო! მაგიდას გადასმა-ხა გოგამ და ჭიქა ასწია.

“გაუმარჯოს! გაუმარჯოს!” – შეეხმიანენ მას.

ბესო ყველანაირად ცდილობდა მხიარულად ესაუბრა, სადღეგრძელოები ეთქვა, მხიარული მომენტები მოეგონებინა წარსულიდან, მაგრამ მაინც დამაბული იყო და თუმცა არ იმჩნევდა, უმეტესად მაინც მარისკენ გაურბოდა მზერა. მარის გრძელი, თეთრი, სადამოს გამოსასვლელი კაზა ეცვა, ხვეული თმები გაეშალა და ჩანჩქერივით ეყარა მხრებზე, თმებში კი წვრილი, ვერცხლისფერი ბურთულები ჩაეტანებინა, რომლებიც უცნაურად ბზინავდნენ, ნახევრად გამჭვირვალე მატერიისგან გაკეთებული მოსასხამი უფარავდა შიშველ მხრებს... ნაზად ილიმებოდა და ოდნავ წითლდებოდა, როცა კომპლიმენტებს ისმენდა... მაშინ კი, როცა სიყვარულის სადღეგრძელოში მარი და ზურა განსაკუთრებულად ახსენეს, ბესო თითქოს სრულიად მოაჯადოვა მარის თვალების ციალმა, რომელიც, უსაზღვრო ბედნიერებას ასხივებდნენ და ნაზად უმზერდნენ ზურას... დამაბულობის მოსახსნელად ბესო ღვინოს მიეძალა. ჭიქას ჭიქაზე ცლიდა, სანამ საკმაოდ არ შეიგრძნო თრობა. ზურა და მარი საცეკვაოდ გავიდნენ დანარჩენ კლასელებთან ერთად. ბესო და გოგა ერთად შემორჩნენ მაგიდის ერთ მხარეს.

– შენ რატომ არ გადიხარ? – ჰკითხა ბესომ გოგას და მორიგი ჭიქა მოიყუდა.

– ხომ იცი, ცეკვა არ ვიცი და არც მიყვარს, უცნაურია? შენ?

– მე მხოლოდ ერთთან ვიცეკვებდი, მაგრამ მისი გული ჩემი არ არის... – სევდიანად ჩაილაპარაკა ბესომ და მარისა და ზურას

გახედა. ზურას ხელები მოეხვია წელზე მარისთვის, მარის ხელები ზურას მხრებზე ეწყო. ნელ-ნელა, წყნარი მუსიკის ფონზე მონოტონურად ირხეოდნენ მოცეკვავეების ფიგურები. ზურამ თავი დახარა, რაღაც უჩქურჩულა მარის, თითქმის ტუჩებით შეეხო მის ყურს, მარიმ მხიარულად გადაიკისკისა. ბესომ თვალი შეასწრო ამ მომენტს, თითქოს გული აუჩქარდა, სუნთქვას მოუხშირა, თვალები ჩაუწითლდა (როგორც ყოველთვის, ნერვიულობის დროს იცოდა)

– ჰეი, სად დაფრინავ ძმა? – ხელი გადახვია გოგამ და ჭიქით ბესოს

ჭიქას შეეხო _ მოდი ამ ჭიქით ჩვენს მეგობრებს: მარისა და ზუეას გაუმარჯოთ! და მათთან ერთად ჩვენ! ჩვენს მეგობრობას!
ბესო გამოერკვა, მარისა და ზურას თვალი მოსწყვიტა და გოგას შეხედა.

_ გაუმარჯოს! მარის... ზურას... მეგობრობას...
ზურა და მარი დაბრუნდნენ, მაგიდას აქეთ-იქიდან მიუსხდნენ, ერთმანეთის პირისპირ. ყველა მხიარულობდა და ცეკვავდა. ბესომ ჭიქა აიღო, უკვე საკმაოდ მთვრალი იყო, ზურასა და მარის შეხედა, მზერა გოგაზე გადაიტანა, შემდეგ მაგიდას დახედა და ჩუმი ხმით დაიწყო:

_ მარი, ზურა... წელან მე და გოგამ თქვენი და ჩვენი მეგობრობის სადღეგრძელო დავლიეთ... ახლა გიყურებდით, თქვენი ცეკვა მართლაც მომხიბლველი იყო, ვიგრძენი, რომ მართლა უზომოდ მახარებს თქვენი სიყვარული და უფრო მეტად გამახარებს თქვენი ბედნიერება! _ ბესომ ზურას გაუწოდა ხელი და როდესაც ზურამაც ხელი შეაგება და თითები მაგრად გადააჭდეს ერთმანეთს ბესომ განაგრძო _ მე ვწუხვარ, რომ ჩვენი მეგობრობა კინალამ დაინგრა ჩემი წინდაუხედავობის გამო... ვწუხვარ, რომ ჩემი უადგილო ჩარევით და ყურადღების გამოვლენით მარის მიმართ მარის მიმართ, ჩრდილი მიადგა თქვენს სიყვარულს... ბოდიშს გიხდით გულწრფელად ორივეს! დავიბრუნოთ ადრინდელი ურთიერთობა გთხოვთ! მარი, შენ მართლა ფერია ხარ, ძალიან ლამაზი, კეთილი და წელან უფრო შევიგრძენი ეს... მაგრამ მე მართლა მახარებს, რომ შენს გვერდით ჩემი მეგობარი, ჩვენი მეგობარი ზურაა... ყოველთვის გამახარებს თქვენი ბედნიერება!

ბესომ სასმისი გამოცალა და პირდაპირ შეხედა შეყვარებულებს. ზურა მართლაც თანაგრძობით, გაგებით და მეგობრულად უმზერდა მას.

_ მადლობა ბესო! არაფერი ისეთი არ ყოფილა, რომ ბოდიში იყოს მოსახდელი... მაგრამ მეც თუ რამე შემეშალა შენთან მიმართებაში ში და ალბათ ასეც არის... მეც პატიებას გთხოვ! ჩვენ ისევ ისე, ძმები ვართ, როგორც ადრე!

მარის თვალები აუწყლიანდა. არაფერი უთქვამს მაგრამ მაგრამ მის გამოხედვაშიც უსაზღვრო სითბო, თანაგრძნობა, ნაწილობრივ სინანული და მასთან ერთად სიხარული ციმციმებდა... გოგამ ღიმილით დააქნია თავი თანხმობის ნიშნად, ზურასა და ბესოს ხელი გადაჰხვია.

_ ისევ ძმები, ისევ მეგობრები ვართ, როგორც ადრე! და მარი ჩვენი ნი მფარველი, ჯადოსნური ფერია!

სალამო გაგრძელდა... ბესო, თუმცა მთვრალი იყო, მაგრამ ჩანაფიქრი არ დავიწყებოდა. მარის მშვენიერებით მოჯადოვებულმა, თავიდან თითქმის

გადაიფიქრა თავისი გეგმის განხორციელება, მაგრამ როდესაც დაინახა, როგორ ეჩურჩულებოდა ზურა მარის ცეკვის დროს, როგორ სიყვარულით უცქერდა მას მარი, ისევ ბოლმამ იფეთქა მის გულში, გონება დაეზინდა... “მარის გვერდით მე უნდა ვყოფილიყავი... მე მან მარის სიყვარული მომტაცა...!” ეს ფიქრი უტრიალებდა თავში. ბესო ფიქრებიდან გამოერკვა, მიიხედ-მოიხედა. გოგაც საერთო ცეკვაში ჩაბმულიყო, მაგიდასთან თითქმის აღარავინ იჯდა, შესაფერისი მომენტი იყო. ბესომ შეუმჩნევლკად დატოვა დარბაზი, საპირფარეოში შევიდა, ცივი წყალი შეისხა სახეზე, ოდნავ გამოფხიზლდა და გამხნევდა. გარეთ გამოვიდა, ღრმად ჩაისუნთქა ქუჩის გრილი ჰაერი და ისევ შებრუნდა რესტორანში. ერთხანს ყოყმანობდა, მაგრამ ძალა მოიკრიბა და გარდერობთან მივიდა. გარდერობთან რესტორნის დაცვის თანამშრომელი იდგა.

– უკაცრავად, მეგარდერობზე გასულია, მე დაგეხმარებით! თქვენი ჟეტონი თუ შეიძლება!

ბესომ გაკვირვებით შეხედა ახალგაზრდა კაცს. მცველმა შეამჩნია გაოცება, თავი დახარა და უჩურჩულა:

– მერაბმა მთხოვა თქვენი დახმარება... – შემდეგ გარდერობში შევიდა

– რომელია თქვენი ქურთუკი?

– აი ის, ყავისფერი ქურთუკი... – ჩაილულულა ბესომ

ქურთუკი მიაწოდეს. ერთხანს გახევებული იდგა, შემდეგ ჯიბეში ხელი ჩაიყო, წინასწარ ქაღალდში გახვეული პოლიეთილენის პაკეტი ამოიღო და მიწოდებული ქურთუკის ზედა, გარეთა ჯიბეში ჩააცურა, ქაღალდი უკან ამოიღო, დაჭმუჭნა და შარვლის ჯიბეში ჩაიდო. ეს საკმაოდ სწრაფად მოხდა, ვერავინ ვერაფერი შეამჩნია. ბესომ ქურთუკი დაცვის თანამშრომელს დაუბრუნდა და დარბაზში შებრუნდა. საღამო გრძელდებოდა... ბესო ისევ მაგიდას მიუჯდა და დალევდა განაგრძო...

– ძალიან ბევრს სვამ ბესო – ხელი დაარტყა მხარზე გოგამ, რომელსაც ცეკვა დაესრულებინა და მაგიდასთან მობრუნებულიყო.

– რატომ? არა, არც ისე, თქვენ სად დაიკარგეთ? – ნაძალადევად გაიღიმა ბესომ.

– ჩვენები უკვე ემზადებიან, მე, შენ, მარიმ და ზურამ გავისეირნოთ უკეთესად გახდები!

ბესომ ამღვრეული თვალებით ახედა. გოგა უღიმოდა.

– არა ძმა... თქვენ წადით, მე ცოტას დავისვენებ და მერე მანაქანას გამოვიძახებ...თუ გინდათ დარჩით და ერთად წაგიყვანთ შენ, ზურას და მარის...

ზურა და მარი მივიდნენ მათთან. ბესომ მათაც ახედა და უნებურად შეკრთა, ბესოს უკვე ჩაეცვა ქურთუკი, მარიც ჩაცმული იყო. ბესომ ზურას ქურთუკის ჯიბეს მიაბჯინა მზერა, სადაც პოლიეთილენის პაკეტი ეგულეობდა, ზურას შეხედა.

- _ რას იზამთ? წავიდეთ? _ იკითხა მარიმ
- _ ბესო ამბობს, რომ მანქანას დაველოდოთ და ჩვენც გაგვიყოლებს
- _ თქვა გოგამ, ოდნავ შეირხა სიმთვრალისგან.
- _ შენც საკმაოდ დაგილევია, გოგა, ჩემი არ იყოს! _ გაიღიმა ზურამ მარ, შენ რას იტყვი?
- _ არა წავიდეთ, ჰაერზე გავისეირნოთ, აქ ძალიან დახუთულია ყველაფერი!

ბესომ მაგიდაზე ჩამოდო იდაყვები, თავი ზედ დადო და რაღაც გაუგებრად ჩაილულლულა.

- _ ოჰოო! ამას მეტი მოუვიდა! _ თქვა გოგამ _ კარგი, მე დავრჩები, ბესოსთან, იქნებ გამოფხიზლდეს... თქვენ წადით!
- _ დახმარება არ გინდა? ტაქსი მაინც გამოვიძახოთ და იმით წადით ჩვენც გავისეირნებთ და მალევე წავალთ.
- _ არა, ზურა, არ გინდა. მადლობა, გაისეირნეთ! შეყავარებულებისთვის ძალიან რომანტიკული იქნება ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ გასეირნება! _ გაიცინა გოგამ
- _ კარგი, კარგი! არ დაიწყო ეხლა! აბა კარგად!

ზურა და მარი გასასვლელისკენ წავიდნენ. ბესომ თავი წამოსწია, წამოდგა, წაიბორძიკა, გოგას რომ არ დაეჭირა, ნამდვილად იატაკს დაენარცხებოდა.

_ ეე, რა მოგდის, ფრთხილად! _ გოგა მხარში შეუდგა ბესოს, თუმცა თვითონაც ქანაობდა და ორივე ბარბაცით წავიდნენ საპირფარეოსკენ

_ არა, არა... არ წახვიდეთ... იქ, იქ... _ ენა ძლივს მოატრიალა ბესომ, როდესაც დაინახა როგორ მიიმალნენ მარი და ზურა გასასვლელში.

ზურა, მარი, დათო და გიორგი ერთად მიდიოდნენ გზაზე

- _ კარგი სადამო იყო! მე მომეწონა! თქვენ რას იტყვით გოგოებო? იკითხა დათომ
- _ კი, ჩვენც ძალიან კმაყოფილები ვართ, ხშირად რომ იყოს ასე კარგი იქნებოდა
- _ მაშინ გალოთება არ აგვცდება! _ გადაიხარხარა გიორგიმ
- _ ხომ არ გცივა ძვირფასო? _ ჰკითხა ზურამ ამრის
- _ არა ზურა, ყველაფერი კარგად არის _ გაუღიმა მარიმ

ტროტუართან საპატრულო პლიციის მანქანა შეჩერდა. ოთხნი გადმოვიდნენ მანქანიდან. ზურა, გიორგი და დათო შეჩერდნენ, პოლიციელებისკენ მიბრუნდნენ

– ერთი წუთით ახალგაზრდებო! – მიმართა მათ შედარებით ხნიერმა პოლიციელმა – მანქანასთან მოდით!

– რა ხდება? დავაშავეთ რამე? – იკითხა ზურამ

– უბრალოდ ნასვამები ვართ, წვეულება გვქონდა... – დაიწყო გიორგიმ.

– დამშვიდდი! ჩვეულებრივი შემოწმებაა, მანქანასთან მოდით!

– აგვიხსენით რა ხდება, ვსერირობთ, არაფერი დაგვიშავებია, ბიჭები გვაცილებენ – ჩაერია ლაპარაკში ნონა

– ნუ იხმაურებთ გოგონა, გთხოვთ! თქვენ კი ჯიბეებიდან ამოალაგეთ ყველაფერი და მანქანაზე დადეთ!

– უფლება არ გაქვთ! – სახე წამოენთო ზურას და ერთ-ერთ პოლიციელს, რომელმაც მკლავში მოჰკიდა ხელი, თავისი ხელი გამოაცალა.

– აბა, აბა! წინააღმდეგობა არ გაბედოთ! გააკეთეთ რასაც გეუბნებიან

– აჩვენეთ, ბიჭებო რაც უნდათ და წავიდეთ, გთხოვთ! – მუდარით მიმართა მარიმ ზურასა და დათოს, რომლებიც ჯიუტად უყურებდნენ პოლიციელებს და ადგილიდან არ იძვროდნენ.

– ამაზე პასუხს აგებთ! – დათო პირველი წავიდა მანქანისკენ და ჯიბეების ამპტრიალება დაიწყო.

– ბევრს ნუ ლაპარაკობთ!

გიორგიმ და ზურამაც ჯიბეები მოიჩხრიკეს. ზურა მშვიდად იცარიელებდა ჯიბეებს, ხელი ქურთუკის გარეთა ჯიბეში ჩაიყო და რაც კი ხელში მოხვდა ამოიღო, არც კი დაუხედავს ისე დაყარა მანქანაზე

– ეს რა არის? – მიუთითა ერთ-ერთმა პოლიციელმა პოლიეთილენის პაკეტზე – შენია?

ზურამ გაკვირვებით შეხედა დამცინავად მომღიმარე პოლიციელს, შემდეგ მანქანას დახედა. მწვანე ფერის ბალახის მასა იდო ცელოფანში. ორი პოლიციელი უმალ ხელებში მისწვდა ზურას, გადაუგრიხეს, მესამემ მანქანის კარები გააღო და ძალით ჩასვეს სალონში.

– რა ხდება? რა გინდათ? – აყვირდა ზურა

– თავი დაგვანებთ! დას “გვიჩალიჩებთ”? – გაიწიეს დათომ და გიორგიმ

– დამატებით მანქანას ვითხოვთ! – გადასცა რაციით ხნიერმა პოლიციელმა.

– თავი დაგვანებთ! ჩვენ არაფერი დაგვიშავებია! – ატირდა მარი

– დამშვიდდით გოგონებო! ყველაფერი კანონიერია! ამ პაკეტი, რომელიც თქვენს მეგობარს აღმოაჩნდა სავარაუდოდ ნარკოტიკული საშუალებაა და თან საკმაო რაოდენობით!

– რა ნარკოტიკები, რა სისულელეა! – აყვირდა გიორგი.

მასაც და დათოსაც ხელები ამოუტრიალეს და მანქანებში ჩასვეს. სამივე მანქანა ერთდროულად დაიძრა და მალე ქუჩის ბოლოში მიიმაღა. ატირებული მარი და შეშინებული ნონა შუა ქუჩაში იდგნენ უმწყოდ.

– რა ვქნათ ნონა? რაღაც გაუგებრობაა... შეუძლებელია...

– ნუ ტირიხარ! დავრეკავ ახლავე! – ნონამ ტელეფონი ამოიღო ჩანთიდან და ნომერი აკრიფა.

განყოფილებაში მიყვანისთანავე, ზურა, გიორგი და დათო სხვადასხვა ოთახებში შეიყვანეს. ზურა თავიდან გაოგნებული იყო, მაგრამ ძალიან მოიკრიბა და დაფიქრდა. “საიდან არის ნარკოტიკი ჩემს ჯიბეში? რა სისულელეა!” ფიქრობდა დამაბულად. მთელი დღე აღიდგინა მეხსიერებაში, ყველა მომენტი და ყველა წვრილმანი გაიხსენა რამდენადაც შესძლო, მაინც არაფერი აგონდებოდა ისეთი, რაც მის ქურთუკს უკავშირდებოდა და მითუმეტეს ნარკოტიკის მოხვედრას მასთან. ოთახში ახალგაზრდა პოლიციელი შემოვიდა. ხელში საქაღალდე ეჭირა. ზურას წინ დაჯდა და საქაღალდე გაშალა.

– გამარჯობა, მე მორიგე გამომძიებელი ვარ და შენთან რამდენიმე შეკითხვა მაქვს – საქაღალდედან სუფთა ფურცელი ამოიღო და ზურას კალამთან ერთად დაუდო წინ – გულახდილად გეტყვი: არ ვფიქრობ, რომ შენ გასაყიდად გინდოდა მარიჰუანა, მესმის, დალიეთ, დათვერით და შემდეგ მოწევა მოგინდათ, თუ შენით დაწერ უკეთესია, გაგაფორმებთ, როგორც მომხმარებელს, გადაიხდი ხუთასლარიან ჯარიმას და თავისუფალი ხარ! თუ არა, მაშინ საქმე გართულდება!

– ეს პაკეტი ჩემი არ არის და საერთოდ, დამარეკინეთ! უფლება მაქვს მშობლებს დავუკავშირდე!

– კი, გაქვს, მაგრამ ნუ შეწუხდები, უკვე შევატყობინეთ და მალე აქ იქნებიან. რა თქმა უნდა ყველას ნარკოლოგიური ექსპერტიზა ჩაგიტარდებათ.

– როგორი ექსპერტიზაც გინდათ, ისეთი ჩაატარეთ! მე ნარკომანი არ ვარ! სიგარეტსაც არ ვწევი! სპორტს მივდექ!

– ნუ ყვირიხარ! შენნაირები ბევრი მხვდება ყველა მორიგეობაზე! შენ თვითონ ამოიღე ის პაკეტი ჯიბიდან ასეა? თუ პატრულის თანამშრომლებმა შეცდომა დაუშვეს ოქმის შედგენისას?

_ არა, მაგრამ ეს ჩემი არ არის! ვილაცამ ჩამიძღო!

_ რატომ უნდა დაგიჯერო? იქნებ პოლიციელებმა თვითონ ჩაგიდეს ნარკორიკი?

_ არა, მე თვითონ ამოვიღე ჯიბიდან, მაგრამ მართლა არ ვიცი იქ საიდან მოხვდა! და საერთოდ, ადვოკატს ვითხოვ!

_ ოჰო, ჭკვიანები ვართ? შენ ამერიკულ ფილმებს ხომ არ უყურებ ხშირად? დვოკატი! _ ჩაიცინა გამომძიებელმა _ ყველა ნარკომანიც უკვე თავის უფლებებს იცავს! გირჩევ შენით დაწერო ყველაფერი ყველაფერი, თუ არა და იქ საკმაო ნივთიერება იყო, რომ გავრცელების მუხლიც შეიძლება მოგერგოს!

ზურას ბრაზი აწვებოდა ყელში, მაგრამ დადუმდა. ჩუმად იჯდა და მაგიდას დაჰყურებდა.

_ კარგი, მე გავალ _ თქვა გამომძიებელმა _ მოიფიქრე! მალე დავბრუნდები! _ ამ სიტყვებით დატოვა ოთახი.

ბიჭების წაყვანის შემდეგ ნონაც ძალიან შეშინებული დარჩა, მაგრამ მალევე გამოერკვა, ზურას სახლის ნომერი აკრიფა ტელეფონზე და მის მშობლებს მოკლედ აუხსნა, რაც ხდებოდა, შემდეგ გოგას დაურეკა

_ გოგა, სად ხარ? ბიჭები პოლიციელებმა წაიყვანეს, ჯიბეების ჩხრეკისას ზურას ნარკოტიკი აღმოუჩინეს, ყოველ შემთხვევაში ასე ამბობდნენ! სამივე მანქანაში ჩასვეს და წაიყვანეს... ზურას სახლში დავრეკე, მის მშობლებს შევატყობინე, მაგრამ დათოსა და გიორგის სახლის ნომრები არ ვიცი, იქნებ შენ დარეკო? და ჩვენც ისევ აქ ვართ, მოდი რა! მარი ლამისაა გაგიჟდეს!

_ რაა? რა პოლიცია? გაგიჟდი?

_ არა, მართლა ასეა! გელოდებით გოგა, იქნებ რამე მოიფიქრო!

ამ სატელეფონო ზარამდე ოციოდე წუთით ადრე გოგა და ბესო ჯერ კიდევ რესტორანში იყვნენ. გოგამ ბესო რესტორნის ჰოლში, ტახტზე დააჯინა, თვითონ ისევ საპირფარეშოში შებრუნდა, წყალი სახეზე შეისხა და თმებიც დაისველა. სიგრილე ესიამოვნა და თრობის შეგრძნებაც შემცირდა. ისევ ჰოლში დაბრუნდა, ბესოს მობილური ამოაცალა ჯიბიდან და “კონტაქტებში” სახელი “ანზორი” მოძებნა.

_ გამარჯობათ ბატონო ანზორ! მაპატიეთ, რომ გაწუხებთ, ბესოს მეგობარი ვარ, გოგა... დღეს ვიქეიფეთ მთელმა კლასმა რესტორანთან “ბერმუხაში” ვართ, ბესო მთვრალია, თითქმის სძინავს, წელან ამბობდა სახლში დავრეკე და მანქანა მოვაო, ტაქსის გამოძახება არ დამანება!

_ კარგი გოგა, მადლობა! მალე მოვალთ! _ ანზორი მანქანაში

ჩაჯდა და მძლოლს გადახედა _ სულ გამაგიჟებენ ეს ბავშვები!
ამათ ასაკში რა რესტორანი და რა დალევა! ყველაფერი გაუკუღ-
მართებულია რა! წავიდეთ აბა, წამოვიყვანოთ!

მანქანა დაიდრა, ანზორმა კი სხვა ნომერი აკრიფა მობილურზე
_ ბატონო ვანო, ანზორი ვარ...

როდესაც ნონამ გოგას დაურეკა, გოგა უკვე ანზორის მანქანაში იჯდა
ბესოსთან ერთად და ბესოს სახლისკენ მიდიოდნენ. ბესოს ეძინა. ანზორმა
მანქანა გააჩერებინა მძლოლს და გოგასკენ მობრუნდა

_ კიდევ რა ამოხდა?

_ მაპატიეთ ბატონო ანზორ! ალბათ რაღაც გაუგებრობაა, გოგონებ-
მა დარეკეს, ჩვენი სამი მეგობარი პოლიციაში წაიყვანეს, ამბობენ
ამბობენ, რომ ნარკოტიკი უპოვეს ერთ-ერთს... გარწმუნებთ ეს
შეუძლებელია! გთხოვთ, იქნებ წამიყვანოთ უკან? მარის და ნონას
ნას წამოვიყვან...

_ ესლა გვაკვლდა! _ ხელი ჩაიქნია ანზორმა, მაგრამ მძინარე ბესოს შეავლო
თვალი, თითქოს რაღაც გაახსენდა, ჩაფიქრდა, ბესოსთან საუბარი და
ამასწინანადელი მისი თხოვნა გაახსენდა, როდესაც, ის პოლიციის ჩარევას
სთხოვდა პირადი პრობლემის მოგვარებაში. “შეუძლებელია! ნუთუ ამ
ლაწირაკმა?” _ გაიფიქრა ანზორმა და მძლოლს მიუბრუნდა

_ თამაზ, შენ გადაიყვანე ესლა ეს _ თვალით ბესოზე მიანიშნა _
ტაქსი გააჩერე, სახლში წაიყვანე. მე გავარკვევ რა შეემთხვათ მის
მეგობრებს და მოვალ!

თამაზმა ბესო შეანჯღრია, ცოტა შეაღვიძა და მანქანიდან გადაიყვანა
ბესო თვალებს ძლივს ახელდა და გაუღებარ სიტყვებს ლულლულუღებდა.
ანზორი საჭეს მიუჯდა, მანქან დასძრა და რამდენიმე წუთში ისევ
რესტორანთან იყვნენ.

_ აი, გოგონები ქუჩის ბოლოს, ხედავთ? _ დაინახა გოგამ ნონა და
მარი.

მალევე მანქანა მათ წინ შეჩერდა

_ ჩქარა, ჩაჯექით, წავიდეთ!

მარი და ნონა მანქანაში ჩასხდნენ, მაგრამ ოდნავ დამფრთხალები
უყურებდნენ ანზორს

_ ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნება! _ გაუღიმა მათ დაცვის
უფროსმა _ აბა წავიდეთ და თან მომიყვებით რა მოხდა, უკეთესი
იქნება თუ დაწვრილებით მომითხრობთ.

პოლიციის განყოფილებაში მისვლამდე მოკლედ მოუყვინენ, როგორ
წაიყვანეს ზურა, გიორგი და დათო.

– არ იჯავროთ! ყველაფერს გავარკვევთ და თუ მართლა უდანაშაულოები არიან თქვენი მეგობრები...

– გარწმუნებთ, რაღაც შეცდომაა! მთელი დღე ერთად ვართ, მათ ნარკოტიკი არასდროს ჰქონიათ და არც ექნებოდათ! – თითქმის ერთდროულად უპასუხეს გოგამ, მარიმ და ნონამ ანზორს, რომელსაც ღიმილი მოჰგვარა ახალგაზრდების სიტყვებმა.

– ასეთი გულითად მეგობრობა გაქვთ? ძალიან კარგია! მოვედით უკვე, თქვენ აქ დარჩით.

ანზორმა პოლიციის განყოფილების ებოში გააჩერა მანქანა და გადმოვიდა. ებოში მდგარი პოლიციელი მიუახლოვდა მას.

– აქ არ შეიძლება გაჩერება, მხოლოდ პოლიციის თანამშრომლობისთვის. გაიყვანეთ მანქანა!

– ახალი ხარ? – ანზორმა ღიმილით შეათვალიერა ახალგაზრდა პოლიციელი – ბატონ ვახტანგს დაუკავშირდი და უთხარი რომ ანზორი კითხულობს

– უკაცრავად, ვერ გავიგე... – დაიბნა პოლიციელი და რაცია ნერვიულად შეატრიალა ხელში

– განყოფილების უფროსთან ვარ, მელოდება! – ანზორმა პასუხს აღარ აღარ დაუცადა და შენობაში შევიდა.

– გამარჯობათ ბატონო ანზორ! – რამდენიმე პოლიციელი ერთად წამოდგა და მიესალმა მას

– გამარჯობათ ბიჭებო! ვახტანგთან ვარ. ერთი ეს მითხარით, აქ მოიყვანეს პატრულის თანამშრომლებმა სამი ბიჭი?

– დიახ, აქ არიან. ჩვენ მათ მშობლებს უკვე დავუკავშირდით, “პლანი” ჰქონდა ერთ-ერთს.

– გასაგებია! ექსპერტიზა ჩაუტარდათ? არ გაგიკვირდეთ, რომ ვკითხულობ, ჩემი უფროსის შვილის კლასელები არიან.

– არაფერია, ბატონო ანზორ, მაგრამ ყველაფერი კანონიერად მოხდა მოხდა, დაკავებაც და ოქმის შედგენაც.

– კარგი, მე ავალ ვახტანგთან... – ანზორი კიბეებს აუყვა და მეორე სართულზე, განყოფილების უფროსის კაბინეტში შევიდა.

მარი და ნონა მოუთმენლად ელოდნენ ანზორის დაბრუნებას. გოგა მანქანაში წრიალებდა ერთხანს, შემდეგ გადმოვიდა და ებოში დაიწყო სიარული აქეთ-იქით. გული უგრძობდა, რომ ზურა ბესოს ბინძური თამამის მსხვერპლი უნდა ყოფილიყო. დარწმუნებული არ იყო ამაში, მაგრამ თავის თავზე მაინც ბრაზობდა, რომ იდიოტივით აჰყვა ბესოს სიტყვებს, თუმცა ეჭვი ღრღნიდა: იქნებ ბესო არაფერ შუაში არ იყო?

ნერვიულობისგან ფრჩხილებს იკვნიტდა. კიდევ ორი მანქანა გაჩერდა პოლიციის განყოფილებასთან, იქიდან დათოს, ზურასა და გიორგის მშობლები გადმოვიდნენ და სასწრაფოდ შევიდნენ განყოფილებაში. გიორგი და დათო უკვე დერეფანში ისხდნენ

– რა ხდება? როგორ ხართ? – შემოეხვივნენ მათ მშობლები, ზურას მამამ კი მორიგეს მინმართა:

– მესამე ბიჭიც იყო მათთან, სად არის? რა დააშავეს? მე მისი მამა ვარ!

– თქვენს შვილს ნარკოტიკი აღმოაჩნდა ჯიბეში, მარიჰუანა, ისეთი არაფერია! ყველაფერი მალევე გაირკვევა!

– რა გაირკვევა, რას ამბობთ! შეუძლებელია მას ნარკოტიკი ჰქონოდა

– ყველა მშობელი ამას ამბობს და არავის სჯერა ხოლმე... ფაქტია რომ თქვენს შვილს ჯიბეში ნარკოტიკი ჰქონდა და სავარაუდოდ პაკეტზე მის ანაბეჭდებს დაქტოლოსკოპიური ექსპერტიზაც დაადასტურებს. დაშვიდდით და დაველოდოთ...

გოგამ, მარიმ და ნონამ დაინახეს თუ არა კლასელების მშობლები, მაშინვე ისინიც შევიდნენ პოლიციის განყოფილებაში. ატირებული ირა სკამზე იჯდა. მარის დანახვისას უფრო ატირდა. ორივე გოგონა გულში ჩაიკრა.

– რა მოხდა მარი? ნუთუ მართალია რასაც ამბობენ?

– არა, ეს არ იქნება მართალი ირა დეიდა! ჩვენ არ გვჯერა, რაღაც შეცდომაა! შეუძლებელია ზურას ეს...ეს... – მარიც ვერ იკავებდა ტირილს.

ამ დროს ანზორი უკვე განყოფილების უფროსს ელაპარაკებოდა:

– ვახტანგ, მგონი ტყუილად მოიყვანეს ეს ბავშვები აქ... დასაბუთება არ შემიძლია, მაგრამ ვფიქრობ შესაძლებელია მართლა სპეციალურად ჩაუდეს ნარკოტიკი იმ ბიჭს. იქიდან ვიცი, რომ ბატონი ვანოს დავალებით ხანდახან ჩემები თვალს ადევნებენ მის შვილს და მასთან ერთად მის მეგობრებსაც, ვანოს აინტერესებს ხოლმე, მისი შვილი რას აკეთებს, ვისთან მეგობრობს შესაბამისად ამ ბიჭს, ზურას კარგად ვიცნობ... ბესოს ძალიან ახლო მეგობარია. ჩვენს შორის დარჩეს და ვფიქრობ თვითონ ბესოა ამაში ჩარეული, მგონი გოგოს გამო ჰქონდათ ჩხუბი...

– კარგი რა ანზორ! ეს ბავშვები არიან, ჩიკაგოელი განგსტერები ხომ არა? – გაეცინა ვახტანგს

– შენ გაიცინე და მე კი აღარაფერი არ მიკვირს ამ თაობისგან! მოკლედ ვახტანგ, ექსპერტიზამ თუ დადებითი პასუხი არ მოგვცა ნარკოტიკის მოხმარებაზე, გთხოვ რომ გაუშვა სამივე და არც ოქმები არ გვინდა!

– კარგი ანზორ, დამნასავეც რომ იყოს მაინც გავუშვებდი შენი ხათრით, ექსპერტიზისთვის სისხლი უკვე აუღეს და პასუხი მალე იქნება

– დიდი მადლობა ვახტანგ! ვალში არ დავრჩები ხომ იცი!

– რას ამბობ ანზორ! ღაც გინდა მთხოვე, რასაც შევძლებ უარს არ გეტყვი!

ვახტანგმა განყოფილების მორიგე გამოიძახა.

– აბა რა ხდება?

– ექსპერტის პასუხი გვაქვს უკვე: მოქეული არცერთს არ აქვს. მაგრამ იმ ერთს ჯიბეში მართლაც აღმოაჩნდა “პლანი”. ამას

თვითონაც არ უარყოფს, ამბობს, რომ ჩხრეკისას მან თვითონ ამოიღო ჯიბიდან ნარკოტიკის პაკეტი, მაგრამ იქ საიდან გაჩნდა არ იცის.

– გასაგებია! მშობლებს აუხსენით ყველაფერი და გაუშვიტ!

– როგორ გავაფორმოთ? მომხმარებლად?

– არანაირად.

– გასაგებია, მაგრამ პატრულის ოქმს რა ვუყოთ?

– პატრულს ხომ ექსპერტიზა არ ჩაუტარებია? მათ არ იცოდნენ ნარკოტიკი იყო თუ არა აღმოჩენილი, მათ მხოლოდ დაკავების ოქმი გააფორმეს. დავტოვოთ როგორც არის და დამატებით ოქმს ნარკოტიკებზე არ დავწერთ

ზურა, გიორგი და დათო გამოუშვეს პოლიციის განყოფილებიდან. ანზორი თვითონ ვახტანგმა გამოაცილა ეზომდე, ხელის ჩამორთმევით დაემშვიდობა. იმ პოლიციელმა, რომელმაც ანზორი შესვლისას გააჩერა, გარეთ გამოსულ მორიგე პოლიციელს ჰკითხა:

– მაინც ვინ არის ეს კაცი?

– არ იცი? თუმცა შენ არ გეხსომება, თავიდან უშიშროებაში იყო, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, შემდეგ სპესამსახურები რაც კი იყო და არის საქართველოში, ყველგან აქვს ნამუშევარი სერიოზულ თანამდებობებზე. ჭორები დადის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს და ადრე უშიშროების ყველა სპეცოპერაციის დაგეგმვაში წამყვანი სპეციალისტი იყო და ბევრში თვითონ იღებდა მონაწილეობას. ძალიან ბევრი მეგობრები ჰყავს სამინისტროში. ასე რომ ფრთხილად ამის შემდეგ! – სიცილით დაასრულა თხრობა განყოფილების მორიგემ და შენობაში შებრუნდა. გარეთ გამოსულ ზურას კი აცრემლებული მარი დახვდა

– როგორ შემემინდა ზურა! ახლაც გაოგნებული ვარ!

_ არაფერია მარი! ყველაფერი დამთავრდა!
 _ მაგრამ ის... ნარკოტიკს ამბობდნენ...
 ზურამ აწყლიანებულ თვალებში ჩახედა მარის.

_ მარი, ძვირფასო, მე მართლა არ ვიცი საიდან გაჩნდა ის პაკეტი ჩემს ჯიბეში... გეფიცები! ჩვენს სიყვარულს გეფიცები!
 _ მე მჯერა ზურა! კარგია, რომ ყველაფერი დასრულდა და შენ აქ ხარ, ჩემთან ერთად... ჩვენთან ერთად!
 _ როგორ ხარ ძმა? _ ჰკითხა გოგამ
 _ კარგად გოგა, თუმცა ვერ გამიგია, როგორ ან როდის მოხვდა ჩემს ჯიბეში “პლანი” რა არ ვიფიქრე, მაგრამ თავში რეალური არაფერი მომდის, რითიც ავხსნიდი ამას... აღარ ვიცი რა ვიფიქრო რო ამაზე! მაღლობა რომ აქ ხარ და არც მარი მიატოვე იქ...
 _ არაფრის ზურა, რას ამბობ! კარგი ეხლა დავისვენოთ, მერე, სხვა დროს დავგვადეთ და მოვიფიქროთ რა მოხდა...
 _ ის კაცი ვინ არის გოგა ხომ არ იცი? მითხრეს, რომ ეგ დაგვეხმარა თორემ ასე იოლად არ გაგვიშვებდნენ.
 _ ბესოს მამის დაცვის უფროსია, ანზორი, მის მანქანაში ვიყავი, ბესო მიგვეყავდა სახლში როცა გოგოებმა დარეკეს...
 _ მაღლობა უნდა მოვუხადო! ბედის ირონიაა თუ დაცინვა? უკვე მეორედ მეხმარება ბესო, ასე გამოდის, თუნდაც უნებლიედ, მაგრამ მაინც... ჩვენ კი... _ ზურამ ხელი ჩაიქნია და ანზორთან მივიდა, რომელიც ის ის იყო ვახტანგს დაემშვიდობა და ზურას მამას ელაპარაკებოდა.

_ დიდი მაღლობა ბატონო ანზორ! მე არც კი გიცნობთ და თქვენი მხრიდან კი ეს დიდ დახმარება იყო!
 _ არაფრის ზურა, მე მამაშენს უკვე ავუხსენი ყველაფერი, რადგან ნარკოტიკის მოხმარება არ დაადასტურა ექსპერტიზამ, უსამართლობა იქნებოდა თქვენი აქ დარჩენა, შენ კი დაუსწრებლად გიცნობ, ასე რომ ეს სამართლიანია! კარგი, მე მპაპტიეთ, უნდა წავიდე _ ანზორი ზურას მამას დაემშვიდობა და მანქანაში ჩაჯდა და, ზურას კი მამამ მკაცრად მიმართა:
 _ ჩვენ სახლში სერიოზული საუბარი გვექნება ზურა!
 _ მე არ ვიცი საიდან...
 _ სახლში ვილაპარაკოთ!

მანქანებით მიიყვანეს მარი, ნონა და გოგა სახლებამდე და გამობრუნდნენ. ზურა ღამის ქუჩებს გაჰყურებდა მანქანიდან. ხეები, ლამპიონები და მანქანები სწრაფად ჩაიქროლებდნენ თვალწინ და ღამის ბურუსში

უჩინარდებოდნენ... მარის ატირებული სახე წარმოუდგა ისევ ზურას “როგორ შეშინდებოდა... როგორ ტკივილს იგრძნობდა... მთელი სკოლა გაიგებს ამას და მარის მშობლებიც... მე კი არც კი ვივცი როგორ ავხსნა ეს ყველაფერი ან თავი როგორ ვიმართლო, თუმცა დამნაშავე რომ არ ვარ ეს ღმერთმა იცის”

სწრაფად გავრცელდა მომხდარის შესახებ სიმართლე და ჭორები სკოლაში. გარდა იმისა, რომ ზურას დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ მშობლები დაერწმუნებინა თავის უდანაშაულობაში, სკოლაში მისვლის პირველი დღიდანვე იგრძნო, რომ ყველა სხვანაირად უყურებდა. ჩვეულებრივ მასწავლებლები თბილად და ახლობლურად ხვდებოდნენ, მოიკითხავდნენ ხოლმე, ახლა კი, თუმცა შენიშვნა არავის მიუცია და არც არავის სიტყვა არ დაემრა მომხდარზე, მაინც იგრძნობოდა მათგან ცივი და ოფიციალური დამოკიდებულება. სკოლის დირექტორმაც დაიბარა, საუბრისას უთხრა, რომ სჯეროდა მისი უდანაშაულობის და დარწმუნებული იყო, რომ გაუგებრობას ჰქონდა ამ შემთხვევაში ადგილი, მაგრამ ისიც დააყოლა რომ საჭიროდ თვლიდა ზურაზე გარკვეულწილად კონტროლისათვის, მეტი ყურადღება და სიმკაცრე უნდა გამოეჩინათ მასწავლებლებს და მშობლებს. ადრევე იყვნენ სკოლაში ისეთებიც, რომლებსაც ყოველთვის შურდათ ზურასი და ახლა, როცა საბაბი მიეცათ ჭორების გავრცელებას არ ერიდებოდნენ. კლასის დამრიგებელმა მშობელთა კრებაც ჩაატარა ამ საკითხთან დაკავშირებით. კალსელები კი ისევ ზურას უჭერდნენ მხარს ზოგი გულწრფელად, ზოგი ისე, ზრდილობისთვის...

ბესო მეორე დღესლა მოვიდა გონზე სრულად. ბუნდოვნად ახსოვდა რესტორანი, მარისა და ზურას წასვლა... შემდეგ მანქანაში ის და გოგა... დილით კი უკვე სახლში გაეღვიძა, თავი საშინლად სტკიოდა, სკოლაში რა თქმა უნდა ვერ წავიდა. მთელი დღე თავის ოთახში იყო ჩაკეტილი. სადამოს შორიდან მოესმა დედის უკმაყოფილო ხმა

– ეჰ, ვანო, არ იცოდე მაინც! შენი შვილი სულ ასე იქცევა, რაც მოუხდება იმას აკეთებს დაჩვენს მიმართ პატივისცემაც მთლიანად აქვს დაკარგული. ჩვენც თავის ნებაზე გვყავს მიშვებული და და ხელს არაფერში არ ვუშლით. ბესოს ყველა ახირება და სურვილი უნდა შესრულდეს ხოლმე... ყველაფერი უნდა ჰქონდეს: ფული, გართობა, მანქანა! ესეც შენი ბრალია! შენი მეგობრები რომ არა პოლიციაში, ამ ასაკში მართვის მოწმობას არავინ მისცემდა, მე კი გული მისკდება ყოველთვის, როცა ის მანქანით გადის გარეთ. ამას როგორმე წერტილი უნდა დაესვას, შენ მამა ხარ და შენი პატივისცემა და შიში უფრო უნდა ჰქონდეს, შენ კი

არასდროს გიცდია მისი შეზღუდვა ან დასჯა... მე მეგონა ისე გავ-
ზარდე, რომ მისაბაძი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისი საქციელიდან
გამომდინარე სატრაბახო არაფერია! ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ,
რომ მის აღზრდაში რაღაცა გამომრჩა, რაღაც დავაკელი, მაგრამ
რა? შენ კი არასდროს გცალია, რომ ყურადღება მიაქციო, სერიო-
ზულად დაელაპარაკო! მარტო ფული და მანქანა! და ყველა
“კაპრიზის” დაკმაყოფილება!

– კარგი რა, ნანა! ისეთი არაფერია! _ პასუხობდა ბესოს მამა _ ჯერ
ახალგაზრდაა, როგორც უნდა ისე მოიქცეს, გაერთოს, მთავარია
რომ კანონს არ არღვევს და დანაშაულს არ ჩადის არც ცუდ
გარემოცვაშია, კარგი კლასელები და მეგობრები ჰყავს. ჯერჯერო-
ბით იყოს თავისუფლად, დრო როცა მოვა მერე მივცემ სერიოზულ
რჩევას!

– ჰოდა იქცევა კიდევ თავისუფლად! ისე, როგორც უნდა და ჩვენს
სიტყვას ყურადღებას არ აქცევს. კვირასაც თაამზმა მოიყვანა
უგონოდ მთვრალი! ეხლა რომ ასე სვამს, მერე რა იქნება? ბესო
არ გამოხვალ ვახშამზე?

– თავი დამანებეთ რა!

– აი, ხომ ხედავ! ისევ ისეა ყველაფერი! სულ ასეთი აგრესიულია!

– ხომ გითხარი ნანა, თავი დაანებე, როცა დრო მოვა თვითონაც
მიხვდება ყველაფერს! და მეც მაშინ ვიქნები მის გვერდით!

ბესოს ერთხანს კიდევ ესმოდა მშობლების კამათი. რამდენჯერმე წამოდგომა
სცადა, მაგრამ თავბრუ დაეხვა და გულისრევა იგრძნო, ისევ ლოგინზე
დაეცა...

მარიც ვერ მოსულიყო გონზე მომხდარის შემდეგ. მისი ნამტირალევი
სახე იმ ღამესვე შეამჩნიეს მშობლებმა. გამოჰკითხეს, რა მოხდა და რატომ
იყო აღელვებული. მარის დამალვა არც უცდია, ყველაფერი რამდენადაც
შეეძლო დაწვრილებით მოუყვა მშობლებს.

– შენ როგორ ფიქრობ მარი, შესაძლოა ის ნარკოტიკი მართლაც

ზურასი ყოფილიყო? _ ჰკითხა მამამ, შეეცადა ხმაში მეტი სითბო და
სირბილე გაერია, რადგან ხედავდა, რომ მარი ისედაც საშინლად
აღელვებული და ატირებული იყო.

– არა, მამა, გამორიცხებულია! ის არასდროს არ იზამდა ამას!

– თუ ერთხელ შეცდომა დაუშვა ეგ არ არის პრობლემა მარი...

– არა, არა, გთხოვ, დამიჯერეთ! ეს რაღაც უცნაური შემთხვევაა!

ზურა ყოველთვის გულწრფელი იყო ჩემთან. სიგარეტსაც კი არ
ეწევა, ეს ყველამ იცის სკლამიც... _ ატირდა მარი.

– კარგი მარი, დამშვიდდი! ჩვენ გვჯერა შენი! – უთხრა დედამ –
ნუ იდარდებ, ყველაფერი გაირკვევა...

– თუ... თუ თქვენ გეპარებათ ეჭვი ჩემს სიტყვებში, გამოდის არც
ძურასი გჯერათ და არც მას დაუჯერებენ, რომ ნარკოტიკი მისი
არ იყო...

– ჩვენ შენი გვჯერა მარი, რაც არ უნდა თქვან ზურაზე, ჩვენ
ნებისმიერ შემთხვევაში შენს მხარეზე ვართ და თუ შენი ბედნი-
ერებისათვის იქნება საჭირო, ზურასაც ისეთს მივიღებთ
როგორც იქნება...

– თქვენ არ გჯერათ, რომ ზურას ეს მოუწყეს, ან რაღაც გაუგებრო-
ბაა? – მარის ენა დაება აღელვებისგან, ჰაერი ეცოტავა, ღრმად
სუნთქავდა...

– თავი დავანებოთ მამუკა, გთხოვ! დამშვიდდი მარი, დაისვენე,
სხვა დროს ვისაუბროთ ამაზე, შენ ნუ ინერვიულებ!

“რა უსამართლობაა! რატომ შეემთხვა მაინც და მაინც ზურას ეს? ან ის
ნარკოტიკი საიდან? მართლა რაღაც გაუგებრობაა! ზურა არ მომატყუებდა
არასდროს!” – აცრემლებული მარი ლოგინზე დაეცა, როცა მშობლები მისი
ოთახიდან გავიდნენ – “იქნებ მართლაც მისი იყო? აბა ჯიბეში საიდან
ჰქონდა? რომ არასდროს შემომჩნევია? არა მაინც არ მჯერა! ზურა ჩვენს
სიყვარულს არ უღალატებდა და არც მე მატკენდა გულს რაღაც მოსაწევის
გამო!” – მარიმ თვალები დახუჭა, ცრემლები ხელებით შეიმშრალა. გული
მაინც გამალებით უცემდა. დიდხანს წვალობდა ასე, ბოლოს
ძალაგამოცლილს მიეძინა ლოგინზე. “ზურა არ უღალატებს ჩვენს
სიყვარულს...” – ეს ფიქრი ჩაჰყვა ძილში.

გოგაც არანაკლებ ააფორიაქა ამ ამბავმა, მითუმეტეს, რომ იცოდა ბესოს
გეგმის შესახებ, რომ მარის სიყვარულის მოპოვება უნდოდა ნებისმიერი
გზით. თუმცა დარწმუნებული არ იყო ბესოს მონაწილეობაში, მაგრამ
ინტუიციით გრძნობდა: რაღაც საშინელ ღალატს და მუხანათობას ჰქონდა
ადგილი ზურას მიმართ და ამის გაკეთების მიზეზი მხოლოდ ბესოს
ჰქონდა... თუ ეს მართლაც ასე იყო, თვითონ გოგაც გამოდიოდა ამ
მზაკვრობის მონაწილე, ეს ხომ მან წამოიწყო წვეულება? მართალია ბესოს
თხოვნით მაგრამ... “ეს ბესომ შემომთავაზა წვეულების მოწყობა. ნუთუ ასე
პირდაპირ მიყურებდა თვალებში, მშვიდად და მატყუებდა? მისი
აღელვებული ხმა? მისი თითქმის ატირება? ნუთუ ასეთი ოსტატობით
თამაშობდა? არ ვიცი, ალბათ მეც ვცდები და თუ არ ვცდები მაშინ მე როგორ
ავხსნა, ან გავამართლო ჩემი დუმილი? ზურას და მარის როგორ შევხედო
თვალებში? ეს შეიძლება ვერც გაიგონ და ეჭვიც არ ექნებათ, რომ მე

დაახლოებით ვიცოდი ასეთი მზაკვრობის საშიშროების შესახებ და არ გავფრთხილე ისინი... მაგრამ ჩემს თავს სად გავექცე? ისე ათასი გიჟი დადის და ზურასიც ბევრს შურდა ყოველთვის... იქნებ ვინმემ სხვამ გააკეთა ეს ყველაფერი და ბესოს ცილს ვწამებ? მაგრამ ძალიან ბევრი დამთხვევაა! აუცილებლად ვნახავ ბესოს და დაველაპარაკები... იმედი მაქვს ის ამიხსნის ყველაფერს და უდანაშაულო იქნება ამ საქმეში, მაგრამ მე მაინც ყველანაირად მოვემზადები ამ საუბრისთვის... თუ აღმოჩნდა, რომ მართლაც ბესოა ყოველივე მომხდარის ორგანიზატორი, იძულებული ვიქნები მის წინააღმდეგ წავიდე და ყველაფერი გამოვამჟღავნო, მისი მზაკვრული გეგმები! მაშინ პასუხსაც მოვთხოვ ზურასა და მარის სიყვარულის ხევის შემლისთვის, ჩემი მოტყუებისთვის, საერთო მეგობრების ღალატისთვის! ” – ასეთი ფიქრები შავი ღრუბლებივით ეხვეოდნენ გოგას გონებას და მოსვენებას აკარგვინებდნენ.

ბესომ კი მერაბისგან გაიგო ყველაფერი მომხდარის შესახებ, თანაც საკმაოდ დაწვრილებით და დეტალურად. საერთო ჯამში ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც დაგეგმეს. საკმაოდ შეელახა სახელი ზურას და ახლა დიდი ძალისხმევა დასჭირდებოდა რეპუტაციის და ნდობის აღსადგენად, ალბათ მარისაც ეჭვი შეეპარებოდა მის გულწრფელობაში, ყოველ შემთხვევაში ბესოს ეს ძალიან უნდოდა “ეს პირველი ეტაპი იყო, ახლა მე ისევ მარის გვერდით შევეცდები ყოფნას, ზურასაც მხარს დავუჭერ და ვეტყვი, რომ მათ სიყვარულს ეს ამბავი ვერაფერს დააკლებს, მთავარია მარის გულში ჩემს მიმართ ნდობა აღდგეს და შემდეგ დროთა განმავლობაში ისევ სიყვარულზე შევპარებ საუბარს” – ასე ფიქრობდა ბესო. მთლიანობაში გახარებული იყო, მაგრამ ერთი რამ მაინც აფიქრებდა: ანზორის უნებური ჩარევა ამ სიტუაციაში. იცოდა, თუ დაცვის უფროსი მოისურვებდა, დეტალურად გაარკვევდა ყველაფერს, მაშინ მერაბიც ვერ გადარჩებოდა და თვითონ ბესოსაც ბევრი რამის ახსნა მოუწევდა მშობლებისთვის. საბედნიეროდ ანზორი მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ პოლიციიდან გამოიყვანა ზურა, დათო და გიორგი და ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა. ბესოსთვის უცნაური იყო, რომ ყოველივეს შესახებ მის მამას არ მოახსენა “თუმცა იქნებ უთხრა კიდეც, მაგრამ მამა როგორც ყოველთვის არც კი მიაქცევს ამას ყურადღებას. ეს კარგია!”

მარიმ მხოლოდ ოთხშაბათს შესძლო სკოლაში მისვლა, მანამდე არც სახლიდან გასულა და ტელეფონიც გამორთული ჰქონდა. მეორე საღამოსვე ვერ მოითმინა ზურამ, რადგან ტელეფონით ვერ დაუკავშირდა, თვითონ მივიდა მარისთან სახლში.

– გამარჯობათ ქალბატონო მზია, როგორ ბრძანდებით?

– გამარჯობა ზურა, არამიშავს...

– მე მარის ნახვა მინდა თუ შეიძლება, ტელეფონს არ პასუხობს...

– რა თქმა უნდა... თავის ოთახიდან აღარც გამოდის, სულ აცრემლებული მოვიდა სახლში, ახლაც სულ ტირის... მე იმედი მაქვს, ზურა, რომ მართლაც გაუგებრობაა შენს ჯიბეში ნარკოტიკის აღმოჩენა, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ მარის დროს მისცემ და დროებით არ შეაწუხებ. სკოლაში როცა გამოვა მაშინ გარკვეით ეთ ყველაფერი... იმედია დაარწმუნებ, რომ მართლაც არ გაქვს კავშირი ნარკოტიკთან.

– მარი ჩემზე ფიქრობს ამას? – ხმა აუთრთოლდა ზურას – მზია დეიდა გეფიცებით მე არც კი ვიცი საიდან...

– არა ზურა, მარი პირიქით, ამბობს, რომ შენ უდანაშაულო ხარ, მაგრამ ჩემი აზრით, მაშინ შენს გარემოცვაში, მეგობრებში უნდა მოძებნო ადამიანი, რომელიც ასეთი რამისთვის გაგიმეტებდა თუ ისეთ ხალხთან გაქვს ურთიერთობა რომ ჯიბეში ჩუმად ნარკოტიკს გიდებენ, ეს მართლაც არასასიამოვნო და ძალიან ცუდია! ჩემთვის მიუღებელია, რომ თუნდაც შენს გამო, მარის საფრთხე დაემუქროს. პირადად შენი საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს ზურა, უბრალოდ შენი საქმეები მოაგვარე და თუ მარიც თანახმა იქნება, ჩვენ თქვენი ურთიერთობის გაგაგრძელების წინააღმდეგი არ ვიქნებით!

– უკაცრავად... მაპატიეთ მზია დეიდა... მარის მოკითხვა... – ძლივს მოუბრუნდა ზურას ენა, გამოტრიალდა და კიბეებს ჩაუყვია.

“მარი, ძვირფასო, მართლაც რამდენი ტკივილი განიცადე ჩემს გამო, ნუთუ მართლა შეგეპარება ჩემში ეჭვი?” – გზადაგაზა ფიქრობდა ზურა – “მაგრამ რა გასაკვირი იქნება, ჩემი ხელით ამოვიღე ის პაკეტი ჯიბიდან. საიდან გაჩნდა იქ, ან ვის დასჭირდა ასეთი რამის ჩადენა? სულ ერთია ვინ რას იტყვის და ვინ რას იფიქრებს ჩემზე, მთავარია მარის სიყვარული იყოს უვნებლად... მაგრამ იქნებ... არა, არა, არ შეიძლება ჩვენი გრძნობა ერთი შემთხვევის გამო გაქრეს, თანაც გაუგებარი შემთხვევის გამო. მარის ვნახავ თუ არა დაველაპარაკები, სერიოზულად აეუხსნი, რომ კავშირი არ მაქვს ნარკოტიკებთან... ისე კი მარის დედა მართალია! ახლა არ შევაწუხებ, თუმცა ძალიან მენატრება და უზომოდ მინდა მის თვალეში ჩავიხედო... დავარწმუნო, რომ ეს შემთხვევა ან გაგუგებრობაა ან ვიღაცის ბოზროტების შედეგი... ისე ვინმე... არა, ასე ვერაფერს გავხდები! ანდა დავმშვიდდე, მერე ბესოსა და გოგას დაველაპარაკები, იქნებ მათ ან დათომ და გიორგიმ შეამჩნიეს იმ სადამოს რამე საეჭვო.”

ზურა ტყუილად დელავდა მარის გამო. მარის დამოკიდებულება მის მიმართ ვერ შეცვალა მომხდარმა. მარის სკოლაში გამოსვლის დღესვე, შეყვარებულებმა ისევ თეატრის ბაღში გაისეირნეს. ზურას თბილმა სიტყვებმა და დამაჯერებელმა მსჯელობამის ოდნავი ექვიც გაუქრეს, რაც გულში ჰქონდა.

– მარი, მე მიყვარხარ ძვირფასო! ვიცი, რომ შენც გიყვარვარ და გჯერა ჩემი, ამიტომ გულახდილად გეუბნები: წარმოდგენა არ მაქვს საიდან გაჩნდა ჩემს ჯიბეში ის პაკეტი! და თვითონ დაფიქრდი: თუ მე ჩავიდე ჯიბეში “პლანი”, არც ისეთი მთვრალი ვიყავი, რომ რომ პოლიციის მოახლოებისთანავე არ გამეაზრებინა რა მოხდებოდა, თუკი ნარკოტიკს მიპოვიდნენ, ამიტომ მანამდე მოვიშორებდი სანამ მანქანიდან გადმოვიდოდნენ. შენგან საიდუმლო არ მაქვს მარი, შენზე კარგად არავინ მიცნობს და თუ მართლა ვეწეოდი, მაშინ ერთხელ მაინც ხომ შემამჩნევდი საქციელზე? ან მოწვევისას წამასწრებდი როდესმე? და ყველაზე მთავარი ის არის მარი, რომ მე ჩვენს სიყვარულს არ დავაყენებდი და არასდროს არ დავაყენებ საფრთხის წინ, მითუმეტეს ასეთი სისულელის გამო.

– მჯერა ზურა! ვიცი, რომ შენ არაფერ შუაში არ ხარ! ვიცი, რომ ჩვენი სიყვარულის გამო ყველაფერს გააკეთებ... გულით ვგრძნობ როგორც ხარ: თბილი, მოსიყვარულე, რომანტიული, არასდროს არ დავიჯერებ, რომ ნარკოტიკებთან რამე კავშირი გაქვს! ზურა მე მხოლოდ იმაზე ფიქრი მაშინებს, როგორ აღმოჩნდა შენს ჯიბეში მანრკოტიკი? თუ ვინმე ასეთ ბოროტებას აკეთებს, ის მეტზეც იქნება წამსვლელი და ვშიშობ რამე გამოუსწორებელი არ შეგემთხვის!

– მარი, ძვირფასო, შენ ახლა აღელვებული ხარ, მაგრამ გარწმუნებნებ არც მე არც შენ და არც ჩვენს სიყვარულს არაფერი არ დაემუქრება. რაც არ უნდა მოხდეს, ყოველთვის მეყვარები და გპირდები, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ გავიგო რა მოხდა სინამდვილეში იმ საღამოს და ვინც ეს გააკეთა, მის ადგილზე ყოფნას არავის ვუსურვებ! მთავარია, რომ ჩვენი სიყვარული ისევ ისეთია, უკვდავი... და ამას ვერანაირი პრობლემა ვერ შეცვლის! ვერავინ დაგვაშორებს ერთმანეთს, თვით სიკვდილიც კი!

– ნუ ამბობ ამას... მე შენ მიყვარხარ! მხოლოდ ჩვენი სიყვარული იქნება ჩვენს გარშემო... არ მინდა ვიფიქრო რომ ცუდი რამ მოხდება... რამე გამოუსწორებელი... სიკვდილი? – მარამ თავი

გააქნია უარყოფის ნიშნად და ზურას ახედა, სიყვარულით სავსე მზლის ნუკრისებური თვალებით.

– ჩემო პატარა ფერიავ! მაპატიე ყველაფრისათვის, ტკივილისათვის რომელიც უნებურად მაგრამ მაინც მე მოგაყენე...

– არა ზურა, შენ არასდროს მაყენებ ტკივილის, პირიქით, შენს გვერდით ყველა და ყველაფერი მავიწყდება! მხოლოდ სიყვარული რჩება!

სკოლაში გამოსვლისთანავე ზურა ბესოს, გოგას გიორგის და დათოს დაელაპარაკა. ყველამ იცოდა, რაც მოხდა, მაგრამ ბესო განსაკუთრებული ყურადღებით დეტალებით დაინტერესდა, რესტორნიდან გამოსვლიდან პოლიციაში მიყვანამდე: ვინ სად იდგა, მარი და ნონა რას აკეთებდნენ, პოლიციის განყოფილებაში რა ჰკითხეს პოლიციელებმა და სხვა ასეთი წვრილმანები. ბესოს ასეთი ინტერესისტვის ყურადღება არავის მიუქცევია. ზურამ მადლობაც კი მოუხადა მას, ანზორის მხრიდან ყურადღების გამოჩენისა და დახმარებისთვის

– არა ზურა, მე არც კი ვიცოდი, მადლობა ანზორს ეკუთვნის, მე შამწუხაროდ მხოლოდ მეორე დღეს გავიგე მომხდარის შესახებ

– მაინც შენი მხრიდან გამოდის დახმარება, შენ რომ არ ყოფილიყავი ჩვენი მეგობარი, არც ანზორი მოგვაქცევდა ყურადღებას და არ დაგვეხმარებოდა! გოგასაც მადლობა, რომ გოგონებს დაეხმარა რა, თორემ, როგორც მითხრეს, კინაღამ გაგიჟდნენ – გაუღიმა ზურამ გოგას. გოგასაც გაეღიმა მაგრამ უცნაურად გრძნობდა თავს, უსმენდა ბესოს თბილ, მეგობრულ ლაპარაკს ზურასთან და ყურებს არ უჯერებდა... ბესო არაფერს იმჩნევდა, მისი წუხილიც თითქოს ნამდვილს ჰგავდა, მაგრამ გოგამ იცოდა, რომ ყველაფერი, რაც მოხდა მის მიერ დახატულ გეგმას ემთხვეოდა, რომელიც მაშინ გაუზიარა გოგას, როცა თავიდან დახმარება სთხოვა. თუმცა შესაძლოა მართლა გულახდილად ლაპარაკობდა... გოგა უკვე ვეღარ არჩევდა მართალს და სიცრუეს მის საუბარში.

– ისე ბესო, შენც მაგარი ხარ! – მიმართა გოგამ – რა იყო ასე დათორობა? ჯერ ტულაეტამდე ძლივს მიგიყვანე და მერე ჰოლში დივნამდეც არ მომყვებოდი, თან რაღაც გაუგებარს ლულულულებდი: “არ წავიდნენ...” არ წახვიდეთ...” “ცუდი იქნება...” არც კი ვიცი გელანდებოდა ან რას გულისხმობდი.

ბესოს ნამალადევიად გაეღიმა.

– არა, არ მახსოვს, მთლიანად გავითიშე, შენც ხომ მთვრალი იყავი ვი, როგორღა გამოფხიზლდი?

- _ მე იმდენი არ დამილევია, თან ცივმა წყალმა გამომაფხიზლა, გოგოებმა რომ დარეკეს სადღა შემრჩა თრობა! _ გაიცინა გოგამ გოგამ.
- _ თქვენ როგორ ფიქრობთ ბიჭებო, საიდან უნდა მოხვედრილიყო ჩემს ჯიბეში “პლანი”? ჩვენ მართალია სასმელით ადრეც “გვიმაიმუნია” მაგრამ ასეთ რამეს ყოველთვის ვერიდებოდით...
- _ არ ვიცი რა ვიფიქრო... იქნებ თვითონ პოლიციელებმა “იხალიჩეს”? სხვა არაფერი მომდის თავში _ თქვა ბესომ
- _ არ მგონია ბესო, მე თვითონ ამოვიღე ჯიბიდან, არც კი ვიცოდი რა იყო, ვერც გავიაზრე, ისე დავაგდე მანქანაზე _ ზურამ მხრები აიჩიქა _ რა აღარ ვიფიქრე, მაგრამ რეალურს ვერაფერს მივაგენი, ვინ უნდა მოხვედრილიყო ჩემ ქურთუკთან და როდის? და მთავარი ის არის, ვის რაში სჭირდებოდა ეს? კონფლიქტი ყველას მოგვსვლია სკოლაშიც და ისეც, მაგრამ ხომ ყველაფერს ფერს ვარკვევდით ბოლომდე? თან ასეთი ვის რა უნდა ჩაედო გულში რომ კინაღამ “სროკზე” გამიშვეს?
- _ რესტორანში ხომ არ ვიკითხოთ? უნდა იცოდნენ ვინ შევიდა გარდერობში, ან სამეთვალყურეო კამერებმა დააფიქსირეს რამე იქნებ? _ თქვა დათომ _ პოლიცია მაინც რატომ არ დაინტერესდა? ნარკოტიკი ხომ აღმოაჩინეს?
- _ დაწვრილებით რომ გამოეკვლიათ, მაშინ საქმე უნდა ყოფილიყო აღმრული, ანზორმა კი საქმე არ აღამგრევიანა და პოლიციის ოქმიც გააუქმეს ალბათ, ზედმეტი საქმე არც მათ არ უნდათ, რესტორანში კი არ მგონია ვინმემ რამე გვითხრას, მათ ინტერესში არ შედის... თუ აღმოჩნდა რომ ნარკოტიკი იქ ჩაუდეს ზურას, მათი ბრალია და პასუხი მათ მოეთხოვებათ.
- _ ბესო მართალია დათო, ამას სამწუხაროდ ვერ გავიგებთ, თუ რამე სასწაული არ მოხდა, პოლიციაში კი არც ფიქრობენ რომ შესაძლოა ვინმეს ჩაედო ჩემს ჯიბეში ნარკოტიკი. დარწმუნებულეები იყვნენ, რომ ჩემი იყო და მორჩა! _ უპასუხა ზურამ
- _ მესმის, მაგრამ იქნებ მაინც გვეცადა? ბოლოს და ბოლოს რესტორნის დაცვა იყო პასუხისმგებელი ამაზე!
- _ არა, აზრი არ აქვს, რომ ვუფიქრდები... ისღა დამრჩენია სხვა დროს ფრთხილად ვიყო _ თქვა ზურამ _ კარგი აბა, მაღლობა ბიჭებო მხარდაჭერისთვის, მგონი მხოლოდ თქვენ და მარის გჯერათ ჩემი, დანარჩენები, მე მადანაშაულებენ... სკოლაშიც, სახლშიც სახლშიც... მაინც ეჭვი აქვთ... ხან მამაჩემი და ხან დედაჩემი

მობილურზე მირეკავენ წარამარა, კითხულობენ სად ვარ. თავი სულელი ბადის ბავშვი მგონია!

_ არაფერია, ძმა, დრო გაივლის და ყველა ყველაფერს დაივიწყებს

_ რატომღაც მგონია, რომ ძალიან მშვიდად ამზობ მაგას ბესო!

_ რისი თქმა გინდა გოგა? მე ვწუხვარ, რომ ასე მოხდა, მაგრამ რას ვიზამ?

_ კაი, ბიჭებო დავიშალოთ! ფრთხილად ვიქნები და აღარც თქვენ და აღარც საკუთარ თავს აღარ შევუქმნი პრობლემებს _ გაიცინა ზუ-ზურამ და ყველას დაემშვიდობა.

დათო და გიორგიც წავიდნენ. ბესოც წასვლას აპირებდა, მაგრამ გოგამ შეაჩერა

_ ესიგი მართლა წუხხარ?

_ რა გინდა გოგა არ მესმის! კი ვწუხვარ, რომ ასეთ ამბავში გაეხვივინენ ბიჭები, მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდა და მე ქალივით აცრემლებული ვერ ვივლი ამის გამო!

_ არ ვიცი ბესო... რაც მოხდა ეს ყველაფერი ძალიან ემთხვევა იმას რაც კაფეში მითხარი ადრე, გახსოვს?

_ მართლა? _ ირონია გაურია ხმაში ბესომ _ კი, მე მაშინ მთვრალი ვიყავი და შეიძლება ათასი სისულელე ვთქვი, ეგ იმას არ ნიშნავს, რომ რამე კავშირი მაქვს ამასთან...

ბესო უცბად შეჩერდა, მიიხედა-მოიხედა და რომ დარწმუნდა, გარშემო არავინ იყო, ელვისებურად მისწვდა გოგას საყელოში და კედელს მიახეთქა. გოგამ მაჯებში ჩაავლო ხელი, საყელო გაინთავისუფლა ბესოსგან და გვერდზე გაიწია

_ რაო, ბესო? რამე მტკივნეული ხომ არ გითხარი? ჩემი ეჭვი იქნებ ზურასაც გავუზიარო? მაგრამ მე შენნაირი არ ვარ!

_ უფლება არ გაქვს ასეთ რამეში დამდო ბრალი! _ ბესო უკვე ყვიროდა და ქვედა ყბა უკანკალებდა _ მე აქ არაფერ შუაში არ ვარ გაიგე? ის რომ მაშინ მსგავსი რამ ვთქვი იმას არ ნიშნავს რომ გავაკეთე! და ასეც რომ იყოს ვერ დაამტკიცებ!

_ გავიგე, მაგრამ თუ მართლა შენ ხარ ამის “ავტორი” მაშინ ფრთხილად! არაკაცს არაკაცურად უნდა მოექცე და მეც ასე ვიზამ!

ბესომ ისევ მოთოკა საკუთარი თავი, ხმას დაუწია და მშვიდად შეხედა გოგას

_ რატომ ფიქრობ ასე გოგა? მე სულ თქვენთან ერთად ვიყავი, მთელი სადამოს განმავლობაში, თუმცა ძალიან მთვრალი მაგრამ მაინც მახსოვს რომ გეუბნებოდით მე, შენ ზურა და მარი

მარი ერთად წავიდეთ-მეთქი? ხომ ვაპირებდი, მამაჩემისთვის დამერეკა და მანქანა გამომემახა?

გოგა ოდნავ შეყოვნდა, ეს სიმართლე იყო, ბესო მართლაც ამბობდა რაღაცას მსგავსს, მაგრამ მაშინ მის სიტყვებს ყურადღება ვერ მიაქცია.

– შეიძლება, მაგრამ მოტივი მხოლოდ შენ გქონდა და იმუქრებოდი კიდევაც ამის გაკეთებას

– მოდი, გოგა, ასე მოვიქცეთ, ეხლა დავმშვიდდეთ და ხვალ მნახე ყველაფერს აგიხსნი და შევეცდები დაგარწმუნო, რომ ამაში მე მონაწილეობა არ მომიღია, თორემ ახლა უკვე ვეღარ ვითმენ შენი სულელური ლაპარაკის მოსმენას და შეიძლება კბილებიც ჩაგამიტვ-ვრიო! _ მშვიდი ტონის მიუხედავად, ბესოს ეტყობოდა, რომ რომ ძალიან დამაბული იყო და თავს ძლივს იკავებდა.

– შენ შენს კბილებს მოუფრთხილდი ჯობია! ვალში არც მე დაგრჩები _ შეუღრინა გოგამ.

– გიფიქრია რის გამო, ან ვის გამო ვჩხუბობთ?

– ოღონდ მეგობრობაზე არ დამიწყო ლაპარაკი ბესო! საერთოდ თუ იცი რას ნიშნავს ეს სიტყვა? ან სიტყვა “ვწუხვარ”? ან “მაპატიე”? თუ ამ სიდამპლეში შენ ხარ ჩარეული, იცოდე, რომ მტრები ვართ და ყველაფრისთვის პასუხს გაგებინებ!

– კარგი! ხვალ! _ ამოიხრილა ბესომ _ ხვალ გაიგებ სიმართლეს! შენნაირი მატლის მე არასდროს შემემინდება!

– კარგი! ხვალ, ხვალ, ხვალ! _ დაიყვირა გოგამაც, ბესოს ფეხებთან დააფურთხა და წავიდა. ბესო ერთხანს ადგილზე დარჩა გამეშვებული, შემდეგ ერთხელაც მოავლო თვალი იქაურობას, დარწმუნდა, რომ არავინ შეესწრო მათ ჩხუბს და ისიც ნელი ნაბიჯით გაემართა ეზოდან გასასვლელისკენ. მეორე დილით სკოლის წინ შეხვდნენ ბესო და გოგა ერთმანეთს

– რას იტყვი, არვე ვილაპარაკოთ, თუ სხვაგან?

– სადაც გინდა ბესო!

– მაშინ ცოტა მოვშორდეთ აქაურობას _ ბესოს მშვიდი და უდარდელი ტონი ჰქონდა.

– მოვშორდეთ _ უცნაურად ჩაიცინა გოგამ.

ორივენი ბესოს მანქანაში ჩასხდნენ და დაიძრნენ. გოგამ სალონში უკან მოიხედა და მანქანის სკამები შეათვალიერა

– რა არის? _ იკითხა ბესომ

– ვამოწმებ მარტო ხარ, თუ “რეზერვში” სამი კაცი გყავს?

– მარტო ვარ _ ჩაიცინა ბესომ _ შენთან ვინ რაში მჭირდება?

_ ჩემთან არა, არც ზურასთან დაგჭირდება?

_ ერთი შენიც და ზურასიც! _ შეუბღვირა ბესომ _ თუ გინდა ვილაპარაკოთ, თუ არა და თავისუფალი ხარ! სადაც საჭირო იქნება იქ გნახავ და ყველაფერს გავარკვევთ, ოღონდ სხვანაირად! გოგა დადუმდა. იცოდა, თუ ბესო გაღიზიანდებოდა, აღარც დაელაპარაკებოდა და აღარც გულახდილი იქნებოდა, გოგას კი გათვლა ბესოს პატივმოყვარეობაზე ჰქონდა, თუ ბესო გარეული იყო ზურასთვის ნარკოტიკების ჩადებაში, ერთი სული ექნებოდა, რომ ეს ვინმესთვის ეთქვა, ვინმესთვის გაეზიარებინა თავისი სიხარული, რომ ზურას სახელს შეეხო და რეპუტაცია გაუფუჭა, ეს ხომ ბესოს გეგმის ერთ-ერთი ნაწილი იყო. ქალაქკარეთ გავიდნენ. ბესომ პატარა, ხელოვნურად გაშენებულ ტევრთან შეაჩერა მანქანა. ორივე გადმოვიდა მანქანიდან, ტევრის შუაში ჩადგმულ საკამებიდან ერთ-ერთზე ჩამოსხდნენ.

_ აბა გისმენ, შენ გუშინ ბრალი დამდე და ძალიან გაინტერესებდა მართალი იყო თუ არა შენი ექვი.

_ შენ მე მითხარი, რომ შესაძლებელი იყო ზურასთვის ნარკოტიკი აღმოეჩინათ მოულოდნელად... ახლა ეს მართლა მოხდა, თანაც იმ რესტორანში სადაც შენი რჩევით და შენი სურვილის მიხედვით მივედი... და მეც იდიოტივით დავიჯერე, რომ გამოსწორდი! უნდა უნდა მივმხვდარიყავი, რომ ამხელა ქეიფი და მასკარადი არ იყო საჭირო უბრალო ბოდიშის მოსახდელად. რას იტყვი?

_ ჰო, იდიოტივით რომ მოგივიდა ეგ, მართალია! მეც ასე ვფიქრობ! ახლა კი მოგიყვები ყველაფერს...

ბესოს სახეზე სიცივე, სარკაზმი, დაცინვა, მაგრამ მასთან ერთად კამაყოფილება და ავადმყოფური სიამაყე აღბეჭდვოდა.

_ თქვი, მართალი ვარ? ეს ყველაფერი შენი გაკეთებულია?...

_ კი ჩემია! იმის შემდეგ, რაც შენ უარი მითხარი დახმარებაზე, მე რა თქმა უნდა სხვა მხრივ ვეცადე ყველაფერს, ხომ გითხარი რომ ყველაფერს გავაკეთებდი? ჰოდა პირველი: შენც ხედავდი, რომ თავიდან მარისთან და ზურასთან ურთიერთობის დალაგება დავიწყე, მგონი გამომივიდა კიდეც, უკეთესი მეგობრები ვართ ვიდრე ადრე, შენც ხომ ვერ ამჩნევდი, რომ ვთამაშობდი?

_ მერე?

_ პირველ ნაბიჯს ნმეორე მოჰყვა: ფეხბურთი და სტადიონი! _ ჩაიცი-
ნა ბესომ.

გოგამ გაოცებული თვალებით შეხედა, თითები სიბრაზისგან აუთრთოლდა,

_ რაა? ესეც შენ იყავი? ვეჭვობდი, ვეჭვობდი! მართლა იდიოტი ვარ!

ვარ! უნდა ვალიარო გამაცურე, გამასულელე! მადლობელი ვარ მეგობარო, რომ ამ სიბინძურიეში მეც გამრიე!

_ არ გინდა რა, ეს სენტიმენტალურობა!

_ გისმენ, გისმენ _ თავი დააქნია გოგამ

_ მკითხე და გიპასუხებ მეგობარო! _ ბოლო სიტყვა განსაკუთრებული ზიზღით წარმოთქვა ბესომ.

_ სტადიონზე მეც ვიეჭვე და ხომ გითხარი ის ქილები წავილე ექსპერტთან შესამოწმებლად, დამიდასტურეს, რომ რაღაც მომწამლველი იყო გარეული შიგ... მაინც ვერ გაგიმეტე და არავის ვუთხარი რომ შესაძლოა შენ იყავი გარეული ამაში!

_ რაა? შენ? _ გადაიხარხარა ბესომ და ტაში დაუკრა _ მაგარია!

ალბათ თავი შერლოკ ჰოლმსი გგონია არა? მოიცა, მაშინ მე ვინ გამოვდივარ? ალბათ ბოროტი პროფესორი მორიარტი!

_ მორჩი რა ღადაობას! მიღწევებითაც მერე ვიტრაბახოთ! ჯერ გავარკვიოთ ვინ რა გავაკეთეთ და რა გვინდა!

_ კარგი, სტადიონის შესახებ მოკლედ გეტყვი: თავიდან ძლიერი საწამლავის გამოყენება მინდოდა, მაგრამ სიკვდილის შემთხვევაში ექსპერტიზა დაადგენდა ამას და გამოძიება დაიწყებოდა, ამიტომ მსუბუქი ტრანკვილიზატორი, სპირტი და გლუკოზა! ეს ნაზავი შევურიე ზურას რედ ბულს! იმოქმედა კიდეც!

_ ზურას რატომღა დაეხმარე მაშინ?

_ რა თქმა უნდა დავეხმარე, ასეც იყო ჩაფიქრებული, მას ჩრდილი მიადგა ყველას თვალებში, ხოლო მე მის გვერდით ვიყავი, ადრინდელივით, როგორც ერთგული მეგობარი. და ერთიც, იცი, მარის ცრემლები რომ დავინახე ისეთი სიამოვნება ვიგრძენი... სულიერი სიმშვიდე... თითქოს მის გულზე მეკიდა ხელი და ნელ-ნელა ვუჭერდი თითებს, მისი თვალებიდან კი სისხლის მაგივრად ცრემლები მოწანწკარებდნენ... _ ბესომ თვალები დახუჭა, თითქოს წარმოსახვით ხედავდა იმ მომენტს _ ძალიან ლამაზი იყო, დამწუხრებული და მომხიბლველი!

_ შენ არანორმალური ხარ! ფსიქიატრი გჭირდება!

ბესო გამოერკვა და განაგრძო

_ შემდეგი ეტაპი ასე დაიწყო: ნარკოტიკი ერთ-ერთი იდიოტი ნათესავისგან მქონდა, ადრე დამიტოვა, ნარკომანი იყო... უნდა ვთქვა ვთქვა, რომ როცა ყველაფერი მოვამზადე, ესიგი, წვეულება, პოლიცია და ასე შემდეგ, რესტორანში მხოლოდ “პლანი უნდა ჩამედო, მაგრამ ერთი მომენტში უარი ვთქვი ამის გაკეთებაზე,

მარი ისეთი ბედნიერი და მხიარული იყო, ვერ ვიმეტებდი, მაგრამ როცა მისი და ზურას ცეკვა ვნახე, სისხლი მომაწვა ყელში ყელში... ზურა როგორ ალერსით ეჩურჩულებოდა... – ახლა უკვე ხრიალით თქვა ბესომ და ხელები მომუშტა. გოგა შეიშმუნა და ინსტინქტურად დაიწია უკან, როდესაც ბესოს არანორმალურ სახეს შეხედა.

– მერე კი – ისევ მოყოლას დაუბრუნდა ბესო – გავაკეთე რაც უნდა უნდა გამეკეთებინა და დარბაზში დავბრუნდი, მაშინ შენც საცეკვოდ იყავი გასული... დალევაც იმიტომ დავიწყე, რომ ალიბი მქონოდა იმ დროისთვის, როცა ზურას პოლიცია აიყვანდა, მე ხომ გალემილი მთვრალი ვიქნებოდი...

– ეგ ჰო, გასაგებია უკვე, მაგრამ რატომღა შემომთავაზე მანქანით წასვლა? რა იცოდი, რომ უარს ვიტყოდით? მაშინ რას იზამდი?

– ეგ არ მახსოვს... არ ვიცი... არ ვიცი რატომ გითხარით ან რას გავაკეთებდი ამის მერე... თუმცა რა მნიშვნელობა აქვს?

– კარგი და პოლიცია?

– ეს მამაჩემის დაცვის ერთ-ერთ წევრს მოვურიგდი, ყველაფერი გათვალისწინებული იყო: აიყვანეს, წაიყვანეს, სათანადო ოქმიც შეადგინეს. ისე ძალიან კი მინდოდა იმ მომენტს შევსწეებოდი, როცა ზურა პოლიციის მანქანაში მისი აღრიალებული შეყვარებული კი დაქალთან ერთად დარჩა ცარიელ ქუჩაში!

– საიდან გაქვს ამდენი ბოროტება ბესო? განა რა დაგიშავა ასეთი ზურამ? დავუშვათ სიყვარულის გამო ხარ გამწარებული და შური გინდა იძიო, მაგრამ მარის ხომ უსაზღვრო ტკივილის აყენებ?

– “როდესაც ტყეს ჩეხავენ, ნაფოტებიც ცვივა” გაგიგონია ეს გამოთქმა? ან ტერმინი: “დასშვები მსხვერპლი” კარგი იქნებოდა თუ თუ საქმესაც აღძრავდნენ, თუმცა ეს თავიდან არ შემითანხმებია პოლიციასთან... ჩემთვის ყველაზე კარგ ვარიანტში ნარკოტიკების გავრცელებისთვის “არასრულწლოვნებში” გაუშვებდნენ ზურას, თუ არ დაიჭერდნენ, საპროცესო გარიგება დასჭირდებოდა მაგრამ ესეც ესეც პირობითი სასჯელია იურიდიულად. არ მგონია მარის მშობლებს ნასანართლევი სიძე უნდოდეთ და თუ ისე მოხდებოდა, რომ დაიჭერდნენ, ეს უკეთესი! მე აუცილებლად ვივლიდი მის სანახავად ... და პარალელურად მარისთან ურთიერთობას გავაღრმავებდი. როდესაც ორი ადამიანი ერთი და იგივე მწუხარებას განიცდის, ეს მათ ხშირ შემთხვევაში ძალიან აახლოვებს ...

– სიტყვებიც ვერ მომიფიქრებია, რომ შენი საქციელი შევაფასო ბესო! მართლა აღარ მგონიხარ ნორმალური! მესმის, გოგოს

- გამო შეიძლება იჩხუბო, რამე დაამტვრიო, ან რაღაც მსგავსი, მაგრამ მეგობარს “სროკზე” უშვებ ამისთვის? მართლა ასე რომ მომხდარიყო, მას ხომ მთელ ცხოვრებას აურევდი?
- _ სიყვარულისთვის ბრძოლაც ომია გოგა და ომში ყველა მეთოდი გამართლებულია... _ გულგრილად თქვა ბესომ.
- _ და ფიქრობ, რომ შენ სწორად იქცევი?
- _ სწორად? სწორად კი არა ვამაყობ იმით რაც გავაკეთე! უდიდეს სიამოვნებას განვიცდი და ისე ბედნიერი არასდროს ვყოფილვარ, როგორც ორშაბათს, როცა კვირის ამბებს მიყვებოდნენ!
- _ მანიაკი ხარ ბესო! საერთოდ არ გაწუხებს სინდისი?
- _ არა არ მაწუხებს... მეგობარო!
- _ მე შენი მეგობარი არ ვარ! აღარ ვარ იმის შემდეგ რაც შენ გააკეთე!
- _ შენი ბრალთა! გონია ვერ ვამჩნევდი, როგორ მითვალთვალე ბდი სკოლაში? როცა მარისთან ვსაუბრობდი, ან ზურას ახლოს ვიყავი, გინდოდა გაგეგო ნამდვილად მეგობრულად ვიყავი მათთან თუ რამეს ვუმზადებდი? მაინც, აღიარე, რომ მსახიობობაში გაჯობე, თუმცა სკოლის “მასხარა” ყოველთვის შენ იყავი!
- _ ლაპარაკიც კი არ ღირს შენთან!
- _ აქ საწყენი არაფერია გოგა! შენ თავიდანვე ამოირჩიე, ვისკენ იქნებოდი, როცა უარი მითხარი დახმარებაზე.
- _ ასთი მეთოდებით მარის უფრო დააშორებ შენგან...
- _ მასე სჯობს, მე ან ყველაფერი მინდა, ან _ არაფერი! მაგრამ თუ ამ თამაშიდან მე არაფერი მექნება, არც სხვას დავუტოვებ რამეს!
- _ რისი თქმა გინდა? ისევ შენს ბინმურ ტრიუკებს მიუბრუნდები? როგორ ფიქრობ მე ისევ ჩუმად ვიქნები? ყველას ყველაფერს მოვუყვები! ყველა გაიგებს ჩვენს გარშემო რა დამპალიც ხარ!
- _ სტყვებს დაუკვირდი გოგა! არ ინანო!
- _ და რა? ვიჩხუბებთ? მერე?
- _ ისე ნუ მიყურებ, თითქოს კაენი ვიყო, ბიბლიიდან! ჩვენს მეგობრობას პირველად შენ შეაქციე ზურგი!
- _ და ეს ადრევე უნდა გამეკეთებინა!
- _ მოვრჩით ლაპარაკს რა! ყველაფერი გითხარი, ყველაფერი იცი, ახლა ვისაც გინდა იმას მოუყევი, ოღონდ არ დაგავიწყდეს, რომ შენი სიტყვა ჩემი სიტყვის წინააღმდეგ იქნება!
- _ მასაძლოა, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ, რომ მარის ვერაფერი

დაუშავო.

– შენ იცი, რასაც ვაკეთებ გოგა! ახლა მეც ვიცი, რომ შენ ჩემს წინააღმდეგ იმოქმედებ და ეს გათვალისწინებული მექნება!

– მეც გავითვალისწინებ ბესო... და უკვე გავითვალისწინე!

გოგამ ზურგი შეაქცია ბესოს და გზაზე გავიდა. ბესოც უხმოდ მიჰყვა, მანქანაში ჩაჯდა.

– არ წამოხვალ? აქ არავინ გაგიჩერებს, იმედია ქალივით არ გაიბუტები... რა ხდება გოგა, ჩვენ ხომ ასე ვთქვით გული გავუხსენით ნით ერთმანეთს? – გადაიხარხარა ბესომ.

გოგამ არაფერი უპასუხა. მომავალ მანქანას აუქნია ხელი. მანქანა გაჩერდა, გოგა მანქანაში ჩაჯდა და კარები მიიხურა. ბესომ თვალი გააყოლა, შემდეგ თვითონაც დაქოქა მანქანა და ქალაქისკენ აიღო გეზი.

რამდენიმე დღე გავიდა ამ შეხვედრის შემდეგ. სკოლაში არც გოგა და არც ბესო არ იმჩნევდნენ არაფერს. ბესო ისევ განაგრძობდა მარისა და ზურასთან ახლო ურთიერთობას. უნდა ითქვას, რომ ფაქტიურად, მართლაც შესძლო ზურასა და მარის მეგობრობის დაბრუნება, ყოველ შემთხვევაში მას ისევ ისე ენდობოდნენ, როგორც ადრე. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ საერთოდ მთელი სკოლა გულგრილი და უცხო გახდა ზურას მიმართ და შესაბამისად გოგასა და ბესოს მიმართ. უნებურად შევიწროებულმა სამეგობრო წრემ და ბესოს მლიქვნელმა საკციელმა შეუწყო ამას ხელი. ბესოს არ აწყობდა გოგასთან დაპირისპირება იმ დროს, როდესაც ზურას მეგობრობა დაიბრუნდა და ეს საშუალებას აძლევდა მარისთანაც თავისუფლად ეკონტაქტა. თავიდანვე იცოდა, რომ გოგასთვის ყველაფრის განდობა სარისკო იყო, მაგრამ სჯეროდა, რომ გოგა მოერიდებოდა სიტუაციის გამწვავებას, თუმცა მისი სიმშვიდეც უკვირდა. გოგა თითქოს ვერც ამჩნევდა მას, მის კომპლიმენტებს მარის მიმართ... არც ზურასთან მისი მეგობრობის წინააღმდეგი იყო... “ალბათ საერთოდ გადაიფიქრა ჩვენს საქმეებში ჩარევა, იცის, რომ მხოლოდ სიტყვებით არავინ დაუჯერებს ასეთ რამეს, რაც ჩემგან გაიგო... თუმცა მეც ვიცი მასზე რაღაცეები...” – ამას ფიქრობდა ბესო და ნაწილობრივ მართალიც იყო. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ გაიგო, რომ გოგა დღიურს აწარმოებდა, თითქმის დაწვრილებით იწერდა იქ ყველაფერს. ბესომ შესძლო ამ დღიურის ფარულად დათვალიერება და სსწორედ იქიდან გაიგო, რომ მარის მიმართ გულგრილი არც გოგა იყო. თუმცა სასიყვარულო იქ არაფერი ეწერა მაგრამ “მალთან თბილი სიტყვები გოგოს მიმართ, თუნდაც მეგობრული, აუცილებლად გამოიწვევს მის შეყვარებულში ეჭვის გრძნობას და თუ გოგა ზურას ეტყვის ჩემი გეგმების შესახებ, მე მასზე

მივაწვდი ინფორმაციას და ეს მის მიმართ ნდობას შეამცირებს მაინც...” _ ეს აზრი ამშვიდებდა ბესოს.

მარისა და ზურას ურთიერთობას და მათ სიყვარულს კი ვერაფერი დააკლო მომხდარმა უსიამოვნებებმა. მარის მშობლები იმდენად კეთილგანწყობილნი აღარ იყვნენ ზურას მიმართ და ისე თბილადაც აღარ ახსენებდნენ მას მარისთან, შვილსაც სერიოზული გადაწყვეტილების მიღებამდე დაფიქრებას ურჩევდნენ, თუმცა ზურასთან შეხვედრა არ აუკრძალავთ, რადგან იცოდნენ, შეყვარებულებს ისევ თავდავიწყებით უყვარდათ ერთმანეთი. ისევ ყოველდღე სეირნობდნენ ერთად, ისევ და ისევ უხსნიდნენ ერთმანეთს სიყვარულს, დიდ დროს ატარებდნენ ერთად, ისევ გეგმავდნენ საერთო მომავალს და სიყვარულსა და ბედნიერებაზე ფიქრით ტკბებოდნენ... სწავლაც და დროც პარალელურად, შეუმჩნეველად მიდიოდნენ, მხოლოდ კლასში გართობასა და მხიარულებაზე აღარავინ ფიქრობდა, აღარ იკრიბებოდნენ ერთად, არც სადმე გასასეირნებლად, ან წვეულებაზე ან დაბადების დღეებზე... თითქოს იმ უსიამოვნების შემდეგ რესტორანში, რაღაცნაირი სიცარიელე დამკვიდრდა კლასელებს შორის... ახალი წლის დღეებმა მაინც გამოაცოცხლეს მიძინებული მხიარულება. ისევ მიაკითხეს სახლებში ერთმანეთს ახალი წლის მისალოცად... ერთ-ერთი ბესოც იყო, ვისთანაც თითქმის ნახევარი კლასი მივიდა ახალი წლის მისალოცად, მოულოდნელად. ოდნავ ეუცნაურათ, რადგან მასთან სტუმრობა ზურამ შესთავაზა ყველას. კლასში ახსოვდათ მათი დაპირისპირება და ჩხუბი მარის გამო და ჩუმ-ჩუმად გოგონები ჯერ ისევ ჭორაობდნენ მათზე. სადამომდე გაჩერდნენ ბესოსთანაც, ბევრი იმხიარულეს, იცეკვეს, იმღერეს, სადამოს კი ნელ-ნელა დაშლა დაიწყეს.

_ მოიცადეთ, თქვენ დარჩით ცოტა ხნით! გოგასაც დავუმახებ! _ უთხრა ბესომ მარისა და ზურას.

_ არა ბესო, წავალთ, ღამდება უკვე, ხვალ ან ზეგ შევიკრიბოთ, ჯერ ხომ არ დადგებიან? _ თქვა ზურამ

_ ოღონდ აღარ დაღვეთ არა? _ გაიღიმა მარიმ _ იმის შემდეგ მაინც ფრთხილად იყოთ უკეთესი არ არის?

_ ასეც არის ძვირფასო, ჩვენ უკვე “კარგი ბიჭები” ვართ! _ გაიცინა ნა ზურამ

_ ის შემთხვევა არასასიამოვნო გაუგებრობა იყო და სხვა არაფერი რომელიც დავიწყებას მიეცა _ ამ სიტყვებით ბესომ გოგას შეავლო თვალი და მზერა ზურაზე გადაიტანა.

_ მოვიცადოთ ცოტა ხანი, რამე მხიარული მოყვით!

_ კარგი აზრია მარი! _ თქვა გოგამ _ გახსოვთ, პირველად რომ

შევხვდით ახალ წელს ერთად? მგონი შენთან იყო არა?
 _ როგორ არ მახსოვს, კი ჩემთან იყო, მაშინ შუშხუნისგან კინაღამ
 ცეცხლი წაფუკიდე ფარდას, მაშინ მთელი კვირა დასჯილი ვიყავი!
 _ გადაიხარხარა ზურამ
 _ მე კი ის დღე მახსოვს, შუალამით რომ ვგუნდაობდით თოვლში!
 _ ამით კი _ ჭიქა აიღო გოგამ _ მე თქვენს სიყვარულს ვადღეგრძელებ
 და ჩვენს მეგობრობას! _ მხიარული სადღეგრძელო რატომღაც
 სევდიანად ნათქვამი გამოუვიდას გოგას
 _ ვეთანხმები!
 _ მეც თქვენთან ვარ!
 _ მე მინდა წასვლის წინ ვიცეკვოთ მარი! _ ზურამ წელზე მოჰხვია
 ხელი _ თუ მასპინძელი დაგვრთავს ნებას!
 _ რა თქმა უნდა, ისიამოვნეთ, მე კი... ჩვენ კი, თქვენი ყურებით
 დავტკბებით! _ ამ სიტყვებით ბესომ ნელი მუსიკა ჩართო.
 ცოტა ხანს უყურებდნენ მოცეკვავე წყვილს, შემდეგ ბესო გოგას
 მიუბრუნდა
 _ აივანზე გავიდეთ გოგა, ცოტა ხნით დავტოვოთ შეყვარებული
 წყვილი, რას იტყვი?
 _ გავიდეთ, სიგრილე არ გვაწყენს!
 ორივე გარეთ გავიდნენ. გოგა მოაჯირს დაეყრდნო და ქალაქს გახედა, ბესო
 კი კედელს მიეყრდნო და ოდნავ გაღებულ კარებიდან ადევნებდა თვალს
 მარისა და ზურას ცეკვას
 _ იცი გოგა, საერთოდ აღარ მალეღვებს და არც მაღიზიანებს
 მარისა და ზურას სიახლოვე, მგონი მივეჩვიე რეალობას, მართლაც
 ლამაზი წყვილია!
 _ ბესო არ ვიცი, რა შეფარული აზრია შენს სიტყვებში, მე მახსოვს,
 შენც იცი, რომ ჩვენ მეგობრები აღარ ვართ... მე შენი გულახდილობის
 მოსმენა არ მინდა, გთხოვ!
 _ კარგი, კარგი! _ გაიცინა ბესომ _ მე მახსოვს, რომ მე მეძადნენ
 გულღრმოს და ბოდმას, შენ გახდი ასეთი?
 გოგა მისკენ შემოტრიალდა, შეეცადა ბესოს გამომეტყველებით გაეგო რას
 ფიქრობდა ან რა უნდოდა.
 _ მე შენგან ყოველთვის მზაკვრობას ველოდები და არც იმის მჯერა
 რაც ახლა მარიზე და ზურაზე მითხარი! კიდევ რაიმე ბნელი გეგ-
 მის განდობას ხომ არ აპირებ?
 _ არა რა გეგმა, ეგ უკვე ძალიან რთულია, შენც ხედავ, რომ
 ვმეგობრობთ, მარი ჩემში ზურას მტერს აღარ ხედავს, ჰო, მართლა

შემომთავაზეს, რომ მათ ქორწილში, შენთან ერთად ზურას მეჯვარე მეც ვიყო...

– რაა? ისევ ტყულია!

– არა, მართლა, შენ წინააღმდეგი ხომ არ იქნები?

– მე არავინ მკითხავს მაგას და არც არის ჩემი საქმე, მაგრამ ბესო, თუ ისევ რამეს დააპირებ, რამეს გააკეთებდა მარის ტკივილს მიაყენებ, მე ჩუმად აღარ ვიქნები!

– ისე მეც მაინტერესებს, მაგის შემდეგ რა იქნება... უმცა ხომ ვთქვით მაშინვე: ჩემი სიტყვა შენი სიტყვის წინააღმდეგ.....

– აი აქ კი ძალიან ცდები! – უეცრად აღელდა გოგა, აივნის კარები ბი მიხურა და ბესოს თვალი თვალში გაუყარა – ჩვენი ბოლო საუბარი მე მობილურზე ჩავიწერე, თავიდან ბოლომდე! იცოდე, თუ კიდევ ერთხელ შეეხე მარის ან ზურას, იმ ჩანაწერის ერთი ასლი პოლიციაში მოხვდება, ერთი ზურასთან და ერთს შენი მშობლები მოისმენენ!

ბესო რამდენიმე წამით ადგილზე გახევდა, მერე შაჟრჟოლა, ცივმა ოფლმა დაასხა, თვალები სიბრაზით აენთო, თუმცა გაკვირვებას ვერ მალავდა.

– შენ... შენ ამას არ იზამდი... შენ არავის არ ეტყვი...

– ვიტყვი ბესო, მე ამს გავაკეთებ!

– არ მჯერა! და თან ეს არფერს შეცვლის! პოლიცია? სასაცილოა! მშობლებს მე მეოთხე კლასიდან არ ვაქცევ ყურადღებას, ზურას კი ნამდვილად არ შევუშინდები!

– ვიცი, რომ არ გეშინია, მაგრამ მე მაინც ვცდი... ისე, როგორ შენ მითხარი: ელექტრონიკის მონები ვართ! ყველა ჩვენს კლასელს მეგობარს და ახლობელს გავიუგზავნი ამ ჩანაწერს ინტერნეტით ინტერნეტით და თუ ზურას გადაურჩი მაინც ყველას ეცოდინება რა ადამიანიც ხარ! ვფიქრობ შენთან ურთიერთობას არავინ ისურვებს! – გოგამ ისევ პირდაპირ შეხედა ბესოს და უნებლიედ გადაიხარხარა – რა იყო ბესო? შენი მეთოდი შენს წინააღმდეგ არ მოგწონს?

გაოგნებული ბესო გოგას უყურებდა და თვალებს და ყურებს აღარ უჯერებდა

– შენ ჩანაწერი არ გაქვს!

გოგამ მობილური ამოიღო, ღილაკს დააწვა და ბესოს სახესთან ახლოს მიუტანა.

– გესმის ბესო? ეს შენი ხმაა, შენი სიტყვები! რას იტყვი, არ შემაქებ? ხომ გაგიგია: “მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი ვინ

ხარ შენ” – გოგა ისევ ახარხარდა. ბესო თითქოს ბურანში იყო, ბუნდოვნად ესმოდა მობილურიდან წამოსული ბგერები, გოგას სილუეტსლა ხედავდა, გვერდით მიიხედა, ყვავილების ქოთნების გვერდით დადგმულ, წყლით სავსე შუშის ბოთლს უნებურად მოჰკიდა ხელი. ის იყო მოქნევას აპირებდა, რომ აივნის კარები გაიღო და მარიმ გამოიხედა

– შემოდით ბიჭებო! ძალიან ცივა! გოგა აღარ წავიდეთ? შენ თუ გინდა იყავი, მე და ზურა წავალთ!

მარი მხიარულ განწყობაზე იყო, ხან ბესოს უღიმოდა თბილად, ხან გოგას. გოგამ მობილური ჯიბეში ჩაიღო, ბესომაც ზურგს უკან ამიფარა ბოთლი და თავის ადგილზე დააბრუნდა შეუმჩნეველად.

– როგორ არა, მოვდივართ, მეც წამოვალ... – თქვა გოგამ. წელანდელი სიცილის მიუხედავად ეტყობოდა, რომ ძალიან ნერვულობდა და თავს იკავებდა. ბესოც ასეთივე მდგომარეობაში იყო, ძლივს დაიოკა აღელვება, მანაც გაუღიმა მარის

– კი მეც გამოვალ, გაგცილებთ! – ორივე შეჰყვინნ მარის ოთახში

– აბა, დიდი მადლობა! ხვალ ჩემთან შევიკრიბოთ! – ზურამ ხელი გადახვია მეგობრებს

– კარგი, ვნახოთ... თუ მოხერხდა...

– რა მოხერხება უნდა? ხვალ ჩემთან, ზეგ გოგასთან!

– კაი, კაი, ჩაიცვით და ჩვენც მოვდივართ.

მარი და ზურა სასტუმრო ოთახიდან ჰოლში გავიდნენ. გოგა და ბესო ისევ პირისპირ დარჩნენ

– უნდა ვალიარო არ ველოდი გოგა! მაგრამ ეს, შენი ძალიან დიდი შეცდომაა!

– გავრისკავ ბესო, არ მეშინია! კიდევ გეუბნები: შეეშვი მარის და არავინ გაიგებს რაც ხარ!

– ომი გინდა? ომი იყოს! მარი კი საბოლოოდ მაინც ჩემთან დარჩება ჩება ასე თუ ისე... შენ კი სხვანაირად გაგირკვევ ყველაფერს და დანდობას არ ელოდო!

– ომში ხომ ყველა ხერხი მისაღებია?

– დრო გვაჩვენებს, რა იქნება!

– მოდიხართ? – გამოსძახა ზურამ

გოგა და ბესო ჰოლში გავიდნენ და ჩაიცვეს. ცოტა ხნის შემდეგ ქუჩაში მიდიოდნენ ოთხივე. ზურა და მარი მართლაც მხიარულად იყვნენ. ბესო და გოგაც ვითომ მხიარულობდნენ, ნაძალადევად იცინოდნენ, ყველანაირად ცდილობდნენ თავისი განწყობის დაფარვას. ზურამ და მარიმ ცალკე

გადაუხვიეს გზიდან, მარის სახლისკენ. გოგა და ბესო ერთხანს ჩუმად იდგნენ. სიჩუმე გოგამ დაარღვია:

- _ ვწუხვარ, ბესო რომ ამის გაკეთება მიხდება, მე არ ვიტყვი, რომ ყველანაირად მართალი ვარ, ალბათ ეს ნაწილობრივ მე და შენი მეგობრობის ღალატია, მაგრამ მიზეზი შენი მუხანათობაა! შენ უღალატე პირველად ზურას, მარის, მე, ჩვენს მეგობრობას.
- _ არ გვინდა ბრტყელ-ბრტყელი ლოზუნგები გოგა! შენ შენსას აკეთებ, მე ჩემსას... იცოდე მაშინ მიიღებ ჩემგან ზურგში დარტყმას, როცა ყველაზე ნაკლებად იქნები ამის მოლოდინში.
- _ ზურგში დარტყმით ვერ შემაშინებ ბესო!
- _ მე არ გაშინებ, გეუბნები იმას, რაც იქნება!
- _ მეც ის გითხარი, რასაც გავაკეთებ, თუ დამჭირდა, ნუ მაიძულებ და ითამაშე შენი “როლი” რამდენიც გინდა, ვიცი, რომ მარი შენ არასდროს არ შეგიყვარებს, ოღონდ არც კი იფიქრო მისი შეწუხება ან მისთვის რამის დაშავება.
- _ შანტაჟს ყოველთვის პატივს ვცემ, როგორც ეფექტურ მეთოდს, მაგრამ ის თვითონ შანტაჟისთვისაც საშიშია იცოდე!
- _ ვიცი, მაგრამ შანტაჟში შენ ვერ შეგედრები!
- _ მოვრჩეთ ამას, მგონი გავარკვით ერთმანეთში ყველაფერი!
- _ გავარკვით, ჩემი გითხარი! არ დაივიწყო...
- _ არ დაივიწყებ _ გესლიანად ჩაიჩურჩულა ბესომ და უკვე მიმავალ გოგას მუქრით სავსე მზერა გააყოლა.

ბესო არანაირად არ ელოდა სიტუაციის ასეთი მიმართულებით შემტრიალებას, შეიძლება ითქვას, პირველად იგრძნო მოულოდნელობისაგან გამოწვეული დაბნეულობა. კარგად აცნობიერებდა, რომ, თუ გოგა მართლაც გამოაქვეყნებდა მათ ნაცნობებში მათი საუბრის ჩანაწერს, მთელი, სკოლა, მეგობრები, ახლობლები ზურგს შეაქცევდნენ. პოლიცია არ აშინებდა, მაგრამ მამისი _ ეს ყველაზე ცუდი ვარიანტი იქნებოდა მისთვის. თუმცა მამა ყოველთვის რბილად ექცეოდა ბესოს, ბესომ იცოდა, რომ თუ ერთხელ სერიოზულად გააბრაზებდა მას, მაშინ ყველანაირ თავისუფლებას, ფულს, მანქანას _ ყველაფერ ამას დაკარგავდა და შესაძლოა სადმე საზღვარგარეთ კოლეჯშიც კი გაემგათ სასწავლებლად, ერთხელ საუბრისას მშობლებმა უკვე გამოთქვეს ამის სურვილი, ეს კი ბესოს საბოლოოდ დააშორებდა მარის. ამ შემთხვევაში ზურაზე შურისძიებით შეურაცხყოფილ თავმოყვარეობას ვერ დააწყნარებდა. (ბესო გულწრფელად იყო დარწმუნებული, რომ მარისაგან მისთვის საჩუქრის დაბრუნება და საერთოდ მისი ყურადღების უგულებელყოფა ზურას წაქეზებით ხდებოდა)

გადაწყვიტა დროებით მაინც ფრთხილად ყოფილიყო და მარის მიმართ განსაკუთრებული ყურადღების გამოვლენით გოგა არ გაელიზიანებინა, შემდეგ კი რევანშის აღებისათვის სასურველ მომენტსაც შეარჩევდა და გოგასგანაც თავს დააღწევდა როგორმე. “იყოს დროებით გამარჯვება შენს მხარეზე... წყნარად ვიქნები, არანაირ ყურადღებას აღარ მივაქცევ განსაკუთრებულად მარის და როდესაც ყველა მოდუნდება, იმ მომენტს გამოვიყენებ! გოგასაც მაშინ ვანანებ მწარედ ყველაფერს!” – ასე ფიქრობდა ბესო. მართლაც შეიცვალა, გარშემო განსაკუთრებულ ყურადღებას არავის აქცევდა და არც თვითონ იქცევდა სხვისას, მშობლებისა და მასწავლებლების გასაკვირად, სწავლასაც მიუბრუნდა. საახალწლო არდადეგების შემდეგ, იანვარში სწავლის დაწყებოდან ორ კვირაში, თითქმის ყველა საგანში აკადემიური მოსწრების ქულები აიმაღლა. საერთოდ, კლასშიც ყველა სწავლაზე იყო გადართული, იცოდნენ, რამდენიმე თვეში სკოლის დამამთავრებელი გამოცდები უნდა ჩაებარებინათ და შემდეგ უკვე ეროვნული გამოცდებიც მოდიოდა... ყველას მიავიწყდა მარისა და ზურას სიყვარული (რაც დიდი ხნის განმავლობაში ყველასათვის ჭორაობის საგანი იყო) უსიამოვნებები, რომელიც მათ კლასელებს შეემთხვათ. ეს ყველაფერი, სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის ყოველდღიურ ერთფეროვნებაში ჩაიძირა და დროებით დავიწყებას მიეცა...

საახალწლო დღესასწაულების მხიარულებითა და სიმწვავით გამთბარი იანვარი, თებერვლის ცივმა, სველმა და რუხმა დღეებმა შეცვალეს. მოსწავლეების ყოველდღიური სიარული სკოლაში და მათი საქმიანობა კიდევ უფრო რუტინული გახდა, თითქოს კლასელებსა და მეგობრებს შორისაც ზამთრის სქელი ნისლი ჩამოწოლილიყო... ოთხი მეგობარი: გოგა, ზურა, მარი და ბესოც თითქოს ზამთრის ცივმა მოსასხამმა შთანთქა... თუ ორ მათგანს სიყვარულის უჩინარი მზის სხივები ათბობდა და მაგნიტივით იზიდავდა ერთმანეთისკენ, დანარჩენი ორი, ცალკ-ცალკე მისცემოდნენ ზამთარივით ცივ ფიქრებს...

გოგა, დროებითი ცვლილების შემდეგ, როდესაც ის ძალიან მარტოსული და უცნაური იყო გარკვეული დროის განმავლობაში, ისევ ყველასთვის ნაცნობ მხიარულ და კეთილ კლასელად იქცა... მხოლოდ ხანდახან, მარტოდ დარჩენილი სკოლის გასულ წლებს იხსენებდა... დაწყებით კლასებს..... მათ მეგობრობას... მათ “ოთხეულს”... გული სწყდებოდა, რომ ბოლო წელს ასე შეიცვალა მათი ურთიერთობა და მხიარული მეგობრობის იდილია დაირღვა... მიუხედავად ამისა დარწმუნ-

ნებული იყო, რომ მან სწორი არჩევანი გააკეთა და საფრთხე ააცილა ზურას და მარის, ასევე ბესოც გადაარჩინა შეცდომის ჩადენისგან, თუმცა...

მარისთვის თითქმის არაფერი შეცვლილა. ზურასთან ერთად ისე ხშირად ვეღარ გადიოდა სასაიროდ. მომხდარი ამბების გამო, სახლშიც ძალიან იშვიათად შეეძლოთ ერთმანეთთან მისვლა. თუმცა მარის მშობლებმაც გაიგეს, რომ პოლიციაში ზურასა და მისი მეგობრების მოხვედრა, მასთან ნარკოტიკის აღმოჩენა გაუგებრობისა და შესაძლოა ვინმეს ბოროტი განზრახვის შედეგი ყოფილიყო, მაინც რჩებოდა მის მიმართ გარკვეული უნდობლობა. ამიტომ ზურაც ერიდებოდა მარისთან ხშირად სიარულს და მხოლოდ სკოლაში ხვდებოდა მას. გაიშვიათებული შეხვედრების ფონზე, მონატრების გრძნობა უფრო აძლიერებდა მათ სიყვარულს, ყველაზე სასიამოვნო პერიოდები დღის განმავლობაში მარისთვის მაშინ იყო, როდესაც სახლიდან სკოლამდე ზურასთან ერთად მარტო მიდიოდნენ და როდესაც სკოლის შემდეგ ზურა სახლამდე აცილებდა, მხოლოდ მაშინ იყვნენ ნამდვილად ბედნიერები, ისევ იძირებოდნენ ერთმანეთის სიყვარულით სავსე თვალეში... ერთდროულად, მონოტონურად უცემდა ორივეს გული ამ მომენტებში, თითქოს ერთი სული ჰქონდათ... ასეთ დროს გრძნობდა მარი სიყვარულის ბედნიერებას და ზამთრის რუხი დღეებიც მისთვის კვლავ ვარდისფრად იფერებოდა...

ზურას ადრევე მკაცრი განრიგი ჰქონდა: სწავლა, გამოცდებისთვის მზადება, ვარჯიში, სპორტი, ზამთარმა კი უფრო შეუზღუდა თავისუფალი დრო. პოლიციასთან უსიამოვნებების გამო საკუთარი რეპუტაციის დაცემას, თავიდან მართლაც ძალიან განიცდიდა, მითუმეტეს, რომ იცოდა: დაამნაშავე არაფერში იყო. ისიც იცოდა, რომ ყველა უსიამოვნება, რაც კი შეემთხვა, ვიდაცის ბოროტი განზრახვით იყო გამოწვეული, გრძნობდა, რომ ჯერ ყველაფერი წინ იყო და შეფარულ მტრის გამოჩენის მომენტი ისევ იქნებოდა... მაგრამ ისევ და ისევ მარის მიმართ სიყვარული აძლევდა ძალას, მხოლოდ ერთი საბოლოო მიზნისკენ ისწრაფვოდა, რომ მარის გვერდით ყოფილიყო ყოველთვის, ერთმანეთის სიყვარულით დამტკბარიყვნენ ახლაც, მომავალშიც, სამუდამოდ... “ყველაფერს გავაკეთებ, რომ მარის თვალეში ყოველთვის სიხარულით და სიყვარულით იყოს სავსე, ყოველთვის ბედნიერებით, მომხიბლველად ანათებდნენ” – გაიფიქრებდა ხოლმე ზურა. თებერვლის სუსხში, მარის თითებს მოიქცევდა ხოლმე ხელეში და მისი ნაზი კანის გათბობით, თითქოს ხელეებიდანაც გადსცემდა გულიდან წამოსულ სითბოს...

ბესო... ამბობენ, რომ ადამიანის გრძნობას, ხასიათსა და განწყობას ხშირად ადგილი და ბუნებრივი პირობები განასაზღვრავენ, სადაც ის ცხოვრობს და განწყობილება წელიწადის დროების მიხედვითაც იცვლება თითქოს... ბესოს ცივი, აგრესიული ხასიათი და ბოროტი მახსოვრება კიდევ უფრო მძაფრად იჩენდნენ თავს... ყოველთვის მარტოდ მყოფი, კიდევ და კიდევ, უფრო მეტად იკეტებოდა საკუთარ თავში... გოგას ულტიმატუმის გამო არ ეხებოდა მარის და ზურას, მხოლოდ უბრალო საუბრებით და ხუმრობით იფარგლებოდა მათი ურთიერთობა, მის გულში ჩადებული ბოლმა დღითი-დღე იზრდებოდა... შეფარვით ცივი, ბოროტი, აგრესიით სავსე მზერით ათვალეირებდა მარისა და ზურას, ხანდახან თვალებს ხუჭავდა და თითქოს ეკრანზე, ისე ხედავდა კადრებს... როგორ მიაყენებდა მარის გულისტკივილს, როგორ დატკებოდა მისი ცრემლებით და ზურა უძლური იქნებოდა მის წინაშე...

ეს ყველაფერი, ყოველი მათი განცდა, მხოლოდ მათ გულებში იწყებოდა, დაფიქრების მდინარედ ქცეული მათივე გულებში პოულობდა დასასრულს... გარშემო მყოფთათვის ზურა, მარი, გოგა და ბესო ისევე ადრინდელ, ერთგულ მეგობრებად რჩებოდნენ, რომელთა მეგობრული ურთიერთობა და სიყვარული ბავშვობის წლებიდან იღებდა სათავეს. ვერავინ ამჩნევდა მათ შორის სიყვარულის, მეგობრობისა და ბოროტების შეჯახების გამო გაჩენილ ბზარს.

ზამთრის ცივი დღეები ისევე მოულოდნელად გადაიზარდნენ გაზაფხულის თბილ პრელუდიაში, როგორც მოვიდნენ. ბალახისა და მწვანე ფოთლების, ყვავილებისა და გაზაფხულის წვიმის სურნელით დატვირთული თბილი ნიავი დაქროდა ქალაქის ქუჩებში, ყოველივე ცოცხალს ამცნობდა, რომ ზამთარში მიძინებული ბუნება უკვე გამოღვიძებულიყო და ირგვლივ ყველას და ყველაფერს ახალ სიცოცხლეს ჩუქნიდა... სკოლასაც დაეტყო გამოცოცხლება, ბოლო სემესტრი იყო და მეთერთმეტე კლასელები უკვე გამოცდებისთვის ემზადებოდნენ, მაგრამ ბოლო ზარი და ბანკეტი უფრო სასურველი და სასიხარულო იყო მათთვის, ვიდრე თვითონ სკოლის დამთავრება. ისევე წამოიწყეს ექსკურსიის მოწყობაზე ან უბრალოდ ქალაქგარეთ გასვლაზე ლაპარაკი. საბოლოოდ ექსკურსიის მოწყობა და ამის შესახებ მასწავლებლებთან დალაპარაკება, როგორც ადრე, ახლაც გოგამ მოახერხა. მოსწავლეების დაჟინებული თხოვნით, სკოლის ადმინისტრაცია დათანხმდა ექსკურსიის მოწყობას, თუ რა თქმა უნდა მშობლები და მასწავლებლებიც წავიდოდნენ მათთან ერთად. სკოლის ორივე დამამთავრებელი მეთერთმეტე კლასი უნდა

წასულიყო ერთდროულად. გადაწყვიტეს უფლისციხესა და ქვახვრელში წასულიყო-

ვნენ ერთი დღით. ყველა გახარებული იყო, რომ ერთი დღით მაინც მოსცილდებოდნენ სკოლას, საგამოცდო ციებ-სხელებას დაივიწყებდნენ და ბუნებაში გაერთობოდნენ.

ავტობუსი ტრასაზე მიჰქროდა, როგორც დათქვეს, ორი კლასი ერთად გაემგზავრა ექსკურსიაზე, ყველა იცინოდა და მხიარულობდა

_ როგორც იქნა გამოვალწიეთ ქალაქიდან! _ უთხრა დათომ გოგას, რომელიც ზურგჩანთაში ეძებდა რაღაცას

_ კი, ძლივს დავითანხმე დამრიგებელი, მერე დირექტორი და ასე შემდეგ... _ გაიცინა გოგამ _ სად წავიდა ერთი?

_ რას ეძებ? იმ ამბის შემდეგ რესტორანში, ყველა მასწავლებელი დაშინებული და თვალს გვადევნებენ, სახლიდანაც ვერანაირი დასალევი ვერ წამოვიღე... შენ ხომ არ გაქვს რამე? _ თვალი ჩაუკრა დათომ გოგას.

_ არა, არა, სასმელი არ მაქვს... რაღაცას ვეძებ, ალბათ დამრჩა, სასმელი კი საერთოდ არ გვინდა...

_ რატომ? აბა უფლისციხე ათასჯერ გვაქვს ნანახი ერთადაც და ისეც, მარტო კლდის გამოქვაბულები რად მინდა? _ იკითხა ბესომ, რომელიც მოულოდნელად მისულიყო მათ სავრძლებტან და დათოს შეკითხვას მოჰკრა ყური. გოგამ ახედა, უარყოფის ნიშნადა თავი გააქნია “არ გეთანხმებიო” და ისეც ჩანთას დაუბრუნდა.

_ შენ რას იტყვი, დათო არ მოვილხინოთ? _ ხელი გადახვია ბესომ კლასელს.

_ კი, როგორ არა, თუ მოგვეცეს საშუალება... აბა ისე რა ექსკურსიაა?

_ ლოთები ხართ! _ ღიმილით მოიხედა მათკენ მარიმ წინა სავარძლიდან _ სალო, მართალი არ ვარ? _ ჰკითხა გვერდით მჯდომ მეგობარს

_ მართალი ხარ მარ!

_ შეაჩერეთ სადმე _ დაიძახა უკნიდან ვიღაცამ _ გოგონები დაიღალნენ!

_ რა კარგია! ჩვენც ჩავიდეთ _ უთხრა მარიმ სალომეს _ ზურა არ ჩამოხვალ? _ გასძახა ზურასაც.

_ ჩამოვალ რა თქმა უნდა! _ დაუძახა ზურამ, რომელიც ავტობუსის სის სალონის უკანა მხარეს პარალელურ კლასელებთან საუბრით იყო გართული

ავტობუსი შეჩერდა, ნელ-ნელა ჩავიდნენ დაბლა, ზურა ბესოსთან შეჩერდა, რომელიც დათოსთან “ჩაჭედებულიყო” სავარძელში, რომ სხვების ჩასვლისთვის არ შეეშალა ხელი.

– რა თავს იკლავთ, ერთ-ერთი მაინც ჩამოდით – გაიცინა ზურამ ჩვენ რა ვქნათ დღეს? გავერთოთ?

– მეც მაგას ვეუბნებოდი! – უპასუხა დათომ – აბა გამატარე, თორემ დავიხრჩე!

დათოს ჩასვლის შემდეგ ბესო თავისუფლად მოთავსდა გოგას გვერდით.

– გოგა რა გჭირს? რაღაც ვერ ხარ ხასიათზე?

– არაფერია, ზურა, უბრალოდ რაღაცას ვერ ვპოულობ... მგონი დამრჩა!

– კარგი, ჩვენ ჩავალთ და თქვენც ცამოდით აქ რა გინდათ მარტო

– მარი არ ჩავიდეთ? – ჰკითხა სალომემ – დაიცალა ავტობუსი!

– ჩავიდეთ!

გოგონები წამოდგნენ და ავტობუსის სალონი გაიარეს, ზურაც მათ მიჰყვა კარებთან მარი შეჩერდა, ზურას გამოხედა, ნიავმა აუშალა გრძელი თმები... თვალები სიყვარულს ასხივებდნენ... ზურას ჰაეროვანი კოცნა გამოუგზავნა და ავტობუსიდან ჩავიდა. ავტობუსი თითქმის დაცარიელდა. ბესო, გოგა და კიდევ რამდენიმე გოგო და ბიჭი დარჩნენ სალონში.

– აღარ გინდა ძებნა გოგა, მე მაქვს შენი დღიური! – უთხრა ბესომ – დღეს საღამოს დაგიბრუნებ...

– რაა? რა დღიური? – დაიბნა გოგა, მაგრამ მაშინვე მიხვდა და ბესოს საყელოში ჩაავლო ხელი.

– დამიბრუნე ახლავე!

– დამშვიდდი გოგა – ბესოს არც კი უცდია გოგას ხელის მოცილებაც – არ გახსოვს, ოდესღაც მეგობრები ვიყავით, თუმცა ის რაც შენს დღიურში წერია, არასდროს გითქვამს...

– გადამატარე! – გოგა წამოდგა და ბესოს გადააბიჯა

– ოო, ნუ ბრაზობ გოგა! – სარკასტულად გაიცინა ბესომ – ისე რაც იქ წავიკითხე მარის შესახებ, მართლაც საინტერესოა! ვფიქრობ შენც სიამოვნებით დაიკავებდი ზურას ადგილს... არ მეგონდა თუ თუ ასეთი ნაზი და მგრძობიარე იყავი... თუმცა მე მესმის შენი... წელანაც, ავტობუსიდან რომ ჩადიოდა მართლაც ნამდვილი ფერია იყო არა?

– შენი იდიოტური მოსაზრებები შენთვის შეინახე! და დღიური დამიბრუნე!

– თუ არა და რა? მობილურს “დაადრობ” და და ზურასთან გაიქცევი?

არა უკეთესია ავტობუსის მაგნიტოფონს მიუერთო და დინამიკებში
“გაუშვა” ჩემი “ინტერვიუ!” _ ბესოც წამოდაგა და გოგას პირისპირ დადგა,
სახეები ისე ახლოს ჰქონდათ ერთმანეთის სუნთქვასაც გრძნობდნენ, ორივეს
თვალებში ზიზღი და აგრესია ირეკლებოდა

_ იცი, ზურას არ მოეწონება, რომ შენც არ ხარ გულგრილი მარის
მიმართ... გიყვარს?

გოგამ ხელი ჰკრა ბესოს, ბესო ოდნავ დაბარბაცდა, მაგრამ სავარძლის
საზურგეს მოჰკიდა ხელი და არ წაქცეულა

_ მე მარი დასავით მიყვარს, ბესო! შენ ამას ვერ გაიგებ...

_ ჰო, რა თქმა უნდა! შენ ალბათ და-ძმების ყოლაზე ნოსტალგია
არ გასვენებს _ ჩაიცინა ბესომ _ მოვრჩეთ რა!. საღამომდე დრო
გაქვს, რომ ჩანაწერი წაშალო ტელეფონიდან, შემდეგ კი
თუ კომპიუტერშიც გადატანილი გაქვს იქიდანაც წაშლი და
ხვალ შენს ძვირვას დღიურს დაგიბრუნებ!

_ არც იოცნებო! საკმარისი, რომ ეს ჩანაწერი გავანადგურო და
ისევ შენს ბინძურ გეგმას მიუბრუნდები არა? ვითომ სიყვარულის
მოსაპოვებლად! რა სისულელეა ბესო, შენ ხომ მარი არც გიყვარს
გიყვარს, შენთვის უბრალოდ ახირებაა მისი სიყვარული.

_ აი ეს გეშლება! _ ბესოს სახიდან გაუქრა დამცინავი ღიმილი
და ის ბოროტებისა და მრისხანების ხაზებმა შეცვალეს _ მარი
მართლა მიყვარს და ის ჩემი იქნება... ან არავისი აღარ იქნება!

_ შენ მითხარი, რომ აღარ შეეხებოდი მათ!

_ კი და არც ვეხები, არც არაფერს ვცდილობ ხომ ამჩნევ? შენზე
კი გარიგება არ გექონია! დიდი ხანია ვიცი, რომ დრიურს
აწარმოებ... ვინ იფიქრებდა, რომ სკოლის “მხიარულთა და საზრიან-
თა” კლუბის მთავარი მოქმედი პირი სენტაიმენტალური იდიოტი
იყო? მე გეუბნები, წაშლი იმ...

ბესომ სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო, სახეში გოგას ხელი მოხვდა. ამას
არ ელოდა, უკან გადაქანდა, გოგას მეორედ მოქნეული ხელი აიცილა და
თვითონაც დაარტყა. გოგა დაეცა, ტუჩიდან სისხლი წამოუვიდა

_ გავარკვიეთ? საღამომდე დრო გაქვს რომ შენი პასუხი მითხრა.
ჩანაწერებს წაშლი და დღიურს დაგიბრუნებ! _ ჩაიცინა ბესომ
და თან ლოყას ისრესდა _ დავწყნარდეთ, უკვე ყურადრებას
მივიქცევთ. ყოჩაღ! მაგარი ხელი კი გექონია! ისე მაინტერესებს,
ექსკურსიაზე რაღას დაათრევ დღიურს?

_ შენი საქმე არ არის! ამისთვის პასუხს აგებ!

_ ვიცი ვიცი _ ჩაილაპარაკა ბესომ _ ვნახოთ...

უფლისციხეში მალე მივიდნენ, ჯერ დილის სიცივე იგრძნობოდა, მაგრამ მზის სხივებს მაინც მოესწროთ ბუნების გამოცოცხლება. ყველა ბუნებაში გაიფანტა: ზოგი კლდიან გამოქვაბულებს მოედო, ზოგი, ქვევით დარჩა ზოგიც მტკვარს გადაჰყურებდა ზევიდან. მხიარულობდნენ, სურათებს იღებდნენ, იცინოდნენ. თუმცა გოგას ბესოსთან შელაპარაკებამ ხასიათი გაუფუჭა, მაგრამ მაინც ცდილობდა მხიარულად ყოფილიყო. ზურასა და მარისთან ერთად მწვანე ბალახზე ჩამოჯდა.

– მართლაც ლამაზი ადგილი არა ზურა? ასე ბუნებაში გასვლა არასდროს მომწყინდება!

– მართალია, ასეთ ადგილებში მართლაც ყოველთვის სიმშვიდეა ქალაქის ხმაურიან ქუჩებთან შედარებით და დღეს კარგად უნდა უნდა გავერთოთ! – ზურამ მხარზე მოჰხვია ხელი მარის – შენ რას რას იტყვი გოგა?

– რა უნდა ვთქვა? შეიძლება ეს ბოლო ექსკურსიაც არის და განსაკუთრებით დასამახსოვრებელი უნდა გამოვიდეს.

– რატომ ბოლო, ძმაო? სკოლას ვამთავრებთ, მაგრამ ერთმანეთს ხომ არ დავკარგავთ? ახლა იწყება სიცოცხლე, სტუდენტობა, მომავალი!

– მიხარია, რომ ასეთი ოპტიმიტების გვერდით ვარ! – გაიცინა გოგამ – შენ და მარი კი, ისევ გავიმეორებ: განუმეორებელი და მომხიბლველი წყვილი ხართ! აქ სადამოს წინა წლების სასკოლო სცენებს მოვაწყობთ სადამოს... მხიარულთა და საზრიანთა კლუბის წევრები...

– აი ასე რა! მხიარულად, ძველებურად გოგა, თორემ მეჩვენება, რომ რომ ხასიათზე ვერ ხარ. – გაუცინა ზურამ

– არა, ყველაფერი კარგად არის – არც თუ ისე გულახდილად ნათქვამი გამოუვიდა გოგას.

– რა პრობლემაა გოგა თქვი, აქ არ ვართ? აბა მეგობრობა და ძმაცაცობა მარტო სიტყვები ხომ არ არის?

– კარგი რა ზურა! რად გინდა ნაღვლიან განწყობაზე და პრობლემებზე ლაპარაკი? მე კი მეჩვენება, რომ გოგა ისევ ისეთი მხიარულ-მხიარულია, როგორც ყოველთვის! – მარიმ გოგას გაუღიმა.

– მარი მართალია ზურა, არანაირი პრობლემა არ არის, თქვენს გვერდით ყოფნა ნამდვილად მახარებს და მახალისებს, წავიდეთ, მგონი ბიჭები უკვე მწვადის შეწვისთვის იწყებენ მზადებას!

მოშორებით ბიჭებს მართლაც დაენტოთ ცეცხლი. მარის გოგონებმა დაუძახეს. ზურამ სიყვარულით სავესე მზერა გააყოლა და გოგას მიუბრუნდა

– რაღაც პრობლემა გაქვს გოგა და გაწუხებს. ვამჩნევ, მარისთან აღარ გითხარი, მაგრამ აშკარაა, რომ გულწრფელად ვერ მხიარულობ! მითხარი რა ხდება ძმა! ვერ დაგეხმარები? დღეს რამე ხომ არ დაკარგე? ზურგჩანთაში რაღაცას რომ ეძებდი?

– არა არ დამიკარგავს _ დაიბნა გოგა _ ვფიქრობ სახლიდან ერთი ბლოკნოტის წამოღება დამავიწყდა, ხანდახან ჩანახატებს ვაკეთებ, ხანდახან ვიწერ, ხომ იცი, კლუბისთვის ყველა კურიოზს ვიყენებთ ხოლმე.

– და სხვა არაფერია? მაინც მგონია, რომ რაღაცა გაწუხებს. შეიძლება ჩანდეს, რომ თითქოს მარის სიყვარულით ვარ გაბრუებული ებული და შეაძლოა ნაწილობრივ მართლაც ასე არის, მაგრამ, იმდენად არა, რომ მეგობარს ხასიატი ვედარ შევატყო, ხომ იცი გოგა, ჩემი შენი, ბესოსა და მარის მეგობრობა არასდროს დასრულდება!

– მე ექვიც არ მეპარება შენში ზურა! რა თქმა უნდა შენი იმედი ყოველთვის მაქვს და მექნება და ასევე შენ ჩემიც გქონდეს, მაგრამ ახლა საგანგაშო არაფერია, მართლა!

– კაი ძმაო, როგორც იტყვი!

გოგა ჩაფიქრდა “ზურა მართლაც ამჩნევს რაღაცას, რესტორნის შემდეგ ექვით უყურებდა ერთხანს ყველაფერს, ახლა კი ჩემი და ბესოს იმედი აქვს... ჰმ, ბესო... ვინ იცოდა, რომ აქამდე მივიდოდა ჩვენი მეგობრობა... ბესო არ გაჩერდება, რამეს კიდევ ეცდება, რამეს ცუდს ჩაიდენს, ზურა უნდა გავაფრთხილო, მაგრამ ჩემი დღიური? იქ ისეთი არაფერია მაგრამ...” _ ფიქრებში ჩაიძირა გოგა. ვერ გადაეწყვიტა ყველაფერი ეთქვა ზურასთვის, თუ ისევ საიდუმლოდ შეენახა, იცოდა ეს მართლა სერიოზულ დაპირისპირებამდე მიიყვანდა ბესოს და ზურას და შესაძლოა მხოლოდ ჩხუბით არ დამთავრებულიყო ყველაფერი

– გოგა რა ხდება? ჰეე, სად ხარ ძმა? ზურამ მხარზე მოჰკიდა ხელი და შეანჯღღრია _ ალბათ მართლა რაღაცა სერიოზული პრობლემა გაქვს, ბოლოს რაც გითხარი არაფერი გაგიგია, არც პასუხი გამეცი, თქვი რა ხდება?

– არა ძმა თუმცა... _ გოგამ თვალი აარიდა მეგობარს, მიწას დააჩერდა _ ხვალ გეტყვი ძმა, ყველაფერს, არის რაღაც პრობლემები ლემები, რაღაც აზრები და ეჭვები მაქვს რესტორანში მომხდარ ამბავთან დაკავშირებით, ოღონდ გთხოვ, დღეს არ ჩამაცივდე. დღეს დღეს ვმხიარულობთ არა?

– კარგი გოგა, როცა ჩათვლი საჭიროდ ამაზე მაშინ ვილაპარაკოთ

მაგრამ მაშფოთებს შენი სიტყვები...

_ ხვალ, ხვალ გეტყვი ყველაფერს რასაც ვფოქრობ... და რაც ვიცი ზურა! ეხლა წავიდეთ, წელან ხომ ვთქვი, ბიჭები მწვადს წვავენ უკვე!

ზურა და გოგა კლასელებში და მეგობრებში აერივნენ. მხიარულებაში და გართობაში დრო სწრაფად გავიდა და მალევე მოსალამოვდა. თუმცა მშობლები და მასწავლებლები აკონტროლებდნენ, მაგრამ მოსწავლეებმა მაინც შესძლეს ალკოჰოლის გადამალვა და ნელ-ნელა შეექცეოდნენ. გოგა რატომღაც გამორჩევით მიეძალა სასმელს, ბევრი იმღერა, გიტარაზე დაუკრა, “მხიარულთა და საზრიანთა კლუბის” წევრებთან ერთად მართლაც გააცოცხლა სკოლის ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდი, რომელიც მხიარული და სასიამოვნოდ მოსაგონებელი იყო...

_ წავალ, ერთხელაც გადავხედავ მტკვარს! _ თქვა გოგამ, როცა წასასვლელად მზადება დაიწყო
_ ფრთხილად გოგა, იქით ძალიან ციცაბო ბილიკებია! _ უთხრა ვიღაცამ

_ არაფერია, მალე მოვალ! _ გოგა ხეებს შორის მიიმალა, დაინახეს, რომ ერთგან წაიბორძიკა, მაგრამ ყურადრება არ მიუქცევიათ, გოგასგან ჩვეული ხუმრობა ეგონათ.

გოგამ ვიწრო ბილიკით გაიარა გამოქვაბულებს შორის შედარებით სწორი ადგილი და ციცაბო ნაპირს მიადგა. თითქმის ბნელოდა. იქვე ჩამოჯდა და მტკვარს გადახედა. მდინარის შორეული ჩხრიალი მოისმოდა ქვემოდან. გოგამ ხელები უკან გადასწია, ხელისგულებს დაეყრდნო და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ახედა, რომელსაც მთვარის სხივები უფრო მედიდურ იერს აძლევდნენ. შორიდან ისმოდა ბავშვების სიცილი და მხიარულება. გოგა ისევ ფიქრებში ჩაეფლო “მარი... მარი... შენთვის გავაკეთებ ამას, თუნდაც ჩხუბი და უსიამოვნებები მოჰყვეს ამას ჩემთვის... უნდა შევატყობინო ყველას ბესოს ნამოქმედარის შესახებ და მისი ზრახვებიც! ის ყველაფერზეა წამსვლელი, ოღონდ მარის ყურადღება მიიპყროს და როგორც თვითონ ჰგონია მარის სიყვარული მოიპოვოს, მაგრამ ამას ვერასდროს შესძლებს, საწყალ გოგოს კი სიცოცხლეს გაუმწარებს... თუნდაც იჩხუბონ მან და ზურამ, თუნდაც სცემონ ის, უფრო გამხეცდება და ყველანაირ სისამაგლეს იკადრებს, თუმცა უკვე რაც იკადრა, იმაზე მეტი რაღა უნდა იყოს? ჩემი დღიური კი... ნეტავ როდის ამომაცალა? ჩემი ბრალია! მაგრამ არც ვიცოდი, თუ ვინმემ იცოდა, რომ ჩანაწერებს ვაკეთებდი! მასში რამდენიმე სასიყვარულო ჩანაწერია მარიზე... ზურას მართლაც შეიძლება ეწყინოს, თუ ნახა და აუცილებლად ნახავს, თუ მე

ბესოზე ჩანაწერი მოვასმენინე, ისიც აჩვენებს დღიურს... არა მე ვეღარ დაველოდები ბესოს მორიგ გამოხტომას, თვითონ ვეტყვი ზურას და ჩემი დღიურის შესახებაც მე თვითონ ავუხსნი ყველაფერს” გოგა კენჭების ჩხრიალმა გამოარკვია ფიქრებიდან. გვერდით მიიხედა. ბილიკს ბესო მოუყვებოდა, ხელში ბოთლი ეჭირა, ნელ-ნელა სვამდა, უხმოდ მივიდა გოგასთან და ბოთლი შორს მოისროლა, მის გვერდით ჩამოჯდა. ერთხანს უხმოდ ისხდნენ, თითქოს ერთმანეთის ფიქრებში შეღწევას ცდილობდნენ.

– ბიჭებმა მითხრეს, რომ აქ იყავი... აქვე სადღაც ნოდარი და გოგობიც არიან... აი, ხმაც ისმის!

– რად გინდა ბესო შესავალი? შენ ხომ ისე უბრალოდ არ მოხვედი?

– მართალი ხარ! ჩემს წინადადებაზე რას იტყვი?

– შენს წინადადებაზე? ამას გეტყვი: მე არ ვიწყებ ეხლა, რომ თუ დღიურს არ დამიბრუნებ მაშინ გავავრცელებ ჩანაწერს, ეს საჭირო არ არის და არც ვიკადრებ! პირდაპირ გეუბნები: ხვალ ზურასთან მივალ, ყველაფერს მოვუყვები და ჩანაწერსაც მოვასმენინებ! თუ თუ ოდნავ მაინც შემოგრჩა მეგობრობის გრძნობა შენც წამოდი და ერთად გავაკეთოთ ეს... ჩემი დღიურიც შეგიძლია წამოიღო, მე თვითონ ვაჩვენებ ზურას, თუ არა და ისედაც მოვუყვები, რომ მარიზე სასიყვარულო ჩანაწერები მქონდა იქ...

– ცუდია ბესო, რომ არ მეთანხმები... არ შეგიძლია უბრალოდ განზე განზე გადგე და დაელოდო რა მოხდება? მე მარის არასდროს არაფერს დაუშვებ, ყველაფერს გავაკეთებ, რომ შემიყვაროს და და მერე თვითონ გააკეთოს არჩევანი, ოღონდ შენ ნუ ჩაერევი ამაში, ნუ შემიშლი ხელს...

– არა, ბესო, მარიმ არჩევანი უკვე გააკეთა და იმის შემდეგ, რაც შენ იკადრე, მე განზე არ დავრჩები! ასე რომ მოვიქცე შენი თანამონაწილე და შენზე დამპალი გამოვდივარ!

ბესოს თითქოს სისხლი აუვარდა თავში, ფეხზე წამოდგა, თავზე დაადგა გოგას და ხელები მომუშტა.

– ადექი, შე მართლა დამპალი! არ მინდა დამჯდარს დაგარტყა!

– შენ და ღირსება? დამჯდარის დარტყმა რაღა პრობლემაა შენთვის იმის შემდეგ, რაც გააკეთე? თან ხომ არ გგონია შენი მეშინია!

– დაიღრიალა გოგამაც და ფეხზე წამოხტა. რამდენჯერმე დარტყმა ორივემ მოასწრო ერთმანეთისთვის, ბოლოს ყელში და ტანსაცმელში სწვდნენ ერთმანეთს, დაეცნენ და ჩხუბი მიწაზე გააგრძელეს, გამეტებით ურტყამდნენ ერთმანეთს, უცნაური იყო, რომ ხმას არცერთი არ იღებდა, თითქოს ორივეს გულში დაგროვილ ბოლმას და სიძულვილს ენაც წაერთმია

მათთვის. მხოლოდ ჩამოცვენილი კლდის ნაშაღის ჩხრიალი, ყრუ დარტყმების ხმა და ქშენა ისმოდა. არც გინება, არც ყვირილი... ბოლოს ბესომ დასძალა, ზემოდან მოექცა და რამდენჯერმე ჩაარტყა მუშტი მკერდში. გოგას სუნთქვა შეეკრა, ხველება აუტყდა. მისი ერთი ხელი ბესოს ეჭირა, თავისუფალი ხელი ინსტინქტურად მოიქნია და გამეტებით დაარტყა ბესოს ყურში გაშლილად, ბესომ ყრუდ დაიხრიალა, ყურზე ხელი აიფარა და გოგას ხელი გაუშვა. ამით გოგამ ისარგებლა, მარცხნივ გადაატრიალა ბესო და თვითონ მოექცა ზემოდან. გოგა ყელში სწვდა ბესოს და ორივე ხელით დააწვა ხორხზე. ბესომ ამოიხრიალა, ორივე ხელი მაჯებზე ჩაავლო გოგას ძალა მოიკრიბა და მარცხნივ გადასწია, გოგას ყვირილი აღმოხდა და ციცაბო კლდის იქით გაუჩინარდა... ბესომ ამოუუსუნთქა, ხველებით გადაატრიალდა მუცელზე და კლდის პირას მიხობდა.

– დამეხმარეთ! – მოესმა გოგას ყვირილი, თავი ნაპირიდან გადაყო და ქვევით ჩაიხედა. გოგა ერთი ხელით კლდიდან გადმოშვერილი ბუჩქის ტოტს ჩასჭიდებოდა, მეორეთი გალიპულ კლდის ციცაბო კედელზე მოსაკიდებელ ადგილს ეძებდა, ფეხებსაც თითქმის ჰაერში აქანავებდა

– მიშველეთ! – გამეტებით დაიყვირა გოგამ

– გოგა, აქ ვარ! – დაუმახა ბესომ

– დამეხმარე ბესო, გთხოვ, თავს ველარ ვიმაგრებ!

ბესომ მარცხენა ხელი მის გვერდზე კლდეში გაჩენილ ნაპრაღში ჩაყო და მოექიდა, თვითონ ნაპირიდან გადაიწია და მარჯვენა ხელი გოგას გაუწოდა

– მოდი, შეეცადე მომწვდე!

გოგა ოდნავ შეირხა, გაქანავდა და ზემოთ ამოიწია, მაგრამ ბესოს ხელს მხოლოდ შეეხო და ისევ ბუჩქს ჩამოეკიდა.

– ჩავვარდები ბესო! თავს ველარ ვიკავებ!

– რა ხდება? სად ხართ? გაისმა ყვირილი სიბნელიდან. ბესომ ზემოთ აიხედა, შორიდან ფანარების სინათლე მოჩანდა, ხმებიც ისმოდა, ქვემოთ გაეგოთ გოგას ყვირილი და საშველად მორბოდნენ.

– მიდი, კიდევ ერთხელ სცადე! – მთელი ხმით დაიყვირა ბესომ

გოგა თავს ველარ იკავებდა, მაგრამ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და მთელი ტანით გაქანავდა ტოტზე, ინერციით კი ზემოთ ამოიწია და მარცხენა ხელით ბესოს ხელს მისწვდა, მაგრამ ამავე დროს ბუჩქი ფესვებიანად ამოიძირკვა და სადღაც სიბნელეში ჩაიკარგა. გოგა მეორე ხელითაც ბესოს მაჯას მისწვდა, საყრდენი ფეხითაც იპოვა, მაგრამ თავს მაინც ძლივს იმაგრებდა.

– გვიშველეთ, ჩქარა! – მთელი ხმით დაიღრიალა ბესომ, რადგან უკვე მოახლოვებულ ხალხს ხედავდა სიბნელეში, შემდეგ გოგას ჩახედა.

– ეხლა რა ვქნათ გოგა?

გოგა ბესოს სახეს ბუნდოვნად ხედავდა, მაგრამ მისი ცივი, სიძულვილით სავსე ხმის გაგონებისას ტანში გააჟრჟოლა.

– რა? რა დროს ეგ არის ბესო, დამეხმარე, იქნებ კიდემდე მოვწვდე ხელით...

– არა, ზუსტად დროა, თანაც ცოტა დრო გვაქვს, უკვე გვიახლოვდებიან!

ბესოც ქშინავდა დაღლილობისგან და ძლივს აზამდა სიტყვას სიტყვაზე

– მიშველეთ! – მთელი ხმით დაიღრიალა გოგამ

– როგორ ხარ გოგა? რას გრძნობ, როცა შენი სიცოცხლე ხელით მიჭირავს? თითქოს შენი გულის ცემას ვგრძნობ...

– არა, ბესო, გთხოვ!

– შენ მე მიღალატე! ჩვენს ძმობას უღალატე! ზურგი შემაქციე, როცა მათხოვარივით გეხვეწებოდი შველას!

– გთხოვ ბესო, არ გამწირო! – არ გამიშვა ხელი – გოგას ხმაში ცრემლნარევი მუდარა გაისმა, ძლივს სუნთქავდა

– მეც გთხოვდი, მთელი გულით! შენ კი ის არ იკმარე, რომ სხვის მხარეზე დადექი, მერე ჩემი ლაპარაკიც ჩაიწერე და მაშაანტაყუბდი!

მიხვდა გოგა, რომ განწირული იყო, შეეცადა მეორე ფეხითაც ეპოვა საყედენი, მაგრამ ვერ შესძლო, ძალაგამოცლილს მეორე ფეხიც დაუცურდა და მთლიანად ბესოს ხელს ჩამოეკიდა.

– ხომ გითხარი, როცა მოლოდინში არ იქნები, მაშინ მიიღებ მეთქი მეთქი ზურგში დარტყმას! ხელი გამიშვი შენი!

ბესომ თითები გაშალა, მაგრამ გოგა მაინც გამეტებით უჭერდა თითებს მის ხელს. თვითონ ბესოც ვეღარ იკავებდა თავს, ამიტომ ხელი კლდის ნაპრალიდან ამოიღო და გოგას ხელს მისწვდა, ძალით გააშლევინა თითები, მაგრამ ამ დროს თვითონაც ნახევარი ტანით ქვევით გადაცურდა გოგას ბოლო ორი თითიც მოიშორა მაჯიდან... გოგას განწირულმა ყვირილმა შესძრა არმარე, მისი სილუეტი კი ქვევით, სიბნელეში ჩაინთქა... ამ მომენტში მოუსწრეს მაშველებმა ბესოს... დაინახეს, რომ ისიც ნახევრად გადავარდნილი იყო ნაპირიდან, მოასწრეს და ფეხებით ამოათრიეს უკან... ქალების მოთქმა, კაცების ყვირილი და გოგნების წივილი ისმოდა ირგვლივ...

– პატრულს და სასწრაფოს გამოუძახეთ! საჩქაროდ!

– ქვემოდან მოუარეთ იქ რამდენიმე ბილიკია...

– დაბლა ბურქებიც არის, იქნებ გადრჩა! – იმახდა ვიღაც

ბესო ისე მიიყვანეს ავტობუსამდე, ხმას ვერ იღებდა, უაზროდ აცეცებდა თვალებს და ყველა შეკითხვაზე მხოლოდ თავს აქნევდა აქეთ-იქით, სახე მთლიანად გაფითრებოდა... შეკითხვები, გარშემომყოფ-თა ყაყანი, საპატრულო მანქანების სირენის ხმა... ეს ყველაფერი ჩაქუჩებივით ურტყამდა საფეთქლებზე... გოგას სახემ გაიელვა მის წინ რამდენჯერმე... ჩაიკეცა, ყურებზე ხელები აიფარა და მთელი ხმით დაიღრიალა: არაააა!

– თავი დაანებეთ! წყალი მიეცით შოკშია...

ამასობაში დანარჩენებმა იმ ადგილს მიაღწიეს სადაც გოგა დაეცა. იქ ბუჩქები მართლაც აღმოჩნდა, მაგრამ სისხლის კვალი მინიმუმებდა, რომ გოგა კლდის ციცაბოდ გამოშვერი კედელს დაეცა და შემდეგ ჩავარდა ბუჩქებში. გოგა გულადმა ამოატრიალეს, ფანრების შუქზე კარგად ჩანდა მისი გაწითლებული თმა, ხელებიც გადატყავებული ჰქონდა და ცხვირიდან და ყურებიდანაც სისხლი სდიოდა.

– ამის განძრევა არ შეიძლება! საკაცე უნდა მოვიტანოთ! სად არიან ან სასწრაფო, ან პოლიცია?

სასწრაფო და პატრულის რამდენიმე მანქანა მოვიდა.. ექიმმა ხალხი გაფანტა, გოგას ყელზე დაადო ხელი და სამილე არტერია მოსინჯა, ძალიან წელი გულის ფეთქვა შეიცნო.

– ცოცხალია! სასწრაფოდ გადაგყავს! საკაცეზე უნდა დავაწვინოთ საკაცე გოგას გვერდით დადეს, ოთხმა სანიტარმა ფეხებში და მხრებში მოჰკიდეს ხელი.

– აბა, ერთდროულად ავწიეთ! ერთი, ორი, სამი!

ოდნავ ააცილეს გოგა მიწას და საკაცეზე გადააწვინეს. სასწრაფო დახმარების მანქანაში მხოლოდ კლასის დამრიგებელი და გოგას დედა ჩასვეს, რომელიც გამწარებული ტიროდა და მოთქვამდა. სასწრაფო თვალს მიეფარა, პოლიციელებმა კი ყველას ავტობუსში ასვლა მოსთხოვეს. მალე ავტობუსიც და პატრულის მანქანების ესკორტიც სასწრაფის მიჰყვნენ.

ბესოს თავი ავტობუსის მინაზე მიედო და გაყინული თვალებითY გაჰყურებდა ღამეში ჩაფლულ ხეებს, სოფლებს, გაზაზე მომქროლავ მანქანებს... არაფერს არ ამბობდა... მასწავლებლებმა და მშობლებმა კიდეც სცადეს ეკითხათ რამე, მაგრამ ბესო ხმას არ იღებდა. ზურა და მარი მივიდნენ მასთან, მარი აცრემლებული, სიბრალოლით სავესე თვალებით უყურებდა მას, ზურამ ხელი დაადო მხარზე, ბესომ უაზრო გამომეტყველებით მოიხედა მათკენ

– როგორ ხარ ბესო? რა მოხდა? ეს რანაირად მოხდა... მე მერეღა მოვედი იქ... ამბობენ, რომ მის გადარჩენას ცდილობდი და რომ არ მოესწროთ შენც გადავარდებოდი!

– მე... მე... მე ვერ შევძელი... გოგას ფეხი დაუცურდა, ქვევით ჩავარდა
ჯერ მეჭირა, მაგრამ... მეორე ხელიც მივახმარე... მერე აღარ მახ-
სოვს... _ ბესომ თვალები დახუჭა, ტუჩები უთრთოდა, უნებურად
ცრემლებიც წამოუვიდა თვალებიდან

– აქედან რომ წაიყვანეს ცოცხალი იყო... იმედია გადარჩება! თუ არა
არა და მეც ვერასდროს ვაპატიებ ჩემს თავს, რომ თქვენთან არ
ვიყავი! _ ჩაილაპარაკა ბესომ

– ჯობია თავი დაანებო ზურა! დააცადეთ გონზე მოსვლა, შეკითხვები
ხვები მერე დაუსვით... თუმცა გოგას რა ეშველება! ღმერთო,
ოღონდ გადარჩეს!

მარი ისევ ქვითინებდა, ზურამ ავტობუსის სავარძელში ჩასვა და თვითონაც
გვერდით მიუჯდა, ხელი მოჰხვია, შემდეგ ბესოს მიუბრუნდა

– ვწუხვარ, რომ თქვენს გვერდით არ ვიყავი, როცა დახმარება დაგ-
ჭირდათ. იმედი მაინც არის, ღმერთს ნებით გოგაც გადარჩება და
კარგად იქნება!

“კარგად იქნება” ამ სიტყვებმა სულ აურიეს გონება ბესოს, ისევ თვალწინ
დაუდგა გოგას სახე და მუდარით სავსე ხმა ჩაესმა ყურებში “რომ გადარჩეს
მაშინ?” _ უნებურად ეს კითხვა ამოუტივტივდა გონებაში _ “არა, არა, მე ასე
არ მინდოდა” ეს ფიქრი ბზრიალასავით დაუტრიალდა თავში, სუნთქვა
შეეკრა.

– გააჩერეთ! _ მთელი ხმით დაიყვირა ბესომ, ავტობუსის სალონის წინა
კარებისკენ გავარდა, ძლივს მოასწრო ჩასვლა... გზის პირას იდგა და გული
ერეოდა. ღამდენიმე მასწავლებელი და მშობელი ჩაჰყვა, შემოეხვივნენ,
ამშვიდებდნენ.

– როგორ მეცოდება ეს საწყალიც! დვილი ხომ არ არის შენს მეგო-
ბარს, შენ თვალწინ ასეთ რამე შეემთხვას _ ამ სიტყვებით
უთანაგრძნობდნენ ბესოს, მაგრამ არ იცოდნენ, რომ მისი ასეთი
მდგომარეობა მეგობრის გამო წუხილით კი არა, შიშით და სინდისი
ქენჯნით იყო გამოწვეული....

სასწრაფო დახმარების მანქანა სავადმყოფოს ეზოში შევიდა. გოგა
საკაცით შეიყვანეს შენობაში და რენანიამაციის განყოფილებაში მოათავსეს
ოპერაციამდე. მალე პოლიციიდან გამომძიებელიც მოვიდა, პირველად
ჩვენებები ჩამოართვა მოწმეებს. მათი ჩვენებები თითქმის ზუსტად
ემთხვეოდა ერთმანეთს, ამბობდნენ, რომ ყვირილი და დახმარების თხოვნის
მახილი შემოესმათ, სასწრაფოდ გაემართნენ საშველად, მაგრამ როცა
მივიდნენ, გოგა უკვე კლდის იქით იყო ჩავარდნილი და ბესო მის ამოყვანას
ცდილობდა, ორივე ხელით იჭერდა მას, და საშველად მისულებს რომ არ

მიესწროთ, ისიც გადავარდებოდა. ბესოს ჩვენებიდან გამომდინარე, უბედურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, მისი თქმით, მისი მეგობარი, გოგა, ძალიან გადაიხარა ციკაბო ნაპირიდან, ფეხი დაუცურდა და ჩავარდა, ბესომ დახმარება სცადა, გოგა ტოტზე ეკიდა ცალი ხელით, მეორეთი კი ბესოს ხელს იყო ჩაჭიდებული, მაგრამ ბუჩქი კლდიდან ამოვარდა, გოგამ თავი ვეღარ შეიკავა და ბესოს ხელსაც გაუშვა ხელი. პირველადი ჩვენებები ჩაიწერეს და ყველას ხელი მოაწერინეს. ამ დროს მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები საავადმყოფოს ეზოში მოგროვილიყვნენ, ყველა ძალიან ღელავდა. მოუთმენლად უცდიდნენ ოპერაციის შედეგს და გოგას შესახებ ინფორმაციას. გოგას კლასი მთლიანად იქ იყო, გოგონების უმრავლესობა იცრემლებოდა, ბიჭებიც ჩუმად იდგნენ, სიტყვას არავინ ძრავდა, გამომძიებელის წასვლის შემდეგ ბესოც კლასელებს შეუერთდა, სხვებთან ერთად იდგა და თვალის მოუცილებლად შესცქეროდა საავადმყოფოს მისაღების კარებს, საიდანაც გოგას ამბის გაგებას ელოდნენ.

გამომძიებელმა, გამოცდილებიდან გამომდინარე იცოდა, რომ ასეთ ექსტრემალურ სიტუაციაში მოწმეთა ჩვენებები მთლად სანდო არ იყო და თუმცა ბესოს მონაყოლს მოწმეების ჩვენებები ადასტურებდა, მაინც საჭირო იყო მომხდარის დაწვრილებით გამოკვლევა, აუცილებელი იყო აგრეთვე შემთხვევის ადგილის გამოკვლევის შედეგები, მაგრამ მთავარი მაინც გოგას ჩვენება იყო, თუ ეს შესაძლებელი გახდებოდა. მოწმეების დაკითხვის შემდეგ გამომძიებელი საავადმყოფოში შევიდა და მთავარ ექიმთან გასაუბრება ითხვა.

- გამარჯობათ! მე აღნიშნულ საქმეს ვიძიებ, გამომძიებლისათვის აუცილებელია დაზარალებულს ჩვენება ჩამოერთვას, თუკი ეს შესაძლებელია.
- ვწუხვარ, მაგრამ ჯერ ოპერაცია მიმდინარეობს, პაციენტს კიდურების მრავლობითი მოტეხილობა და თავის ტრავმა აქვს მიღებული. ზუსტი მონაცემები ოპერაციის შემდეგ გვექნება, ახლა მასთან შეუძლებელია საუბარი და თუ ოპერაცია წარმატებით დამთავრდა ზეგამდე მაინც არ იქნება სასურველი მისი შეწუხება, თუ რა თქმა გონზე მოვა იმ დროისთვის
- სამწუხაროა! – ჩაფიქრდა გამომძიებელი – თქვენ როგორ ფიქრობთ მის სიცოცხლე საფრთხე ემუქრება?
- ვერაფერს გეტყვით გარდა იმისა, რომ მისი მდგომარეობა ძალიან რთულია... იმედი მაინც არის, საუკეთესო ტრავმატოლოგები უკვეთბენ ოპერაციას
- გასაგებია! აი ჩემი სავიზიტო ბარათი, თუ უკეთესად იქნება,

მაშინვე დამიკავშირდით

_ აუცილებლად, კარგად ბრძანდებოდეთ

_ ნახვამდის!

გამომძიებელი გარეთ გამოვიდა. საავადმყოფოს ეზოში, ორ საპატრულო მანქანას შორის კრიმინალიტების ჯიპიც იდგა. გამომძიებელი კრიმინალისტებთან მივიდა

_ გამარჯობა ირაკლი! რა ხდება, ვნახეთ რამე შემთხვევის ადგილზე?

_ გამარჯობათ ბატონო აკაკი, დავათვალიერეთ ყველაფერი, ჯერ-ჯერობით ისეთი საგულისხმო არაფერია, მიწაზე ნახობიალები ადგილებია არის, ტანსაცმლის ნახევი ან რამე მსგავსი არ გვინახავს, მხოლოდ ეს ვნახეთ, ზევით, კლდის პირას ეგდო, დიდი დიდი ბლოკნოტია!

კრიმინალისტმა საშუალო ზომის ბლოკნოტი ამოიღო სამხილის შესანახი პაკეტიდან. გამომძიებელმა ბლოკნოტი გადაფურცლა

_ ანაბეჭდები აიღეთ?

_ არა, აზრი არ ჰქონდა, მიწაზეა ნთრევი, თან ნაწვიმარი იყო და ტალახში ამოისვარა.

_ ცუდია, მაგრამ არაუშავს, ეს დაზარალებულის დღიური უნდა იყოს წავიღებ, საქმისთვის გამოდგება, და ერთიც, კლდეზე ბუჩქი ნახეთ? ან მისი კვალი?

_ ვნახეთ, არის, მაგრამ, ფესვებიანად არის მოგლეჯილი და ალბათ სადმე დაბლა ჩაიკარგა.

_ კარგი ბიჭებო ამას წავიღებ, სამხილების ჟურნალში ხვალ მოვაწერ ხელს ამისთვის, კარგად!

_ ნახვამდის ბატონო აკაკი!

სავადმყოფოში ბესოს დედა და ბესოს მამის დაცვის სამსახურის წევრებზე მოვიდნენ ანზორთან ერთად. ბესომ მაშინვე იცნო მისი ჯიპი. ბესოს დედა ჯერ ერთად შეჯგუფულ მშობლებთან და მასწავლებლებთან მივიდა, შემდეგ კლასის დამრიგებელს გაესაუბრა და ბესო მოიკითხა. ანზორი კი პირდაპირ პოლიციელებთან მივიდა, რაღაც ჰკითხა და კრიმინალისტებთან მდგარ გამომძიებელს მიუახლოვდა, ზუსტად მაშინ, როცა აკაკი კრიმინალისტებს დაემშვიდობა. ბესო შორიდან ხედავდა, რომ გამომძიებელი გულითადად მიესალმა ანზორს, ხელი ჩამოართვა, შემდეგ ცალკე გავიდნენ და რაღაცაზე დაიწყეს ლაპარაკი, ანზორი უსმენდა და ხანდახან თავს უქნევდა. გამომძიებელმა ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო, ანზორს აჩვენა და ისევ ჯიბეში დააბრუნა. ბესოს სისხლი გაეყინა, ხელები ქურთუკის ჯიბეებში მოაფათურა, ყველა ჯიბე ცარიელი იყო “ოჰ შენი!

ალბათ ჩხუბის დროს ამომივარდა! არა, ალელვება არ არის საჭირო... იქ ისეთი არაფერია, რაც ჩემზე მიანიშნებს, რაც ასეთი იყო მე ამოვხიე კიდეც კარგი. ახალა მთავარი ის არის გოგა რას ილაპარაკებს, როცა გონზე მოვა... რა თქმა უნდა ყველაფერს იტყვის... მე დამასახელებს... ცუდადაა საქმე, ძალიან ცუდად! ” ბესო ჩაიკუზა და თავზე შემოიჭდო ხელები, თავს აქეთ-იქით იქნევდა, თითქოს რაღაცის უარყოფა უნდოდა. კლასელებმა ისევ დამშვიდება დაუწყეს, ბესოს დედა მივიდა მათთან.

– ბესო, შვილო, როგორ ხარ? ძალიან შევშინდით! საშინელება არის, რაც გოგას შეემთხვა... მაგრამ ექიმებთან ვიკითხე, იმედი აქვთ, რომ აქვთ, რომ გადარჩება, ყველაფერი კარგად იქნება, შენ არ ინერვიულო! ახლა წავიდეთ, ანზორი გააარკვევს პოლიციაში რა ხდება შენც წაგიყვანს.

ბესომ უცნაური, თითქმის ზიზღნარევი თვალებით ახედა დედას, წამოდგა და უკან დაიხია

– მე არსად არ წავალ! აქ ვიქნები, სანამ არ გავიგებ გოგა როგორ იქნება!

– ვიცი, რომ ჯავრობ, მაგრამ ექიმებმა...

– ნუ სულელობ რა დედა! – დაიღრიალა ბესომ – თავი დამანებეთ ყველამ!

ბესო შეტრიალდა და ეზოდან გავარდა. გაოგნებული დედა ვერ მიმხვდარიყო რა მოუვიდა მის შვილს. ეზოდან ბესოს გავარდნამდე ანზორი და აკაკი ისევ ლაპარაკობდნენ. აკაკი რაღაცას უხსნიდა და ორივე ხშირად ბესოსკენ იყურებოდა, რაც თვითონ ბესოსაც არ გამორჩენია და უფრო ამის გამო გაიქცა ეზოდან. ანზორი გამომძიებელს დაემშვიდობა და ბესოს დედასთან მივიდა

– რა თქვეს ანზორ? რა მოხდა არ იციან?

– როგორც ჩანს უბედური შემთხვევაა! ბესოს სიტყვებით მისი მეგობარი შემთხვევით გადავარდა კლდის ნაპირიდან, ბესო მის გადარჩენას ცდილობდა, მაგრამ ვერ შესძლო... მოწმეები ადასტურებენ ამას, თქვენ წაბრძანდით, მე ბესოს მოვძებნი და წამოვიყვან.

ანზორს არ გაუმხელია ბესოს დედისთვის, რომ გამომძიებელს გარკვეული ეჭვები ჰქონდა, იმასთან დაკავშირებით, რაც მოხდა, მისთვის გაუგებარი იყო, რანაირად შეიძლებოდა შემთხვევით გადავარდნილიყო გოგა ასეთი ფართე ბილიკიდან, რის დადგენასაც გამოძიებლის დროს აპირებდა. გამომძიებელი აგრეთვე მეგობრებს შორის რაღაც მიზეზის გამო ჩხუბს არ გამორიცხავდა და იმედი ჰქონდა, რომ გოგა გადარჩებოდა და ყველაფერი გაირკვეოდა. ბესო ნელი ნაბიჯით მიდიოდა საავადმყოფოს გვერდით

ქუჩაზე, საშინელ დაღლილობას გრძნობდა. მის წინ ანზორის მანქანა გაჩერდა.

– თავი დამანებეთ! – დაუყვირა მანქანიდან გადმოსულ დაცვის უფროსს ბესომ, მაგრამ ანზორმა რაღაც ანიშნა დაცვის წევრებს, მათ უცერემონიოდ ჩაავლეს ბესოს ხელი და ძალით ჩასვეს მანქანაში. ბესო თავიდან ეწინააღმდეგებოდა, მანქანიდან გადმოხტომას ცდილობდა, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს დამშვიდდა და გვერდულად მიწვა სკამის საზურგეზე

საავადმყოფოს ეზოში კი კვლავ რჩებოდნენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლების ნაწილიც, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ გოგას ამბავს. უკვე ღამის სიცივე იჩენდა თავს, ამიტომ ბავშვების ნაწილმა საავადმყოფოს ჰოლში გადაინაცვლა. დერეფანში ლურჯხალათიანი ექიმი გამოჩნდა, დაღლილი სახე ჰქონდა, ოფლი ასხამდა.

– ექიმო რა ხდება?

– ექიმო როგორ არის?

– დამთავრდა ოპერაცია? გადარჩება?

მიაყარეს ექიმსკითხვები.

– ოპერაცია დამთავრდა რახანია... პაციენტი გონზე მოვიდა, მაგრამ მდგომარეობა ძალიან რთულია... ჩვენ მის მშობელს უკვე ავუხსენი ყველაფერი...

– ასე ცუდად არის საქმე?

– ავადმყოფი რეანიმაციიაშია, მასთან შესვლა არ შეიძლება.

– რამე ხომ არ თქვა ექიმო?

– მხოლოდ ორ სიტყვას ამბობს, მაგრამ გაურკვეველად... მარი რომელია? მას კითხულობს ასე ვფიქრობთ...

– მე ვარ ექიმო! – მარის ტყჩები აუთრთოლდა

– წამოდი მარი! – ექიმმა მარი გაიყოლა. მეორე სართულზე ავიდნენ, თეთრი დერეფანი სწრაფად გაიარეს და რეანიმაციულ განყოფილებაში შევიდნენ. გოგას დედა დერეფანში სკამზე იჯდა, ქვითინებდა, მასთან ერთად ნონა და კიდევ რამდენიმე ახლო ნათესავი იყვნენ, რომლებიც მაშინ მოვიდნენ, როცა გოგა საოპერაციოში იყო.

– ექიმო, გთხოვთ არ დამიმალოთ, როგორ არის? – ექიმს მივარდა გოგას დედა

– ნუ ინერვიულებთ ქალბატონო! ხომ ნახეთ, გონზე მოვიდა, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ...

– ღმერთო, ღმერთო! – გოგას დედა მოწყვეტით დაეშვა სკამზე.

– ექიმო, ლაპარაკი შეუძლია? – მარი რეანიმაციის ბოქსთან შეჩერდა

– არ შემიძლია შესვლა...

– როგორც წესი, არც ვუშვებთ არავის რეანიმაციაში, მაგრამ აქ გამონაკლისია... წედან დედაც იყო შესული მასთან...

– რატომ არის გამონაკლისი? – ხმა აუკანკალდა მარის

– არ დაგიმალავთ გოგონა, მრავლობითი მოტეხილობები, თავის ტრავმა და რაც ყველაზე ცუდია, კისრის მეექვსე მალის ნაწილობრივი დაზიანება, ბოლო განსაკუთრებით საშიშია... მისი სიტყვების არ შეგემინდეს, უბრალოდ ლულულულებს... ხან ხრიალებს, მხოლოდ ორი სიტყვა ისმის მისგან: “მარი” და “ბესო”... არც დედა, არც ვაიძე, არაფერი! ასეთი რამ არ მინახავს... დროს ვკარგავთ, შედით!

მარი ბოქსში შევიდა. გოგა გულადმა იწვა, თავი, ხელები და ფეხი შეხვეული ჰქონდა, ორივე ხელზე წვეთოვნები ჰქონდა მიერთებული. აპარატი, რომელიც ავადმყოფის მდგომარეობის მონაცემებს აჩვენებდა, გულისცემის შესაბამისად, პერიოდულად, სწრაფად, წყვეტილად წრიბინებდა.. მარის დანახვისას გოგას თვალები ცრემლებით ავესო. მარი საწოლს მიუახლოვდა.

– როგორ ხარ გოგა? – ხმის კანკალით ჰკითხა მარიმ, როცა მის ცრემლებით სავსე თვალებს შეხედა

– მარ... მარი... – ძლივს ამოთქვა გოგამ, თითები ნერვიულად ამომძრავა – მარი... ბესო... ბესო...

მარის ცრემლები ჩამოუვიდა დაპალუპით, გოგას ხელს შეეხო ხელით. გოგას თითები მოიკეცნენ და მარის ხელი მოიქციეს ხელში, პირს აღებდა, მაგრამ მხოლოდ ხორხისმიერ ბგერებს გამოსცემდა

– გოგა, გთხოვ, ნუ ეცდები ლაპარაკს... არ შეიძლება... ყველაფერი კარგად იქნება, შენ კარგად გახდები და ისევ ერთად, ზურა, მე შენ...

გოგამ თავი გაანძრია, თითქოს უარყოფის ნიშნად, მარის უყურებდა თვალებში და ოდნავ გასაგონად ისმოდა მისი ყელიდან

– მარი...ფრთხილად... მარი... ფრთხ...

თითებს კი ისევ და ისევ უჭერდა მარის ხელს, მაგრამ სიტყვა გაუწყდა, თავი გვერდზე გადაატრიალდა... გოგას თითებიც მოდუნდნენ და მარის ხელს მოეშვენ... კარდიო აპარატის გულისფეთქვის შესაბამისი პერიოდული წრიბინი, ერთმა გაბმულმა ზუმერმა შეცვალა...

– ექიმო, ექიმო! – აყვირდა მარი

ექიმი შემოვარდა, გოგას დახედა

– ცუდად გახდა ექიმო, რაღაცის თქმა უნდოდა...

– გარეთ გადით გოგონა! – სწრაფად უთხრა ექიმმა და შემდეგ ექთანს გასძახა – სარეანიმაციო აპარატი და ჯგუფი სასწრაფოდ! ოთახი დატოვეთ! გაიყვანეთ ვინმე!

ორმა ექთანმა ხელი მოჰკიდა მარის და კარისკენ წაიყვანეს. მარი უძალიანდებოდა

– არა, არა, არ გავალ... გოგა! – უაზროდ იმახდა და გოგას უძრავ სახეს ვერ ამორებდა თვალს. როგორც იქნა გაიყვანეს მარი სარეანიმაციო ბოქსიდან. “ორი კუბი ადრენალინი! ელექტროშოკი” ექიმის ეს სიტყვებილა მოესმა მარის. დერეფანში გამოსული, კედელს მიეყრდნო, ზევით აიხედა. უეცრად ჭერი თითქოს დაბზრიალდა და ყველაფერი რუხ ნისლში ჩაიძირა, შემდეგ კი წყვდიადი ჩამოწვა. გონდაკარგული მარი მეორე ოთახში შეიყვანეს მოსასულიერებლად. ექიმი ბევრს ეცადა... ეპინიფრინი... ადრენალინი... ელექტროშოკი... რომ გოგას გული აემუშავებინა, მაგრამ არაფერი შველოდა ავადმყოფს... აპარატზე გულისცემის ზუმერი ისევ გაბმულად და ცივად წრიპინებდა. გოგა აღარ სუნთქავდა... ვეღარ უშველეს... ექიმმა საყელოს ღილები შეიხსნა, მძიმედ ამოისუნთქა

– სიკვდილი დრო დააფიქსირეთ!

– ოცდასამი საათი და ათი წუთი!

როგორც კი მარი გონზე მოვიდა, იმ წუთსივე ისევ დერეფანში გამოვიდა, თუმცა ექთანი ურჩევდა ცოტა ხნით მაინც დაესვენა. მარი გოგას დედას მიუჯდა გვერდით. დალიმ ხელი მოჰხვია და გულში ჩაიკრა

– ჩემი შვილის საყვარელი მეგობრები! ველა აქ ხართ! – თან შეუწყვეტილვ ქვითინებდა. ლეანიმაციის ბოქსის კარები გაიღო და დამწუხრებული ექიმი გამოვიდა. მისი დანახვისას დალი სწრაფად წამოდგა და მუდარით სავსე თვალებით შეხედა

– ექიმო, ჩემი შვილი როგორ არის?

– თქვით ექიმო, როგორ არის? თუ რამეა საჭირო... – შემოესივნენ გოგას ნათესავებიც.

ექიმი თვალს არიდებდა ყველას, სიტყვებს ეძებდა, ვერ მოეფიქრებინა, როგორ შეეტყობინებინა დედისთვის შვილის სიკვდილი

– ექიმო მითხარით როგორ არის... მისი ნახვა მინდა! – დალიმ კარებისკენ გაიწია.

– თქვენი შვილი..... თქვენი შვილი გარდაიცვალა ქალბატონო...

დალის მუხლები მოეკვეთა, განწირული ღრიალი მორთო, მწარედ ტიროდა, ვერც ნათესავებმა და ვერც ექიმებმა ვერ დააკავეს ისე შევარდა რეანიმაციის განყოფილების ბოქსში, სადაც გოგა იყო მოთავსებული. დედა ქვითინით მიუახლოვდა საწოლს, სადაც მისი შვილი იწვა, ის ჩაეხუტა გოგას და და აღრიალდა

– ღმერთო, რატომ გამამწარე ასე! ჯერ ქმარი წამართვი, ახლა კი

ჩემი ერთადერთი შვილი და იმედი გამომაცალე! მას უნდა გავეცი-

ლებინე იმ ქვეყნად და მე დავტირი ჩემს უბედურ შვილს! რატომ შვილო! რატომ გამამწარე! ამის შემდეგ რისთვის უნდა ვიცოცხლო! გარეთ გამოსულ გამწარებულ დედას, გულჩამწყდარ ნათესავებს, გაფითრებულ მარის და გაოგნებულ კალასის დამრიგებელს ეზოში მომლოდინე ხალხი შემოეხვია. ყველა შეძრწუნდა გოგას სიკვდილის გამო, ყველა თანაუგრძნობდა მის გამწარებულ დედას. მარი მშობლებთან მივიდა, ისინიც გარეთ უცდიდნენ. დედას ჩაეხუტა და აქვითინდა

– გოგა აღარ არის დედა! ჩვენი საუკეთესო მეგობარი!

ზურაც იქვე იდგა რამდენიმე კლასელთან ერთად, ისიც თანაუგრძნობდა გოგას დედას, ატირებულ მარისთან მისვლას ვერ ბედავდა, ქვედა ყბა ოდნავ უკანკალებდა, ვერ ეპატიებინა თავისი თავისტვის, რომ გოგას გვერდით არ იყო მაშინ, როცა ყველაზე ძალიან სჭირდებოდა მისი დახმარება. გულს კი თითქოს წვრილი ნემსები უჩხვლეტავდნენ... გოგა პროზექტურაში გადაასვენეს, ყველა დაიშალა, საავადმყოფოში მხოლოდ გამწარებული დედა და გოგას ნათესავები და ახლობლები დარჩნენ.

მეორე დღეს ბესოს მშობლებმაც გაიგეს ეს ამბავი.

– რა საშინელებაა! რა უსამართლობა! – წუხილით ამბობდა ბესოს დედა

– საზარელია, ეთანხმებოდა მამაც – ყოველთვის სიფრთხილეა საჭირო! დავურეკოთ მის ახლობლებს, თუ რამით შევძლებთ დახმარებას დავეხმარები აუცილებლად! გოგა ხომ ბესოს საუკეთესო მეგობარი იყო...

ბესოც შეესწრო ამ საუბარს, გულში უსიამოვნოდ გაკენწლა სიტყვა “მეგობარმა” თავის ოთახში ჩაიკეტა, აფორიაქებული დადიოდა აქეთ-იქით. მწარე და საშინელებით სავსე ფიქრები არ ასვენებდნენ. მას მართლაც უნდოდა გოგას სიკვდილი. შელახული პატივმოყვარეობისა და პირადი მიზნებისათვის გაიმეტა მეგობარი! ერთადერთი მეგობარი... მაგრამ ერთია: განზრახვა გქონდეს და მზად იყო სასიკვდილოდ ვინმეს გასამეტებლად და სხვა არის სიკვდილის შემდეგ... სიკვდილზე და სიკვდილით დასჯაზე ბესო თავიდანვე ბევრს კითხულობდა, ფილმებსაც სულ სიკვდილითა და აგრესიით სავსეს უყურებდა, სიკვდილით დასჯის დოკუმენტური კადრებიც ჰქონდა ინტერნეტიდან გადმოწერილი მაგრამ ახლა გულიდან ვერ იშორებდა მომხდარის გამო გულზე დაწოლილი მძიმე ლოდს.... “რაც მოხდა, შემთხვევით იყო!” – თავიდან ასე არწმუნებდა საკუთარ თავს, გამალებით ეძებდა რაიმე გასამართლებელ მიზეზს, რაც მის ასეთ სისასტიკეს გააუფერულებდა და სინდისს შეუმსუბუქებდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. თითქოს გოგას სახეს ხედავდა ყველგან, მისი ბოლო სიტყვები ჩაესმოდა: “მიშველე, გთხოვ...”. ოთახის კედლებს ისე აწყდებოდა, თითქოს

გალიაში გამომწყვდეული ნადირი იყო, ლოგინზე დაემხო, თავზე ბალიში დაიფარა და მთელი ხმით ღრიალებდა დიდხანს... იმ დღეს დილამდე ვერ დაიძინა, ბოლოს გადაღლილი გონება და სული თითქოს თავისთავად გამორთო დრომ და რეალობასაც ძილის ფარდა გადააფარა...

გამომძიებელიც ძალიან დაამწუხრა გოგას სიკვდილმა, ერთი მხრივ, თითქმის მის შვილის ტოლი ახალგაზრდა ბიჭის დაღუპვა აწუხებდა და მეორე მხრივ ის, რომ ისედაც უცნაური და უბედური შემთხვევა მთლად აირია. გოგა ვედარაფერს იტყოდა... ფაქტებიც და მოწმეების ჩვენებაც იმას მიუთითებდა, რომ საქმე, როგორც უბედური შემთხვევა ისე უნდა განხილულიყო და დხურულიყო, მაგრამ გულს ეჭვი უღრღნიდა, ინტუიციით გრძნობდა, რომ არ შეიძლებოდა ეს სიკვდილი ასე უაზრო ყოფილიყო, რაღაც სხვა მიზეზი უნდა ჰქონოდა მას... ორშაბათს, დილით თავის კაბინეტში ელოდებოდა აკაკი ბესოს და სხვა მოწმეებს, განმეორებით ჩვენების ჩამოსართმევად, წინა ღამით კი მთლიანად გადაიკითხა გოგას დღიური, მისი ყურადღება შიგა და შიგ ამოხეულმა ფურცლებმა და ბოლოში რამდენიმე ამოხეულმა გვერდმა მიიპყრო. სქელი ბლოკნოტი თითქმის სავსე იყო ჩანაწერებით, მაგრამ იმ ადგილებში სადაც აზრი, სავარაუდოდ მის მეგობარს ბესოს ეხებოდა, იქ აკლდა ფურცლები. ბესო მშობლებთან ერთად მივიდა განყოფილებაში. გამომძიებელი ვანოსა და ბესოს დედას მიესალმა, აუხსნა, რომ უფლება ჰქონდათ ბესოს დაკითხვას დასწრებოდნენ, მისდა გასაკვირად ბესომ კატეგორიული უარი განაცხადა მათი თანდასწრებით ჩვენების მიცემაზე და მარტო შევიდა გამომძიებელთან.

– ბესო, ვიცი, ჯერ შეიძლება შოკიდან არ გამოსულხარ, მეგობრის რის სიკვდილის გამო, მაგრამ აუცილებელია, რომ მოწმის სახით დაიკითხო, რამე საწინააღმდეგო ხომ არ გაქვს?

– არა, ბატონო აკაკი, მზად ვარ! თუმცა გოგას სიკვდილის გამო მართლაც გაოგნებული ვარ...

გამომძიებელმა შეამჩნია, რომ გარეგნული სიმშვიდის მიუხედავად, ბესო ძალიან ნერვიულობდა, თითები ერთმანეთზე გადაეჭდო, თვალებს ნერვიულად ახამხამებდა დრო და დრო და მთელი ტანით დაჭიმულ ზამბარას ჰგავდა.

– შეგიძლია დაწვრილებით მომიყვე, რა მოხდა იმ საღამოს? ოღონდ შევთანხმდეთ: შენ დაწვრილებით მომიყევი ყველაფერი, მე ჩავინიშნავ და ხელი რომ არ შეგეშალოს, მხოლოდ მერე დაგისვამ კითხვებს, როცა თხრობას დაამთავრებ.

– კი ბატონო – ბესომ ნერვიულად გადაყლაპა ნერწყვი და დაიწყო: “იმ საღამოს უკვე წამოსვლას ვაპირებდით. მე ქვემოთ, გამოქვაბულებისკენ ხეებთან, იქ ვნახე გოგა, ჩვენს კლასელებთან ერთად, მერე რაღაცით გავერთე და მხედველობიდან დავკარგე... როცა გამახსენდა, ბიჭებს ვკითხე, სად იყო და მიპასუხეს, რომ ცოტა ნასვამი იყო და ზევით წავიდაო, უთქვამს, მტკვარს უნდა გადავხედოო. უკვე ბნელდებოდა, მეც რომ იმ ადგილამდე ავედი, გოგა კიდესთან იდგა, ქვევით იყურებოდა. მე დავუძახე, მოტრიალდა და ამ დროს ცალი ფეხი დაუცურდა, წონასწორობა დაკარგა, მუცლით დაეცა დაბლა და კიდის იქით ჩავარდა (ბესომ სუნთქვას მოუხშირა და განაგრძო) მე კიდესთან მივვარდი და დაბლა ჩავხედე... ქვემოთ ბუჩქის ტოტზე იყო ჩამოკიდებული... თან ყვიროდა და შველას ითხოვდა... მეც შემეშინდა არ ჩავვარდნილიყავი და ამიტომ მუცელზე დავწექი, ცალი ხელი იქვე კლდის ნაპრაღში ჩავყავი, რომ ჩემი თავი დამეჭირა, მეორე ხელი კი გოგასკენ გავიწოდე, მაგრამ ვერ მწვდებოდა. მეც დავიწყე ყვირილი, საშველად ვეძახდი ვინმეს. გოგამ ალბათ ქვევით ფეხის მოსაკიდი იპოვა, მთელი ტანით გაქანავდა და ჩემს ხელს მოსწვდა, მაგრამ ბუჩქი ამოიძირკვა და მხოლოდ მე ჩამომეკიდა... მეც ვეღარ ვუძლებდი სიმძიმეს, გოგამ მეორე ხელიც მომკიდა მაჯაზე, მაგრამ ზემოთ ვერ ვწევდი, თვითონაც არ ჰყოფნიდა ძალა... ერთი ხელით ვერ ამომყავდა და მეორე ხელიც გაუწოდე, მაგრამ მეც ქვევით დავიწყე ჩაცურება, ამ მოძრაობის შემდეგ გოგამ ვეღარ შეძლო თავის შეკავება და ხელი გამიშვა”...

ბესოს ხმა აუთრთოლდა ნერვიულობისგან, თავი ხელებში ჩარგო. გამომძიებელმა წყალი დაასხა და ჭიქა მისკენ გასწია.

– დალიოე, ბესო, შეეცადე დამშვიდდე.

რამდენიმე წუთს უხმოდ ისხდნენ, გამომძიებელი გამომცდელად უყურებდა, შემდეგ უჯრიდან გოგას დღიური ამოიღო და მაგიდაზე დადო

– ბესო, ეს თუ გეცნობა?

– კი, ვიცი რაც არის... გოგას დღიურია...

– აქ წერია, რომ შენ და ის უახლოესი მეგობრები იყავით წლების განმავლობაში... აქ არის სხვა პირადი ინფორმაციაც... სიმართლის გასარკვევად მინდა გკითხო: ბოლო დროს გოგა რამეზე ხომ არ ღელავდა? რამე ხომ არ აწუხებდა? შენ, როგორც საუკეთესომეგობარს იქნებ გაგანდო? ღოგორ ფიქრობ, რამე ხომ არ უზბიგებდა არ უზბიგებდა თვითმკვლელობისკენ?

– არა, რა სისულელეა! _ უცნაურად აიმღვრა ბესო _ ბოლომდე იბრძოდა სიცოცხლისთვის, სანამ ძალა არ გამოეღია... გოგა ყოველთვის მხიარული და ხალისიანი ადამიანი იყო!

- _ კარგი, ნუ ლელავ, აქ ბევრი ჩანაწერი აგრეთვე ზურასა და მარის ეხებათ, მარიზე ნაწილობრივ სასიყვარულო ჩანაწერებიც აქვს,... ლექსის სტრიქოებიც არის მიძღვნილი, ხომ არ იცი რამე ამის შესახებ? იქნებ სიყვარულის გამო...
 - _ არა, ჩვენ მეგობრები ვიყავით, მე ზურა მარი და გოგა, მარი ზურას შეყვარებულია... მე არ ვიცი რა წერია მის შესახებ... ზუსტად არ ვიცი...
 - _ ესეიგი, დაახლოებით იცნობ დღიურის შინაარსს?
 - _ დაახლოებით ვიცნობ.
 - _ აქ წერია, რომ გოგას არა, მაგრამ შენ გიყვარდა მარი და ამის გამო დაპირისპირება გქონდა ზურასთან
 - _ კი, ეს ადრე იყო, მაგრამ ჩვენ ყველაფერი გავარკვეით... ზურამ და მე... საერთოდ რა კავშირი აქვს ამას გოგას სიკვდილთან?
 - _ პირდაპირ არაფერი, მაგრამ უცნაურია, როცა შენზე იწყება ლაპარაკი, ჩანაწერები უცებ წყდება და დღიურის გვერდების ნომრებიდან გამომდინარე, ეტყობა, რომ გვერდებია ამოხეული. გოგა ვის მხარეზე იყო თქვენში?
 - _ რა სისულელეა, მე და ზურას ომი კი არ გვექონია, ყველაფერზე ვილაპარაკეთ, ასე გავარკვეით ყველაფერი! არც ის ვიცი, რატომ აკლია გოგას დღიურს ფურცლები.
 - _ შენ და გოგას უთანხმოება არასდროს გქონიათ?
 - _ არასდროს და საერთოდ, რატომ მისვამთ ასეთ შეკითხვებს?_ ბესო ვერ ამჩნევდა, რომ უკვე ყვიროდა. ხმაურზე ბესოს დედა შემოვიდა კაბინეტში
 - _ რა ხდება ბესო? ბატონო აკაკი...
 - _ არაფერია უბრალოდ ავღელდი, მაპატიეთ! _ თქვა ბესომ და ხმა დაადაბლა
 - _ ძალიან გთხოვთ, ძალას ნუ დაატანთ, ისედაც საშინელ მდგომარეობაშია მომხდარის გამო! _ სთხოვა გამომძიებელს ბესოს დედამ
 - _ გარეთ დამელოდე დედა! _ ცივად უთხრა ბესომ _ მაპატიეთ ბატონო აკაკი, ავღელდი...
- ბესოს დედა კაბინეტიდან გავიდა
- _ ბესო, შენ ეს დღიური ადრეც გინახავს?
 - _ მინახავს და ნაწილობრივ წამიკითხავს კიდევ...
 - _ ასე ახლოს იყავით შენ და გოგა ერთმანეთთან?
 - _ არა, დაახლოებით ერთი წლის წინ შემთხვევით წავაწყდი, როცა როცა მასთან ვიყავი სტუმრად და გადავათვალიერე...

- _ და რაც ეწერა შენზე ყველაფერი მოგეწონა? ან არ მოგეწონა...
 - _ მე თქვენსავით დაწვრილებით არ წამიკითხავს, არც მახსოვს ჩემზე რა ეწერა და არც მაინტერესებს _ ბესოს ხმაში ისევ გა-ლიზიანება დაეტყო
 - _ გასაგებია და მაინც კიდევ გკითხავ, უფრო დეტალურად შეგიძლია გაიხსენო რა შეემთხვა გოგას იმ დღეს და როგორ?
 - _ მე უკვე მოვყევი ყველაფერი! დასამატებელი არაფერი მაქვს! აღარ მინდა იმ ჯოჯოხეთური წუთების გახსენება!
 - _ კარგი, ბესო, აი კალამი და ფურცელი და რაც მომიყევი, ის დამიწერე
 - _ თავისუფალი ხარ ბესო, ჯერ-ჯერობით _ უთხარა გამომძიებელმა მა, როცა მის წერილობით ჩვენებას გადახედა და ბესოს ხელი მოაწერინა
 - _ ნახვამდის! _ ცივად დაემშვიდობა ბესო გამომძიებელს და კაბინეტიდან გავიდა.
- გამომძიებელმა სხვა მოწმეებსაც ჩამოართვა ჩვენება. ყველამ განმეორებით დაადასტურა, როგორც შემთხვევის ღამეს, რომ ბესო მუცელზე იწვა და ცდილობდა მეგობრის ამოყვანას, და თვითონაც ემახდა საშველად ხალხს. ყველაფერი მაინც უბედურ შემთხვევაზე მიუთითებდა. აკაკის მხოლოდ მოსაზრებები რჩებოდა, მტკიცებულების გარეშე. მეორე დილით გამომძიებელი სკოლაში მივიდა, დირექტორს ზურასთან და მარისთან გასაუბრების ნების დართვა სთხოვა
- _ უკაცრავად, მაგრამ მშობლებმა ხომ უნდა იცოდნენ? რატომ განყოფილებაში არ დაიბარეთ?
 - _ საქმე თითქმის დახურულია, მე უბრალოდ გასაუბრება მინდოდა ისინი ოფიციალური მოწმეები არ არიან, მაგრამ ახლოს იცნობდნენ დაღუპულს და იქნებ რამე ინფორმაცია მოგვაწოდონ
- დირექტორი დათანხმდა და სასაუბროდ თავისი კაბინეტი დაუთმო. ჯერ მარი შევიდა დირექტორის კაბინეტში.
- _ გამარჯობა მარი! _ მიესალმა შეცბუნებულ გოგონას აკაკი
 - _ გამარჯობათ! _ მარი გაკვირვებით უყურებდა ხან დირექტორს ხან გამომძიებელს
 - _ ეს გამომძიებელია მარი, რამდენიმე შეკითხვა აქვს გოგასთან დაკავშირებით. მე დაგტოვებთ! თქვენ ისაუბრეთ ბატონო აკაკი
 - _ მარი, ვიცი, რომ დამწუხრებული ხართ მეგობრის სიკვდილის გამო და თქვენთვის ალბათ ძნელია ამაზე საუბარი, მაგრამ აუცილებლად გვჭირდება რაღაც-რაღაცეების ცოდნა

_ გისმენთ ბატონო აკაკი!

_ როგორ ფიქრობ, შემთხვევითობა იყო, გოგას გადავარდნა კლდიდან?

მარიმ შიშით შეხედა გამომძიებელს.

_ აბა როგორ იქნებოდა? სხვანაირად ვერ წარმომიდგენია... თქვენ ფიქრობთ რომ...

_ არა, მარი, ეს უბედური შემთხვევა იყო, მაგრამ მე დეტალები მაინტერესებს... ბესოს და გოგას რამე დაპირისპირება ხომ არ მოსვლიათ ერთმანეთში?

_ რამდენადაც მე ვიცი არასდროს... ის კი არა დარწმუნებული ვარ, რომ არასდროს... გოგა ყველასთვის კარგი იყო და ბესოსთან მეგობრობდა... _ მარის უნებურად აუცრემლიანდა თვალები

_ ნუ იტირებთ, გთხოვთ! აი ეს გოგას დღიურია, შემთხვევის ადგილზე ვიპოვეთ... ვხედავ, რომ ძალიან გაგაკვირვათ ამან... აქ წერია, რომ ბესოს ზურასთან ჰქონდა უთანხმოება... თქვენ გამო.

მარი გაწითლდა, თვალები დახარა.

_ დიახ, იყო ადრე... მაგრამ ეგ ბესომ და ზურამ იჩხუბეს, მე არც ვიცი ზუსტად, ასე ამბობდნენ... გოგა კი ყოველთვის შემრიგებელი იყო.

_ ადრეც ხომ არ უჩხუბიათ? გოგა საერთოდ არავის მხარეს არ იჭერდა?

_ არა, არა, არასდროს... მხოლოდ ბესო და ზურა... საერთოდ რა შუაშია ეს? გთხოვთ, აღარაფერზე ფიქრი აღარ მინდა! _ მარი უკვე ხმით ტიროდა.

_ მაპატიეთ, აღარ გკითხავთ, დამშვიდდით...

მარი კაბინეტიდან გამოვიდა. გარეთ ზურა ელოდებოდა.

_ რა მოხდა ძვირფასო? რატომ ტირი? რა უნდა ამ პოლიციელს? რამე უხეშად ხომ არ გითხრა?

_ არა, ზურა... _ მარიმ ცრემლები მოიწმინდა _ რაღაცეები მკითხა შენზე, ბესოზე და გოგაზე... ბესო და გოგა ხომ არ ჩხუბობდნენო და ასეთი რამეები...

_ რა სისულელეა! საქმე აღარ აქვთ ამათ! შენ დამშვიდდი, ერთი შევალ, მკითხოს რაც უნდა და დროზე წავიდეს.

ზურა კაბინეტში შევიდა და კარები ხმაურით მიიხურა. გამომძიებელმა სახეზე და განწყობილებაზე შეატყო, რომ გულახდილი საუბარი არ გამოუვიდოდა.

_ გამარჯობა, ზურა, დაჯექი!

- _ მადლობა, ვიდგები, მკითხეთ თუ რამე საკითხავი გაქვთ
- _ ვატყობ საუბრისთვის არ ხარ განწყობილი, პირდაპირ გკითხავ შესაძლებელია ბესოს და გოგას ეჩხუბათ?
- _ არა არ მგონია, რატომ კითხულობთ ამას?
- _ იმიტომ, რომ გოგას დღიურის ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ბესოს და შენ დაპირისპირება გქონდათ და იჩხუბეთ, გოგა ვის მხარეს იჭერდა ამ კონფლიქტში?
- _ რა გინდათ თქვით ამით? რომ ბესომ და გოგამ იჩხუბეს და ამის შედეგად გოგა... რა სისულელეა! შეუძლებელია! საერთოდ თავი დაგვანებეთ!

ზურა შეტრიალდა და დაუშვდილობებლად გავიდა ოთახიდან. გამომძიებელი სხვა რეაქციას არც ელოდა, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ რაიმე დეტალს გაიგებდა, რაც ხელჩასაჭიდი იქნებოდა საქმის გაგრძელებისთვის, მაგრამ ახლა მართლაც იძულებული იყო საქმე დაეხურა, როგორც უბედური შემთხვევა. ზურა და მარი კი მაშინვე გავიდნენ სკოლიდან და როგორც ყოველთვის, ცოტა ხნის შემდეგ თეატრის ბაღში ისხდნენ და მომხდარზე მსჯელობდნენ

- _ ზურა, შენ რა გკითხა გამომძიებელმა? მე ჯერ ჩვენზე მკითხა... მერე გოგაზე და ბესოზე... ვეღარ გამიგია რა ხდება!
- _ არაფერი არ ხდება მარი, მეც იგივე მკითხა, სისულელეა! გოგას ჩხუბი? ბესო კიდევ შეიძლება, მაგრამ გოგა ყოველთვის ისე აგვარებდა კამათს, ჩხუბემდე არ მიდიოდა საქმე და მასეც რომ არ იყოს ბესოს და მაგას არასდროს მოუბვიდოდათ ჩხუბი, შენც იცი, რომ უფრო მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთთან, ვიდრე ჩვენთან, გოგა საერთოდ ბესოს ერთადერთი მეგობარი იყო, როგორც ვიცი, ნანამდვილი მეგობარი!

მარი მართლაც დაეჭვდა გამომძიებელთან საუბრის შემდეგ, ისიც ახსოვდა, რომ სიკვდილის წინ გოგა მხოლოდ მის და გოგას სახელებს იმეორებდა, ბოლოს კი ფრთხილად, იძახდა... “ნეტავ მართლა ბესო ხომ არ არის ამაში გარეული? იქნებ გამომძიებლის ეჭვი უსაფუძვლო არ არის?” _ეს ფიქრი გულს უკლავდა, ვეღარ გაეგო რისთვის დაეჯერებინა, ისევ ზურას ჰკითხა

- _ დარწმუნებული ხარ ზურა, ბესოზე ეჭვის მიტანა პოლიციის მხრიდან რაღაც ხრიკია და სხვა არაფერი? იცი, გოგა ბოლო წუთებში ჩემ და ბესოს სახელს იმეორებდა...
- _ მაგაზე ნუ იფიქრებ მარი... შეიძლება ვინმეს საეჭვოდ მოეჩვენოს მაგრამ მეც და შენც, ვიცით, რომ გოგა და ბესო საუკეთესო მეგობრები იყვნენ და თან გოგამ ბოლოს რაც დაინახა ბესოს სახე იყო

შეიძლება ამიტომ ჩაჰყვა გულში... იმ ტრავმების შემდეგ, ვინ იფიქრებს, რომ იმ მომენტში საღად აზროვნებდა?

_ გამოდის მართლა უსაფუძვლოა იმ გამომძიებლის ექვი?

_ მე ასე ვფიქრობ მარი, მართლა შეცდომაა ამ შემთხვევაში რამე ცუდი ვიფიქროთ ბესოზე, თან ექვის გამო ადამიანს შეუძლებელია ასეთი რამ დასწამო... ბიჭები, ვინც იქ მიუსწრეს ბესოს ამბობენ, რომ ბესო ყველანაირად ცდილობდა გოგას გადარჩენას და რომ არ მიესწროთ ისიც გადაჰყვებოდა თან... შენ ამაზე ნულარ იფიქრებ ძვირფასო! მეც ძალიან მაკლია გოგა და ვწუხვარ, რომ რომ ჩვენს გვერდით აღარ არის...

მარიმ თვალები დაახამხამა... ისევ ცრემლები... ისევ დაღუპული გოგას მოგონება... ისევ ფიქრები წარსულიდან...

გოგა სასტუმრო ოთახში იყო დასვენებული. სახლში, სადარბაზოში და ეზოში უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ყველა დამწუხრებული იყო, ყველა ტიროდა და ასე მიაცილებდა მას იმ ქვეყნად. გოგას კლასელები უკლებლივ ყველა იქ იყო. ემშვიდობებოდნენ მეგობარს სამუდამოდ, მათში კი მხოლოდ გოგასთან დაკავშირებული მხიარული მოგონებები რჩებოდა... გულდამწვარი და განადგურებული დედა დასტიროდა ერთადერთ შვილს, რომელსაც სამუდამოდ უნდა დამშვიდობებოდა... ყველამ: ნათესავებმა. მეგობრებმა, კლასელებმა, მასწავლებლებმა ერთნაირი გულისტკივილით გააცილეს გოგა... ყველამ სათითაოდ ჩააყარა თითო მუჭა მიწა მის საფლავში... როდესაც მესაფლავებმა ბოლომდე აავსეს საფლავი, მისი ამობურცული ნაწილი მთლიანად წითელი ყვავილებით დაიფარა...

მარიმ და ზურამ სხვებთან ერთად დატოვეს სასაფლაო. მარის ხელი გამოედო ზურასთვის, მას მიყრდნობოდა და ასე მოდიოდნენ ზურას მარის ხმა ესმოდა, რომელიც თითქოს თავისთვის ჩურჩულებდა: “ღმერთო, რატომ ხდება ასე? რატომ არის ცხოვრება ასეთი უსამართლო? რატომ უნდა მომკვდარიყო გოგა, ის ხომ ასეთი ახალგაზრდა იყო, ასეთი მხიარული, კეთილი... მან ხომ გული ატკინა ყველა ახლობელს... მარტოდ დატოვა გამწარებული დედა... ღმერთო გაანათლე გოგას უმანკო სული!” დაკრძალვაზე სხვებთან ერთად ბესოც იყო, თუმცა ძალიან უჭირდა იქ ყოფნა, მაგრამ ისიც სასაფლაომდე გაჰყვა პროცესიას, პანაშვიდზე თვალებდახუჭულმა შემოუარა მიცვალებულს, არ შეეძლო გოგას სახისთვის შეეხედა... სასაფლაოდანაც მარტო მოდიოდა, მოშორებით, არავის შეკითხვას ან ჩუმ დამახებას არ პასუხობდა “მე არ მინდოდა ეს... არა, არა! შენს თავს დააბრალე! მე სხვა გზა არ მქონდა! შენ უღალატე პირველად ჩვენს მეგობრობას! ჩემს წინააღმდეგ წასვლას ვერ გაპატიებდი! შენ ჩემი

სიცოცხლის განადგურება გინდოდა!” – ასეთი ფიქრებით გულდამძიმებული მიდიოდა განმარტოებულად. ფიქრები უნებურად შეწყდნენ, რადგან ბესოს წინ მაღალი, სპორტული აღნაგობის ახალგაზრდა გადაუდგა

– შენ ბესო ხარ ჰო?

– მე ვარ, ჩვენ მგონი არ ვიცნობთ ერთმანეთს...

– მე თენგო მქვია, გოგას მეგობარი ვარ! ოღონდ ნამდვილი! შენი მსგავსი არა!

– რა? შენ ვიღაცაში ხომ არ გეშლები ბიჭო! – ბოროტად შეუბღვირა ვირა ბესომ, თან მიიხედ–მოიხედა, არ უნდოდა ვინმეს შეემჩნია.

არც თენგოს სურდა აყალმაყალის ატეხვა, თავი დახარა და ბესოს ყურში უჩურჩულა:

– მე მეეჭვება, რომ გოგა თავისით გადავარდა... ის ამბობდა, რომ მის ორ მეგობარს შორის ჩხუბში იყო ჩარეული და ერთ-ერთის მხარეზე იყო აშკარად... მე გავიკითხე და მისი მეგობრები შენ და ზურა ხართ... შენს მხარეზე რომ არ იქნებოდა ეგ ვიცი, გეტყობა რაც ხარ!

ბესოს სისხლი მოაწვა ყელში, მზად იყო კბილებით მივარდნოდა და ყელი გამოეჭამა უცნობი ბიჭისთვის, მაგრამ თავი შეიკავა

– აზრზე მოდი ბიჭო! ხომ გითხარი რაღაც გეშლება და გნახავ!

– სადაც გინდა და როდესაც გინდა! დაგელოდები!

– იდიოტი ხარ ვიღაცა!

თენგო საყელოში სწვდა, ბესომ მისი ხელი მოიცილა და თვითონაც ხელი ჰკრა. ეს მოძრაობა უკვე ბესოს კლასელებმა და თენგოს ნაცნობებმაც შეამჩნიეს, ჩუმად შემოეხვივნენ და უსიტყვოდ მოაცილეს ერთმანეთს

– თქვენ ხომ არ გაგიჟდით! გარდაცვლილს ეცით პატივი!

– ჩემი ბრალი არ არის, მაგან დაიწყო! სხვა დროს გავიგებ რა უნდოდა! – მუქარით ჩაილაპარაკა ბესომ.

– რა მოხდა ბესო? – ჰკითხა ზურამ, როდესაც ცალკე გავიდნენ

– არაფერი ისეთი! ვიღაც სულელია! რაღაც უაზრობა მითხრა, თითქოს გოგას სიკვდილი ჩემი ბრალი იყო...

– რა? თავის სიტყვებზე პასუხი უნდა აგოს! ხვალ გავიგოთ სად ცხოვრობს და ავაკითხოთ! – თვალეზი ბრაზით აენტო ზურას

– არ გინდა, სხვა დროს იყოს, დრო გავიდეს...

ორომოცი დღის შემდეგ კიდევ ერთხელ მოიგონეს გოგა, კიდევ ერთხელ გამოთქვეს გულისტკივილი და მიუსამძიმრეს მის დედას... შემდეგ კი ყველას ცხოვრება ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა... სკოლაშიც და გოგას

კლასშიც ყველა ისევ გამოცდებისთვის მზადებაზე გადაერთო, მაგრამ თუმცა ამას ხმამაღლა არავინ ამბობდა, მაინც გოგას ყველა კლასელის გულში ტკივილი ღვივოდა, ტკივილი, მეგობრის სიკვდილის გამო...

“რა ლამაზია გაზაფხული, ყველგან ყვავილებისა და ბალახის სურნელი ტრიალებს, ყვავილები იმლებიანდა ყველაფერს ამშვენებენ, მწვანე კოკრებიც ფოთლებად გაშლილან უკვე, რა მალე გადის დრო, ლამაზია გაზაფხული” – ასეთი ფიქრებით გაჰყურებდა მარი ქუჩას ფანჯრიდან. თითქმის დამთავრდა სასწავლო წელი... ოთახში მარის დედა შემოვიდა, დალაგება დაიწყო

– მოგეხმარები დედა!

– არა, არ გინდა, დაისვენე და ისევ წიგნებს დაუბრუნდი, უკეთესი იქნება, ხელს არ შეგიშლი მალე გამოცდა გაქვს.

– რა უსამართლობაა ცხოვრება არა?

დედამ ცოტა არ იყოს გოაცებით შეხედა, მარის სახეზე სევდის ჩრდილმა გაიელვა.

– რატომ ამბობ ამას მარი? თუმცა მართალია, ცხოვრება უსამართლო არის... მაინც საიდან ასეთი აზრი? – გაუღიმა დედამ

– ირგვლივ ყველაფერი ლამაზი და მშვენიერია... გაზაფხულია... უნებურად გოგა გამახსენდა, ძალიან უყვარდა გაზაფხულის დადგომა, ნეტავ ახლა ისევ ჩვენს გვერდით იყოს, ყველას გაგვახარებდა და ასე არ ვიქნებოდით გულდაწყვეტილი...

– ჰო მარი, უსამართლობაა რაც გოგას შეემთხვა, მაგრამ ცხოვრების ბის გზაზე ბევრი ტკივილი იქნება კიდევ, ცუდზე არ უნდა იფიქრო.

– ვიცი დედა, ვცდილობ ყურადღება არ მივაქციო ასეთ რამეებს მაგრამ ხშირად თავს და ემოციებს ვერ ვიმორჩილებ... წავალ სალომესთან, ერთად მოვამზადებთ საგამოცდო საკითხებს.

– კარგი, წადი, მაგრამ იმეცადინეთ, მარტო ლაპარაკს არ გადაყვეთ!

ცოტა ხნის შემდეგ მარი უკვე სალომეს სახლის კარებთან იდგა.

– გამარჯობათ ლელა დეიდა, სალომე სახლშია?

– კი, მარი, შემოდი შემოდი!

სალომე მეგობარს გამოეგება, ერთმანეთი მოიკითხეს და ოთახში შევიდნენ.

– როგორ ხარ სალ? ემზადები გამოცდებისთვის?

– კარგად არის ყველაფერი, ვემზადები და მიხარია, რომ ეს ბოლო ლო გამოცდებია და სკოლას ვამთავრებთ!

– მეც მასე ვარ, მაგრამ სტუდენტობისას უფრო მეტი გვექნება სწავლაც და გამოცდებიც...

– და გართობაც, სულ სხვანაირია სტუდენტობის პერიოდი, როგორც

ამბობენ

_ იცი, სალ, დღეს რატომღაც გოგა გამახსენდა, დედას ველაპარაკებოდი მასზე, გული ტკივილით ამევესო...

სალომემ სევდით გახედა, შემდეგ ახლოს მიიწია მართან და დაბალი ხნით დაიწყო:

_ მართალი ხარ, მარი, მართლაც შესანიშნავი ადამიანი იყო და ამაზე... მის სიკვდილზე... რას ფიქრობ?

_ არ ვიცი სალ, მეც მიფიქრია მაგაზე, მაგრამ საშინელი უბედური შემთხვევა იყო, შენი აზრით რა არის უცნაური?

_ რაღაც მინდა გითხრა მარი, ოღონდ ჩვენს შორის იყოს, არსად არ ვთქვათ სხვასთან...

_ რას ამბობ, როდის იყო, რამე გამენდოს ვინმესთვის? თქვი რას ფიქრობ?

_ იცი, რატომღაც მგონია, რომ ბესო არც თუ ისე გულახდილია იმაში, რასაც იმ მომენტზე ყვება... შეიძლება მისი ბრალიც იყოს გოგას სიკვდილი.

_ გაგიჟდი სალ? რას ამბობ? _ ამის გაგებისას მარის უნებურად გამომძიებლის შეკითხვები გაახსენდა და სახე უცნაურად აემღვრა

_ ჰო, შეიძლება გაგიჟდი და ცოდვას ვამბობ, მაგრამ რა ვქნა, მე არასდროს არ მომწონდა ბესოს საქციელი და ბოლო დროს განსაკუთრებით... მგონი დაახლოებით ორი თვის წინ დერეფანში ეგ და გოგა კამათობდნენ... ბესო რაღაცას უმტკიცებდა და დახმარებას სთხოვდა, ასე მეგონა დაარტყამდნენ ერთმანეთს... მერე ბესო შემოტრიალდა და მე შემეჯახა...

_ ბესო და გოგა ჩხუბობდნენ? ეს ნამდვილად იცი? ხომ არ ცდები სალ? _ თვალეები გაუფართოვდა მარის _ მესმის რასაც გულისხმობ, მაგრამ სისულელა ჩემი აზრით... ბესო შეიძლება უხეში და ცივი ადამიანია, მაგრამ ნამდვილად ვიცი, ეგ და გოგა საუკეთესო მეგობრები იყვნენ...

_ სისულელე იმაზე შენ და მე მაინც ასე ვფიქრობ მარ! მაპატიე თუ ისეთი რამ ვთქვი, რაც არ უნდა მეთქვა...

_ არა, არაფერი, მაგრამ არ მინდა უსაფუძვლო ეჭვის გამო ცუდი და დაუჯერებელი რამე ვიფიქრო ადამიანზე, ბესოზეც კი!

გარკვეული ეჭვი მარისაც ჰქონდა, მაგრამ სალომესთვის არ უთქვამს “ბესო და გოგა ჩხუბობდნენ? ალბათ მოეჩვენა სალომეს და აზვიადებს” თავის თავს არწმუნებდა ამ ფიქრით მარი “თან მხოლოდ შეკამათების გამო ბესო ასეთ სისასტიკეს არ ჩაიდენდა და სასიკვდილოდ არ გაიმეტებდა გოგას”

პოლიციის განყოფილებაში ხალხი ირეოდა. მათში შავებში ჩაცმული მანდილოსანი გამოირჩეოდა, რომელმაც მორიგე პოლიციელისგან გაიგო სად შეიძლოდა გამომძიებელის ნახვა:

– გვარი არ ვიცი სამწუხაროდ... დამიბარეს... აკაკი, ბატონი აკაკის ნახვა მინდოდა!

– დერეფნის ბოლოში, მარცხენა კარები ქალბატონო!

გამომძიებელი ყურადღებით შეხვდა მოსულს, კაბინეტის კარები მიხურა და სკამი შესთავაზა.

– გამარჯობათ ქალბატონო დალი! ეს მე დაგირეკეთ...

– გამომძიებამ რამე ახალი ხომ არ დაადგინა?

გამომძიებელი უხერხულად შეიშმუშნა

– არა ქალბატონო დალი, მე დაგირეკეთ, რადგან კანონი ითხოვს რომ ოფიციალურად შეგატყობინოთ გამოძიების შედეგების შესახებ მესმის თქვენი გულიტკივილი, მაგრამ თქვენი შვილი, სავარაუდოდ საშინელი უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა... ჩვენ ამ საქმის საქმის გასაგრძელებლად არანაირი მიზეზი არ გვაქვს, არც რამე ხელჩასაჭიდი, რაც კრიმინალზე მიუთითებდა ვალდებული ვარ, სამწუხაროდ გითხრათ, რომ თქვენი შვილის დაღუპვის საქმე ოფიციალურად დახურულია...

– რა უნდა ვთქვა ბატონო აკაკი... არც კი ვიცი რატომ მოვედი თქვენთან... ჩემი გოგა ერთი უწყინარი და მოსიყვარულე ბიჭი იყო... ვიცი იმ დღეს რაც მოხდა... მე არავის ვადანაშაულებ ამაში მაგრამ დედის გული არ მასვენებს, რაღაცას სხვას გრძნობს, მაგრამ ეს მხოლოდ გრძნობაა, ალბათ, არ მინდა დავიჯერო რომ დავიჯერო, რომ განგებამ წამართვა ერთადერთი საფიცარი შვილი ლი... რატომ, ღმერთო, რატომ!

– დამშვიდდით ქალბატონო დალი, გთხოვთ! საქმე დახურულია, მაგრამ თუ რამე ახალი სამხილი ან ფაქტი აღმოვაჩინეთ საქმე ისევ აღიძვრება... მაგრამ ამ მომენტისათვის ყველაფერი უბედურ შემთხვევაზე მიუთითებს...

– მესმის ბატონო აკაკი! თქვენ მოვალეობას ასრულებთ... რა უცნაურია... ოფიციალურად მატყობინებენ იმას, რომ ჩემი შვილი უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა... თუმცა შვილს ვერასოდეს დავიბრუნებ... წავალ, მაპატიეთ!

აკაკიმ აცრემლებული ქალი გააცილა და ფიქრებს მიეცა: უკვე თვე ნახევარზე მეტი იყო გასული იმ შემთხვევიდან, ყველანაირად ეცადა საქმე გაეგრძელებინა, თავისი ეჭვი უფროსობასაც გაანდო, რომ შესაძლო იყო ორ

მოზარდს შორის დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი, რის გამოც მათ შორის ჩხუბი მოხდა და გოგაც ამას ემსხვერპლა, შემთხვევით... მაგრამ “ზევით” არავის სჭირდებოდა ზედმეტი პრობლემები და გაუხსნელი საქმე, მითუმეტეს, რომ მას მხოლოდ ეჭვი და ინტუიცია ჰქონდა, სხვა არაფერი! არც სამხილი, არც მოწმე, არც მოტივი დანაშაულის ჩასადენად... მოწმეების ჩვენებიდან გამომდინარე, ბესო მართლაც ცდილობდა მეგობრის გადარჩენას და ფაქტებიც იმაზე მიუთითებდა, რომ გოგას მოსაკლავად არანაირი მოტივი არ ჰქონდა.. საქმე დახურული იყო, ეს აქამდეც იცოდა გამომძიებელმა, მაგრამ რაღაც ხელჩასაჭიდს ეძებდა, საქმის დახურვის შემდეგ გოგას დაკრძალვაზეც იყო და ორმოცზეც (უკვე არაოფიციალურად) მაგრამ გამორჩეული თითქოს ვერაფერი შეამჩნია... ახლა კი შვილმკვდარი დედის დანახვამ, სულით ხორცამდე შეძრა. გადაწყვიტა ჩუმად, სამუშაოდან თავისუფალ დროს შეეგროვებინა ინფორმაცია მომხდარის შესახებ... ასეთი ფიქრებში ჩაფლულმა, კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი მეხსიერებას... დაკრძალვას... ორმოცს... დაკრძალვის ერთი მომენტი გაახსენდა: ბესოს რაღაც წალაპარაკება მოუვიდა გოგას ერთ-ერთ მეგობართან, ის მოულოდნელად გადაუდგა ბესოს წინ და რაღაც ჩასჩურჩულა, რის შემდეგაც ხელისკვრაზე გადავიდნენ... “რა ერქვა იმ ბიჭს?” – თავის თავს შეეკითხა აკაკი – “თენგო!” – გაახსენდა მას, მაშინვე გაიგო მისი ვინაობა, მაგრამ შემდეგ აღარ მიაქცია ამას ყურადღება, რადგან უფროსმა საქმის დახურვა მოსთხოვა. გამომძიებელმა მტკიცედ გადაწყვიტა თენგო ენახა და მისგან გაეგო რა მოხდა მაშინ, დაკრძალვაზე და რატომ მოუვიდა ბესოსთან კამათი, იქნებ მას სცოდნოდა, რამე ისეთი, რაც საქმეს ნაწილობრივ მაინც მიჰყენდა ნათელს...

სკოლაში დამამთავრებელი გამოცდები დაიწყო, მისი ბოლო დღეები კი უფრო თბილი და სასიამოვნო გახდა მოსწავლეებისთვის, რადგან ამას მალე ნანატრი არდადეგები და სკოლისაგან “გათავისუფლება” მოჰყვებოდა.

– მზად ხარ გამოცდისთვის? – ზურამ ნაზად მოჰხვია ხელი მარის
– კი, სათანადოდ მოვემზადე... – მარიმ ფრთხილად მოიშორა მისი ხელი. მაინც ერიდებოდა საყვარელ ადამიანთან ასეთი სიახლოვე.

– აბა წარმატებები ვუსურვოთ ერთმანეთს! – გაუღიმა ზურამ, რადგან მიხვდა, რატომ მოიშორა მისი ხელი მარიმ. ზოგი წიგნით, ზოგი რვეულით ხელში მიდი-მოდიოდა სკოლის ეზოში. მე-11 კლასელები ერთად მოგროვდნენ და გამოცდაზე ასასვლელად მოემზადნენ. ზურა სხვა მოსწავლეებში შეერია, მარიმაც რვეული გადაშალა და კიდევ ერთხელ ჩახედა კონსპექტებს. ზურგიდან ვიღაცის დაჟინებული მზერა იგრძნო და მოტრიალდა. ბესო შორი-ახლოს იდგა და თვალის დაუხამხამებლად

უყურებდა მარის. მარის მოტორიალებისას ეჩვენა, რომ ბესომ მზერა მისი თმიდან სახეზე გადაიტანა. უხერხულობა იგემნო, ხელის დაქნევით მიესალმა ბესოს და შორიდან გაუღიმა. ბესოს სახეზე ნაკვთიც არ შერხეულა. მარიმ ძალა მოიკრიბა და მისკენ წავიდა

– როგორ ხარ ბესო? მოემზადე?

მისმა ხმამ ბესო გამოაცოცხლა, ისე შეკრთა თითქოს ახლავდა დაინახა მარი და არც კი შეემჩნია მისკენ მიმავალი...

– მე, მე... კი, მოვემზადე, მარი... შენ როგორ ხარ? – ბესომ ნამალადევად გაიღიმა

– რატომ ხარ ასე დაფიქრებული? იქნებ მზად არ ხარ? – მარის ხმაში სიბრაღული გამოკრთა, რადგან ასე დაბნეული არ ენახა ბესო... ის თითქოს სადღაც ფიქრების მორევში ჩამირულიყო და რეალობას ვერ აღიქვამდა

– არა, არაფერია! ბოლო დროს სულ გამოცდებისთვის ვემზადები ღამითაც... თითქმის არ მძინავს ხოლმე... როგორმე დამთავრდება ეს გამოცდები და კარგად დავისვენებ... – ისევ გაღიმება სცადა ბესომ.

– კარგი ბესო, წარმატებებს გისურვებ! – გაუცინა მარიმ

– შენც ასევე მარი!

შემდეგ ორივენი კლასელების ჯგუფს შეუერთდნენ, მაგრამ ბესო ისე დადიოდა, თითქოს აჩრდილი იყო ადამიანებს შორის... გამოცდამ კარგად ჩაიარა, მარი მართლაც პირველი გავიდა გამოცდაზე პასუხის გასაცემად, მას მალე ზურავ მიჰყვა, ორივენი ადრე გამოვიდნენ გამოცდიდან, სკოლის ეზოში სკამზე ჩამოსხდნენ (მთელ კლასს დათქმული ჰქონდა, რომ ვინც გამოვიდოდა დანარჩენებს დალოდებოდა, სანამ ყველა არ მორჩებოდა გამოცდას)

– როგორ ჩააბარე? – ჰკითხა მარიმ ღიმილით

– კარგად, ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობ! შენი პასუხი კი ნამდვილად მოეწონა ყველას.

– ეს როგორც კომპლიმენტი, ისე მივიღო?

– როგორც გინდა, ჩემო პატარა! მალე გამოვლენ სხვებიც და მოვიფიქროთ რამე, ან გავისეირნოთ სადმე... შემდეგ გამოცდამდე კიდევ ორი დღეა და მომზადებას და მასალის გამეორებას მაინც მოვასწრებთ.

– ვნახოთ, ზურავ... – სევდა დაეტყო ხმაში მარის, თვალები დახარა ზურავ ვერ შეამჩნია მისი განწყობილების ცვლილება

– წელან ბესოს მიესალმე, დავინახე, რა გითხრა? როგორ არის? მე ვცადე მეკითხა, მაგრამ არავის იკარებს... გოგას დალუპვის შემდეგ

სულ განდგილად გადაიქცა... უცნაურად იქცევა არც კი ვიცი რით შეიძლება მისი დახმარება, თუმცა მის ადგილზე ვინ იცის სხვა როგორ იქნებოდა... მეგობრის სიკვდილი შენს თვალწინ... არ მინდა ვიფიქრო, რას გრძნობდა ბესო იმ წუთებში...

– ალბათ მართალი ხარ ზურა, წელან, სანამ ახლოს არ მივედი, ვერც მხედავდა ალბათ, თუმცა ჩემსკენ იყურებოდა, ხელიც დავუქნიე დავუქნიე და რომ მივუახლოვდი, ცოტა არ იყოს შევმინდი, ცარიელი, უგრძნობი თვალებით მიყურებდა, მაგრამ ვერც მამჩნევდა და თითქოს ჩემს უკან სივრცეს გაჰყურებდა... მეც უცნაურად მეჩვენება ეს ყველაფერი...

– კარგი ძვირფასო, ნულარ “დავიგრუზებით” დრო ყველაფერს კურ-ნავს... ასე ამბობენ არა? ყველაფერი გამოსწორდება, თუმცა გოგა ყოველთვის, ყველას დაგვაკლდება.

– აი, ჩვენებმა დაიწყეს გამოსვლა და დღევანდელ დღეზე, მე მინდა რაღაც შევთავაზო ყველას, თუ შენ არ იქნები წინააღმდეგი...

– რა თქმა უნდა წინააღმდეგი არ ვიქნები – გაიღიმა ზურამ – აბა, წავიდეთ!

ბოლო მოსწავლევ გამოვიდა გამოცდიდან და ერთად შეიკირიბა ყველა, ზოგი გასეირნების მომხრე იყო, ზოგი კაფეში წასვლის, ზოგს საერთოდ სახლში წასვლა ერჩივნა, მარის ნათქვამმა კი ყველა გააჩერა და დააფიქრა:

– ბავშვებო, კარგი იქნებოდა გოგა რომ იყოს ახლა ჩვენს გვერდით

აუცილებლად რამე განსხვავებულს მოიფიქრებდა... – ეს სიტყვები ხმადაბლა, მაგრამ გრძნობით წარმოთქვა მარიმ. გაჩუმდნენ, სევდამ და ტკივილმა მოიცვა მათი გონება უნებურად, მათ მოგონებებშიც წიგნის ფურცლებივით გადაიშალნენ დღეები როცა გოგა მათ გვერდით იყო და თავის მხიარულებას ყველას უზიარებდა... მარიმ დაბალი ხმით განაგრძო:

– იცით, ასეთი აზრი მაქვს: მოდით, გოგას საფლავზე წავიდეთ და მოვიგონოთ... ყვავილები წავულოთ... ჩვენი ამბები მოვუყვით...

– კარგი, მარი, წავიდეთ, კარგი აზრია – თითქმის ყველამ ერთხმად უპასუხა. არავინ აღარ წასულა სახლში, არც სხვაგან. სასაფლაოზე მივიდნენ, საფლავი გაასუფთავეს, მარიმ ყვავილები ჩააწყო ლარნაკში, ჩუმი ხმით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, თითქოს გოგას გასაგონად ყვებოდნენ სკოლის ამბებს, თითქოს გოგას სულიც მათთან იყო და ყველაფერს ისმენდა, ბიჭებიდან ვიღაცამ ბოთლი დადგა საფლავთან. ერთჯერად ჭიქებში ჩამოასხეს ცოტ-ცოტა სასმელი და შესანდობარი თქვეს, თბილი სიტყვებით იგონებდნენ მეგობარს, როცა ჯერი ბესოზე მიდგა, ორიოდ სიტყვას ძლივს მოუყარა თავი.

“მოგონება იყო” – ჩემად თქვა მან, ხელი ოდნავ უკანკალებდა, სახეზეც ფერი აღარ ედო...

– ბესო, რა გჭირს? – ჰკითხა ზურამ და მხარზე თანაგრძნობით დაადო ხელი

– არაფერია ზურამ! შეუძლოდ ვარ ეს დღეები... ბიჭებო მე წავალ

რა! იმედია არ მიწყენთ! – ბესომ ჭიქა გამოცალა, ოდნავ გაუღიმა ყველას, ნელი ნაბიჯით მოშორდა საფლავს და საფლავის გარშემო მდგარ კლასელებს. თითქმის ერთი საათი იყვენენ გოგას საფლავთან შემდეგ ერთად გამობრუნდნენ სასაფლაოდან. მათ გულებში სევდა, მაგრამ ნაწილობრივ კმაყოფილებაც ირეოდა, რადგან კეთილად, გულით მოიგონეს მეგობარი და პატივი მიაგეს მას.

ბესო არეული ნაბიჯებით, გაბრუებული შევიდა სახლში.

– როგორ ხარ ბესო? რა ქენი გამოცდაზე? – ღიმილით შეხვდა დედა, მაგრამ მაშინვე შეატყო შვილს უხასიათობა – როგორ ხარ შვილო? ცუდად ხარ? რატომ იქცევი ასე უცნაურად? შულ დარდიანი და დაფიქრებული დადიხარ...

– არაფერია დედა! მხოლოდ დაღლილი ვარ, გამოცდებისათვის მზადებამ გადამღალა ალბათ...

– არა, სულ ასე არ არის, რაღაც გაწუხებს, ვამჩნევ!

– შემეშვით ყველა! თავი დამანებეთ! სულში ნუ მიძვრებით რა!

დაივირა ბესომ, დედას ზურგი შეაქცია და თავის ოთახში შევარდა. ერთხანს ოთახში მიდი-მოდიოდა, შემდეგ კარები ჩაკეტა და მაგიდას მიუჯდა. ფიქრები არ ასევენებდნენ, თუმცა ბოლო პერიოდში გოგა თითქმის შეიძულა და მტრად მიაჩნდა, მზად იყო გაენადგურებინა და ფიქრობდა, რომ სიამოვნებას მიიღებდა ამისგან, გოგას სიკვდილის შემდეგ რაღაც შეიცვალა... პირველადი აგრესია და ბოროტება უნებურმა სინანულმა შეცვალა, ბესოს ყოველ წამს ახსენებოდა გოგა, ესმოდა მისი ხმა, ისევ და ისევ ხედავდა როგორ გამეტებით ეჭიდებოდა იგი ბესოს ხელს... როგორი სასოწარკვეთა გამოკრთოდა მის ხმაში... ეს ყველაფერი მძიმე ლოდად დააწვა ბესოს გულს და მოსვენებას არ აძლევდა... ბესომ მაგიდის უჯრა გამოსწია, კუთხეში ჩაკეცილი რამდენიმე ფურცელი ამოიღო, გაშალა და უაზრო თვალებით დააშტერდა. ეს გოგას დღიურიდან ამოხეული ფურცლები იყო, არც კი იცოდა, რატომ ინახავდა მათ... სტრიქონებს თვალი გააყოლა: “ბესო ნამდვილი ძმა...” – ეწერა ერთგან, “ისევ მაგრად ვიზიარებ ბესოსთან და ზურასთან ერთად” “ბესო რომ არ ყოფილიყო” “ვწუხვარ, რომ ბესო ასეა მარის გამო...” “მინდა რამით დავეხმარო...” კითხვასთან ერთად თითქოს გოგას ხმაც ჩაესმოდა ყურებში, მაგიდას

მოსცილდა, ყურებზე ხელები აიფარა და კედელთან ჩაიკეცა... დიდი ხანი გაატარა ასეთ მდგომარეობაში, ბოლოს წამოდგა, სამზარეულოდან ფარულად აიღო ბოთლი და ისევ თავის ოთახში დაბრუნდა. უაზროდ ასხამდა ჭიქაში თაფლისფერ სითხეს და სვამდა... კიდევ და კიდევ... ალკოჰოლით უნდოდა სინდისისგან ანთებული მწვავე ცეცხლის ჩაქრობა, მაგრამ გული უფრო და უფრო ებჯინებოდა ყელში. ბოლოს ფანჯარა გამოაღო, ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი, უნებურად ცრემლები წამოუვიდა თვალებიდან... როგორც წესი ტირილს განტვირთვა მოაქვს ადამიანისთვის, მაგრამ ესეც არ შეელოდა... “დიდოსტატის მარჯვენაში” წაკითხული ფრაზა გაახსენდა: “სტიროდამო? ... ასე სჩვევიათ ხოლმე ლოთებსა და მკვლელებს, ჯერ გაილეშებიან ხოლმე ღვინითა და სისხლით და მერე მოჰყვებიან ცრემლების ნთხევას...” ამის გახსენებამ მთლიანად გააგიჟა ბესო

– არა, არა, არა! მე ასეთი არ ვარ! – თითქმის ყვირილით იმეორებდა ამას. ისევ ბოთლი მოიყუდა, მაგრამ ორი ყლოუპის შემდეგ ხველება აუტყდა, ბოთლი იქვე მიაგდო, მანქანის გასაღები აიღო, ოთახიდან გავარდა, დედის ხვეწნას და ტირილს ყურადღება არ მიაქცია, ეზოში გავიდა და მანქანაში ჩაჯდა...

დიდი სისწრაფით მიმავალი მანქანა სასაფლაოსთან შეჩერდა..., დამუხრუჭების შემდეგ ორჯერ შემოტრიალდა და ძლივს გადაურჩა გზიდან გადავარდნას. ბესო მანქანიდან გადმოვიდა, ბარბაცით გაუყვა სასაფლაოს ბილიკს და გოგას საფლავთან შეჩერდა... სინანულის გრძნობა ალკოჰოლს გაეტეხა და სისასტიკეც თითქოს ჩაეხშო მასში, დამწუხრებული იდგა გოგას საფლავთან და დანაშაულს ინანიებდა... მაგრამ გრძნობდა, რომ ამით მეგობარს ვეღარ დააბრუნებდა, ვერც დროს დაატრიალებდა უკან იმ მომენტამდე, როცა გოგა ცოცხალი იყო და ის და ბესო მეგობრები იყვნენ...

– შვილო აქ რას აკეთებ? – ამ ხმის გაგონებისას ბესო შექანდა და უთუოდ წაიქცეოდა, საფლავის მოაჯირისთვის რომ არ მოესწრო ხელის ჩავლება. შეშინებული სახით მოტრიალდა

– დალი დეიდა? მე... მე... გოგასთან მოვედი... ძალიან განვიცდი, რომ ჩვენს გვერდით აღარ არის...

დალის ეუცნაურა ბესოს მარტოდ მისვლა სასაფლაოზე, არასასიამოვნო ფიქრმა გაკენწლა დედის გული, ბესო ხომ ბოლო ადამიანი იყო, ვინც გოგა ცოცხალი ნახა, მაგრამ მის ნამტირალეც სახეს შეავლო თვალი და თვითონაც ცრემლებით ავესო თვალები, ბესოში შვილის მეგობარს ხედავდა

– კარგი, შვილო, ვიცი, რომ ყველას გიყვარდათ გოგა, მაგრამ

ღმერთმა ასე ინება... _ ამ სიტყვებით აქვითინებული დაეყრდნო საფლავის მესერს.

ბესომ უხმოდ დატოვა საფლავი, მანქანაში ჩაჯდა და მთელი სიჩქარით გაშორდა იქურობას, თითქოს ასე საკუთარი თავისგანაც ცდილობდა გაქცევას... თვალწინ საფლავის ქვაზე დახატული გოგას სახე ედგა... ატირებული დედა კი საფლავზე ჩაჩოქილიყო, ევერებოდა გოგას სურათს, ის ძალიან ენატრებოდა, მაგრამ შვილს ვერაფრით დაიბრუნებდა და მხოლოდ იმ იმედით იყო, რომ გოგას უმანკო სული სამოთხეში მოხვდებოდა აუცილებლად...

სახლში მიბრუნებული ბესო ისევ ოთახში ჩაიკეტა და ტანსაცმლიანად მიეგდო ლოგინზე, სასმელმა თავისი გაიტანა და ძილის ბურანში გაეხვია მაშინვე. “არა, ჩემი ბრალი არ არის!” _ საკუთარმა ხმამ გამოაღვიძა ბესო. ლოგინიდან წამოიწია, თავი საშინლად სტკიოდა და ცივი ოფლი ასხამდა გაახსენდა წუხანდელი: მანქანა... გოგას საფლავი... მისი დედა... გოგას დღიური... _ ერთმანეთში ირეოდნენ ეს სურათები მის წინ. “ალბათ კოშმარი დამესიზმრა” _ გაიფიქრა და შეეცადა სიზმარში ნანახი გაეხსენებინა... გოგა გამოეცხადა თითქოს, მშვიდად უღიმოდა და ერთი და იგივე კითხვას იმეორებდა: “რატომ მომკალი ბესო?”. ბესომ სახეზე ხელები აიფარა, მწარე ფიქრებმა დაუნისლეს გონება “არა, მე მართლა არ მინდოდა ასე მომზადარიყო, ყველაფერი შემთხვევით გამოვიდა... და რით დაიწყო ყველაფერი? იმით, რომ გოგამ უარი მითხრა დახმარებაზე, მერე კი შანტაჟიც დამიწყო... და ვის გამო? ჩვენ ყველა, ოთხივე მეგობრები ვიყავით თავიდან და თუ ზურას უყვარდა მარი, მე არ მქონდა მისი შეყვარების უფლება? მე მხოლოდ მარის სიყვარულის მოპოვება მინდოდა, სხვა არაფერი... ეს დანაშაული არ იყო!” ბესოს ფიქრები ისევ მარიზე გადაირთო: “მარი, მარი... ყოველდღე უფრო მეტად ლამაზი და მომხიბლველი ხდები... უფრო მეტად მიყვარხარ, ვიდრე ოდესმე... მე ვიმსახურებ მის სიყვარულს... ყველაფერს გავაკეთებ, რომ მანაც ისევე შემიყვაროს, როგორც მე მიყვარს! მე ხომ მის გამო საუკეთესო მეგობარი მოვკალი...” ბოლო სიტყვა რამდენჯერმე ექოსავით გაუიმეორდა თავში. ბესო ბარბაცით მივიდა სარკესთან, თავის თავს შეხედა “ვიცი, რომ ეს ტკივილი გოგას სიკვდილის გამო სიცოცხლის ბოლომდე გამყვება, მაგრამ ეს ყველაფერი ამო არ უნდა იყოს... მარი უნდა გახდეს ჩემი! თუ არა და არავისი!” _ ბოლო სიტყვებით ყვირილით აღმოხდა ბესოს, გამწარებულმა მუშტი დაარტყა სარკეს. მსხვერვის ხმა გაისმა, სარკეზე სისხლის წვეთები მოცურავდნენ და წვრილ, წითელ ბილიკს ტოვებდნენ ანარეკლზე. ხმაურზე ბესოს დედა შემოვარდა ოთახში _ რა მოხდა შვილო? ფერი აღარ გადევს, რა დაგემართა? _ ბესოს

გასისხლიანებულ ხელს შეხედა და პირზე ხელი აიფარა _ ვაიმე რას აკეთებ ბესო, რა ხდება, მითხარი გთხოვ! წამოდი ხელს შეგიხვევ!

_ არაფერია დედა... ცუდი სიზმარი ვნახე... მეტი არაფერი!

_ ცუდი სიზმარი? და სარკე? სარკე რატომ გატეხე?

_ არ ვიცი, შემთხვევით... წადი დაისვენე, ხელს მე თვითონ მივხედავ!

შეშინებულმა დედამ ახლოს მისვლა ვერ გაბედა, რადგან ბესოს ხელები მოემუშტა და გახევებული დაჰყურებდა იატაკს.

_ წადი! _ ჩახლეჩილი ხმით გაიმეორა ბესომ

დედამ უხმოდ გაიხურა კარები და თვალებიდან ცრემლები მოიწმინდა “არა, მამაის დაველაპარაკები, რამე უნდა მოუხერხოს ასე გაგრძელება აღარ შეიძლება” ბესომ სისხლიანი ხელი დაიბანა და შეიხვია, ცივ წყალს თავიც შეუშვია, თავიდან სუნთქვა შეეკრა, მაგრამ მერე ესიამოვნა წყლის ნაკადი. თავი უკეთესად იგრძნო, ოთახში შებრუნდა, სარკის ნამსხვრევები წამოკრიფა და ვედროში ჩაყარა, შემდეგ ისევ ლოგინზე ჩამოჯდა. ისევ აერივნენ გონებაში წარსულის სურათები, მარი... ზურა... გოგა... მხიარულებით და მეგობრობით გატარებული წლები და ისევ დაუმძიმდა გული “კარგი, მორჩა! დამდალა ამდენმა ფიქრმა. წარსული წარსულია და მას აღარაფერი ეშველება! და ის... ის არ გაცოცხლდება!” _ ბესომ ვერც კი შამჩნია, რომ ბოლო სიტყვები ხმამაღლა წარმოთქვა. კარები გაიღო და ბესოს დედა შემობრუნდა ოთახში, წელან გასვლის შემდეგ კარებს არ შორდებოდა, ეშინოდა ბესოს ხელის დაზიანების გარდა რამე უარესი არ აეტეხა თავისთვის.

_ რა მოხდა ბესო? რა წარსულზე ლაპარაკობ? ვისი სიკვდილი ახსენე? _ შიშნარევი ხმით ეკითხებოდა იგი შვილს.

_ კარგი რა დედა! რა სისულელეს ამბობ! არანაირი სიკვდილი და წარსული... მოგეჩვენა...

_ არა ბესო არ მომჩვენებია! აშკარად გავიგე რაც თქვი! ასე მგონია ვიდაცის სიკვდილში გიდევს ბრალი! აბა სხვანაირად ვერაფრით ავხსნი იმ მდგომარეობას, რომელშიც ხარ ბოლო დროს!

ბესოს სახე აეწვა, მთლიანად გაწითლდა ნერვებმა ისევ უმტყუნეს და მთელი ხმით ღრიალი დაიწყო:

_ არა, დედა! არანაირი ბრალი არ მიმიძღვის... და საერთოდ თავი დამანებეთ ყველამ გაიგეთ? გოგა ჩემი მეგობარი იყო და მიღალატა!

არ უნდა ექნა ეს! _ ბოლო სიტყვებზე თვითონ ბესოც შეცბუნდა, შეჩერდა, დადუმებულმა დახარა თავი, მიხვდა, რომ ზედმეტის თქმა მოუხდა... დამალვას აზრი აღარ ჰქონდა...

- _ გოგა? ესიგი გოგა! მიპასუხე ბესო, შენი ბრალია მისი დადუპვა? ხმის კანკალით ჰკითხა დედამ
- _ კი, ჩემი ბრალია, ოღონდ ნაწილობრივ...
- _ რას ამბობ, ბესო! რანაირად შეიძლება ადამიანი სასიკვდილოდ გაიმეტო და ნაწილობრივ იყო დამნაშავე? რა მოხდა თქვენს შორის, თქვენ ხომ ყოველთვის მეგობრები იყავით!
- _ ის ჩემს წინააღმდეგ წავიდა! მარის სიყვარულის მოპოვებაში ვთხოვე დახმარება და უარი მითხრა! ზურას მხარე დაიჭირა! მოგვიანებით კი შანტაჟიც დამიწყო! მე ვერ დავუშვებდი, რომ მას ყველაფერი სააშკარაოზე გამოეტანა!
- _ ისეთი რა გქონდა ჩადენილი ბესო, რომ იმის გამხელის შეგემინდა? ამისთვის გაიმეტე სასიკვდილოდ მეგობარი? ღმერთო, ეს რა ხდება! ბესო გთხოვ მითხარი რომ ეს ტყუილია!
- _ არა, სიმართლეა! უნდა გაემხილა, რომ მე სხვადასხვა მიუღებელი ხერხით ვცდილობდი ზურას დამარცხებას...
- _ და ამისთვის... ამისთვის როგორ გაიმეტე სასიკვდილოდ, როგორ შეიძლებოდა ასეთი საშინელი რამის ჩადენა? ესეიგი რასაც ყვებოდი აქამდე ყველაფერი ტყუილი იყო? მე კი მეგონა ჩემი მეგობრის გადასარჩენად თავს სწირავდა და კინაღამ თვითონაც გადაჰყვა მას!
- _ მე მართლა მინდოდა მისი გადარჩენა! ვიჩხუბეთ, შემთხვევით აღმოჩნდა კლდის იქით... ხელი გავუწოდე, მინდოდა მისი ამოყვანა!
- _ მაშინ რატომ არ დაეხმარე? არ მითხრა, რომ ვერ შესძელი, არ დავიჯერებ!
- _ ჰო, ჰო! ბოლო მომენტში თვალწინ წარმომიდგა მისი ღალატი ამიტომ მეორე ხელიც მივაშველე... ოღონდ გადასარჩენად არა! ჩემს მაჯას არაფრით არ უშვებდა ხელს... იძულებული გავხდი მისი თითები ძალით მომეშორებინა და ისიც ქვევით ჩავარდა! ახლა ხომ გაიგე რაც მოხდა? ხომ გინდოდა ეს? შეგიძლია პოლიციაში დარეკო! _ დაიღრიალა ბესომ და არაადამიანურად ახარხარდა. უყურებდა დედის გაფითრებულ სახეს და შეუჩერებლად ხარხარებდა. შეშინებული დედა ხმას ვერ იღებდა, მხოლოდ ცრემლმორეული ადევნებდა თვალს შვილს, რომელსაც ადამიანური სახე დაეკარგა და სასტიკ ცხოველს დამსგავსებოდა... რამდენიმე წუთი იყო ასეთ მდგომარეობაში ბესო, ბოლოს დაწყნარდა, ღონეგამოცლილი კედელს მიეყრდნო და იაყაკზე დაეშვა, თავი ისევ ხელეებში ჩარგო...
- _ არა, მე არავის არაფერს ვეტყვი... ბესო შენ ჩემი შვილი ხარ!

თუმცა იმსახურებ სასტიკ სასჯელს, მაგრამ ვერ შევძლებ ჩემი ხელით დავანგრიო შენი სიცოცხლე... ოღონდ შემპირდი, რომ არავის აღარაფერს დაუშავებ! და მხოლოდ ეს დარჩეს ჩვენს საშინელ და მტკივნეულ საიდუმლოდ!

– მე ეს სიყვარულის გამო შემემთხვა! თუ საუკეთესო მეგობარი ვერ დავინდე, იმის გამო, რომ ჩემს გვერდით არ იყო ამ საქმეში, ვერ შეგპირდებ, რომ ჩემს მოწინააღმდეგეს არაფერს დავუშავებ

– სიყვარული ძალით არ მოდის ბესო! მარი შენ არ შეგიყვარებს, მითუმეტეს თუ გაიგო, რაც ჩაიდინე!

– მაგრამ ის ვერ გაიგებს არა? თუ მაინც აპირებ ქვეყანას მოსდო ღომ შენი შვილი, თუნდაც უნებლიედ, მაგრამ მაინც მკვლელია! მე აღარ მინდა ამაზე ლაპარაკი დედა! თუ საჭიროდ თვლი, დარეკე პოლიციაში, თუ რა, მაშინ წავედი! მარტო ყოფნა მინდა!

უხეშად დაასრულა თავისი სიტყვა ბესომ, ტანსაცმელი გადაიცვა და გარეთ გავარდა. გაოგნებული და სასოწარკვეთილი დედა მარტო დატოვა ოთახში

ბესო ქალაქში დაეხეტებოდა ამღვრეული და განერვიულებული, თუმცა დედასთან შესძლო რამდენიმე წუთით თავის შეკავება, მაგრამ თვითონ ისევ საშინლად გრძნობდა თავს, მაინც გოგას სიკვდილის სურათები უტრიალებდა თავში, თითქოს წარსული არ ასვენებდა... გრძნობდა, რომ საკუთარ თავს აღარ ეკუთვნოდა. მთელი ძალით ცდილობდა თავიდან ამოეგდო ეს ფიქრები და რამე საშუალება ენახა, რომელიც სიმშვიდეს დაუბრუნებდა, დროებით მაინც... “თუ მარის გული ჩემსკენ არ გადმოიხარა, გამოდის, რომ გოგას სიკვდილიც უაზრობაა და ყველაფერი, რასაც მარის სიყვარულისთვის ვაკეთებდი” ყველაზე მეტედ ის ტანჯავდა, რომ ვერავის გაანდობდა გულის ნადებს, ვერავის დაელაპარაკებოდა გულახდილად, ვერავის ეტყოდა რა აწუხებდა ან რას გრძნობდა... “გოგა რომ მყავდეს გვერდით, როგორც ადრე...” შუაზე გაუწყდა ეს უნებლიე ფიქრი, ადგილზე გაშეშდა, გარშემო ხალხი მოძრაობდა, რომ არ აღრიალებულიყო, მთელი ძალით იკბინა ტუჩზე, სიმწრისგან ცრემლები გადმოსცვივდა და პირში სისხლის გემო იგრძნო. არა, სიმშვიდე ისე სჭირდებოდა, როგორც არასდროს! ალკოჰოლი არ გამოდგებოდა, ეს უკვე იგრძნო... “აბა რა მოვიფიქრო?” – ფიქრობდა გამწარებული – “რაღაც მჭირდება... ნარკოტიკი? არა, არა, ეს საღ აზროვნებას დამაკარგვინებს, როგორც სასმელი.” მოულოდნელად თითქოს გონება გაუნათდა “ფსიქოტროპული პრეპარატები! ძლიერი დამაშვიდებლები! მხოლოდ ეს არის გამოსავალი! დროებით... მხოლოდ დროებით” – ამ აზრმა თითქოს იმედი მისცა ბესოს, სულიერი წონასწორობა დაუბრუნა, ცოტათი გამოცოცხლდა, მაგრამ

ქვეცნობიერი სინანული და სინდისის ქენჯნის გრძნობა მაინც არ ასვენებდა, იმ საღამოს ისევ გზააზნულმა განაგრძო ქალქის ქუჩებში ხეტიალი... რთულია ადამიანის ცხოვრება, არსებობს ისეთი მომენტები, როდესაც ადამიანი ბედნიერია, ან იმედი აქვს, რომ ბედნიერი იქნება და ისეთი მომენტებიც, როცა ადამიანი არაფერს წარმოადგენს ისევ და ისევ არასწორი ქმედებებისა და საბედისწერო შეცდომების გამო... სწორედ ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა ბესო, შინაგანად გრძნობდა, რომ შეეძლო ასეთი ყოფის თავიდან აცილება, სხვა არჩევნის გაკეთება და სიცოცხლის სხვანაირად წარმართვა, მაგრამ ახლა უკვე გვიანი იყო, მწარე იყო მისი რეალობა და ამას ვერავინ, ვერაფრით ვერ შეცვლიდა...

შემდეგ გამოცდამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი, კვირაში ერთი გამოცდა უტარდებოდათ, ამიტომ მარიც და ყველა მისი კლასელიც ისევ მეცადინეობით და საგამოცდო საკითხების მომზადებით იყვნენ დაკავებულნი. მარი დილიდან სარამომდე წიგნებს უჯდა და საგანს ამზადებდა, მაგრამ ერთი სული ჰქონდა, როდის მოვიდოდა საღამო, რადგან ყოველ საღამოს ზურასთან ერთად სეირნობდა ქალაქში, ხშირად ისევ თეატრის ბაღში იჯდნენ, ისევ უხსნიდნენ ერთმანეთს სიყვარულს და ტკბებოდნენ ურთიერთობით, ორივესათვის ისევ ძალიან ბედნიერი პერიოდი იყო, შეყვარებულობის პერიოდი, როდესაც ორი ადამიანი მხოლოდ ერთმანეთისთვის ცხოვრობს, როდესაც წინასწარ გრძნობენ ერთმანეთის სურვილს, როდესაც დარწმუნებულები არიან, რომ მომავალი სიცოცხლე მუდამ ასეთი გრძნობით იქნება დაფარული... თუმცა ეს წელიწადი ბევრი არასასიამოვნო შემთხვევითაც დაამახსოვრდათ და მეგობრის სიკვდილმაც მწარედ დაუხაზათ გული, მაგრამ ამ იარებს და ტკივილისგან დატოვებულ კვალს ახლა სიყვარულის ზღვის ტალღები შლიდნენ მათი გულებიდან, როგორც ქვიშაზე დაწერილ სიტყვებს...

- _ ზურა, მინდა გითხრა, ჩემი მშობლები ისევ ისე არიან განწყობილი ლი შენს მიმართ, როგორც ადრე! დედას პირდაპირ არ უთქვამს, მაგრამ საუბრისას მაგრძნობინა, რომ ჩვენი ურთიერთობის წინააღმდეგნი არ არიან და ჩვენი სიყვარულიც ძალიან ახარებთ!
- _ ჩემო თოჯინავ, მეც ძალიან მახარებს ეგ ამბავი! თუ ასე იქნება ყველაფერი და შენი სურვილიც დაემატება ამას, მაშინ მინდა ბანკეტზევე გამოვაცხადო, რომ დანიშნულები ვართ!
- _ ძალიან მიყვარხარ ზურა, მაგრამ ჩვენ ხომ დავთქვით, რომ ჯერ მისაღები გამოცდებიც ჩავაბაროთ და მერე... ავგისტოს ბოლოს ან სექტემბერში?
- _ მაინც მოიფიქრე ძვირფასო, თუ იტყვი, რომ მოვიცადოთ, მე ეს არ

მეწყინება, როგორც შენი სურვილი იქნება ისე მოვიქცევი.

– კარგი, მაშინ მოვიფიქრებ... დედასაც ვეტყვი... _ გაიღიმა მარიმ, ეტყობოდა, რომ სიხარულს ვერ მალავდა _ არ მჯერა, რომ ამ წელიწადში რაღაც სასიხარულო იქნება ზურა! მითუმეტეს ასეთი რამ, რაც ჩვენი ბედნიერების გაგრძელება იქნება!

– მე ახლაც ბედნიერი ვარ მარი, რადგან შენ მყავხარ! მოიფიქრე ჩემს თხოვნაზე პასუხი და მერე მეც გავაფრთხილებ მშობლებს

– ბანკეტამდე აუცილებლად გადავწყვიტავ და პასუხს გეტყვი!

– შენ ჩემი ძვირფასი, ლამაზი, ჭკვიანი გოგო ხარ! შენს პასუხს მოუთმენლად დაველოდები!

– მიყვარხარ ზურა!

– მეც მიყვარხარ, ძალიან!

ბესომ თავისი თავისთვის მიცემული სიტყვა შეასრულა. იმ დღის შემდეგ, როცა გზააზნეული დაეხეტებოდა ქალაქში, მისი ქცევა ძალიან შეიცვალა. მეორე დილიდანვე ვარჯიში დაიწყო, შეეცადა ნაკლებად ეფიქრა მომხდარზე, მთელი ნებისყოფის დამაბზა დასჭირდა, რომ რაღაც რეჟიმში ჩამჯდარიყო. დამამშვიდებელი წამლები თვითონ დაათვალიერა ინტერნეტით, მათი თვისებები და გვერდითი ეფექტებიც ნახა, შემდეგ პრეპარატების სია ქალაქის აფთიაქების ქსელის მედიკამენტებს შეადარა და იქ რამდენიმე დამამშვიდებელი პრეპარატი აარჩია, მაგრამ წამლების შეძენა საკმაოდ რთული აღმოჩნდა.

– გამარჯობათ! ეს წამლები თუ გექნებათ?

აფთიაქში ფარმაცევტმა ფურცელზე ჩამოწერილ პრეპარატების სიას გადახედა, ექვის თვალით შეხედა ბესოს და თავი გააქნია

– ვწუხვარ, მაგრამ ეს წამლები არ არის ჩვენთან, ვფიქრობ არც სხვა აფთიაქებში იქნება, ძალიან სპეციფიკურია... მხოლოდ ერთი გვაქვს “ციტომაქსი” მაგრამ ესეც მხოლოდ ექიმის დანიშნულებით გაიცემა.

– გასაგებია, გმადლობთ!

ბესო იძულებული გახდა საქმის კურსში დედაც ჩაეყენებინა

– არ ვიცი ბესო რა გითხრა, დამამშვიდებელი შენს ასაკში?

– დედა ლამის არის გავგიჟდე! ღამეები არ მძინავს, ყველანაირი ჭკრილმანი მაღიზიანებს... ვწუხვარ, რომ ყველაფერი ასეა, ახლა სიმშვიდე მჭირდება დედა, გთხოვ! სასმელს აღარ ვსვამ შენც ხედავ ამას.

– ვიცი, შვილო, მაგრამ თუ სასმელი ნარკოტიკმა შეცვალა ეს რა გამოვა?

– კარგი რა დედა! ეს უბრალო დამამშვიდებელია, შეგიძლია ჩვენს

ექიმს ჰკითხო და ის მოიტანს რეცეპტს.

საბოლოოდ დედა დაითანხმა. ოჯახის ექიმს სთხოვეს კონსულტაციის გაწევა და აღნიშნული წამლების რეცეპტების გამოწერა. ექიმი კერძო კლინიკიდან ჰყავდა დაქირავებული ბესოს მამას. ექიმმა მეორე დღესვე მოიტანა ნევროპათოლოგის დანიშნულება და ორი პლასტმასის ფლაკონიც მოაყოლა

– ეს ციტომაქსია, აქ წერია, როგორ გამოიყენოთ, მაგრამ ჩემი მხრიდან ვალდებული ვარ გაგაფრთხილოთ: პრეპარატი ფსიქოტროპულია, მხოლოდ ნახევარი აზი დღეში და არანაირად არ შეიზლება ალკოჰოლთან ერთად, შედეგად ჯერ აგრესიულობა მოიმატებს შემდეგ მოდუნება და შესაძლოა ცნობიერების დაკარგვაც მოჰყვეს. ხოლო ყველაზე სავალალო შემთხვევაში გულის გაჩერება გამოიწვიოს.

ბესოს დედამ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად, ბესოც მშვიდად შეხვდა ექიმის რჩევას, ყოველივე თქმული უკვე იცოდა ინტერნეტის საშუალებით. სამი დღის შემდეგ ბესოს უკვე დაეტყო მედიკამენტის მოქმედება, რადგან დედისგან მალულად ორ ტაბლეტს იღებდა დღეში, ნაცვლად ექიმის მიერ დანიშნული ნახევარი აზისა. პარალელურად შეუსვენებლად ვარჯიშობდა და მეცადინეობდა, ენერგია ჰყოფნიდა, რადგან ენერგეტიკულ პრეპარატს “კრეატინსაც” სვამდა. დედას, თუმცა მისი შვილის საშინელი საიდუმლო ტანჯავდა, მაინც გახარებული იყო ბესოს გამოცოცხლებით. შემდეგ გამოცდაზე ბესომ მანქანა სკოლის შესასვლელთან ახლოს გააჩერა, მხიარული სახით გადმოვიდა, ხელში რვეულები ეჭირა. სკოლის ეზოში შევიდა, ყველა ნაცნობსა და კლასელს მხიარულად ესალმებოდა. მარი, სალომე და ზურა ერთად იდგნენ, წიგნი გადაეშალათ და რაღაცაზე კამათობდნენ

– გამარჯობათ! _ მიესალმა ბესო _ ზურა როგორ ხარ? გოგოებო ძალიან ლამაზად გამოიყურებით! მომზადებული გაქვთ ყველა საკითხი? აბა, რომელი გადამაწერინებთ? _ გაიცინა მან

მარი და სალომე ძალიან გააოცა ამან, ზურაც გაკვირვებული უყურებდა ბესოს, რადგან ბოლო დროს მისი ღიმილიც კი არავის ენახა, გოგას სიკვდილის შემდეგ ყველას და ყველაფერს გაურბოდა.

– ბესო, ვატყობ უკეთესად ხარ! _ გაუღიმა ზურამ

– რამე მოხდა ბესო? უცნაურია! _ სალომემ მხრები აიჩეჩა

– რა არის უცნაური? არ შეიძლება მეგობარი მოვიკითხო და გოგონებს კომპლიმენტი ვუთხრა?

– არა, არა, პირიქით! ბოლო დროს სულ სხვანაირი ხარ, სევდიანი და

ამიტომ უცნაურად მოგვეჩვენა, ძალიან გვიხარია, რომ თავს კარგად გრძნობ! _ ჩაერია საუბარში მარიც.

სალომე მანც უნდობლად უყურებდა ბესოს

_ მარი, მე წავალ, გოგოებს ვნახავ... წარმატებას გისურვებთ!

_ შენც ასევე სალ! _ გაუღიმა მარიმ

ბესომ თვალი გააყოლა მიმავალ სალომეს და მარისკენ მობრუნდა

_ რატომღაც შენს დაქალს არ მოვწონვარ მარი! _ შემდეგ სერიოზული სახე მიიღო და წყნარად გაბაგრძო _ არ გაგიკვირდეთ, ბოლო ბოლო დროს სულ გოგას სიკვდილის გამო ვიყავი ასე, ახლა ვცდილობ სხვა რამეზე გადავერთო, ცხოვრება ხომ გრძელდება არ დამძრახოთ ამისთვის... გთხოვთ!

_ რატომ უნდა დაგძრახოთ ბესო, პირიქით, გოგა ყველა ჩვენთაგანის მეგობარი იყო მაგრამ ჩვენც ნელ-ნელა ცხოვრების დინებას უნდა მივყვეთ, როგორც ამბობენ ხოლმე... ეს იმას არ ნიშნავს რომ რომელიმე ჩვენგანი გოგას დაივიწყებს.

_ მართალია ბესო, მეც ვეთაბხმები ზურას _ ოდნავ მოწყენით დაამატა მარიმ

_ კარგი, წავალ! _ გაიღიმა ბესომ _ აბა წარმატებები ორივეს!

_ შენც, ბესო!

ზურამ მზერა გააყოლა ბესოს, შემდეგ მარის მოხედა, მისი კითხვით სავესე თვალები რომ დაინახა უნებურად გაეცინა

_ ასე ნუ მიყურებ მარი! მეც არ ვიცი რა ხდება, წარმოდგენა არ მაქვს რა დაემართა ბესოს, თუმცა ყველა ცვლილება კარგია, რომელიც უკეთესობისკენ არის მიმართული არა?

_ არ ვიცი ზურა, შეიძლება დევნის მანია მაქვს, მაგრამ ბესოს გვერდით ყოველთვის რაღაცას ცუდს მიგრძნობს გული... გამომძიებლის სიტყვებიც არ მავიწყდება, თუმცა შეიძლება ცოდვას ვამბობ.. შეიძლება ვერ შეამჩნიე, მაგრამ კარგი განწყობის მიუხედავად ისევ რაღაცნაირი, თითქოს ბოროტებითა და სიცივიით სავსე მზერა ჰქონდა...

_ ჩემი პატარა, მშიშარა გოგო! _ ზურამ ალერსით გადაუსვა ხელი თმაზე

_ სულაც არა ვარ მშისარა! _ მარიმ ისეთი სახე მიიღო, თითქოს გაიბუტა, შემდეგ კვლავ ღიმილით და სიყვარულით შეხედა ზურას _ ალბათ მართლა გადამეტებულად მგრძნობიარე ვარ... ყველაფერში საფრთხეს ვხედავ...

_ არაფერია მარ! აღელვებულები ვართ, აი ჩაიაროს გამოცდებმა ბოლო ზარმა და ბანკეტმა... როცა სკოლიდან გავთავისუფლდებ-

ით სულ სხვა, სიხარულით სავსე ცხოვრება დაიქცება!

_ ალბათ მასეა... წავიდეთ გამოცდა დაიწყება მალე

_ წავედით!

ბესო ჩუმად უყურებდა შორიდან მარის, ის უფრო მოხიბლველად ეჩვენებოდა ვიდრე ადრე, ხედავდა, როგორ გადაუსვა თმებზე ხელი ზურამ, მარიც სიყვარულით სავსე თვალებით შესცქეროდა. ბესომ თავი გვერდზე გადასწია, დაკვირვებით შეხედა შეყვარებულებს, ეგონა გაბრაზდებოდა ან გული დასწყდებოდა მათი შეხედვისას, მაგრამ მისდა გასაკვირად არაფერი არ უგრძენია. რატომღაც გაიღიმა მაგრამ ამ ღიმილში იყო ჩაქსოვილი სისასტიკე, გულგრილობა, ბოროტება, შური... ყველა უარყოფითი გრძნობა, რაც შესაძლოა ადამიანს ჰქონოდა. “მე შენ მიყვარხარ მარი და შენც შემიყვარებ! ან მე, ან არავის!” ბესომ გამოცდაზეც ვერ ამოიგდო თავიდან მარიზე ფიქრები, ცდილობდა მოეფიქრებინა ისეთი რამ, რაც მარისთან დაახლოვებდა და მას ბესოს მიმართ სიმპატიას გაუჩნდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა... მარის გულისაკენ მიმავალი ყველა გზა ზურას დაეკავებინა... ბესოს ისიც კარგად ესმოდა, რომ თუ რამეს ბანკეტამდე არ იღონებდა, მაშინ ზურა და მარი იქორწინებდნენ და მას მხოლოდ მოგონებები, სიყვარულის მოპოვების უშედეგო ცდები, შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა და მეგობრის სიკვდილი დარჩებოდა ტვირთად “მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩემი გახდე მარი! და თუ არაფერი გამოვიდა, ისეთ რამეზეც წავალ, რაც სასტიკად და სამუდამოდ გატკენს გულს, რომ ასე მაინც მთელი სიცოცხლე ვერ დამივიწყო” ამ ფიქრმა სიამოვნება მოჰგვარა ბესოს, უნებურად ხმამაღლა გადაიხარხარა. მასწავლებლებმა გაკვირვებით გადახედეს მას. ბესო ახლავა გამოფხიზლდა, მიიხედა-მოიხედა, გამოცდაზე მჯდარი მოსწავლეებიც გაოცებული უყურებდნენ, ზოგი ჩუმად იცინოდა

_ მაპატიეთ, გთხოვთ! _ მასწავლებლების გასაგონად ჩაილაპარაკა

ბესომ და საგამცდო ტესტს ჩახედა.

გამოცდის შემდეგ სალომემ სასწრაფოდ მოძებნა მარი, ცალკე გაიყვანა და უჩურჩულა:

_ მარი, მინდა რაღაც გითხრა, ეს ბესოს შეეხება!

_ ისევ? კარგი რა სალომე, მე რც ბესოზე ფიქრი მინდა და არც

რაღაც “შეთქმულებაზე” ჩემს წინააღმდეგ _ გაუცინა მარიმ

_ არა, მარი არ ვხუმრობ, ძალიან გთხოვ ფრთხილად იყავი, ბესო მართლა უცნაურად იქცევა, წელან თქვენ რომ გამოხვედით გამოცდიდან, შუა გამოცდაზე, ჯერ თითქოს თავის თავთან ლაპარაკობდა შემდეგ კი ხარხარი დაიწყო... თუ ჰკუდიდან არ შეშლილა, რაღაცა ცუდი ექნება ჩაფიქრებული.

მარი ოდნავ ჩაფიქრდა, მაგრამ მაინც ხუმრობაში გადაიტანა სალომეს ნათქვამი

_ არ გინდა სალ! გაიცინა, გაიცინა! მერე რა? ჩემს სახელს ხომ არ იძახდა? ან რატომ უნდა ვიფიქრო, რომ აუცილებლად ცუდი რამ აქვს ჩაფიქრებული და თან ჩემს მიმართ?

სალომე დაიბნა, მარი მართალი იყო, წინათგრძნობის მეტი არაფერი ჰქონდა სათქმელი

_ არ ვიცი მარი, ვღელავ... მეშინია რამე არ მოხდეს... მე ხომ გითხარი ადრეც, რომ გოგას სიკვდილში...

_ გეყოფა, გთხოვ! _ მუდარით შეხედა მარიმ მეგობარს _ ნუ მახსენებ საწყალ გოგას! ისედაც გული მიკვდება, როცა მასზე რამეს გავიფიქრებ ხოლმე... ის კი, რომ ბესოა ამაში გარეული, ჩემი აზრით მართო სიტყვებია... გთხოვ აღარ ვილაპარაკოთ ამაზე...

_ მარი მე შენი წყენა არ მინდოდა, უბრალოდ ვშიშობ შენს გამო, შემპირდი, რომ ფრთხილად იქნები!

_ გპირდები სალ! _ მარი მეგობარს გადაეხვია.

_ აბა რა ხდება? რას აპირებთ? _ იკითხა ზურამ, რომელიც ამ დროს მიუახლოვდა მარისა და სალომეს, მაგრამ მათი საუბარი რას შეეხებოდა, ვერ გაიგო

_ არაფერია ზურა, გამოცდით დავიღალეთ და გართობა იქნებოდა კარგი! სადმე გავისეირნოთ

_ მართალი ხარ ძვირფასო, ეს გამოცდაც მორჩა და მე კაფეში გეპატიჟებით!

დილით მარი ოთახის კარებზე კაკუნმა გააღვიძა. თავი წამოსწია, გუშინდელი სასიამოვნო საღამოდან გამოყოლილი ენერგია აქმდე მოჰყოლოდა, სწრაფად წამოდგა, ხალათი მოისხა, თმები შეისწორა და კარები გააღო

_ როგორ ხარ მარი? _ გაუღიმა დედამ _ შენთან საჩუქარი მოიტანეს მაგრამ პირადად უნდა გადმოგცენ და მიღებაზეც ხელი უნდა მოუწერო

_ მართლა? ახლავე! _ სიხარულით წამოიძახა მარიმ და დერეფნის ბოლოს მდგომ ფოსტის კურიერთან მივიდა. კურიერმა გრძელი, ღრმა ყუთი გადასცა, საბუთზე ხელი მოაწერინა და დაემშვიდობა. მარიმ გულში ჩაიხუტა ამანათი და თავის ოთახში დაბრუნდა, ყუთი საწოლზე დადო და თვითონაც იქვე დაეშვა მუხლებით “ალბათ ზურამ გადაწყვიტა სიურპრიზის მოწყობა” _ გული სიხარულით უცემდა მარის. ყუთი გახსნა, იქ დიდკოკრებიანი ხავერდისფერი ვარდების თაიგული იდო, ლამაზი

ლენტებით მორთული. მარის ღიმილი სახეზე შეეყინა, თაიგული ამოიღო, შეათვალიერა და მაშინვე დააგდო ლოგინზე

_ არა, ოღონდ ეს არა! ოღონდ ყველაფერი თავიდან არ დაიწყოს!

ღმერთო, გთხოვ! _ ხმის კანკალით ჩურჩულებდა მარი. თაიგული ზუსტი ასლი იყო იმ ვარდების, რომელიც ბესომ მთავრად დაბადების დღეზე სასიყვარულო წარწერით.

_ ისევ ბესო, არა, ის არ შემეშვება! სალომე მართალი იყო! ისევ

ჩხუბი! ისევ უსიამოვნებები... ჩემს გამო... აღარ მინდა! _ გული ამოუჯდა ამ ფიქრებისგან მარის, საწოლზე დაეცა და ტირილი დაიწყო. დიდხანს ასველებდნენ მისი ცრემლები ბალიშს, ბოლოს დაწყნარდა, წამოდგა და ჩაცმა დაიწყო

_ ზურა უნდა ვნახო და ყველაფერი მოვუყვე, სხვანაირად ვერ

შევძლებ, ეს რომ დავმალო უარესი იქნება _ ჩურჩულებდა მარი.

_ დედა გოგობმა დარეკეს, მათთან გავალ, თუ დამაგვიანდა არ ინერვიულოთ, ზურასაც უნდა შევხვდე _ გასძახა დედას სახლიდან გასვლისას და სწრაფად დაეშვა კიბეებზე. სადარბაზოდან გამოსვლის-თანავე მობილური აიღო და ზურას ნომერი აკრიფა

_ ზურა, მარი ვარ! გთხოვ “ჩვენს ბაღში” მოდი, მეც მალე ვიქნები!

_ როგორ ხარ მარი? ალელვებული ხმა გაქვს, მოხდა რამე? _ ზურას ხმაშიც შემფოთება იგრძნობოდა.

_ არა, ზურა, კარგად ვარ, რაღაც კი მოხდა, მაგრამ საშიში არა-

ფერია... უბრალოდ შენ უნდა იცოდე... მალე მოვალ...

_ მოიცადე მარი, მარი... _ მარის უკვე მოესწრო ტელეფონის გამორთვა. მარამ ეზოდან გადაუხვია და ქუჩას გაუყვა სწრაფი ნაბიჯებით, უნდოდა თეატრის ბაღში რაც შეიძლება მალე მისულიყო. უეცრად მანქანის დამუხრუჭების ხმა შემოესმა, მოტრიალდა და შეკრთა, მანქანა თითქმის მის გვერდით შეჩერდა და წინა ბორბლებით კინალამ ტროტუარზე ავარდა. კარების მინა დაეშვა, საჭესთან ბესო იჯდა. გამჭოლი მზერით უყურებდა მარის

_ გამარჯობა მარი! შორს მიდიხარ? შემიძლია მიგიყვანო!

_ გამარჯობა ბესო... მე, მე ახლოს მივდივარ... არ მინდა მადლობა მარი ინსტინქტურად უკან იხევდა. ბესო მანქანიდან გადმოვიდა და მიუახლოვდა.

_ მაპატიე ასე უეცრად რომ შეგაწუხე, შენი ნახვა მინდოდა მარი,

დილიდან ველოდებოდი შენს გამოსვლას

_ რატომ? თუ საქმე გქონდა დაგერეკა... რა საჭიროა ჩემი მანქანით ნით დევნა?

_ არ გამიბრაზდე მარი, გთხოვ... მინდა გითხრა, რომ დრო მიდის მე კი ისევ ისე მიყვარხარ, როგორც ადრე, თაიგულიც ამიტომ...

_ შენი მოსმენა აღარ მინდა! თავი დამანებე! _ სიტყვა გააწყვეტინა მარიმ და ტროტუარს გაუყვა სწრაფი ნაბიჯებით.

_ მარი, გთხოვ მომისმინე! _ გვერდით აედევნა ბესო _ ცივი, რომ გითხრა ახლავე შემიყვარე-მეთქი არარეალურია, მაგრამ გთხოვ შანსი მაინც მომეცი, ნება მაინც დამრთე, რომ ჩემისიყვარულის გულწრფელობაში დაგარწმუნო... თუ ზურაშია რამე ისეთი, რასაც ჩემში ვერ ხედავ, მითხარი და ისეთი გავხდები, როგორც გინდა! ლატომ მტანჯავ მარი? თან შენც კარგად იცი, რომ ეს წლების განმავლობაში გრძელდება!

_ რა სისულელეა ბესო! ალბათ ვერც ხვდები რას ამბობ! მაგას როგორ მთხოვ, როცა იცი, რომ ზურა მიყვარს... შენ მეგობარი იყავი ყოველთვის და სხვას მე შენს მიმართ არაფერს ვგრძნობდი და ვერც ვიგრძნობ! თუ მართლა რამე გრძნობა გაქვს ჩემს მიმართ მიმართ, გთხოვ დავრჩეთ მხოლოდ მეგობრებად... სხვა არაფერი!

_ არა, არა მარი, ოღონდ ეგ არ მთხოვო და რაც გინდა იმას გავაკეთებ! _ ბესომ ხელზე მოჰკიდა ხელი. სწრაფად მიმავალი მარი ინერციით შემოტრიალდა და ბესოს პირისპირ აღმოჩნდა. ტანში გააჟრჟოლა მისი თვალების დანახვისას, თუმცა მისი სიტყვები მუდარასა და გრძნობებს გამოხატავდნენ, თვალები ისევ ცივი და ცარიელი ჰქონდა, მხოლოდ სუსხი იგრძნობოდა მათში.

_ მე უკვე გითხარი ბესო! არანაირი გრძნობა არ იქნება ჩვენს შორის მე ზურა მიყვარს და ამას ვერაფერი შეცვლის, გთხოვ, ნუღარ მაყენებ ტკივილს და არც ყვავილები და არც საჩუქრები აღარ გამომიგზავნო გთხოვ! _ მარის ცრემლები გადმოსცვივდა.

_ ნუ ტირი მარი, არ შემოდლია ამის ყურება!

_ არ გინდა ფარისევლობა ბესო! შენი საქციელი სხვას ადასტურებს. რაღად გინდოდა იმ ყვავილების გამოგზავნა დღეს? შენმა წინა თაიგულმა უკვე გამამწარა ერთხელ...

_ მარი, მე შენ მიყვარხარ, მიყვარხარ და სხვა არაფერი!

_ არ მჯერა, არა! შენ არასდროს ყოფილხარ გულახდილი და გულში მხოლოდ ბოროტი ზრახვები გქონდა ყოველთვის...

მარიმ ხელი გამოჰგლიჯა და ისევ სიარული განაგრძო. ბესო ისევ აედევნა, მაგრამ ახლა უკივე მშვიდად, ცივად ლაპარაკობდა

_ რაც გინდა ის იფიქრე მარი! მე მიყვარხარ და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ თუ შენს სიყვარულს ვერ მოვიპოვებ

ვებ, ზურას მაინც დაგაშორო! ყველაფერს გავაკეთებ! გპირდები!

_ ზურა პასუხს მოგთხოვს ყველაფრისათვის!

_ ვიცი და მე ამისთვის მზად ვარ! დაველოდები შენს პასუხს და მასაც!

_ ჩემი პასუხი უკვე იცი: თავი დაგვანებე!

_ კარგი! იყოს ისე, როგორც შენ გინდა, მაგრამ ფრთხილად არ არ ინანო! _ ეს სიტყვები უკვე უხეშად მიახალა ბესომ მარის, მანქანასთან დაბრუნდა, რამდენიმე წამში ისევ დიდ სიჩქარით ჩაუქროლა მარის გვერდით და ქუჩის ბოლოში გაუჩინარდა.

ატირებულმა მარიმ გზა განაგრძო, უნდოდა სწრაფად ენახა ზურა და ყველაფერი მოეთხრო: თაიგული, ბესოსთან შეხვედრა, მისი მუქარა... როცა თეატრის ბაღს მიუახლოვდა შეჩერდა, ცრემლები მოიწმინდა, რამდენჯერმე ღრმად ამოისუნთქა, შეეცადა დამშვიდებული- ყო რადგან იცოდა ზურას მისი ცრემლები გაამწარებდა, სასწრაფოდ მოძებნიდა ბესოს და ვინ იცის ცხელ გულზე რას ჩაიდენდა. ზურა უკვე ბაღში იყო, მოუთმენლად ელოდა მარის

_ როგორ ხარ? მომენატრე... _ მარიმ გაუღიმა, მაგრამ მზერა აარიდა, შეეცადა მღელვარება დაეფარა

_ მარი, ძვირფასო, მიხარია, რომ მოხვედი, მაგრამ რა მოხდა? ტელეფონზე აღელვებული ხმა გქონდა _ ზურა ახლოს მივიდა და და ხელი მოჰხვია.

_ ისეთი არაფერი ზურა, მოგიყვები, ოღონდ გთხოვ, მშვიდად მომისმინე...

_ შენ რა ტიროდი? _ სახე შეეცვალა ზურას, როცა მარის თვალებს შეხედა _ მითხარი ვინ იყო, ეხლავე ვნახავ! ვინ გაწყენინა?

_ არავინ არ მაწყენინა, მე თვითონ ვარ ძალიან ემოციური, ხომ იცი... დამშვიდდი გთხოვ, ჩამოვჯდეთ და მოგიყვები, ოღონდ შემპირდი, რომ არ გაბრაზდები და არაფერს გააკეთებ!

ზურას უნდოდა უარი ეთქვა თხოვნაზე, ერთი სული ჰქონდა გაეგო რა ან ვინ იყო მარის ატირების მიზეზი და თუ ვინმე იყო მართლაც სასტიკად გასწორებოდა მას... მაგრამ მარი ისე მუდარით შეცქეროდა, თავს ძალა დაატანა და გაუღიმა

_ კარგი მარი, არაფერს ცუდს არ გავაკეთებ, მოყევი რა მოხდა ყველაფერი კარგად იქნება!

_ დღეს დილით ვარდების თაიგული მომართვეს საჩუქრად ყუთით... მე ჯერ შენგან მეგონა, მაგრამ რომ ვნახე მაშინვე მივხვდი, ბესოს გამოგზავნილი იყო... აი ისეთი, ზუსტად ისეთი როგორც მაშინ,

დაბაბდების დღეზე მომართვა... მერე, აქეთ რომ მოვდიოდი მანქანით დამეწია და ათასი სისულელე მითხრა... მითხრა, რომ ვერ მივიწყებს და ვუყვარვარ და ჩვენი დაშორება უნდა... რომ ამისთვის ყველაფერს გააკეთებს... მეშინია თავის არ გაიტანოს ზურა, ვფიქრობ რომ ის მართლაც არანორმალურია და ყველაფერია მისგან მოსალოდნელი!

– ისევ ისე დაიწყო? ისევ იკადრა ეგ? მარი მე აუცილებლად მომიწევს მისი ნახვა და ყველაფრის გარკვევა! ერთხელ და სამუდამოდ თავისი ადგილი უნდა მივუჩინო, რომ ახლოს მოსვლაც არ გაბედოს შენთან – ზურამ მუქარით დააქნია თავი

– არა ზურა, გთხოვ, არ გინდა ჩხუბი, ის არ ღირს ამად, მე მხოლოდ ის მაშინებს, რომ ჩვენს დასაშორებლად ყველაფერს იკადრებს და ფრთხილად ვიყოთ... მგონი შევცდით ზურა... ვშიშობ გამომძიებლის ეჭვი საფუძვლიანი იყო ბესოსა და გოგას სიკვდილის შესახებ.

– ნუ შეშინდები მარი! გავარკვევ ყველაფერს, ჩვენს გამო ნუ იდარდებ, ბესოსნაირი ადამიანი ვერაფერს გააკეთებს ისეთს რომ ჩვენი სიყვარული თუნდაც ოდნავ შეანელოს და მითუნეტეს გაანადგუროს... ჩხუბით გპირდები, რომ არ ვიჩხუბებ შენი ხათრით, მაგრამ ვნახავ, მკაცრად გავაფრთხილებ, რომ თუ ასე გააგრძელა ცოცხალი ვერ გადამირჩება!

ზურას სიტყვებში ისეთი სიმტკიცე იგრძნობოდა, რომ მარის მღელვარებაც გააქრო... მან სიყვარულით შეხედა ზურას, თავი მხარზე მიადო და ფიქრებით სიყვარულის სასიამოვნო ნისლში ჩაიძირა.

გამომძიებელი არ კარგავდა დროს, მთლიანად შეისწავლა გოგას დღიური, მის კლასელებსაც გაესაუბრა ფარულად, უკვე ყველა წვრილმანი იცოდა გოგასა და მისი სამი მეგობრის შესახებ, რა თქმა უნდა ისეთ ჭრილში, როგორც გოგა აღწერდა თავის ჩანაწერებში მათ. აკაკი დიდხანს ფიქრობდა, როგორ მიდგომოდა ამ საქმეს, რომ ბოლომდე გაერკვია ყველაფერი. მისდა სამწუხაროდ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თუ თვითონ ბესო არ აღიარებდა შესაძლო დანაშაულს, ვერანაირად ვერ დაუმტკიცებდა სხვა გზით ამას, ჯერ-ჯერობით შესაძლო მოტივსაც ვერ მიაგნო, რომლის გამოც შესაძლოა გოგა სასიკვდილოდ გაემეტებინათ. ირიბად ყველა ინფორმაცია მიუთითებდა, რომ შესაძლოა ბესო პირდაპირ დამნაშავე თუ არა, ხელისშემწეობი მაინც იქნებოდა გოგას დაღუპვის, პირველი: ზურას და ბესოს დაპირისპირება ჰქონდათ მარის გამო და გოგა შეფარვით თუ ამკარად ზურას მხარეს იჭერდა, მეორე: ბესომ იცოდა გოგას დღიურის არსებობის

შესახებ და როგორც თვითონ თქვა წაკითხულიც ჰქონდა, შესაძლოა არ მოსწონებოდა, რომ გოგა აშკარად ზურას მხარეს იჭერდა მათ კონფლიქტში და შესაძლებელია დღიურიდან ამოხეული ფურცლებიც ბესოს “ნამუშევარი” იყო, რადგან ჩანაწერები ზუსტად იქ წყდებოდა, სადაც ბესოზე იწყებოდა ლაპარაკი. მოულოდნელად გამომძიებელს გოგას დაკრძალვა და თენგო გაახსენდა, რომელიც ბესოს დაუპირისპირდა და რომ არ გაეშველებინათ საქმე ჩხუბამდეც მივიდოდა. “იქნებ მან იცოდეს რამე დამატებით?” გამომძიებელმა მაშინვე დაადგინა მისი ვინაობა, მაგრამ საქმის დახურვის შემდეგ საჭირო აღარ იყო მისი ჩარევა, ახლა კი, როცა აკაკი თვითონ ცდილობდა ყველაფრის გარკვევას, დახმარება ნამდვილად სჭირდებოდა. სასწრაფოდ მოიძია თენგოს შესახებ ინფორმაცია, დაურეკა და შეხვედრა სთხოვა. დარეკვის დღესვე შეხვდნენ ერთმანეთს თენგო და აკაკი. გამომძიებელმა მისგან გაიგო, რომ სტადიონზე ზურას მოწამლვა სავარაუდოდ ბესოს გაკეთებული იყო, თენგოს არც რედბულის ქილის ანალიზის შედეგები დაუმაღავს...

– ბატონო აკაკი, მე გავიგე, რომ გოგას საქმე ოფიციალურად დახურულია, რატომ აკეთებთ ამას? თან მეც იურუდიულზე ვსწავლობ და ვიცი, რომ ჩვენ რა სამხილსაც არ უნდა მივაკვლიოთ ეს სასამართლოსთვის არ გამოდგება, რადგან საქმე დახურულია და უკანონოდ მოპოვებულად ჩაითვლება ყველა ინფორმაცია.

– მე ვფიქრობ სინმართლე უნდა გაირკვეს თენგო, ამიტომ არ ვჩერდები, რაც შეეხება ინფორმაციას, მთავარია ჩვენ რამე ვნახოთ და სამხილების გამოჩენის შემთხვევაში შემიძლია საქმის თავიდან აღძვრა მოვითხოვო.

– მე რით შემიძლია დაგეხმაროთ?

– მაქვს ერთი აზრი: გოგა დღიურს აწარმოებდა და შესაძლოა ჩანაწერები და სხვა სახის ინფორმაცია კომპიუტერზეც ჰქონდეს, საქმეს თავიდანვე უბედური შემთხვევის კლასიფიკაცია მიეცა, ამიტომ ვეღარ მოვითხოვე მისი კომპიუტერის დათვალიერება, ეს ახლაც არ შემიძლია... არ მინდა ისედაც გამწარებულ დედასთან მივიდე და ვუთხრა, რომ შესაძლოა მისი შვილი მოკლეს და ამიტომ მისი კომპიუტერიდან ინფორმაცია მჭირდება, შენ კი გოგას მეგობარი ხარ, იქნებ შესძლო რამენაირად გოგას კომპიუტერთან მოხვედრა? შესაძლოა მართლაც საგულისხმო რამე აღმოვაჩინოთ?

– მესმის თქვენი, მაგრამ მე და გოგა ბოლო წლებში ნაკლებად

ვსტუმრობდით ერთმანეთს, დრო არ გექონდა, ამიტომ არც მე გამოვდგები მეგობრად, თუმცა მის ბიძაშვილს ვიცნობ შორიდან და მას ვთხოვ დახმარებას, თუ რამე გავიგე სასწრაფოდ შეგატყობინებთ! მე ბოლომდე წავალ ბატონო აკაკი და თუ გაირკვა, რომ ბესოა დამნაშავე გოგას სიკვდილში, მე პოლიციას არ დავუცდი, თვითონ გავარკვევ ყველაფერს მასთან!

- _ მე შენი მესმის თენგო! მაგრამ რჩევას მოგცემ: არაფერი არაკანონიერი არ ჩაიდინო გთხოვ! ბოლო დროს ბესოს მისი მამის დაცვის სამსახური დაჰყვება, თვითონაც არ იცის ისე... ალბათ რომ რამე სისულელე არ ჩაიდინოს ისევე, ხომ იცი მამამისი ვინ არის? შესაძლოა შენ აღმოჩნდე წინასწარი დაკავების საკანში!
- _ გმადლობთ ბატონო აკაკი, გავითვალისწინებ! დაგიკავშირდებით როგორც კი რამეს შევიტყობ! ნახვამდის!
- _ კარგად თენგო!

ზურა კი ამ დროს ბესოს ეძებდა, ტელეფონით დაუკავშირდა და დაელაპარაკა, დაემუქრა, რომ თუ მარის კიდევ შეაწუხებდა, მოკლავდა. დაწვრილებით ყველაფრის გასარკვევად პირადად შეხვედრა მოსთხოვა, მაგრამ ბესო გულგრილად შეხვდა მის სიტყვებს და შეხვედრაზეც უარი უთხრა, ისევე გაუმეორა, რომ მარი უყვარდა და ყველაფერს გააკეთებდა მისი სიყვარულის მოსაპოვებლად.

- _ არ მეგონა თუ ასეთი მხდალი იყავი ბესო, რომ შეხვედრის გემინია!
- _ არა არ მეშინი, შეხვედრით კი შეგხვდები, ოღონდ როცა მე ჩავთვლი საჭიროდ, ისე მომიძებნე თუ შესძლებ!
- _ დამპალო! მე უკვე ვიყავი შენთან სახლში და მითხრეს, რომ გამოცდების შემდეგ რამდენიმე დღით დასასვენებლად ხარ წასული! მარისთან ლაპარაკის არ შეგეშინდა და ახლა იმალები?
- _ ეს ჩენმებს ჰგონიათ, რომ დასასვენებლად ვარ, ისე კი ქალაქიდან დან არც გავსულვარ! იცი, ზურა, ბანკეტზე აუცილებლად გნახავ, თუ მანამდე არა!
- _ რამე სისულელეს ჩაიდენ და არ გაცოცხლებ!
- _ მეც მზად ვარ ზურა! დროებით! მომიძებნე თუ შესძლებ, მაგრამ მე უფრო გიპოვი!

თენგომ სკოლაში გაიგო ნონას მისამართი და ტელეფონი. შეხვედრით მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ ადრე, გოგას დაბადების დღეზე, თენგოს იმედი ჰქონდა, რომ ნონას ემახსოვრებოდა.

- _ ალო, გამარჯობათ! ნონა ხართ?

- _ დიახ, თქვენ ვინ ბრძანდებით?
- _ მაპატიე ნონა ასე შეწუხებისთვის, მე თენგო ვარ, გოგას მეგობარი შარშან შევხვდით მის დაბადების დღეზე, იქნებ გახსოვს?
- _ მახსოვს, მაგრამ ნომერი საიდან იცით, ან საერთოდ რა ხდება?
- _ კიდევ ერთხელ პატიებას გთხოვ შეწუხებისთვის, მაგრამ საქმე გოგას სიკვდილს ეხება, შევხვდეთ და ყველაფერს აგისხნი!
- _ აგისხნი!
- _ გოგას სიკვდილი? რა იცი გოგას სიკვდილზე?
- _ შესაძლოა მისი მეგობრის ბესოს ხელი ერიოს ამაში.
- _ რას ამბობ თენგო! ეს ხომ სისულელეა! მე არ ვიცი რა სახის თამაშია ეს, მაგრამ თუ გოგას მეგობარი იყავი მის ხსოვნას მაინც ეცი პატივი!
- _ მოიცადე ნონა გთხოვ! შევხვდეთ ერთმანეთს და მხოლოდ მომისმინე, თუ ჩემი ნათქვამის შემდეგ მაინც სისულელედ ჩათვლი ყველაფერს ამას, მე არ შეგაწუხებ
- _ კარგი, კარგი... არც კი ვიცი... _ დაიბნა ნონა, კარგი, შევხვდეთ შეხვედრისას თენგომ მოკლედ მოუთხრო ნონას გამომძიებლის შესახებ და იმ ექვებზეც რაც მას ჰქონდა, მოუთხრო რედბულის ქილაზეც და სთხოვა გოგას კომპიუტერიდან ინფორმაციის ამოღებაში დახმარებოდა.
- _ და რა სახის ინფორმაცია უნდა მოვძებნოთ? _ ამკარად ღელვა დაეტყო ხმაში ნონას _ არც კი ვიცი რა დავიჯერო, შეუძლებელია ასე იყოს ყველაფერი... თან გოგას ხსოვნას მივაყენებთ მივაყენებთ მის პირად ინფორმაციის ამოქექვით შეურაცხყოფას.
- _ არა, არა, პირიქით ნონა! თუ მართლა ბესოს ბრალია გოგას სიკვდილი, ამისთვის უნდა დაისაჯოს, გამომძიებელს კი აუცილებლად სჭირდება ინფორმაცია მისი კომპიუტერიდან!
- _ კარგი, მე მივალ მის სახლში და გადმოვწერ ყველაფერს...
- _ ეს მყარი დისკია, წაიღე რაც კი იქნება მთლიანად გადმოწერე ამაზე და მერე ჩვენ დავახარისხოთ და მოვძებნოთ, შეეცადე გოგას დედამ არ შეამჩნიოს...
- _ კარგი, იმედია ტყუილად არ ვაკეთებ ამას... დაგირეკავ!
- _ კარგი ნონა, ნახვამდის, გელოდები.

ნონამ მართლაც გადმოწერა გოგას კომპიუტერიდან მთლიანი ინფორმაცია, მან და თენგომ დიდხანს ათვალიერეს, მაგრამ ვერაფერი საგულისხმო ვერ ნახეს, გარდა ერთი საქაღალდისა, რომელსაც პაროლი ედო, საქაღალდეში ერთი ვორდის დოკუმენტი იდო, ერთიც აუდიოფაილი. ეს ფაილები დისკზე ჩაწერეს და თენგომ გამომძიებელს წაუღო

– ეს ფაილებია სანახავი ბატონო აკაკი, სხვას ვერაფერს მივაგენი
ნი, მათი გახსნა ვერ შევძელი, იქნებ თქვენთან ნახონ, ოღონდ
გთხოვთ, თუ გაიხსნება, მეს მინდა ვნახო რა იქნება შიგ ჩაწერილი
– რა თქმა უნდა თენგო, გპირდები, ერთ ასლს ჩაგიწერ და დაგიბრუ-
ნებ! მაძლობა!

გამომძიებელმა თენგოსგან მიღებული ფაილები შინაგან საქმეთა
სამინისტროს ანალიტიკურ დეპარტამენტში მიიტანა, სადაც ნაცნობი
ჰყავდა.

– გურამ ეს ფაილები ძალიან მჭირდება, რაც შეიძლება მალე უნდა
უნდა ვნახო მათი შგთავსი!

– კარგი, აკაკი, დავიტოვებ და ვნახავ, შევეცდები საღამომდე გავაკე-
თო ყველაფერი.

– ძალიან დამავალებ!

მეორე დილით უკვე გახსნილი ფაილები ჰქონდა გამომძიებელს, ვორდის
ფაილებში ნანახმა ინფორმაციამ გააოგნა გამომძიებელი. გოგას მთლიანად
და დაწვრილებით ჰქონდა აღწერილი ზურასა და ბესოს დაპირისპირების
დასაწყისი, მიზეზი, დეტალურად იყო ჩამოწერილი რას აკეთებდა ბესო
ზურასა და მარის დასაშორებლად, როგორ მოწამლა ზურა სტადიონზე,
როგორ ჩაუდო მას ნარკოტიკი, როგორ ემუქრებოდა ის თვითონ გოგასაც,
თუ დახმარებას არ გაუწევდა. “თუ მე რამე შემემთხვა მიზეზი ბესოსთან
უნდა ეძებოს ყველამ, აუდიოფაილი ყველაფერს უფრო დაწვრილებით
აღწერს, თუმცა იმ სისაძაგლის მიუხედავად, რასაც ბესო აკეთებს მაინც
მეცოდება და შევეცდები რამენაირად ხელი ავალეზინო მარიზე, თუ ეს ვერ
მოვახერხე ის ყველაფერზეა წამსვლელი წამსვლელი” – ასეთი იყო ერთ
ერთი ფრაზა გოგას ჩანაწერებში “იძულებული ვარ ბესოს ჩანაწერი
მოვასმენინო და დავემუქრო, რომ თუ არ დაანებებს ზურასა და მარის თავს,
ამ საუბრის ჩანაწერს ინტერნეტით გავავრცელებ...” – ეწერა ბოლოს.
აუდიოფაილის მოსმენის შემდეგ გამომძიებლისათვის ნათელი გახდა
ყველაფერი. არსებული ინფორმაციიდან ირკვეოდა, რომ ბესოს საკმარისი
მიზეზი ჰქონდა გოგას მოსაკლავად: გოგას მხარდაჭერა ზურასთვის და რაც
მთავარია გოგას მხრიდან შანტაჟი, აკაკის აზრით საკმაო მიზეზი იყო
მკვლელობისთვის, მაგრამ ამის დასადგენად საქმის ხელმეორედ აღძვრა
იყო აუცილებელი. მთელი საღამო უფროსის სახელზე პატაკის წერას
მოანდომა დაწვრილებით აღწერა მოპოვებული ინფორმაცია და თან თავისი
პროფესიული მოსაზრებებიც დაურთო, საქალაქში პატაკთან ერთად
დისკზე ჩაწერილი ფაილებიც ჩადო და აღნიშნული მასალა მეორე დილით

განყოფილების უფროსის სამდივნოში დატოვა. სულ მალე პოლიციის განყოფილების უფროსმა დაიბარა.

– გამარჯობა აკაკი! იქნებ ამიხსნა, რატომ ითხოვ ამ საქმის თავიდან დან აღძვრას?

– როგორ, მე ხომ დაწვრილებით წარმოვადგინე პატაკში...

– რა წარმოადგინე? _ ხმაში გაღიზიანება დაეტყო უფროსს _ რომ ორი ლაწირაკის იდიოტური საუბრის ჩანაწერის გამო და რაღაც დღიურის ნაგლეჯების საფუძველზე სისხლის სამართლის საქმე აღიძვრას, ამას მთხოვ?

– ვფიქრობ საკმარისი მასალა გვაქვს, ვივარაუდოთ...

– აი ზუსტად: ვივარაუდოთ! სხვა არაფერია და მარტო ვარაუდის საფუძველზე საქმეს ვერ აღძვრავ თან უკვე დახურულს... რა სამხილები გაქვს? აბსოლიტურად ყველა მოწმე იმ საქმეში გვიჩვენებს, რომ... რა ჰქვია იმას? _ უფროსმა საქალაქდეს ჩახედა და _ ჰო, ბესო ცდილობდა გადაერჩინა მეგობარი და თვითონაც გადავარდებოდა, მხოლოდ იმიტომ გადარჩა, მიუსწრეს და ფეხებით ამოათრიეს, იქნებ თვითმკვლელობაც შედიოდა მის, ასე ვთქვათ გეგმაში, როგორც შენ წერ?

– ეს მართალია, მაგრამ ჩვენ არ ვიცით რა გარემოებაში გადავარდა მისი მეგობარი, ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ერთი მეორეს აშანტაჟებდა ჩემი აზრით ეს საკმარისია დანაშაულის ჩასადენად მითუმეტეს რომ ყველა მისი კლასელი და ნაცნობი ბესოს უარყოფითად ახასიათებს: გულჩახვეული, ღრძო, ბოროტი, გულგრილი _ ამ სიტყვებით აღწერენ მას _ აკაკის უკვე მოთმინება ელეოდა და ხმას აუწია უნებურად.

– შენი ვარაუდის მეტი აქ არაფერია! _ დაიყვირა უფროსმაც _ ვფიქრობ უბრალოდ ამოიჩემე ის ბიჭი, იქნებ მართლა ცდილობდა მეგობრის გადარჩენას მიუხედავად დაპირისპირებისა? იცი საერთოდ მამაისი ვინ არის? მისი ერთი სატელეფონო ზარი იქნება საჭირო სამინისტროში და ორივეს სამსახურიდან გაგვყრიან!

– ეხლა ვხვდები საქმის არაღმრვის ნამდვილ მიზეზს _ მწარედ ჩაიცინა აკაკიმ _ დაღუპული ბიჭის გამწარებულ დედას რა პასუხი უნდა მივცეთ? ერთი პერიოდი ყოველდღე მოდიოდა ჩემთან საქმის დეტალები აინტერესებდა, ალბათ დედის გული გრძნობდა რომ მისი შვილი უბედური შემთხვევის მსხვერპლი არ იყო...

– სისულელეებს ამბობ! ღოდოდან გახდი ასეთი გულჩვილი? მითუმეტეს, კიდევ ვიმეორებ: არანაირად არ მტკიცდება შენი

ვერსია მკვლევლობაზე, არც ფაქტებია და არც სამხილო

– მომეცი თუ უფლება საქმე აღვძრა და განმეორებით დავკითხო ყველა მოწმე და ექვმიტანილი. დარწმუნებული ვარ ავალაპარაკებ!

– არანაირი ექვმიტანილი და არანაირი საქმე არ არსებობს! აქ, ამ პატაკში სისულელეებია მხოლოდ... რანაირად უნდა დავიჯერო, რომ სკოლის მოსწავლე ახერხებს თავისი კლასელის მოწამლვას შემდეგ მის ჯიბეში ნარკოტიკსაც დებს და რაც აქ ყველზე საინტერესოა: პოლიციელებთან ერთად შეთქმულებას აწყობს იმ ვიღაც ზურას დასაჭერად! ამ სისულელეს არავინ დაიჯერებს საქმე არ აღიძვრება! ეს ჩემი ბოლო სიტყვაა!

– ეს ბიჭი, რომელსაც ასე ძალიან იცავთ მამამისის ხათრით თუ შიშით, კიდევ ბევრ ადამიანს გაამწარებს, თუ არ შევაჩერეთ. შევისწავლე მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი: აგრესია, სოციო-პატიური მიდრეკილებები... და თან ამას ისიც მიემატა, რომ ბოლო დროს ტრანკვილიზატორებს და სტეროიდებს იღებს დიდი რაოდენობით! გარწმუნებთ, ის არ შეჩერდება და თუ ჩემი ვარაუდი გამართლდა და მხოლოდ წვრილმანისთვის გაიმეტა სასიკვდილოდ მეგობარი, მაშინ საფრთხე მის მეორე მეგობარს ზურას და იმ გოგონასაც ემუქრებათ! არავინ იცის რას ჩაიდენს!

– ან საერთოდ არაფერს ჩაიდენს, ესეც ხომ ვარიანტია? და აკაკი, საიდან იცი, რომ ტრანკვილიზატორებს მოიხმარს?

– ვუთვალთვალეზბდი, მთელი ქალაქის აფთიაქები მოიარა...

– უთვალთვალეზბდი ჩემი მითითების ან სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე? შენ მართლა გაგიყვებულხარ! ამდენი წლის სამსახურს და კარიერას დარტყმის ქვეშ აყენებ... და რისთვის? მოვრჩეთ ამაზე საუბარს აკაკი! ძველი დამსახურებების და ჩვენი ჩვენი მეგობრობის ხორით შენზე გენერალურ ინსპექციას არ შევატყობინებ, უკანონო თვალთვალის გამო!

გამომძიებელი მიხვდა, უაზრობა იყო კამათის გაგრძელება, ხელი უიმედოდ ჩაიქნია, წყნარად დაემშვიდობა უფროსს და უხმოდ გავიდა კაბინეტიდან. განყოფილების უფროსი ერთხანს ჩუმად იჯდა, შემდეგ კიდევ ერთხელ გადაათვალიერა საქალაქო, ტელეფონის ყურმილი აიღო და ნომერი აკრიფა

– გამარჯობა ანზორ! შენთვის ინფორმაცია მაქვს... ვფიქრობ შენს უფროსს დააინტერესებს...

ბანკეტის დღე ახლოვდებოდა, სკოლაში ყველა სიხარულით ელოდა ამას. თუმცა მარის ცხოვრებაში ბესოს მოულოდნელმა, უხეშმა ჩარევამ

შეყვარებულების იდილია დაარღვია, მაგრამ ნაწილობრივ მარის თხოვნით და ნაწილობრივ იმის გამო, რომ ბესო უარს ამბობდა ზურასთან შეხვედრაზე, ზურამაც დროებით გადაიფიქრა მასთ ან “გარჩევის” მოწყობა და მისი დასჯა, გადაწყვიტეს ყურადღება არ მიექციათ ბესოს სულელური გამოხტომებისთვის და სრულიად დავეიწყებინათ მისი არსებობა. აი ახლაც, ზურა და მარი კაფეში ისხდნენ, ყავას სვამდნენ, მშვიდ სასიამოვნო მუსიკას უსმენდნენ და როგორც ყოველთვის სიყვარულით შესცქეროდნენ ერთმანეთს.

– რატომ წამოვედით აქ? შენ მითხარი რომ რომანტიკული სიურპრიზი გქონდა მომზადებული, მოუთლმენლად გელი!

ზურამ ხელის თითებით ლოყაზე მიუალერსა, გაუღიმა, თითქოს რაღაცნაირ უხერხულობასაც გრძნობდა, წამით მარის თვალი მოსწყვიტა და შუშის ვიტრაჟისკენ გადაიტანა მზერა, გარეთ მანქანები დაქროდნენ და ხეებიც ოდნავ ირხეოდნენ ნიავისგან...

– მარი, მე შენ მიყვარხარ და ყოველთვის მეყვარები! სიცოცხლის ბოლომდე _მარის გამორჩეულად სიყვარულითა და სითბოთი სავსე იქვენა ზურას ხმა

– მინდოდა აქ, მარტო როცა ვიქნებოდით, მაშინ გამეკეთებინა ეს...

ზურამ ჯიბიდან ხვედრდადაკრული პატარა კოლოფი ამოიღო და ნაზად დადო შუშის მაგიდაზე, ნელა მიაცურა მარისკენ. მარის გული აუჩქარდა მღელვარებისგან, სიხარულით და ცნობისმოყვარეობით დახედა კოლოფს, ხელში აიღო და ფრთხილად გახსნა. ბედნიერების სხივები აციმციმდნენ მის სახეზე, თვალები კი სიხარულის ცრემლებით აელვარდნენ

– ზურა ეს ხომ... ეს ხომ ბეჭედი! საქორწინო ბეჭედი!

– კი ძვირფასო! ეს შენთვის, შენს მიმართ უსაზღვრო და სამუდამო სიყვარულის სიმბოლო იყოს! ჩავთვალოთ რომ დანიშნულები ვართ!

– მიყვარხარ ზურა, ძალიან მიყვარხარ! _ მარიმ ბეჭედი თითზე მოირგო _ რა ლამაზია! მიყვარხარ ზურა! _ ამ სიტყვებით ხელები კისერზე მოჰხვია და თავი მკერდზე მიადო.

– სახლში ჯერ არ იციან ბეჭედის შესახებ, მინდა ბანკეტზე გამოვაცხადო ჩვენი დანიშვნის შესახებ!

– ძალიან ბედნიერი ვარ ზურა, ძალიან! _ ჩურჩულებდა მარი.

მიმტანმა ჟოლოსფერი, გულის ფორმის პატარა ტორტი მოართვა ზურას და მარის და მათ მაგიდაზე დადგა.

– ეს თქვენ _ გაუღიმა შეყვარებულებს და გაბრუნდა. მარიმ ტორტს დახედა “სიყვარულით” ეწერა მას ზემოდან

– რა რომანტიკული და საყვარელი ხარ ზურა! თან ჟოლოს ჟელეთია

დაფარაული! ალბათ გახსოვს, რომ ძალიან მიყვარს არა?

სიხარულით შესცინა მარიმ ზურას.

ზურა დაბნეული უყურებდა ტორტს, კაფეს თვალი მოავლო, ნაცნობი ვერავინ დაინახა და ღიმილით მოუბრუნდა მარის

_ არა მარი, ეს მე არ შემიკვებია, არც კი ვიცი ვინ... ახლავე

გავარკვევ _ ზურამ ხელის დაქნევით მოიხმო მიმტანი

_ უკაცრავად, ეს ვინ გამოგზავნა?

_ ახალგაზრდა ბიჭი იყო ახლახანს, ფული გადაიხადა და გვთხოვა თქვენთვის მოგვერთმია!

_ გმადლობთ! ალბათ ვინმე ნაცნობი...

ზურას სიტყვა მარის მობილურის ზუმერმა შეაწყვეტინა. მარი გაოცებული უმზერდა ზურას, შემდეგ მობილური აიღო და დახედა, იმავე წამს ეცვალა ფერი და გაფითრდა, თვალებშიც უმალ ჩაუქრა სიხარულის სხივი.

_ ეს, ბესო რეკავს...

ზურამ ყელში მობჯენილი ბრაზი დაიოკა და მარის მშვიდად გაუღიმა

_ არაფერია, უპასუხე!

_ ალო, გისმენ ბესო... _ ხმა აუთრთოლდა მარის

_ როგორ ხარ მარი? მოგეწონა ჩემი საჩუქარი? მაგ კაბაში ძალიან ლამაზი ხარ! ახლაც ვხედავდი რა ბედნიერი სახე გქონდა, წუთის წუთის წინ... მე კი თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ!

_ რა გინდა ბესო... გთხოვ დაგვანებე თავი, ჩვენ ხომ ვილაპარაკეთ ამაზე... _ მარი ცრემლებს ყლაპავდა

_ არა, მარი, არა, არ ატირდე გთხოვ, თუმცა ცრემლებიც გამშვენებს

_ შენ... შენ... გვითვალთვალებ? მარიმ შიშით გაიხედა გარეთ შუშის ვიტრაჟიდან და მზერა ზურაზე გადაიტანა _ რა გინდა ბესო, რატომ მტანჯავ! _ ზურამ სცადა ტელეფონი გამოერთმია მარისთვის მაგრამ მან არ დაანება

_ მიყვარხარ მარი და მინდა რომ შენც შემიყვარო! ისე, ხომ არ შემეშალა? მგონი ჟოლოს ნამცხვარი გიყვარს... ისე ბეჭედიც ძალიან ლამაზია, მარი...

_ არა, არა, არა! _ ცრემლები დაპალუპით ჩამოუვიდა სახეზე მარის. ზურამ თავი ველარ შეიკავა, ტელეფონი გამოსტაცა მარის, წამოხტა და მთელი ხმით ჩაპყვირა

_ სად ხარ შე დამპალო! ეხლავე გამოვალ და დამხვდი! ღორივით გამოგჭრი ყელს შენი! მე ხომ გაგაფრთხილე, რომ მარისთვის

თავი დაგენებებინა? აი ამას, რაც ეხლა გააკეთე, არ გაპატიებ!

_ შენ არ შეგეკითხები რას გავაკეთებ და რას არა! მეც გითხარი,

რომ ყველაფერს გავაკეთებ იმის მისაღწევად რაც მინდა, შენ კი დაიცავი შენი სიყვარული, თუ შესძლებ!

– შენ ვერაფერს მიაღწევ შე არაკაცო, იმიტომ რომ მკვდარი ხარ უკვე, გესმის! ხვალ შევხვდეთ ერთმანეთს, თუ შენი მხდალი გული მოგცემს ამის საშუალებას და საბოლოოდ გავარკვიოთ ყველაფერი!

– როგორც გინდა და სადაც გინდა!

– პარკში, ხვალ დილით!

ზურამ მიიხედ-მიიხედდა, ყველა გაკვირვებული უყურებდა მას.

– ყველას ბოდიშს მოგიხდით! მაპატიეთ! – ყველას გასაგონად თქვა ზურამ, შემდეგ მაგიდასთან დაბრუნდა და აცრემლებულ მარის ხელი მოჰხვია

– ნუ იტირებ მარი გთხოვ! სასტიკად დავსჯი ამ დღის ჩაშხამებისთვის და ამ უაზრო თავხედობისთვის, ისე გავუსწორდები, შენი სახელიც დაივიწყოს სამუდამოდ! გპირდები, არ ვაპატიებ!

– არ გინდა ზურა, მე მეშინია რამე საშინელი არ მოხდეს!

– შენ ნუ იღარდებ ამაზე ძვირფასო! თუ სასტიკი და მკაცრი პასუხი არ მიიღო, ბესო არასდროს შეგვეშვება! ხვალ გაიგებს როგორ უნდა სხვისი თვალთვალი! ხვალ საბოლოოდ წავშლი მას ჩვენი ცხოვრებიდან! შენ რამე სასიამოვნოზე იფიქრე მარი, ჩათვალე, რომ ბესო აღარ არსებობს, მალე ბანკეტის დღეც დადგება და ყველას შევატყობინებთ, რომ დანიშნულები ვართ!

მარამ ცრემლები მოიწმინდა, მაგრამ მაინც შემცივნებულ ბელურასავით ცახცახებდა, თუმცა ზურას ალერსიანი სიტყვები ნელ-ნელა უბრუნებდნენ სიმშვიდეს.

იმ საღამოს ბესო მართლაც უთვალთვალებდა მარის და ზურას. თავიდან მარის ელოდებოდა მის სახლთან, უნდოდა ისევ გასაუბრებოდა და აეხსნა ყველაფერი, მაგრამ ვერ შესძლო, რადგან მარის ზურამ გამოუარა და ერთად გამოვიდნენ გარეთ. ბესომ ჩუმად შეიგინა ზურას დანახვისას, შემდეგ დურბინდი აიღო და შეყვარებულებს გახედა, ერთხანს შორიდან ათვალიერებდა მათ მხიარულ სახეებს, შემდეგ მოშორებით გაჰყვა მათ მანქანით და მოგვიანებით, უკვე კაფეში განაგრძო მათი თვალთვალი. ერთხანს დურბინდს ჩაჰყურებდა, შემდეგ თითქოს რაღაც გაახსენდა, თვითონაც შევიდა კაფეში შეუმჩნეველად, მიმტანს ფული დაუდო წინ და რაღაც უჩურჩულა, შემდეგ კი ისევე შეუმჩნეველად გავიდა გარეთ და მანქანაში დურბინდს დაუბრუნდა. შიმწრისგან დაბოლმისგან თვალები ჩაუსისხლიანდა, ზურას მირთმეული ბეჭედის დანახვისას, მაგრამ როცა მის მიერ შეკვეთილი ნამცხვარი მიიტანეს მათ მაგიდასთან და მარის თვალებზე

ცრემლები შეამჩნია, თითქოს სასიამოვნო იმპულსმა გაუარა გულში, უაზროდ, ცივად ახარხარდა... თან დურბინდს არ აცილებდა თვალს... შემდეგ ტელეფონი აიღო... ზურას ყვირილი... მუქარა... შეხვედრის დათქმული ადგილი და დრო... “ჯერ სად ხართ! გაიფიქრა ბესომ, როცა მობილური გამორთო “შენ კი ხვალ გაგცემ პასუხს! ვნახოთ რა შეგიძლია! ჯერ კიდევ საკითხავია ვინ ვის გამოჭრის ყელს!” ბესომ პლასტმასის ფლაკონიდან ორი აბი ამოიღო და გადაყლაპა, რამდენიმე წუთი ასევე დარჩა მანქანაში, ხრიალით ამოისუნთქა და თვალები ზევით აუტრიალდა... იგრძნო დამამშვიდებლების მოქმედება, მანქანა დაქოქა და კაფეს მოშორდა.

ზურა და მარი მალე გამოვიდნენ კაფედან, მარი შედარებით დამშვიდებული იყო. ზურამ ტაქსის გაჩერება დააპირა, მაგრამ მარიმ შეაჩერა

– არა ზურა, ჯერ არ მინდა სახლში მისვლა, გავისეირნოთ, შენი სიახლოვე მამშვიდებს... გთხოვ...

– კარგი ძვირფასო! მე მაპატიე დღევანდელის გამო... ალბათ ჩემი სისუსტის ბრალია! თავიდანვე სასტიკად უნდა დამესაჯა და ჭკუა მესწავლებინა ბესოსთვის! მე კი მას მეგობრად ვთვლიდი! ხვალ საბოლოოდ დაესმება წერტილი მის უაზრო საქციელს!

– არა ზურა, მაინც არ მინდა რომ იჩხუბოთ, გული რაღაცას, ცუდს მიგრძნობს... შენ რატომ მიხდი ბოდიშს? ჩემთვის ეს დაუვიწყარი საღამო იყო! – მარიმ ხელზე დაიხედა, ნაჩუქარი ბეჭედი ლამაზად ბრწყინავდა ლამპიონების შუქზე – დღეს ძალიან ბედნიერი ვარ ზურა და ამას ვერავინ და ვერაფერი ვერ შეცვლის... ეს შენ მაპატიე, რომ ჩემი ტირილით და ცრემლებით შენც გაგიფუჭე საღამო!

– რას ამბობ მარი! მე ყველაფერი მიყვარს შენში, თუნდაც ცრემლები იყოს, მაგრამ შენი ცრემლებისთვის ვილაც სასტიკად დაისჯება სიტყვას გაძღვე!

– არ გინდა ზურა, გთხოვ! მალე ეს ყველაფერი წარსული იქნება

– ყველაფერი კარგად იქნება ძვირფასო! აი შენს ეზომდეც მოვედით დით, მგონი მამაშენიც ეზოშია... კარგი იქნება, თუ უხასიათობას არ შეგვატყობს... ჩემი ბრალია!

– მე კარგად ვარ ზურა! შენს გვერდით ნებისმიერი საფრთხე წვრილმანია! ოჰ, ბეჭედს მოვიხსნი, არ მინდა მამამ დაინახოს, მერე ვეტყვი, როცა ოფიციალურად გამოვაცხადებთ ჩვენს შესახებ. მიყვარხარ!

მარის მამამ შეამჩნია ზურა და მარი, მათთან მივიდა, ზურას თბილად გაუღიმა

_ აი ისევ სახლამდე მოაცილე ჩემი გოგონა! _ მარის შუბლზე აკოცა მამამ _ ზურა, შენი იმედი ყოველთვის გვექონდა და გვაქვს, ჩემი ჩემი შვილი შემიძლია მთელი არსებით განდო, ვიცი მას არასდროს აწყენინებ!

_ მარიზე ზრუნვა და მისი მოფრთხილება ჩემი ვალია ბატონო მამუკა! და ყოველთვის ასე იქნება!

ზურა მარისა და მამაის დავემზვიდობა და ეზოდანვე გაბრუნდა უკან. მარი მართლაც დამშვიდებულიყო, მხიარული საუბრით აჰყვა მამას სახლამდე, მაგრამ ფიქრები მაინც არ შორდებოდნენ: “ხვალ ზურა აუცილებლად ნახავს ბესოს, ღმერთო, ნეტავ ყველაფერი კარგად იყოს...”

ბესო ადრე მივიდა სახლში, მანქანა გარაჟში გააჩერა და სახლში შევიდა. პირველ სართულზე სიჩუმე იყო

_ დედა! _ დაიძახა მან. არავინ უპასუხა. ბესო ნელა გაემართა თავის ოთახისკენ, კიბეები აიარა, ოთახის კარები ღია იყო.

_ აქ რას აკეთებ? რამე მოხდა? _ გაოცებით იკითხა ბესომ, როცა მის მაგიდასთან მჯდარი დედა დაინახა

_ ბესო, არ გინდა ვილაპარაკოთ? _ სერიოზული ხმით ჰკითხა დედამ

_ რაზე? სად ჩავაბარო, თუ საზღვარგარეთ რომელი კოლეჯი ავირჩიო? ამაზე ხომ გითხარით არა-მეთქი! არსად არ წავალ.

დედა წამოდგა, მაგიდიდან ფურცლები აიღო. ბესომ მაშინვე იცნო გოგას დღიურის ფრაგმენტები

_ ეს შენს უჯრაში ვნახე ბესო! ბევრი რამე წერია აქ შენზე... არ ვიცოდი, თუ ასეთი შვილი მყავდა... შენ ყველაფერს ამას, რაც აქ წერია, მართლა აკეთებდი?

ბესო ჯერ გაფითრდა, მაგრამ უმაღვე დაიოკა ბრაზი, მშვიდად მივიდა მაგიდასთან და გოგას დღიურის ფურცლები აიღო. გულგრილად გადაათვალიერა

_ ვაკეთებდი, მერე რა? _ უხეზად მიმართა დედას _ და საერთოდ როდიდან იქექებით ჩემს ნივთებში?

_ დღეიდან... უფრო სწორედ იმ დღიდან, რაც შენი “გმირობების” შესახებ საბუთები და შენი და გოგას საუბრის ჩანაწერი პოლიციაში მოხვდა _ დედამ მოზრდილი საქალაღდე აჩვენა, რომელიც ჟურნალების მაგიდაზე დაედო

_ რა სისულელეა! რა პოლიცია? სულ გაგიჟდით?

_ თვითონ ნახე! ეს ანზორმა მოიტანა პოლიციიდან. შენი ბედი,

რომ ბევრი ნაცნობები ჰყავს იქ... პოლიციის ერთ-ერთი გამომძიებლის აზრით აქ საკმარისი მასალებია, რომ საწყალი გოგას სიკვდილის გამო საქმე მეორედ აღძრან... მე დედა ვარ და ვერ გიმეტებ შვილო... ვერ გიმეტებ დასასჯელად, თუმცა ამას სამართლიანობა მოითხოვს... ან შენ როგორ გძინავს ღამით? სინდისი საერთოდ არ გაწუხებს?

ბესომ ნერვულად გაიცინა, საქალაქო აილო, ერთხანს კითხულობდა, შემდეგ პარკი აიღო, რომელსაც “ნივთმტკიცება” ეწერა და შიგ სიდი დისკი იღო, პარკს პლომბი ჰქონდა მოძვრალი და გახსნილი იყო. ბესომ დედას გახედა

– მე უკვე მოვისმინე, ადრე მეგონა, რომ გოგა ჩხუბის დროს შემთხვევით, ცხელ გულზე გაიმეტე სასიკვდილოდ... ახლა ნამდვილად ვიცი ეს ცივად, წინასწარ გამიზნულად და სასტიკად გააკეთე! რამდენ ხანს უნდა მალო ეს საიდუმლო? უკვე ვშიშობ კიდევ რამე სისულელე არ ჩაიდინო!

– არა დედა! მე ამ ნაჯღაბნების არ მეშინია! და ამ სულელური ჩანაწერით ვერაფერს დამიმტკიცებენ!

– კარგი შვილო... – დედის ხმაში უდიდესი ნაღველი და იმედაცრუება შეამჩნია ბესომ – როგორც გინდა, მაგრამ მე ერთს გეტყვი: მეგონა, რომ თავხედი და თავნება შვილი არ გამიზრდია, ალბათ ალბათ მწარედ შევცდი და ღირსიც ვარ ამის... მშობლების მიმართ რომ პატივისცემა საერთოდ აღარ გაქვს ეს დიდი ხანია ვიცი, მაგრამ ასეთი სასტიკი და დაუნდობელი არ მეგონე! ვერ ვიჯერებ, რომ რომ ჩემი შვილი საუკეთესო მეგობრის მკვლელია! საერთოდ არ შემოგრჩა ადამიანობა ბესო! მართლა არ გაწუხებს სინდისი?

– მორჩი რა! რა ლექციებს მიკითხავ? არ მინდა შენი მოსმენა! ეს ნაგავი წაიღე და მარტო დამტოვე! – ბესომ ისევ ყურნალების მაგიდაზე მიაგდო საქალაქო. დედამ უხმოდ აილო საქალაქო და კარებისკენ წავიდა. წასვლის წინ შეჩერდა, შვილისკენ მობრუნდა

– მორჩა! მე მამაშენს დაჟინებით მოვთხოვ, რომ სადმე საზღვარგარეთ გაგაგზავნოს სასწავლებლად! ერთი, ორი ან რამდენიმე წლით! არ მინდა აქ უარესი რამ ჩაიდინო! იქნებ დრომ სალად აზროვნების უნარი მაინც დაგიბრუნოს, მაგრამ ვაი, რომ ადამიანობას ვერ დაგიბრუნებს!

– არა, არა! მე არსად არ წავალ! თუ დავიწყე მარის სიყვარულისთვის ბოლომდე ვიბრძოლებ! ნებისმიერი მეთოდით! მე ჩემსას მაინც მივაღწევ და თქვენ ვერ შემაჩერებთ!

– ეჰ, ბესო, არ შეიძლება სხვის უბედურებაზე და მითუმეტეს სიკვდილზე საკუთარი ბედნიერების აგება! მორჩა! მამაშენი მიიღებს გადაწყვეტილებას საზღვარგარეთ შენი გაგზავნის თაობაზე და ვიცი, შენ წინააღმდეგ ვერ წახვალ! – ბოლო სიტყვები სასტიკი კი სიმკაცრით წარმოთქვა დედამ და კარები გაიხურა.

ბესოს სიბრაზის ცეცხლი მოედო. იცოდა, თუ მამამისი მოინდომებდა მართლაც მოაშორებდა აქაურობას და მაშინ, ვეღარ შესძლებდა თავისი სურვილისა თუ ახირების ასრულებას. ერთხანს გამწარებული იკვნეტდა ფრჩხილებს, ბოლთას სცემდა ოთახში, ისევ წამლის აბებს მიმართა, გრძნობდა რომ უკვე დიდ დოზას იღებდა, მაგრამ ერთი და ორი აბი აღარ შველოდნენ. ცოტა ხანში მართლაც იგრძნო შედარებითი სიმშვიდე. ტანსაცმლიანად მიეგდო ლოგინზე “მე მექნება მარის სიყვარული! ნებით ან ძალით! და თუ მაინც არა, მაშინ არც სხვას დარჩება მისი გული და გრძნობები!” – ასეთი ფიქრებით, შუშისებური თვალებით შესცქეროდა ჭერს... დილით მობილურის ზარმა გამოაღვიძა, თავი წამოსწია, ხელი მოაფათურა ლოგინზე და მობილური აიღო.

– გისმენ!

– ზურა ვარ, გელოდები! – თითქოს მიძინებული ვულკანი ჩაბუდებულიყო ზურას ხმაში. ბესო მაშინვე წამოჯდა, ყველაფერი გაიაზრა მიხვდა, რომ გადამწყვეტი მომენტი დგებოდა

– სად? – იკითხა მან

– პარკში გელოდები! დაგავიწყდა? მოხვალ?

– მოვალ? შეურაცხყოფას მაყენებ ამ კითხვით – ჩაიცინა ბესომ

– მაშინ დროებით!

– დროებით, დროებით, დროებით... – ჩაილაპარაკა ბესომ და წასასვლელად მოემზადა. ზურა პარკში ელოდებოდა, უხასიათოდ იყო, გუშინდელი საღამოსა და მარის ცრემლების გამო ბრაზი ჯერ არ განელებოდა, მთელი ღამე არ ეძინა, ახლაც მოუთმენლად ელოდა მეტოქის მოსვლას რათა საბოლოოდ გაერკვიათ ურთიეთობა, ერთხელ და სამუდამოდ გაემიჯნა ბესო მარისგან. დარწმუნებული იყო, რომ რითაც არ უნდა დამთავრებულიყო დღევანდელი შეხვედრა, ბესო მარის სიმშვიდეს ვეღარ დაარღვევდა, ვეღარ გაბედავდა მათი სიყვარულისთვის ხელის შეშლას.

– გამარჯობა! – ცივად თქვა ბესომ და ზურას გასაკვირად მის გვერდით ჩამოჯდა

– გამარჯობა!

– გისმენ, რამე გაქვს სათქმელი?

_ რაა? მე მაქვს სათქმელი? მე კი არა შენ უნდა ამიხსნა ბევრი რამ! _ უხეშად მიმართა ზურამ და გამომწვევად, ჯიქურად შეხედა თვალებში.

_ მაინც რა? _ სარკაზმით სავსე ხმით ჰკითხა ბესომ

_ რატომ გვითვალთვალებ? შენ ნამდვილად ვიღაცაში გეშლები ბიჭო! _ გზა მისცა გულში ჩაგუბებულ ბრაზს ზურამ.

_ არა, არ მემლება და არც შენი მემინია! ტყუილად იღრინები!

ზურამ ხელები მომუშტა, მაგრამ თავი შეიკავა და მაინც შესძლო შეკითხვა:

_ კარგი! ვაჟკაცურად გკითხავ და ვაჟკაცურად მიპასუხე თუ შესძლებ! რატომ არ ეშვები მარის? ხომ იცი რომ მე მიყვარს? შენი იდიოტური გამოხტომებით რისი მიღწევა გინდა?

_ მარი მეც მიყვარს და მისი სიყვარულისთვის ყველაფერზე ვარ წამსვლელი!

_ საბოლოოდ გაფრთხილებ, ან მარის შეეშვები ან ციოცხალი ვერ გადამირჩები!

_ შენ სხვა ვინმე შეაშინე! მე არასდროს შევეგუები აზრს, რომ მარი და შენ ერთად უნდა იყოს! მარი ადრე თუ გვიან ჩემი იქნება! ნებით ან ძალით!

ზურა წამოხტა, ფეხი ჩაარტყა მჯდომარე ბესოს და როდესაც ის სიმწრისგან მოიკეცა, ორივე ხელი საყელოში წაავლო და ხელის კვრით მიწაზე დაანარცხა. ბესო ხველებით წამოდგა, გადაიხარხარა დარტყმის მოსაგერიებლად მოემზადა თან უდიერად უღიმოდა ზურას

_ იცი, ზურა, სიყვარული არც ისე მნიშვნელოვანია! მთავარია მარი იყოს ჩემი... ჩემი შეყვარებული ერქვას! ჩემის სიყვარული ან თუნდაც ჩემი ცოლი!

ზურას მეორედ მოქნეულ, ფეხით დარტყმას ბესომ ხელი აუკრა, აიცილა, მაგრამ მაშინვე გაშლილი ხელი შემოარტყა ზურამ სახეში. ბესო უკან გადაქანდა, მაგრამ არ წაქცეულა, თვალი შეასწრო ზურას განმეორებით მოქნეულ ხელს და თავი დახარა. ზურამ დარტყმა ააცილა და თვითონაც ინერციით შემოტრიალდა, გვერდულად აღმოჩნდა ბესოს წინ. ამით ბესომ ისარგებლა, მარცხენა მუშტი თირკმელებში ჩაარტყა და შემდეგ მარჯვენა ხორხში დაარტყა ზურამ უკან დაიხია ხველებით, წელში მოიხარა. ბესომ გამეტებით აიქნია ფეხი, უნდოდა სახეში ამოერთყა ქვემოდან, მაგრამ ზურამ მისი ფეხი ხელში მოიქცია, უმაღლვე მეორე ფეხი მის ზურგს უკან, მეორე ფეხის გვერდით ჩადგა და თავისუფალი ხელი მხარში დაარტყა. ბესო მთელი ზურგით დაენარცხა მიწას. ზურა ზევიდან მოექცა და გამეტებით ჩაარტყა რამდენჯერმე სახეში. ბესოს ტუჩი გაუსკდა, დაიღრიალა, ძალა

მოიკრიბა, ორივე ხელით ზურა ოდნავ ასწია და ქვემოდან ზევით თავი დაარტყა სახეში. ზურამ დაიგმინა, ხელი აიფარა ცხვირზე და უკან გადავარდა, მაგრამ მაშინვე წამოდგა. წამით შეჩერდნენ, თვალეზში ბოღმა და ზიზღი უკრთოდათ, ისევ გამეტებით ეცნენ ერთმანეთს, არაფერს იმზურებდნენ დასარტყმელად: ხელს, ფეხს, იდაყვს, მუხლს, თავს... ორივეს გაუსისხლიანდა სახე. ბოლოს ზურას მოქნეული მუშტი ნიკაპში მოხვდა ქვემოდან ბესოს, ისევ ზურგით დაეცა მიწაზე და სახეზე ხელები აიფარა, წამოდგომა სცადა, მაგრამ გაბრუებულმა ჩაიჩოქა და ხელებით მიწას დაეყრდნო. ზურა რატომღაც არ ურტყამდა, თვითონაც მძიმედ სუნთქავდა და ზევით უყურებდა წაქცეულს. ბესო ისევ წამოიწია, ჯერ მუხლებზე, შემდეგ წელშიც გაიმართა, პირიდან სისხლი გადმოაფურთხა

– რაო, ისევ რაინდულად იქცევი არა? რატომ არ ჩამქოლე? – ჩაიცი-

ნა უდიერად – გვიანია! – ხელი უკან წაიღო და ტანსაცმლის ქვეშ დაკიდებული ქარქაშიდან დანა ამოიღო. ზურა დაიძაბა და დარტყმის ასაცელად მოემზადა

– არა ეს არ გიშველის! ჯერ შენ მოგკლავ! მერე კი მარის მივხედავ,

გინდა გითხრა როგორ? – დაიღრიალა ბესომ და ზურასკენ გაქანდა. ორი ნაბიჯის გადადგმა ვერ მოასწრო, ვიღაცამ მაჯაში ჩაავლო ხელი, დანიანი ხელით წინ გადასწია, მთელი ტანით წრიული მოძრაობა გააკეთებინა, შემდეგ კი მაჯა და მკლავი საპირისპირო მიმართულებით ამოუტრიალა და მიწაზე დაანარცხა. ბესო სიმწრისგან აღრიალდა

– თქვენი დედაც! ვინ ხარ შენი! – მუცელზე გადატრიალდა, მიწაზე დანას ეძებდა.

– გეყოფა ბესო! – მამაკაცის მკაცრმა ხმამ ადგილზე გაახევა, გადმოტრიალდა და ზევით ახედა. თავზე ანზორი ედგა, მისი დანა ეჭირა ხელში

– შენ? – გაკვირვებისა და სიბრაზისგან ენა დაეზა ბესოს, ირგვლივ მიიხედ-მოიხედა, წამოდგა. მამამისის ორი მცველი მოშორებით იდგნენ, ზურას ეკითხებოდნენ რაღაცას, მესამე პატრულის თანამშრომლებს მოუძღვოდა, რომლებიც პარკის კარებიდან მოემართებოდნენ.

– რა ხდება ანზორ! აქ რა გინდათ? – დაიყვირა ბესომ

– შენს გადარჩენას ვცდილობ... მინდა მორიგი სისულელისგან გიხსნა, მგონი გამომივიდა კიდეც...

– შენ ხვალდან სამსახურს დაკარგავ!

– აუცილებლად! – დაცინვით უპასუხა ანზორმა – მამაშენი გიცდის სახლში! სასწრაფოდ შენი ნახვა უნდა, იქ აგიხსნის ყველაფერს!

ბესომ ზურას გახედა

– არც კი იფიქრო! – გააფრთხილა ანზორმა, უბოდიშოდ ჩაავლო ხელი მხარში და ნჯღრევითა და ხელისკვრით წაიყვანა გასასვლელისკენ

– მოიცა! ხელი გამიშვი! ხელი-მეთქი!

– ნუ ღრიალებ, ბატონმა ვანომ მითითება მომცა, თუ საჭირო იქნება ცემით წაგიყვან აქედან!

პატრულის თანამშრომლები მოახლოვდნენ, ზურაც მათთან ახლოს მიიყვანეს, ორიოდ ნაბიჯი ამორებდა ბესოსგან, ზიზღით უყურებდნენ ერთმანეთს. პოლიციელები ცალკე გაიყვანა ანზორმა, რაღაცას უხსნიდა რამდენიმე წუთის განმავლობაში, ბოლოს პოლიციელებმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიეს ანზორს და პარკი დატოვეს.

– ეს დასასრული არ არის ზურა! გპირდები! – დაუყვირა ბესომ, როცა ძალით სვამდნენ დაცვის სამსახურის მანქანაში და ზურასკენ გადააფურთხა.

– წადი შენი! – ზიზღით დაიძახა ზურამ და სახეზე ხელი მოისვა, სისხლი უკვე შემრობოდა. ანზორი მიუახლოვდა მას, ბოთლით წყალი გაუწოდა

– დაიბანე, ასე ხომ არ წახვალ სახლში? ჩვენ წაგიყვანთ.

– თქვენ მასზე იზრუნოთ სჯობია – თვალით ბესოზე მიანიშნა ზურამ

– ჩავთვლი, რომ შენი სიტყვები მადლობა იყო – გაიღიმა ანზორმა

ზურა შენ კარგი ბიჭი ხარ, გიცნობ ბევრი რამე ბესოზეც გაირკვა და გარწმუნებ ის მალე დატოვებს საქართველოს თანაც დიდი ხნით, ასე რომ ვედარ შეგიშლის ხელს, სამწუხაროა, რომ ასეთი ახალგაზრდები ასე იმეტებთ ერთმანეთს...

ზურა გამოერკვა, წყლის ბოთლი გამოართვა ანზორს და მადლობით შეხედა

– მაპატიეთ ბატონო ანზორ! მადლობელი ვარ! ვერ ვაზროვნებ, ალბათ გაბრუებული ვარ ჩხუბისგან...

– არაფერია! კარგია, რომ გადარჩით! ფრთხილად იყავი, მაინც გირჩევ! ბიჭები წაგიყვანენ, აბა კარგად!

ზურამ ხელი ჩამოართვა ანზორს, კიდევ ერთხელ მოუხადა მადლობა და ბესოს მამის დაცვის ერთ-ერთ მანქანაში ჩაჯდა, თავი საზურგეს მიადო და მანქანის ფანჯრიდან აყოლებდა მზერას ანზორის მანქანას, რომლითაც ბესო მიჰყავდათ.

ანზორი შემთხვევით არ აღმოჩნდა პარკში, სადაც ბესო და ზურა ერთმანეთს შეხვდნენ: როდესაც ძლივით ბესო სახლიდან გავიდა, დაცვის სამსახურის ერთი მანქანა აედევნა შეუმჩნევლად. ეს ბოლო დროს მართლაც ბესოს მამის მითითებით ხდებოდა. მათი გასვლიდან ნახევარ საათში ბესოს მამაც ჩამოვიდა მივლინებიდან, ატირებული ცოლისგან შეიტყო ყველაფერი შვილის შესახებ. ანზორმა პოლიციიდან წამოღებული მასალებიც გააცნო

მას, რის შემდეგაც პირადად ანზორი გაგაზავნეს ბესოს მოსაყვანად. თან გაყოლილმა დაცვის თანამშრომლებმა უკვე გზაზე დაურეკეს მას და უთხრეს, რომ ზურა და ბესო პარკში იყვნენ და ჩხუბობდნენ. დაცვის თანამშრომლები და ანზორი სწორედ იმ დროს შევიდნენ პარკში, როცა ბესო და ზურა გამეტებით სცემდნენ ერთმანეთს, შემდეგ კი ანზორმა მოასწრო ბესოსთვის დანის წართმევა...

- სახლში მისული ზურას დანახვისას მის დედას ელდა ეცა
 - _ ზურა რა მოხდა? რა გჭირს სახეზე? რა მოხდა თქვი! ცუდად ხომ არ ხარ?
 - _ ისეთი არაფერია, ბესოსთან მომივიდა ჩხუბი!
 - _ რისთვის შვილო? თითქმის ერთად გაიზარდეთ და ასე რისთვის იმეტებთ ერთმანეთს?
 - _ ჩემი ბრალი არ არის დედა! ვერ შევაგნებინე, რომ მარიზე ფიქრს და ოცნებას თავი დაანებოს... თუ არ გაჩერდება უარესს მიიღებს!
 - _ კარგი რა ზურა! ჩხუბით მაინც რას მიაღწევ? ხომ შეიძლება სერიოზულად დააშავოთ ერთმანეთი? უკვე დიდები ხართ, ასე პატარებიც აღარ იქცევია!
 - _ არა დედა, ეს ბავშვური არ არის! ის მარის სიყვარულს მეცილება ჩემს სიყვარულს! ჩემი სიცოცხლის აზრს ეხება უდიერად და თუ კიდევ რამე გაბედა ჩემი ხელით მოვკლავ!
 - _ ზურა, გთხოვ, ნუ მაშინებ! ეგ მეორედ არ თქვა!
 - _ კარგი დედა, არ იჯავრო, ისე ვთქვი...
 - _ მაცივრიდან ყინული გამოიღე და ის დაიდე, როდის ჩაგიცხრება სახე... _ თავი გადააქნია დედამ
 - _ კარგი, დავიდე, არაფერია! ბანკეტამდე გამივლის _ გაიღიმა ზურამ და მაცივარი გამოაღო

ვანო საგონებელში ჩააგდო შვილის გარშემო დატრიალებულმა ამბებმა და მისმა ქმედებამ, რომელთა შესახებაც ცოლისაგან და ანზორისგან შეიტყო, ანზორმა ისიც უთხრა, რომ ნარკოტიკის ჩადებაში და პოლიციასთან გარიგებაში, ბესოს მათი დაცვის სამსახურის ერთ-ერთი თანამშრომელი ეხმარებოდა და ახლა ის უკვე სამსახურიდან გათავისუფლებული და სათანადოდ დასჯილი იყო. რაც შეეხებოდა ბესოს, ანზორმა ურჩია, სადმე გაეგზავნათ ის საქართველოდან, ყოველი შემთხვევისათვის, თუმცა თითქმის დარწმუნებული იყო, რომ გოგას სიკვდილის გამო საქმეს ხელეორედ არ აღძრავდნენ. ბესოს მამამ თავისი შვილის ფეთქებადი ხასიათიც კარგად იცოდა, ბესო დენთის კასრს ჰგავდა,

რომელიც შესაძლო იყო ნებისმიერ დროს აფეთქებულიყო და თავისი და სხვა ადამიანების ცხოვრებაც დაესახიჩრებინა... თუ ბესო კიდევ რამეში გაეხვეოდა ეს საკმაო ჩრდილს მიაყენებდა თვითონ ბიზნესმენსაც. ვანოც მთლიანად ვერ იმეტებდა შვილს, თუმცა ანზორმა მეგობრულად უთხრა, რომ მისი აზრით ბესო უნდა დასჯილიყო კანონით, რომ შემდეგში უარესი აეცილებინა თავიდან. თუმცა პოლიციისთვის ვერ გაიმეტა ბესო, მაგრამ სასტიკად მკაცრად ესაუბრა მას, ვანო თავს ძლივს იკავებდა საუბრისას, რომ ხელი არ დაერთყა შვილისთვის. როგორც განაჩენი, ისე ჩაესმოდა ბესოს მამის სიტყვები: “მორჩა! ეს შენი სიგიჟის ბოლო წვეთი იყო! მე აღარ მოვითმენ! დღეიდან სახლში ზიხარ! არსად მდიხარ! ზანკეტზეც კი! მალე გასამგზავრებელი საბუთები მზად იქნება და საზღვარგარეთ გაემგზავრები სწავლის გასაგრძელებლად!”

ზურასა და ბესოს ჩხუბის შესახებ მალე ყველაფერი გაიგეს კლასელებმა და მეგობრებმა. საუბრისას არავინ იჭერდა ბესოს მხარს, მეგობრები კი ზურას ურჩევდნენ, ერთად დაებარებინათ ბესო, სერიოზულად “გაერჩიათ საქმე” და კიდევ ერთხელ სამაგალითოდ ეცემათ. ზურა უარს ამბობდა, მისი აზრით ერთხელ ჩხუბიც საკმარისი იყო, თან მარისაც ვერ უტეხავდა ხათრს, რომელიც ძალიან შეწუხდა, როდესაც ზურასა და ბესოს ჩხუბის ამბავი გაიგო. სკოლაში გავრცელებული ამბავი მალე მოედო ზურასა და ბესოს მეგობრებსა და ახლობლებს, თენგომდეც მიადღწია ინფორმაციამ და მან, გაწბილებულმა იმით, რომ გოგას საქმე ისევ დახურული დატოვეს, გამომძიებელს მიაკითხა

- აი, ასეა ბატონო აკაკი! ისევ ჩხუბი! ისევ თავისას აკეთებს! მისი მსგავსი ადამიანები ძალით უნდა შეაჩერო, პოლიციამ კი უარი თქვა ამაზე!
- არ დაგიძლავ თენგო, მეც ვერაფერს გავხდები, ხელები შეკრული მაქვს, ასე ვთქვათ... უფროსობა არ მომცემს გამოძიების ნებას მაგრამ როგორც შეგპირდი ბესოსა და გოგას საუბრის ჩანაწერს მოგცემ, როგორ გამოიყენო, თვითონ მიხვდები!
- როგორ, გახსენით ის ფაილები? და არაფერი გაირკვა?
- პირდაპირ არაფერი, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ ბესოა დამნაშავე გოგას სიკვდილში, ამ საუბრიდან გამომდინარეობს მისი მოტივი მკვლელობისთვის... გოგა მას აშანტაჟებდა...
- გოგა და შანტაჟი? იქნებ გეშლებათ ბატონო აკაკი?
- არა, ნამდვილად ასე იყო, გოგა დაემუქრა ბესოს, რომ თუ მარისა და ზურას თავს არ დაანებებდა ამ საუბარს ჩანაწერს ინტერნეტით გაუგზავნიდა ყველა კლასელს. აი ასეა თენგო!

დამტკიცებით კი ვერაფერს დავუმტკიცებთ...

– აბა მე რაღად მინდა ეს ჩანაწერი? სამახსოვროდ დავიტოვო?
გალიზიანება დაეტყო თენგოს ხმაში და ცოტა არ იყოს უხეშად გამოუვიდა
ბოლო ფრაზა. აკაკიმ ოდნავ გაუღიმა, დისკი გაუწოდა და ჩუმი ხმით
განაგრძო

– შენ შეგიძლია გამოიყენო ეს ფაილი ისე, როგორც გოგა აპირებ-
და... ეს მთლად ღირსეული არ არის, მაგრამ ბესოს მსგავსი
ადამიანები, უარესსაც იმსახურებენ ჩემი აზრით! კარგი თენგო,
კარგად იყავი, შენი გადასაწყვეტია რას გააკეთებ...

– გამადლობთ ბატონო აკაი, უხეშობისთვის ბოდიშს გიხდით!...

– არაფერია თენგო! ნახვამდის...

– კარგად ბრძანდებოდეთ!

თენგომ შეასრულა ჩანაწერი და სულ მალე ბესოსა და გოგას საუბრის
ჩანაწერი სკოლაში, ბესოს ყველა კლასელს, მეგობარს და ნაცნობს მიუვიდა
ელექტრონული ფოსტით... სკაიპით... სოციალური ქსელებითაც კი... ყველა
გაოგნებული იყო გაგონილით... ფეხბურთის მატჩის წაგება... ნარკოტიკების
ჩადება ... პოლიციის მიერ ზურასა და მისი მეგობრების დაკავება...
ყოველივე ამის უკან ბესო იდგა... გავრცელებული ჩანაწერი თენგომ ბესოსაც
გაუგზავნა... ბესო იმ დროისთვის სახლში იყო ჩაკეტილი, მისი მამის
ბრძანებით დაცვის სამსახური არსად გასვლის ნებას არ აძლევდა.
საქართველოდან გამგზავრებამდე სახლში უნდა მჯდარიყო, შემდეგ კი
დიდი ხნით მოუხდებოდა წასვლა “მარი აქ დარჩება, ზურასთან... მერე
იქორწინებენ... ბედნიერები იქნებიან, მე კი ისევ ისე მარტო უნდა ვიყო,
ჩემში ჩავკლა ყველა ოცნება, ყველა სურვილი, რომელიც შიგნიდან მიწვავდა
სულს ყოველთვის!” – ეს მწარე ფიქრი არ ასვენებდა ბესოს,
დამამშვიდებელი აბები წაართვეს, მაგრამ ჩუმად მაინც ჰქონდა
გადანახული, უზომოდ რაოდენობით იღებდა ტრანკვილიზატორებს,
თითქმის ცნობიერების დაკარგვამდე... და ერთხელ, როცა წამლებით
გაბრუებული იჯდა კომპიუტერთან, მის ელექტრონულ ფოსტის გვერდზე
გოგას ელექტრონული მისამართი აციმციმდა... უცებ გამოფხიზლდა
ბურანში მყოფი, ოფლმა დაასხა და ხელის კანკალით გახსნა მიღებული
მესიჯი... “გამარჯობა ბესო! როგორ ხარ? მე ძალიან შორს ვარ, მაგრამ ახლაც
გხედავ... რატომ გამიმეტე ასე? რატომ... რატომ..... რატომ...” მეორდებოდა
და მეორდებოდა მესიჯი თავიდან კი შეშინდა ბესო, მაგრამ მალევე მიხვდა,
რომ შესაძლოა ვინმე სხვა სწერდა გოგას ფოსტით, სწორედ მაშინ მიიღო
მისი და გოგას საუბრის ჩანაწერი... დიდხანს იჯდა კომპიუტერთან და
ქნდაკებასავით გაშეშებული უსმენდა საუბარს... “მშვიდობით ბესო! ახლა

ყველამ იცის ვინც ხარ! გოგა” ასე დასრულდა მესიჯი... მეორე დღესვე ყველა კლასელმა და მეგობარმა დაბლოკა სოციალურ ქსელებში, ელექტრონულ ფოსტაზე ბესოს მესიჯები, არც ტელეფონზე პასუხობდა ვინმე, კლასელებმა ერთიანად გაუგზავნეს მესიჯი, რომ არავის სურდა მისი დანახვა ბანკეტზე და საერთოდ მასთან ურთიერთობა. მთელი სიცოცხლის განმავლობაში განდევილი და მარტოობას მიჩვეული იყო ბესო, მაგრამ ახლა მაინც სასტიკად იტანჯებოდა ყველასაგან უარყოფის გამო... თითქოს დრო გაყინულიყო მის გარშემო და სულიერად, სადღაც დროსა და სივრცეს შორის გაჩხერილიყო სამუდამოდ... “თუ ასეა მე ჩემს ბოლო სიტყვას მაინც ვიტყვი! და ამ სიტყვას ყველა გაიგებს, ნაცნობიც და უცნობიც! გინდათ მონსტრი? მიიღებთ მას!” ეს ფიქრი განუწყვეტლივ უტრიალებდა თავში “მარი, მარი... რატომ? რატომ უნდა გავნადგურებულიყავი ასე სასტიკად მხოლოდ სიყვარულის გამო? მეც ისეთივე ტკივილს მოგაყენებ, როგორც შენ მე, ჩემი გრძნობის უარყოფით”

მარიმ ნონასგან გაიგო ჩანაწერის ამბავი, ზურას კი თენგოს მესიჯი მიუვიდა ელექტრონული ფოსტით

_ მარი როგორ ხარ? გაიგე ბესოს ამბავი?

_ კი ზურა, ძალიან შეშინებული ვარ, მაგრამ უმეტესად მაინც გული მწყდება, რომ ჩვენი მეგობრობა ასე დასრულდა, ვერ ვიჯერებ რომ ყველაფერი, რაც შეგემთხვა, ჯერ სტადიონზე, შემდეგ ნარკოტიკი და პოლიცია... ეს ყველაფერი ბესოს ნამოქმედარი იყო და ჩემს გამო აკეთებდა ამას... იქნებ თავიდან რომ არ მოვქცეულიყავი ისე... საჩუქარი რომ არ დამებრუნებინა... არც კი მომხდარიყო ეს ყველაფერი?

ზურამ ნაზად მოჰხვია ხელი და გულზე მიიკრა

_ არა, მარი, შენი ბრალი არაფერია, ბესოს, წლების მანძილზე გულში დაგროვილი ბოღმა, შური და ბოროტება აიძულებდა იმ ყველაფრის ჩადენას. მაგრამ გულახდილად რომ ვთქვა მაინც მეცოდება... თუმცა ჩემი ხელით მინდოდა მისი მოკვლა, როცა ეს ფაილი მივიღე და მისი და გოგას საუბარი მოვისმინე... მაგრამ ბესომ თავისი მიიღო, ყველამ იცის მისი მუხანათობის ამბავი, გავიგე, რომ საზღვარგარეთ აგზავნიან.

_ ნუთუ ჩვენი სიყვარულის საფასურია ეს? ერთი მეგობარი მტრად მტრად იქცა, მეორე საერთოდ! აღარ არის... _ნაღვლიანი ხმით თქვა მარიმ

_ ნუ მოიწყენ მარი, გთხოვ, ეს ჩვენი ბრალი არ არის, ყველა თვითონ აკეთებს არჩევანს... მოდი სხვა რამეზე ვიფიქროთ: მალე

ბანკეტი იქნება და ყველას შევატყობინებთ ჩვენი მომავალი ქორწინების შესახებ, ყველა კლასელს და მეგობარს დავპატიჟებთ! ბესო და ეს ბოლო წელიც, სიზმარში ნანახ კომმარევით გაქრება!
_ ღმერთს შევთხოვ, რომ ასე იყოს! მაგრამ მაინც მეშინია რაღაც-ნაირად

_ ნუ იდარდებ ძვირფასო, მე შენს გვერდით ვარ და ყოველთვის ერთად ვიქნებით

_ ძალიან მიყვარხარ ზურა!

_ მეც ძვირფასო, ოღონდ აღარ იფიქრო ცუდზე, არც რამე ნაღვლიანზე, ჩვენ მხოლოდ ჩვენი სიყვარული გვახვევია გარშემო და ამ სიყვარულით გავაგრძელებთ სიცოცხლეს...

ბანკეტის დღეს თბილი, სასიამოვნო საღამო იყო. მთელი კლასი ლამაზად გამოწყობილი მოგროვდა საბანკეტო დარბაზთან. ყველა აღელვებულია და განსაკუთრებულად ჩაცმულიც ხვდება სკოლასთან განშორებას, ყველა გოგონა განსხვავებულად მომხიბლველია, ყველა ბიჭი სოლიდური და სერიოზული... მაგრამ ყველა მოსალოდნელ მხიარულებას ელოდება ბანკეტისგან, სადაც კიდევ ერთხელ, სკოლის სახელით უნდა იმხიარულონ, იცეკვონ, იმღერონდა მხიარულად გაატარონ დილამდე დრო... ბანკეტს მასწავლებლებთან ერთად მშობლებიც სტუმრობდნენ.

_ რა ლამაზი ხარ მარი!

_ მიყვარხარ ზურა! _ ჩურჩულებს მარი...

_ გოგონებო ძალიან ლამაზები ხართ! _ იმახის ვიღაც...

_ მარტო ეხლა დაინახეთ ეს? _ საერთო სიცილი ფარავს დარბაზს.

_ სამწუხაროა, რომ გოგა ვერ მოესწრო ამას... _ ჩუმად გადაულაპარაკა მარიმ ზურას

_ სამწუხაროა ძვირფასო, მაგრამ მჯერა, რომ მისი სული ახლაც ჩვენთან არის, მას არასოდეს დავივიწყებთ _ ჩასჩურჩულა ზურამ ნონა მიუახლოვდა მათ.

_ ნონა, აქ საიდან ხარ? როგორ გამეხარდა! _ სიხარულით თქვა მარიმ

_ სტუმრად ვარ თქვენს ბანკეტზე! ეს კი ჩემი და გოგას მეგობარია, თენგო...

_ გამარჯობა თენგო! _ მიესალმა ზურა _ სამწუხაროდ პირველად გოგას დაკრძალვაზე შეეხვდით, ახლა კი ყველაფერი სასიხარულოა და ერთად აღვნიშნოთ, ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა შენი და ნონას სტუმრობა ჩვენთან, გოგას მეგობარი _ ჩემი მეგობარია!

_ მეც ასეთი განწყობით ვარ ზურა, მახარებს აქ ყოფნა მაგრამ...

_ რა მაგრამ? _ ჩუმიად იკითხა ზურამ, შემდეგ გოგონებს მიუბრუნ-
 და _ თქვენ არ მოიწყინოთ, გარეთ გავალთ და მალევე აქ ვიქნებით
 _ შენ ხომ არ ეწევი? _ გოგონებთან ჰკითხა მარინ
 _ არა, მაგრამ დღეს შეიძლება, ბანკეტია! _ გაიცინა ზურამ _ თან
 თენგოს მართლ გაშვება სირცხვილია, სტუმრად არის.
 _ მოგვლავთ ამდენი სიგარეტი _ მიაძახა ვიღაცამ სიცილით.
 თენგო და ზურა ერთად გავიდნენ გარეთ და სიგარეტს მოუკიდეს
 _ თენგო, მინდა გითხრა, რომ მადლობელი ვართ შენგან მიღებული
 ლი ინფორმაციისთვის, მეც და ყველა ჩვენი ახლობელიც... ყველა-
 ფერს თავისი სახელი დაერქვა შენი დახმარებით!
 _ ბევრი სხვანაირად აღიქვამს ამას... ინტერნეტით მწერენ, რომ
 პოლიციის ინფორმატორი და ჩამშვები ვარ... _ გაიცინა თენგომ
 _ მე ასე არ ვთვლი და არც არავინ უნდა თვლიდეს. ჩემი აზრით,
 რაც შენ გოგას სახელით გააკეთე, სამართლიანი იყო.
 _ ზურა, მინდა რაღაც გითხრა... ცხელ გულზე გავავრცელე ეს
 ინფორმაცია და ვშიშობ, რომ ცეცხლზე ნავთი დავასხი... ამიტომ
 ვთხოვე ნონას აქ წამოვეყვანე... არავინ იცის ბესო რას მოიმოქმედ-
 ებს, ის ისეთი პიროვნებაა... შეიძლება სანანებლად გამიხდეს იმ
 ინფორმაციის გავრცელება...
 _ რატომ ფიქრობ ასე? არ მგონია ბესო აქ მოვიდეს...
 _ გამომძიებლის აზრით ბესოს მიუძღვის ბრალი გოგას დაღუპვაში
 და მისგანვე ვიცი, ერთხელ მითხრა, რომ თუ ბესო კონტროლს
 დაკარგავს, შესაძლოა მის დანარჩენ მეგობრებსაც დაემუქროსო
 საფრთხე... თუ ასე იქნება, მირჩევნია ჩემს თავზე ავიღო ყველაფერი
 ვიდრე თქვენ დაგიშავდეთ რამე... გოგა ამას არ ისურვებდა...
 _ არ ვიცი თენგო... მაინც გადაამეტებულად მიმაჩნია ასეთი სიფრთხი-
 ლე და თუ მართლაც რამე ინცინდენტი მოხდა ჩვენ თვითონ
 მოვავარებთ, შენ სტუმარი ხარ! _ გაუღიმა ზურამ...
 თენგოს სიფრთხილე უსაფუძვლო არ იყო. ბესო თავისებურად
 ემზადებოდა დილიდან. მას ბევრი ხვეწნა დასჭირდა, რომ მშობლებს
 ბანკეტზე მაინც გაეშვათ, ბოლოს დედის თხოვნით მამამისიც დათანხმდა
 მის გაშვებას, ოღონდ დაცვის თანხლებით
 _ დღეს მაინც მომეცით თავისუფლად ყოფნის საშუალება, ბოლოს
 და ბოლოს ბანკეტია!
 _ არა, მანქანით წადი, თანახმა ვარ, ოღონდ უკან ბიჭები გამოგ-
 ყვებიან!
 _ კარგი! _ თქვა ბესომ და როდესაც მამა ოთახიდან გავიდა გესლი-

ანი მზერა გააყოლა _ სულელი ხარ და მთელი შენი დაცვა
ფეხებზე მკიდია!

ბანკეტის დღეს, დილითვე ჩუმად აიღო სანადირო თოფი, რომელსაც სახლში ინახავდნენ, ორივე ლულა და კონდახი გადაჭრა და ლულის პირები ქლიბით დაამუშავა. თოფი მხოლოდ მკლავის სიგრძე დარჩა. სადამოს შავი შარვალ-კოსტუმი ჩაიცვა სარკესთან შეჩერდა, მისი ჩაცმულობა უფრო სამგლოვიაროს ჰგავდა, ვიდრე საბანკეტოდ გამოწყობას... რამდენიმე ტყვია პიჯაკის ჯიბეებში ჩაილაგა, გადაჭრილი სანადირო თოფი კი წინასწარ მომზადებულ, წითელ ხავერდოვან ყუთში ჩადო ყუთი ხელში დაიჭირა და ისევ სარკესთან შეჩერდა... თვალები დახუჭა, მის წარმოდგენაში გაიელვეს წარსულის სურათებმა: მარის სახე... გოგას ღიმილი... იქვე ზურაც გამოჩნდა... თვალები გაახილა, საკუთარ გაყინულ სახეს შეავლო თვალი “დღეს მე ვიქნები მეფეც და ღმერთიც... მსაჯულიც და ჯალათიც...” იქვე სარკესთან გადაყლაპა ტრანკვილიზატორის რამდენიმე აბი და ზედ ენერგეტიკული ტაბლეტიც მიაყოლა... თითქოს გარეშემო ყველაფერი დატრიალდა, გულისრევაც იგრძნო, მაგრამ მალევე ყველაფერი შეჩერდა და შუშისებური გახდა. ბესომ ძალა მოიკრიბა, გარეთ გავიდა, ეზოში ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და მანქანაში ჩაჯდა. აბები უკვე მოქმედებდნენ, თითქოს სიმთვრალე და ენერგიის მოზღვავება ერთად ეწვივნენ გონებასა და სხეულს... ბესომ სარკე გაასწორა, მანქანა დაქოქა და დამცინავად გახედა სარკეში უკან გამოყოლილ დაცვის სამსახურის მანქანას. როგორც კი ეზოსა და ქუჩას გასცდა, მთელი ძალით მიადგა სატერფულს ფეხი და მის წინ სწრაფად ჩაიქროლეს ქალაქის ქუჩებმა... უკან მანქანების დამუხრუჭებისა და შეჯახების ხმა გაისმა... ისევ გაიხედა სარკეში, უკვე აღარავინ მოსდევდა მანქანით... ბესო კმაყოფილებით გაიღიმა და გზა განაგრძო...

ბანკეტი უკვე დაწყებული იყო. მასწავლებლებმა, მშობლებმა და სტუმრებმა სკოლის დამთავრება მიულოცეს მოსწავლეებს, შემდეგ თავის ნებაზე მიეშენნენ ახალგაზრდები, ყველა მღეროდა, ცეკვავდა, მთლიანად სურდა ყველას ამ მშვენიერ დღეს საყოველთაო სიხარულით დამტკბარიყო... მარის ვარდისფერი კაბა ეცვა, მშვენიერი კლასელი გოგონების ფონზეც გამორჩეული ვარდივით მოჩანდა... დროს თავისი გაეტანა... უკვე დაქალაქებული, მშვენიერი მანდილოსანი იყო... ზურამ საგანგებო მელოდია შეუკვთა. დარბაზი მიწყნარადა და შეყვარებულების ცეკვას შეჰყურებდა ყველა... ზურა და მარი ნაზი და ოდნავ სწრაფი მუსიკის ფონზე მიწასაც არ აკარებდნენ ფეხს და ჰაერში დასრიალებდნენ ნაზად... ცეკვის შემდეგ დარბაზში საერთო ტაშის ხმა გაისმა... მშობლებისა და მასწავლებლების მაგიდიდან, რომელიც ცალკე იდგა, ზურას მამა წამოდგა და უკვე დამჯდარ

ზურასა და მარის მიუახლოვდა, ხელები დაადო ორივე მხრებზე, შემდეგ მიკროფონი მოითხოვა...

_ მე მინდა ჩვენი შვილების და თქვენი მეგობრების ბედნიერების ამბავი გაჟღერდეს ამ დაუვიწყარ საღამოს, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ყველას გაგახარებთ...

მოულოდნელად მთელი დარბაზი დადუმდა და მზერა ყველამ შემოსასვლელისკენ გადაიტანა, საიდანაც ბესო შემოვიდა, ხელში წითელი ყუთი ეჭირა... პირველსავე მაგიდასთან შეჩერდა და სულმოუთქმელად გამოცალა ჭიქა, შემდეგ გზა განაგრძო და ფეხზე მდგარ ზურას მამას მიუახლოვდა. როგორც მოჩვენებას, ყველა ისე შეჰყურებდა მას. ბესომ მიკროფონი გამოართვა ზურას მამას, რომელიც მოულოდნელობისგან უხმოდ იდგა...

_ მოგესალმებით და ყველას გილოცავთ სკოლის დამთავრებას... ვიცი, რომ სასურველი სტუმარი არ ვარ ამ წვეულებაზე, მაგრამ მართლა გულით ვიზიარებ თქვენს სიხარულს... ცალი ხელით ისევ ყუთი ეჭირა ბესოს, მეორეში მიკროფონი... ის ზურას მამისკენ მიტრიალდა და მიკრაფონში განაგრძო _ ახლა კი მე ავიღებ ჩემს თავზე, ზურასა და მარის სიხარულისა და ბედნიერების ამბავი შეგატყობინოთ... მოსწავლეები უკმაყოფილოდ ახმაურდნენ, რამდენიმე მშობელიც წამოდგა მაგიდიან და ბესოსკენ წამოვიდნენ... ბესომ მიკროფონი დადო და მეორე ხელიც ყუთს მოჰკიდა

_ მარი რა ლამაზი ხარ დღეს!

ზურა წამოდგა, ბესოსკენ გაიწია, თენგოც შეუერთდა მას, მაგრამ ორივე ზურას მამამ შეაჩერა, ბესოს მოუბრუნდა და თბილად დაადო მ ხარზე ხელი

_ ბესო, შვილო, შენ ჩემი შვილის ტოლი ხარ, ვწუხვარ, რომ ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდი, მაგრამ გთხოვ, ნუ გაუფუჭებ ამ საღამოს ყველას...

_ მე ვაფუჭებ ყვეკაფერს? არა ეს ასე არ არის! _ ყველას გადასძახა ბესომ

_ უკეთესი იქნება თუ წახვალ! ყრუდ ჩაილაპარაკა ზურამ

_ რატომ? მე რა, ამ კლასში არ ვსწავლობდი? თუ კეთროვანი ვარ?

_ შენ შენმა მოქმედებამ დაგაშორა ყველას!

_ მართლა? შენ რა იცი ზურა ვინ რას დამაშორა? შენ ხომ არას-

დროს ყოფილხარ ჩემს ადგილზე? _ ისევ ზურას მამას შეხედა

უცნაურად გაიღიმა, შემდეგ მისი მხრისკენ წაიღო ხელი თითქოს მხარზე უმდა ჩამოედო, მაგრამ უეცრად მის არტერიას მისწვდა ყელზე და მთელი ძალით მოუჭირა თითები. ზურას მამამ რეაგირებაც ვერ მოასწრო ამაზე, მოულოდნელობისაგან. ამოიხრიალა და იატაკზე დაეცა გონდაკარგული. ზურა ბესოს მივარდა, მაგრამ ბესო ალბათ ელოდა ამას,

უმაღლე გადაამრო ყუთს თავსახური და წითელი ხავერდის შემდეგ შავი ლითონის ორი ლულა აელვარდა ჭაღების სინათლეზე.

დარბაზის სხვადასხვა მხრიდან ქალებისა და გოგნების კვილი გაისმა.

– არ გაინძრეს არავინ! ნებისმიერს მოვკლავ ვინც მომიახლოვდება! დაიდრიალა ბესომ და მარის მიუბრუნდა, რომელიც უკან დახეულ ზურას აპკვროდა.

– ხომ ხედავ მარი, ისევ ისეთი ამანათია, როგორც შენს დაბადების დღეზე, მაგრამ საჩუქარი სხვაა... – შემდეგ მის შეშინებულ და აცრემლებულ თვალებს შეხედა და განაგრძო – არ შეშინდე მარი! მხოლოდ ამ ჯოგისგან ვიზღვევ თავს! – ბესომ იქ მყოფებს მოავლო თვალი, გადაიხარხარა არაადამიანურად და ისევ მარისა და ზურას მიაბჯინა მზერა.

– რას აკეთებ ბესო! გაგიჟდი? დაუშვი იარაღი! – თქვა ზურამ, რომელიც მთელი ტანით ეფარებოდა მარის და ასე იფარავდა იარაღისგან.

– რა რომანტიკულია! შეყვარებულს გადაეფარა და სიკვდილისგან დაიხსნა, თვითონ კი... – ბესომ სასხლეტს გამოსდო თითი და ამღვრეული თვალებით მარის შეხედა – შენ შესძლებ ამის შემდეგ სიცოცხლეს?

ზურას უკან მდგარი მარი მოულოდნელად გამოვარდა წინ, ბესოსთან მივარდა და თითქმის მიებჯინა თოფის ლულებს

– არა, ბესო, არა, გთხოვ! – ტირილით და ხმის კანკალით ჩურჩულებ-და ის – ყველაფრისთვის ბოდიშს მოვიხდი თუ ოდესმე რამე დაგიშავე... ოღონდ ახლა... გთხოვ, არ გააკეთო ეს...

დარბაზში ყველა გახევებულიყო, ყველა შიშით უყურებდა ბესოს და გასროლას ელოდებოდა.

– არა, ძვირფასო... – ხმა აუკანკალდა ბესოს – ძვირფასო... იცი რამდენჯერ მიმდოდა შენთვის ასე მომემართა? იცი რამდენად მწვავდა გულს შენი სიყვარული? ჩემი ხმა კი არავის ესმოდა, როგორც ყოველთვის!

ბესომ ხელი შეახო მარის სახეს, ცრემლებმა დაუფარეს თვალები, მაგრამ შემდეგ წამს ისევ გადაიხარხარა და მარი ხელის კვრით გასწია გვერდზე, იარაღი ისევ ზურასკენ მიმართა, მარი ისევ მასა და ზურას შორის მოექცა.

– რა არის ზურა, სიყვარულის უკან იმალები? არ გინდა სიკვდილი?

– გადაიხარხარა ბესომ

– წადი შენი! ზურამ უმაღლე წინ წამოდგა და მარი ისევ ზურგს უკან ამოიფარა

– ო, არა, არა, მარი, მარი! მხოლოდ შენი სახის დანახვა მინდა!

მარი ისევ დაუსხლტა ზურას, იარაღს გვერდი აუქცია და ისევ ბესოს გვერდით დადგა, შიშისგან თრთოდა და თვალებიდან შეუჩერებლად მოწანწკარებდნენ ცრემლები ბესომ ცალი ხელი წელზე მოჰხვია მას, სახით ზურასკენ მიატრიალა, თვითონ მარის მხრის ზემოდან იყურებოდა და იარაღი ისევ ზურასკენ ჰქონდა მიმართული.

- _ მე მამაპატიე ბესო, გთხოვ! _ ტირილით ამბობდა მარი
- _ იცი, მხოლოდ შენი სიყვარული მაცოცხლებდა ხანდახან და ხან კი საშინელ რაღაცას ჩავდიოდი შენს გამო!
- _ რას ამბობ ბესო, მე, მე არ ვიცი...
- _ ჩემის საუკეთესო მეგობარი... მხოლოდ იმიტომ გავიმეტე, რომ ჩემსა და შენს სიყვარულს შორის აღმოჩნდა უნებლიედ...
- _ რას ამბობ ბესო! ნუთუ, ნუთუ გოგა შენ... _ მთელი ტანით ცახცახებდა მარი, მაგრამ ბესო ხელს არ უშვებდა
- _ მომისმინეთ და არცერთი არ გაინძრეთ! მაშინვე სროლას ავტეხავ! დაიყვრა ბესომ, მარისთან ერთად უკან დაიხია და კედელს მიეყრდნო ზურავით.
- _ ჰო რას ვამბობდი? _ განაგრძო ბესომ _ კი, გოგას სიკვდილიც ჩემი ბრალია ჩემო ერთადერთო და მიუწვდომელო სიყვარულო! თან გოგამ ჩემი შანტაჟიც გადაწყვიტა და მხოლოდ ამ დამპლის გამო! _ ისევ ზურასკენ გასწია იარაღი
- _ სისულელეებს რომავ ბესო და სულ გაგიჟდი! დაუშვი იარაღი! არ უფრთხოდა ზურა და ნელ-ნელა მისკენ მიიწევდა
- _ პოლიცია გზამია ბესო! დააგდე იარაღი! _ დაიძახა ვიღაცმ დარბაზიდან.

ბესომ ჩაიციანა და ტუჩები მარის ყურთან მიიტანა

- _ მარი, მარი, მარი... რა ლამაზი სახელია... _ შემდეგ ხელი მარის წელიდან მის მხრებზე გადაანაცვლა და მაგრად მოუჭირა, ხოლო იარაღი მის მარჯვნივ გადაიტანა წელის სიმაღლეზე. ორივე ლულა ზურას უყურებდა...
- _ რას იტყვი მარი? _ ჩასჩურჩალებდა განუწყვეტლივ, აქვითინებულ ბულ გოგონას _ შენ მე სული წამართვი, გინდა მსგავის ტკივილი განიცადო? ტკივილი, რომლისგანაც სიზმრები იბადებიან!
- _ არა, არა, ბესო შენ გაგიჟდი, ნამდვილად გაგიჟდი!
- _ არა მარი, მე საღად ვაზროვნებ! _ ცივი, გამყინავი ხმით თქვა ბესომ და ამ სიტყვებით სასხლეტის ერთ ფეხს გამოჰკრა... თოფმა ცალი ლულიდან ცეცხლი გადმოაფრქვია და ბესოც უკან გადააქანა
- _ ზურა, ზურა, არაა! _ დაიწვილა მარიმ, ბესოს ხელიდან გაუსხლტა და დაცემულ ზურასთან მივარდა. ტყვიას ღვიძლის მხარე მთლიანად

გაეგლიჯა, ზურა ოდნავ ირხეოდა, ხელი მარის ხელისთვის ჩაევლო, სიტყვის თქმას ცდილობდა, მაგრამ ტუჩები ძლივს ირხეოდნენ და ყელიდან მხოლოდ ხრიალი ამოსდიოდა. დარბაზი საერთო კვილიშა და გნიასმა დაფარა, ყველა პანიკურად გაქანდა კარებისკენ. ბესომ მეორე გასროლა ჰაერში გააკეთა, უმაღლვე გადატენა იარაღი და მასთან მივარდნილ თენგოს კონდახი ჩაარტყა სახეში, თენგო გონდაკარგული დაეცა, ბესო კი მარისკენ მიბრუნდა.

_ ზურა, ზურა! მვირფასო! გთხოვ, მიპასუხე! _ აღრიალებული მარი მთელი ძალით უჭერდა ხელს ზურას გასისხლიანებულ თითებს და თვალებში ჩაჰყურებდა. ზურამ ხელი წამოსწია, მარის ზურგს უკან მიანიშნა, რაღაცის თქმას შეეცადა, მაგრამ ისევ ხრიალი აღმოხდა. მარამ უკან მოიხედა, უაზრო მზერით უყურებდა ბესოს და ზურას ხელს ჯიუტად ჩაფრენოდა... ბესომ მის გვერდით ჩაიჩოქა, თმებში ხელი შეუცურა და თავი ძალით მიატრიალებინა ზურასკენ. იარაღის ორივე ლულა კი ზურას მიაბჯინა ნიკაპზე ქვემოდან.

_ თვალებში შეხედე მარი! მინდა, რომ შენც დაინახო სიცოცხლის უკანასკნელი აალება მის თვალებში... იცი ეს რა არის? _ ბესომ თავი უკან გადასწია, თვალები ჭერს მიაბჯინა და ხმაურით ჩაისუნთქა ჰაერი, შემდეგ ისევ მარის ყურთან მიიტანა სახე _ მე გოგას თვალებში ვნახე ასეთი ალი, სანამ კლდიდან გადვარდებოდა... და ეს ალი ახლაც მწვავს... _ ბესოს ჩურჩული სისინივით ჩაესმოდა მარის, აღარ ტიროდა, გაყინული თვალებით დაჰყურებდა ზურას _ მარი, მარი, მარი... ისევ აჩურჩულდა ბესო _ შეხედე შენს შეყვარებულს, და მითხარი რა იქნება შენი სიცოცხლე, როცა ყველაფერი სხვა, რისთვისაც ცოცხლობდი, უბრალოდ გაქრება?

მორიგი გასროლის ექო მეხვივით მიაწყდა კედლებს... ზურას სისხლის წვეთებმა მარის სახემდე მიაღწიეს და მის ლაწვებზე დაიწყეს ჩამოდინება...

_ ზურააა! _ მარის წივილი თითქოს ბუნდოვნად ჩაესმა ბესოს, წამოდგა, ერთხანს გაბრუებული იდგა, შემდეგ გამოცოცხლდა, მიიხედა-მოიხედა, გარშემო არავინ იყო, თვალები დახუჭა და მის წინ, როგორც კინოფილმში, ისევ აირივნენ კადრები: გოგას სახე... ზურას სიკვდილი... მარის არაადამიანური ტკივილით სავსე თვალები... და შეყვარებულის სხეულზე დამხობილი გოგონა...

_ გარშემო პოლიციაა! გასაქცევი არსად გაქვს! დაგვნებდი! ამ სიტყვებმა აზროვნება დაუბრუნა ბესოს, ინსტინქტურად გადატენა იარაღი ისევ, მარის მოხედა.

_ ერთ წუთს გამძლევეთ გამოსასვლელად! _ გაისმა ისევ გარედან

ბესო სკამზე ჩამოჯდა, ღვინის ბოთლი მოიყუდა, რამდენიმე ყლუპი მოსვა სულმოუთქმელად, ისევ მარის შეავლო თვალი, რომელიც ჩუმად იჯდა სისხლის გუბეში, ზურას თითებისთვის ისევ ისე ჩაველო ხელი და ცახცახებდა

– მე შენ მიყვარხარ! – უაზროდ წარმოთქვა ეს სიტყვები, ბესომ, წამოდგა და კარებისკენ წავიდა. რყევა და გულისრევა შეიგრძნო, თვალთ დაუბნელდა და ჩაიჩოქა, მიხვდა წამალები ერეოდნენ ალკოჰოლს... ისევე წამოდგა, თვალები დაახამხამა, იარაღი ხელიდან გაუვარდა, კვლავ კარებისკენ წაიწია – ხელები თავს უკან! ნელა გამოდით! – გაისმა გარედან ბრძანება

ბესომ ხელები თავზე შემოიწყო, მაგრამ ისევ ჩაიჩოქა, ხელებით იატაკს დაეყრდნო... იატაკს ჩრდილი დაეცა, ბესო დაჩოქილვე შემოტრიალდა უკან, მის წინ მარი იდგა... მთელი სახე, ხელები და ლამაზი კაბა სისხლში ჰქონდა მოსვრილი, აკანკალებული ხელებით თოფი ეჭირა ხელში...

– მარი... მაპატიე... მიყვარხარ... – მხოლოდ ამ სამი სიტყვის ამოლულლუღება შესძლო ბესომ. ორმაგი გასროლა გაისმა... ტყვიებმა დაჩოქილს ყელში და მკერდში გაუარეს... მარი ერთხანს დასცქეროდა აფართხალებულ სხეულს... და როცა ბესომ ხელებისა და ფეხების ქნევა შეწყვიტა, იარაღი დაბლა დააგდო და მუხლებზე დაეშვა... შეიარაღებული პოლიციელები შემოვარდნენ... საპატრულო მანქანების მოციმციმე შუქი პერიოდულად ანათებდა დარბაზს... მარამ ყურებზე ხელები აიფარა, პირი გააღო... რამდენიმე წამს ასე ქანაობდა მუხლებზე დაცემული... ბოლოს გულში ჩაგუბებულ ტკივილს, შემრწუნებას შიშს გზა მიეცა და გოგონას განწირულმა კვილმა შესძრა ირგვლივ ყველაფერი...

* * * *

სამი ადამიანის საფლავი...

სამი ახალგაზრდის სურათი საფლავის მარმარილოს ქვებზე...

სამი გაღიმებული სახე...

სიცოცხლითა და იმედით სავსე სამი მზერა...

სამი, შავებში ჩაცმული ქალის ტირილი და ოხვრა...

თითქოს ბუნებაც გლოვობს და ტირის ყოველდღე ამ სამ დედასთან ერთად, ხან ნამით, ხან თბილი ნიავეთ, ხან ელვით და ჭექა-ქუხილით... გლოვობს სამ ახალგაზრდას... სამ ცხოვრებისეულ გზას, რომელთა გავლაც არ

დასცალდათ... გზა, რომელიც მხოლოდ მეგობრობიდან _ სიკვდილამდე და აკვნიდან _ საფლავამდე გაიარეს

* * * *

წვიმის წვეთები ეცემიან გისოსებიანი ფანჯრის მინას, მასზე იშლებიან და ცრემლებივით იღვენთებიან, ქვევით ეშვებიან და უსულოდ ეცმიან რაფას. თეთრი ოთახი... თეთრ საწოლზე გაუნძრევლად ზის გრძელთმიანი გოგონა... გახევებული, თვალის დაუხამხამებლად უყურებს ოთახის თეთრი კედლის უჩინარ წერტილებს... ხანდახან პირს ადებს, ყელიდან წამოსული ტირილის მსგავსი ბგერები არღვევენ სიჩუმეს... თვალებიდან კი უწყვეტად მოედინებიან ცრემლები და ღარავენ თეთრ ლამაზ სახეს...

_ მე შენ მიყვარხარ მარი...

_ მეც მიყვარხარ ზურა, ძალიან...

_ გოგა შენ ისევ ხუმრობ? ...

_ ბესო ჩვენ ხომ ძმები ვართ ...

_ მარი, შენ ჩვენი ლამაზი ფერია ხარ...

მხოლოდ ეს ფრაზები დარჩენილან თითქმის დასრულებული სიცოცხლიდან... მხოლოდ გრძნობების აჩრდილები, რომლებსაც ეს ფრაზები განასახიერებდნენ... უდროოდ დასრულებული და დამსხვრეული ბედნიერება... _ თითქოს ექოდ ჩაესმის გოგონას და წინ მომლოდინე უიმედობისკენ, სიცარიელისკენ და ტკივილისკენ თვალებიდან წამოსული ცრემლები უკვალავენ გზას...

...